

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დათო გიორგის ძე წულეისკირი

პოლიტიკური კრიზისი გერმანიაში და ვაიმარის რესპუბლიკის კრახი

(1930-1933წ.წ.)

სპეციალობა – მსოფლიო ისტორია

07. 00. 03.

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

ქუთაისი

2010

# შინაარსი

შესავალი	-----	3
თავი I. თავი I. ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება გერმანიაში 30-იანი წლების დასაწყისში	-----	21
§1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა გერმანიაზე	-----	21
§ 2. პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალური მენტალიტეტის მემკვიდრეობითობის პრობლემა პარტიულ სისტემაში	-----	29
§ 3. სოციალ-დემოკრატია და რადიკალური ძალები	-----	45
თავი II. ჰაინრიხ ბრიუნინგის კაბინეტები და პარტიულ- პოლიტიკური ბრძოლა ანტიკრიზისული პრობლემატიკის ირგვლივ	-----	57
§ 1. ჰ. ბრიუნინგის I კაბინეტის კონფლიქტი რაიხსტაგთან და „საპრეზიდენტო მმართველობის“ შემოღება	-----	57
§ 2. მთავრობა და მემარჯვენერა რადიკალური ძალების დესტრუქციული პოლიტიკა	-----	72
§ 3. ბრძოლა კონსტიტუციური რეფორმისათვის პარტიული სისტემის „ატომიზაციის“ პირობებში	-----	85
§ 4. პოლიტიკური მდგომარეობის რადიკალიზაცია და ბრიუნინგის პირველი კაბინეტის რეორგანიზება	-----	108
§ 5. რაიხსგერის პოლიტიკური როლის გაძლიერება	-----	134
§ 6. „ნაციონალური ოპოზიცია“ და ბრიუნინგის II კაბინეტის კრახი	-----	149

**თავი III. გაიმარის რესპუბლიკა ფ. ფონ პაპენისა და ქ.  
ფონ შლაიხერის ანტირესპუბლიკური  
კაბინეტების დროს**

170

**§1. კონსტიტუციური კრიზისის ესკალაცია და  
სახელმწიფო გადატრიალება პრუსიაში**

170

**§ 2. გენერალ ქ. ფონ შლაიხერის პოლიტიკა: გზა  
დიქტატურისკენ თუ რესპუბლიკის რეანიმაციის  
მცდელობა?**

187

<b>დასკვნა</b>	-----	198
<b>დანართი</b>	-----	204
<b>შენიშვნები და კომენტარები</b>	-----	206
<b>ბიბლიოგრაფია</b>	-----	233

**შ ე ს ა გ ა ლ ი**

პოლიტიკური კრიზისები ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესაბამისი დარგების შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კრიზისთა გამომწვევი მიზეზების, მათი გადალახვის გზებისა და საბოლოო ჯამში, ანატომიის სრულყოფილი ანალიზი, ანალოგიური კატაკლიზმების იოლად დაძლევის, ან თავიდან აცილების უცილობელი ხელშემწყობი პირობაა.

თავისი განვითარების ხანგრძლივ პერიოდში კაცობრიობა ზოგჯერ ევოლუციური, უფრო ხშირად კი რევოლუციური გზით ცდილობდა უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას, რასაც შედეგად არსებულ პოლიტიკურ სისტემათა რეფორმირება, ან მათი ახლით შეცვლა მოჰყვებოდა ხოლმე. საბოლოო ჯამში, XX საუკუნის დამდეგიდან დამკვიდრება დაიწყო ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა სისტემამ.

აღნიშნული პროცესი სწრაფი ტემპით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა. მას მერე, რაც არსებობა შეწყვიტეს რუსეთის, თურქეთის (ოსმალეთის), ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიებმა. ამ ფაქტმა შექმნა იმის ილუზია, რომ ევროპის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესს წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

მსოფლიოს გერმანიამ მისცა იმის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოხდეს დემოკრატიული სტრუქტურების მსხვრევა და მისი დიქტატურით შეცვლა. ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ არა მარტო ამ სახელმწიფოს, არამედ ევროპის ხალხთა შემდგომი ბედიც კი განსაზღვრა და კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

პირველმა გერმანულმა რესპუბლიკამ 1918 წლის 9 ნოემბერს დაიწყო არსებობა. პოლიტიკური ძალების და მოსახლეობის მცირე ჯგუფს მისი ფორმირება მართლაც სურდა, მაგრამ უდიდესი ნაწილი ამ ფაქტს - „ნოემბრის დამნაშავეთა“ მოღალატური ქმედებების შედეგად მიიჩნევდა და ახალი სისტემის მიმართ იმთავითვე მტრულად განეწყო.

ადრინდელი ვაიმარის სახელმწიფო არ იყო ძლიერი და ის ვერც იქნებოდა ასეთი, რადგან ჯერ ერთი – ძალზე ცოტა მხარდაჭერი ჰყავდა ქვეყნის შიგნით; მეორე – საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკის მთავრობებს ხელისუფლების კონსოლიდირების შანსს უსპობდა; მესამე – მოსახლეობის დიდი ნაწილი მტრულად ან ნიპილისტურად იყო განწყობილი დემოკრატიული სისტემის მიმართ. ფაქტიურად, ვაიმარის რესპუბლიკა გახლდათ „დემოკრატია დემოკრატთა გარეშე“.

ცხადია, რესპუბლიკის კრახის გამომწვევ მიზეზთა გარკვევა შეუძლებელია გერმანიის შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კომპლექსური შესწავლის გარეშე. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის და პარტიული სისტემის ფუნქციონირების ყველა ნაკლოვანი მხარე მთელი სისრულით წარმოჩნდა მისი არსებობის ბოლო ეტაპზე. ამ დროს რესპუბლიკას ყველაზე დიდი საფრთხე მის წიაღშივე აღმოცენებული ტოტალიტარული პოლიტიკური ძალებისგან შეექმნა, რომელთა დამანგრეველი აქტივობის წინაშე დემოკრატიულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა მექანიზმმა თავდაცვითი იმუნიტეტი ვერ შეიმუშავა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მხოლოდ 1930-1933 წლებს მოიცავს, რაც პოლიტიკურად რესპუბლიკის არსებობის ბოლო ეტაპია. ჩვენ შევეცდებით მაქსიმალური სისრულით წარმოვაჩინოთ ქვეყანაში სამივე მიმართულებით შექმნილი სიტუაცია. ეს გახლავთ თითქმის ორწლიანი პერიოდი, როდესაც ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით ფარულად თუ აშკარად არსებულმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. ჩვენი აზრით, დემოკრატიული სისტემის არსებობის უკანასკნელი წლების მანძილზე მთავრობების მიერ განხორციელებული დონისძიებების, ცალკეული სოციალური, ფინანსური და პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფების ქცევის ხასიათში ძევს გასაღები იმისა – რასაც შედეგად ვაიმარის რესპუბლიკის სრული და რაც მთავარია, უაპელაციო დემონტაჟი მოჰყვა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ წინამდებარე ნაშრომის თემატიკა, მისი ცალკეული ასპექტების შესწავლისადმი მიძღვნილი შრომების სიუხვის მიუხედავად, აქტუალობას არასოდეს დაპკარგავს და თუნდაც ერთი უმნიშვნელო სიახლის ან მიღგომის ფიქსირება წაადგება ისტორიული პროცესის სრულყოფილად გააზრების საქმეს.

ამრიგად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ვაიმარის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურის ფუნქციონირების შესწავლა მისი არსებობის ბოლო

ეტაპზე, რომელიც არსებითად გერმანიის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გარდატეხის მომენტი და შემობრუნების პუნქტია.

კვლევის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პირველწყაროების და სპეციალური ლიტერატურის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვაჩვენოთ თუ როგორ მიმდინარეობდა რესპუბლიკის საყრდენი პოლიტიკური ინსტიტუტების სასიცოცხლო არეალის შევიწროება და მათი დემოკრატიული პოტენციალის ამოწურვის პროცესი, რამაც გზა გაუხსნა 12 წლიან ნაციონალ-სოციალისტურ დიქტატურას.

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი კონკრეტული საპკლევი ამოცანების გადაჭრა:

- გერმანიაში „ფორმალური დემოკრატიის“ ჩამოყალიბების ზოგადი მიზეზების გარკვევა;
- სამთავრობო კაბინეტების ე. წ. „ზეპარტიული პოლიტიკის“ წარმოების განმაპირობებელი ფაქტორების წარმოჩენა და ახსნა;
- პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრაციის ხელშემწყობი პირობების ანალიზი ბრიუნინგის, პაპენისა და შლაიხერის სამთავრობო კაბინეტების საქმიანობის მაგალითზე;
- ფორმალური და არაფორმალური ინტერესთა ჯგუფების – რაიხსვერის, იუნკრობის, ჩინოვნიკების, მხევილი აგრარიების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაციების როლის წარმოჩენა რესპუბლიკასთან მიმართებაში;
- ვაიმარის პარტიულ-პოლიტიკური სისტემის „ატომიზაციისა“ და თავისებურ რესპუბლიკურ ავტორიტარიზმზე გადასვლის მიზეზების ანალიზი;
- ტოტალიტარულ პოლიტიკურ თრგანიზაციათა წარმატების უზრუნველმყოფი ფაქტორების გამოკვლევა;
- ფინანსური სისტემის უნიფიკაციისა და „საიმპერიო რეფორმის“ განხორციელების პროცესის შესწავლა და მისი საბოლოო მიზნების გარკვევა;

ამ კონკრეტული კვლევითი ამოცანების გადაჭრა, ბრიუნინგის, პაპენისა და შლაიხერის მთავრობების მიერ წარმოებული საშინაო პოლიტიკის მეცნიერულად არგუმენტირებული ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ავხნათ რესპუბლიკის კრახის და ნაცისტთა ხელისუფლებაში მოსვლის მიზეზები.

დასახული მიზნის მისაღწევად და კონკრეტულ ამოცანათა გადასაჭრელად ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური ინფორმაციის რაოდენობრივი დამუშავების, წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის და სხვა მეთოდი. მთავარი ჩვენთვის მაინც ისტორიზმის უნივერსალური პრინციპი გახლავთ: დავინახოთ და გავაანალიზოთ პრობლემა მისი ისტორიულ-ქრონოლოგიური განვითარების დინამიკაში.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში უდიდესი დახმარება გაგვიწია XX საუკუნის 80-იან წლებში გერმანიაში გამოცემულმა წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მასალამ. ის პირობითად შეძლება ხუთ ნაწილად დავყოთ: 1) რაიხსკანცელარიის აქტები; 2) რაიხსტაგის სხდომათა სტენოგრაფიული ჩანაწერები; 3) სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები; 4) იმპერიის სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოცემული წელიწლეულები; 5) მემუარები და ეპისტოლარული უანრის ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს წყაროები ჩვენს მიერ სამეცნიერო ბრუნვაში პირველად იქნა შემოტანილი და ქართულ სათანადო გამოკვლევებს ვერ ვემყარებით მათი არარსებობის გამო, საჭიროდ მიგვაჩნია დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზის დეტალური განხილვა.

1964 წელს ბავარიის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულმა კომისიამ (ხელმძღვანელი კარლ დიტრიხ ერდმანი) და გერმანიის ფედერალურმა არქივმა (გ. ბოომსი) დაიწყეს ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაფანტული გერმანიის უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი მასალების შეგროვება იყო. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ისტორიკოსები – ჰაგენ შულცე, ანტონ გოლეკი, მარტინ ფოგტი, პეტერ ვულფი, ინგრიდ შულცე-

ბიდლინგსმაიერი, კარლ-ჰაინც ჰარბურკი, კარლ-დიტრიხ ერდმანი, გიუნტერ აბრამოვსკი, კარლ-ჰაინც მინუტი და ტილმან კოოპსი. პროექტი წარმატებით დასრულდა, რასაც შედეგად ქრონოლოგიურად დალაგებული სამთავრობო აქტებისა და სხვა ტიპის დოკუმენტთა კრებულების დაბეჭდვა მოჰყვა. წინასწარვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ჰუბლიკაციები მომავალშიც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ გერმანიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

1982 წელს ხსენებული პროექტის მონაწილეებმა გამოსცეს დოკუმენტთა კრებული სახელწოდებით - „რაიხსკანცელარიის აქტები. ვაიმარის რესპუბლიკა. ბრიუნინგის I და II კაბინეტები ტ. I-II”<sup>1</sup> (პირველ ტომში 252 დოკუმენტია, ხოლო მეორეში – 262). ის ტექნიკურად დაამუშავა და კომენტარები დაურთო ტილმან კოოპსმა. შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ ტექნიკური და სხვა ტიპის სირთულეთა გამო გამოცემაში ვერ მოხვდა 1931 წლის 10 ოქტომბრიდან – 1932 წლის 30 მაისამდე პერიოდის მასალები. ეს ხარვეზი 1990 წელს აღმოიფხვრა, როცა გამოიცა კრებულის მესამე ტომი<sup>2</sup> (სულ 260 დოკუმენტი).

იმავე ჯგუფმა 1986 წელს დაბეჭდა „რაიხსკანცელარიის აქტები. ფონ შლაიხერის კაბინეტი”<sup>3</sup> (სულ 79 დოკუმენტი) ანტონ გოლუკის რედაქტორობით, ხოლო 1989 წ. - „რაიხსკანცელარიის აქტები. ფონ პაპენის კაბინეტი ტ. I-II”<sup>4</sup> (პირველ ტომში 129 დოკუმენტია, ხოლო მეორეში 111) – კარლ-ჰაინც მინუტის რედაქციით.

უნდა ითქვას, რომ ამ დოკუმენტებს ძალზედ ტრაგიკული ისტორიაც ჰქონდათ. მათი ის ნაწილი, რომელიც ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდს ეხებოდა 1945 წლის აპრილში ნაცისტებმა მაგდებურგის მახლობლად მდებარე შტრასფურტის მარილის საბადოში გადამალეს. იგი მოგვიანებით საბჭოთა არმიას ჩაუვარდა ხელთ და პოტსდამის სახელმწიფო არქივმა მხოლოდ 1956 წელს მოახერხა მისი გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნება.

ამ კატეგორიის დოკუმენტთა მეორე ჯგუფი, რომელიც მესამე რაიხის პერიოდს მოიცავდა ჯერ გესტაპომ გაანადგურა, დარჩენილი ნაწილი კი ნაცისტებმა სამხრეთ გერმანიაში – ბერნეტესგადენში წაიღეს, სადაც

მათი კონფისკაცია ამერიკულმა არმიამ მოახდინა. 1948 წელს ისინი ინგლისში გადაიტანეს, საიდანაც ეტაპობრივად 1958-1959 წლებში დაბრუნდა კობლენცის სახელმწიფო არქივში, სადაც ამჟამადაც ინახება R43 I-II გრიფით.

აღნიშნულ პუბლიკაციათა საერთო მოცულობა 4498 გვერდს შეადგენს და მათში შეტანილია 1093 დოკუმენტი. კრებულში განთავსებულია ფინანსთა, ეკონომიკის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროების, ეკონომიკის საიმპერიო საბჭოს, არმიის, მიუნხენის თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბად-გოდესბერგის არქივებში დაცული მასალები. გამოყენებულია საკვლევი პერიოდის პოლიტიკოსების - არნოლდ ბრეხტის, ედუარდ დინგელდაის, ოტო გესლერის, იოზეფ გებელსის, ალფრედ ჰუგენბერგის, იაკობ კაიზერის, ჰანს ლუთერის, გრაფ შვერინ-კროზიგის, პაულ ზილვერბერგის, ოტო ბრაუნის, კარლ ზევერინგის, ჰაინრიხ ბრიუნინგისა და ფრანც ფონ პაპენის მემუარები. გარდა ამისა, ამ გამოცემაში შესულია კობლენცის ხელნაწერთა კოლექციის ფონდების, პრუსიის სახელმწიფო საიდუმლო არქივისა და პრუსიის იუსტიციის სამინისტროს არქივის მასალები.

ამ დოკუმენტთა კრებულებში თავმოყრილია 1930 წლის 30 მარტიდან 1933 წლის 30 იანვრამდე რაიხსკანცელარიაში ჩატარებულ სამთავრობო სხდომათა ოქმები; კანცლერებისა (ბრიუნინგი, პაპენი, შლაიხერი) და მინისტრთა მიერ რაიხსტაგის ფრაქციათა წარმომადგენლებთან წარმოებული მოლაპარაკებების და რაიხსპრეზიდენტთან გამართული თათბირების ჩანაწერები; დოკუმენტები ფინანსური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეულ ასპექტთა თაობაზე; კანცლერთა, ფედერალურ მინისტრთა და ადმინისტრაციული თანამდებობის სხვა პირთა ამა თუ იმ მნიშვნალოვან დონეზე გამოსვლის ტექსტების შინაარსი; უცხოეთში განხორციელებული ვიზიტების ანგარიშები; ფედერაციის სუბიექტთა მთავრობების მიერ ცენტრალური ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილები და ა. შ..

ამ ზოგადი დახასიათებიდანაც კარგად ჩანს, რომ ფაქტიურად, მითითებულ პუბლიკაციათა სრულყოფილი დამუშავება შესაძლებლობას იძლევა ანალიზი გაუკეთდეს და შეფასდეს 1930-1933 წ.წ.-ის გერმანიის სამთავრობო კაბინეტების საქმიანობა, გაანალიზდეს მათ მიერ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დაძლევისკენ მიმართულ ღონისძიებათა ნეგატიური და პოზიტიური მხარეები. მითითებულ გამოცემათა დირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ თან ერთვის ვრცელი შესავალი ნარკვევი და შემდგენელთა მაღალკვალიფიციური კომენტარები, ზოგიერთ დოკუმენტს ახლავს შეფასებითი ხასიათის განმარტებანიც, რომლებიც გერმანიის ნეოლიბერალური ისტორიული სკოლის გამოჩენილ წარმომადგენლებს ეკუთვნით.

ნაშრომში გამოყენებულია ვაიმარის რესპუბლიკის მე-4 (70 სხდომა)<sup>5</sup>, მე-5 (55 სხდომა)<sup>6</sup>, მე-6 (2 სხდომა)<sup>7</sup> და მე-7 (3 სხდომა)<sup>8</sup> მოწვევის რაიხსტაგის სხდომათა სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომელთა საერთო მოცულობაც 6100 გვერდს აღემატება. ისინი შეიცავენ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი პარტიების ფრაქციათა წევრების გამოსვლათა ტექსტებს, რომელთა გაცნობის საფუძველზეც ნათელი წარმოდგენა გვექმნება გერმანიის პარტიულ-პოლიტიკური სპექტრის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე. ძალზედ საინტერესოა და სასარგებლოც მეცნიერული კუთხით რაიხსტაგის წევრების - ტორგლერის, შტრასერის, სოლმანის, ცეტკინის, კაასის, ლაიხტის, დინგელდაის, პიკის, გერინგის და მინისტრთა კაბინეტის წევრების საპარლამენტო გამოსვლის ტექსტების გაცნობა. ისინი გერმანიაში მოქმედი პოლიტიკური ძალების საპარლამენტო ტაქტიკის ახსნა-გაანალიზების საშუალებას იძლევიან.

1930 წლის აპრილიდან, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა განსაკუთრებული დეკრეტებით ქვეყნის მართვის პრაქტიკა დაამკვიდრა, რაიხსტაგმა დაკარგა კონსტიტუციით გარანტირებული როგორც საკანონმდებლო, ასევე მაკონტროლებელი ფუნქციაც. ამიტომ, ამ პერიოდში მიღებული კანონების შესწავლა დიდწილად ხსნის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსეაც. აღნიშნულიდან

გამომდინარე, ბუნებრივია, რომ არც 1931-1933 წლებში გამოქვეყნებული „საიმპერიო კანონთა უწყებანი” გახდავთ ინტერესმოკლებული წყარო.

გერმანიაში XIX საუკუნიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, იურიდიული ხასიათის დოკუმენტი ძალაში შესულად მხოლოდ მისი გამოქვეყნების შემდეგ ითვლებოდა. ამ მიზნით, იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო პერმანენტულად გამოსცემდა „კანონთა უწყებებს”, რომლებიც ყოველი წლის ბოლოს, შინაარსობრივი დაჯგუფების შედეგად, თავს იყრიდნენ „საიმპერიო კანონთა უწყებანი”-ს I (საშინაო პოლიტიკა) ან II (საგარეო პოლიტიკა) ტომში. აღნიშნული ტრადიცია შენარჩუნდა ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც. ნაშრომში გამოყენებულია 1931<sup>9</sup>, 1932<sup>10</sup> და 1933<sup>11</sup> წლებში გამოცემული „უწყებანის” სამი ტომი, რომლებიც ჩვენთვის პირველ რიგში იმითაცაა საინტერესო, რომ მათში თავმოყრილია ბრიუნინგისა და პაპენის კანცლერობის პერიოდში გამოცემული 115 განსაკუთრებული დეკრეტის ტექსტი, რომლებსაც თან ერთვის შესაბამისი იურიდიული ასენა-განმარტებანი. ამ პუბლიკაციათა საერთო მოცულობა 1400 გვერდს აღემატება.

1930-1933 წლების გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმპერიის სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოცემული „გერმანიის რაიხის სტატისტიკური წელიწლეულები.”<sup>12</sup> ისინი ძვირფას მონაცემებს შეიცავენ ქვეყნის ურბანიზაციის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის სხვადასხვა დარგის, ფულად-საკრედიტო სისტემის მდგომარეობის, არჩევნების შედეგების და ა. შ. თაობაზე. ნაშრომის შინაარსში გამოყენებული სტატისტიკური მასალის დიდი ნაწილი სწორედ ამ პუბლიკაციებს ეყრდნობა.

ცხადია, რომ ზემოთ მითითებული დოკუმენტთა კრებულები ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემებს წარმოადგენენ. გერმანული ისტორიოგრაფია XX საუკუნის 50-იანი წლებიდანვე შეეცადა იმ დოკუმენტთა მოძიებას, რომლებშიც ასახული იქნებოდა არასამთავრობო სექტორში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი

ჯგუფებისა და რახსვერის პოზიცია. უნდა ითქვას, რომ გერმანელმა მკვლევარებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს და 1959 წლიდან გამოსვლა იწყო სქელტანიან დოკუმენტთა კრებულებმა „მიზეზები და შედეგები: 1918 და 1945 წლებში მარცხიდან გერმანიის თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე”, პერბერტ მიხაელისისა და ერნსტ შრეპლერის რედაქციით. წინამდებარე ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, გვჭირდებოდა მისი მერვე ტომის გამოყენება.<sup>13</sup> სამწუხაროდ, ის ამ ეტაპზე ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, თუმცა არაპირდაპირ „რაიხსკანცელარიის აქტების” კომენტარების მეშვეობით შეიძლება მასში შესული წყაროების შინაარსის გაცნობაც.

ამ მცირეოდენ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს ვოლფგანგ მიხალკასა და გოტფრიდ ნიდჰარტის რედაქტორობით გამოსული დოკუმენტთა კრებული - „არასასურველი რესპუბლიკა. ვაიმარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები. 1918-1933”.<sup>14</sup> იგი 1981 წელს გამოიცა მიუნხენში და მისი საერთო მოცულობა 447 გვერდს შეადგენს. წინამდებარე ნაშრომის ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესოა მასში შეტანილი კ. შტიულპნაგელის მემორანდუმი, ნაწყვეტები ი. გებელისის დღიურებიდან, დიუსელდორფის კლუბში ჰიტლერის გამოსვლის ტექსტი, 1932 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან დამოკიდებულებაში ცალკეულ პოლიტიკურ სუბიექტთა პოზიციების ამსახველი წყაროები, პაპენ-ჰიტლერის მიმოწერა, კათოლიკური ცენტრის ლიდერის ლ. კაასის ჰინდენბურგთან ვიზიტის ამსახველი ჩანაწერი (1932 წლის ნოემბერი) და ა. შ.

ნაშრომში გაანალიზებული მემუარული ხასიათის წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ ჰ. ბრიუნინგის „მემუარები.”<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ გერმანიის ისტორიის შემსწავლელი სპეციალისტები თავიდანვე მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას. მოლოდინი გაამძაფრა იმანაც, რომ 50-იანი წლების შუა ხანებში ექსკანცლერმა შტუტგარტის ერთ-ერთ სტამბასთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა 10 ათასი მარკის ოდენობით, რითაც უახლოეს მომავალში მოგონებების დაბეჭდვა ივალდებულა. პირობის მიუხედავად, ბრიუნინგი იმ მოტივით,

რომ 50-იან წლებში მისი „მემუარების” შინაარსი დაზიანებდა გერმანიის ავტორიტეტსა და საგარეო მდგომარეობას, შეგნებულად აჭიანურებდა მის გამოცემას. საბოლოოდ, ეს საკითხი ყოფილი კანცლერის ანდერძისამებრ გადაიჭრა და „მემუარები” ბრიუნინგის გარდაცვალებისთანავე - 1970 წელს დაიბუჭდა.

ეს გახდავთ 720 გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც აშკარად ეტყობა ავტორის მაღალი აკადემიური დონის გავლენა. იგი გამართული სამეცნიერო აპარატურითაცაა აღჭურვილი: შენიშვნებისა და კომენტარების გარდა ტექსტს თან ერთვის სახელთა საძიებელი, 1930-1933 წლებში ეკონომიკის ცალკეული დარგის მდგომარეობის მაჩვენებელი დიაგრამებიც. ფაქტიურად, ეს არის მეცნიერული ნაშრომი, რომლის ავტორიც უაღრესად ფართო ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი მის მიერ 30-იანი წლების დამდეგს განხორციელებული კურსის უალტერნატივობაში.

წინასწარვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ექსპანციული მოგონებებში მოყვანილი ფაქტების სანდოობა სხვა წყაროებითაც მტკიცდება. იგი ყოველდღიური მოვლენების აღწერით ცდილობს აჩვენოს თუ რა მიზეზებმა განაპირობა გერმანიაში ავტორიტარიზმის დამკვიდრება. ის კვლავაც სახელმწიფო იდეის ჰეგემონიის ერთგული რჩება და პარტიათა ნეგატიური პოზიციის წარმოჩენის ფონზე სურს გაამართლოს ავტორიტარიზმი.

კაბინეტის საქმიანობის აღწერისას ბრიუნინგი ცდილობს ძირითადი აქცენტი გერსალის კაბალური ხელშეკრულების დენონსირებისკენ მიმართულ დონისძიებებზე გააკეთოს. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ გერმანიაში შექმნილი შიდაპოლიტიკური სიტუაცია პარლამენტარიზმის შეზღუდვას მართლაც მოითხოვდა. მემუარებში აშკარად უარყოფითი პოზიცია ჩანს პლურალიზმისა და საერთოდ დემოკრატიის მიმართ. კანცლერი მანამდე უცნობი მონარქისტის როლში წარმოგვიდგება. დღემდე ბევრი გერმანელი ისტორიკოსი ბრიუნინგის „მემუარების” როგორც ისტორიული წყაროს სანდოობის და ვარგისიანობის საკითხს

აჭვენებს, თუმცა არსებობს ასევე მკვლევართა დიდი ჯგუფი, რომელთათვისაც ეს პრობლემა წინასწარვე მოხსნილია.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიის, პრუსიის მთავრობის საქმიანობის, 1932 წლის 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების, საიმპერიო კაბინეტთან ურთიერთობის ნიუანსების გარკვევის და საერთოდ გერმანიის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის შეფასება-აღწერის კუთხით ძალზედ საინტერესოა ო. ბრაუნის<sup>16</sup> და კ. ზევერინგის<sup>17</sup> მემუარები, რასაც ვერ ვიტყვით ფრანც ფონ პაპენის მოგონებებზე,<sup>18</sup> რომლის შინაარსიც დიდწილად ისტორიის ფალსიფიცირების შეგნებულ მცდელობას წარმოადგენს.

ვაიმარის რესპუბლიკის კრიზისისა და კრახის გამომწვევი მიზეზების კვლევა გერმანელ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში 50-იანი წლების დამდეგიდან მოექცა, როცა გერმანიის ერთ ნაწილში მეორე რესპუბლიკის აღმშენებლობა იწყებოდა. ამ კვლევის პროცესს ბიძგი მიუნხენის თანამედროვე ინსტიტუტის დაარსებამ (1950წ.) და „პარლამენტარიზმისა და პოლიტიკური პარტიების შემსწავლელი კომისიის“ ჩამოყალიბებამ (1951წ.) მისცა. მათ ინტერესს ძალზედ პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: არ დაეშვათ მომავალში ანალოგიური ფაქტის განმეორება. 1954 წელს ურნალ „Historische Zeitschrift“-ში ვ. კონცემ დაბეჭდა სტატია სათაურით „პარტიული სახელმწიფოს კრიზისი გერმანიაში 1929-1930 წლებში,“<sup>19</sup> რომელშიც ის ანვითარებდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაიხსტაგისთვის საკანონმდებლო ინიციატივის ჩამორთმევა და საპრეზიდენტო რეჟიმის დამყარება აუცილებლობით ნაკარნახევი გარდაუვალი ნაბიჯი იყო. ამ პუბლიკაციამ, რომელიც კანცლერ ბრიუნინგის საქმიანობის გამართლებას ისახავდა მიზნად, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია, რამაც შემდგომი კვლევებისადმი ინტერესი ერთიორად გააღვივა.

წარმოშობილი დავის პირველი შედეგი 1955 წელს კ. დ. ბრახერის ბესცელერად ქცეული ნაშრომის „ვაიმარის რესპუბლიკის დასასრული. დემოკრატიაში ძალაუფლების დაკარგვის პრობლემისათვის“<sup>20</sup> –

გამოცემა იყო. ეს გახლდათ ნეოლიბერალთა ბანაკში შექმნილი პირველი სქელტანიანი ნაშრომი, რომელმაც ახალი მეთოდოლოგიური მუხრი შეიტანა ისტორიულ მეცნიერებაში და შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო მკვლევართა წინაშე თამასა ძალზედ მაღლა ასწია. სანამ ნაშრომის შინაარსობრივ მხარეზე ვისაუბრებდეთ, მანამდე საჭიროა მოკლედ ერთ პრობლემასაც შევეხოთ. 50-იანი წლების დამდეგიდანვე გამოჩნდა ნეოლიბერალური სკოლის მეთოდოლოგიური მიდგომის თავისებურებანი, რომელიც კონსერვატორთა მიერ გამოყენებული „იდეოგრაფიული მეთოდის“ ნაცვლად საკითხებს ე.წ. „სტრუქტურული ანალიზის“ მეთოდით წყვეტდა. ასე რომ, პოლიტიკურ-დიპლომატიურის გარდა, ისტორიამ მათ ხელში სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც შეიძინა. ამან კი თავის მხრივ, მომიჯნავე დისციპლინებთნ, უპირველესად - სოციოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, პოლიტოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან და ა.შ. კავშირი გამოიწვია. ანუ სწორმა მეთოდოლოგიურმა მიდგომამ ინტერდისციპლინარული კვლევების აუცილებლობა განაპირობა, რითაც ნეოლიბერალური ისტორიოგრაფიული მიმდინარეობა გერმანიაში დიმინირებულ მიმართულებად იქცა.

პ. კონცესგან განსხვავებით, პ. დ. ბრახერმა ბრიუნინგი ხელისუფლების აშკარა უზურპაციაში დაადანაშაულა, ხოლო დემოკრატიული სისტემის დემონტაჟის მიზეზებად - მმართველი ელიტის მიერ პირველ ეტაპზე ძალაუფლების დაკარგვა, ხოლო შემდეგ - სახელისუფლებო ვაკუუმის წარმოშობა დაასახელა: „პოლიტიკური არენა სახელისუფლებო ვაკუუმის არამდგრადი ნიშნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რითაც ნაწილობრივ ძალადობის დახმარებით, ნაწილობრივ კი ავტომატურად გამოირიცხა დემოკრატიული მექანიზმები და აღინიშნა... ინტრიგანთა არაჩვეულებრივი აქტივობა. პიტლერის მოსვლას ხელს უწყობდნენ პინდენბურგის უახლოესი გარემოცვა, „განსაზღვრული ეკონომიკური ინტერესების“ მქონე ჯგუფები, ნაციონალისტთა მერყეობა, ნაცისტთა თავგანწირული ღონისძიებანი,

შლაიხერის დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი და პაპენის ავადმყოფური პატივმოყვარეობა” – წერს პ. დ. ბრახერი.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ვაიმარის პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი ანალიზი გფრ-ში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. პ. დ. ერდმანი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ფუნქციონერიც იყო, ხაზგასმით მიუთითებდა: „რაოდენ დიდიც უნდა იყოს დაშორება ვაიმარის რესპუბლიკასა და თანამედროვეობას შორის, კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მისი ყოველგვარი ანალიზი პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის.”

თავის მხრივ, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა „პარლამენტარიზმისა და პოლიტიკური პარტიების შემსწავლელი კომისიაც.” 1960 წელს მან დაასრულა ცხრა წლის განმავლობაში წარმოებული კვლევა ვაიმარის წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ და გამოსცა კრებული „პარტიების დასასრული 1933” – ე. მატიასისა და რ. მორზაის რედაქტორობით.<sup>21</sup> 50 წლიანი ინტერვალის მიუხედავად, მისი სამეცნიერო ღირებულება იმდენად დიდია, რომ XXI საუკუნის დამდეგისთვისაც კი ვაიმარის პარტიულ-პოლიტიკური სპექტრის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარები მასში კვლავინდებურად ბევრ ღირებულ ასპექტს პოულობენ.

კრებულში თავმოყრილი და გაანალიზებულია დიდალი ფაქტოლოგიური მასალა ვაიმარის რესპუბლიკაში მოქმედი თითქმის ყველა ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ. შემდგენელთა განსაკუთრებული ყურადღება პარტიების იდეოლოგიური არსენალისა და 1918-1933 წლებში მათი ხელმძღვანელი აპარატის მიერ გადაგმული ტაქტიკური ნაბიჯების ახსნას ეთმობა. გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებანი „ვაიმარის დიდი კოალიციის” დაშლის, ლიბერალთა ბანაკის კონსოლიდირების შეუძლებლობისა და 1930 წელს ჩამოყალიბებული სახელმწიფო პარტიის მკვდრადშობილობის გამომწვევ მიზეზებზე. დიდი სისრულითაა ნაჩვენები კათოლიკური ცენტრის

შიგნით მიმდინარე ძალთა გადაჯგუფებისა და მისი მემარჯვენეთა ბანაკში გადასვლის განმაპირობებელი ფაქტორები.

50-იანი წლების ბოლოდან გერმანული ისტორიოგრაფია ვაიმარის რესპუბლიკაში მხარეებისა და ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირების გამომწვევ მიზეზთა შესწავლასაც შეუდგა. ამ მხრივ პიონერად ვალდებარ ბესონი უნდა მივიჩნიოთ. 1959 წელს მან გამოსცა ნაშრომი „ვიურტემბერგი და სახელმწიფო კრიზისი გერმანიაში 1928-1933 წლებში. გამოკვლევა ვაიმარის რესპუბლიკის დაშლის თაობაზე.”<sup>22</sup> იმ ფაქტორთა შორის, რომლებმაც ფედერალური მთავრობისადმი სამხარეო ადმინისტრაციათა უკმაყოფილება განაპირობეს, ავტორი ძირითადად ფინანსურ-ეკონომიკურ და საბაჟო საკითხებს გამოყოფს. ვ. ბესონი, სათანადო წყაროთმცოდნეობით მასალაზე დაყრდნობით, აჩვენებს 1930-1932 წლებში ბრიუნინგისა და პაპენის მიერ განხორციელებული ფინანსური უნიფიკაციისა და „საიმპერიო რეფორმის” პროექტებისადმი ვიურტემბერგის მთავრობის უარყოფით დამოკიდებულებას. ის გახდავთ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც რესპუბლიკის კრახის განმაპირობებელ მიზეზთა შორის კონსტიტუციური პრობლემატიკის შემოტანა განახორციელა.

ძალზე საინტერესოა ლიბერალთა ძველი თაობის წარმომადგენლის თეოდორ ეშენბურგის მიერ 1963 წელს გამოცემული წიგნი „იმპროვიზირებული დემოკრატია: ნარკვევები ვაიმარის რესპუბლიკის შესახებ.”<sup>23</sup> ის რესპუბლიკის დემონტაჟის თვითმხილველი გახდათ, პირადად იცნობდა 30-იანი წლების გერმანიაში მოღვაწე ბევრ პოლიტიკურ ფიგურას. ვაიმარის სისტემის კრახის გამომწვევ მიზეზთა შორის თ. ეშენბურგი გერმანელი ერის სოციო-კულტურულ თავისებურებასაც ასახელებს. ის თვლის, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარებისთვის არ იყო მზად, რადგან მისი მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობაში აშკარად მონარქისტული ტენდენციები სჭარბობდა. 1919-1930 წლებში განვითარებულმა ნეგატიურმა საშინაო და საგარეო-პოლიტიკურმა პროცესებმა ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამძაფრა, რის გამოც „ვაიმარის რესპუბლიკა მისი ლიბერალური

სამკაულებითა და ფრაზეოლოგიით აღქმული იქნა, როგორც მტრისგან თავს მოხვეული პოლიტიკური სისტემა,” რომლის დემონტაჟისკენაც მიმართულ ნაბიჯებს მოსახლეობის აქტიური წინააღმდეგობა არ მოჰყოლია.

პირველი გერმანული დემოკრატიის მარცხის ცალკეული ასპექტების შესწავლა ახალ საფეხურზე ებერჰარდ კოლბმა აიყვანა. 1962 წელს გამოვიდა მისი ცნობილი ნაშრომი „ვაიმარის რესპუბლიკა.”<sup>24</sup> ავტორი წიგნის მესამე თავში - „რესპუბლიკის დაშლა 1930-1933 წლებში” - ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკასაც ეხება. იგი დეტალურად მიმოიხილავს ტოტალიტარული მისწრაფების ძალების აღმავლობის გამომწვევ ფაქტორებს, უკანასკნელი მთავრობების საქმიანობის ხასიათს, საერთაშორისო თანასაზოგადოების დამოკიდებულების ზეგავლენას გერმანიაში მომდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, აანალიზებს საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის მიზეზებს და პ. დ. ბრახერისგან განსხვავებით ხაზგასმით მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო რეალობის შეცვლამ მმართველი გუნდისთვის არა „ხელისუფლების დაკარგვა,” არამედ მისი მზარდ საპრეზიდენტო აპარატზე გადატანა განაპირობა.

ვაიმარის რესპუბლიკის პვლევის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორს გერჰარდ შულცს. მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს შორის, რომლებიც მეცნიერის საქმიანობის უაღრესად ფართო დიაპაზონზე მეტყველებენ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცნობილი ტრილოგია - „დემოკრატიასა და დიქტატურას შორის. კონსტიტუციური პოლიტიკა და საიმპერიო რეფორმა ვაიმარის რესპუბლიკაში,” ტ. I-III. ეს გახლავთ ფუნდამენტური გამოკვლევა ქვეყნის კონსტიტუციური საფუძვლების, მისი ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ფაქტორების, სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების, პ. წ. „კონსერვატიული რევოლუციის” იდეოლოგიის, პოლიტიკური სპექტრის „ატომიზაციის” გამომწვევი მიზეზების, მთავრობათა საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პარტიების, რაიხსვერის საქმიანობის და ა. შ. თაობაზე. მასშტაბურობა

(ნაშრომის თითოეული ტომი 1000 გვერდს აღემატება), კვლევის სიღრმისეული ხასიათი, საკვლევი თემატიკისადმი ორიგინალური მიდგომა და მძლავრი მეთოდოლოგიური მუხტი მას 30-იანი წლების დამდეგის გერმანიის ისტორიისადმი მიძღვნილი ყველა სხვა ნაშრომისაგან გამოარჩევს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო გახლდათ მისი მესამე ტომი - „ვაიმარიდან პიტლერისაკენ. ცვლილება გერმანიის პოლიტიკურ სისტემაში 1930-1933 წლებში.”<sup>25</sup> მისი მოცულობა 1051 გვერდს შეადგენს. კონსტიტუციური და საიმპერიო რეფორმის საკითხებს ავტორი ბრიუნინგის, პაპენისა და შლაიხერის კაბინეტთა საქმიანობის ფონზე განიხილავს. მასში მთელი სისრულითაა წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მითვისების მიზნით რაიხსპარეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ გერმანიაში ფორმირებული პოლიტიკური კრიზისის ნამდვილი არსი მის კონსტიტუციურ ხასიათში მდგომარეობდა.

გ. შულცის მსგავსად, ძალზე საინტერესო პოზიციებია დაფიქსირებული ასევე ნეოლიბერალი მკვლევარის პაინრის ავგუსტ ვინკლერის გახმაურებულ წიგნებში - „გზა კატასტროფისაკენ. მუშები და მუშათა მოძრაობა გერმანიაში 1930-1933 წლებში”<sup>26</sup> და „ვაიმარი 1918-1933. პირველი გერმანული დემოკრატიის ისტორია.”<sup>27</sup> ჩვენთვის აღნიშნულ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ე. წ. „მოთმინების პოლიტიკის” ახსნის თვალსაზრისით ჰქონდა, რადგანაც ჩვენში არსებული მარქსისტული რადიკალური ისტორიოგრაფიული პოზიციებიდან შექმნილი ლიტერატურა ამ საკითხზე არაიდეოლოგიზირებული წარმოდგენის ფორმირების საშუალებას არ იძლეოდა. ავტორი სათანადო არგუმენტაციების მოყვანით ნამდვილად ახერხებს ამ მარქსისტული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციის ბრიუნინგის კაბინეტისადმი „ტოლერანტული” კურსის განმაპირობებელი მიზეზების ახსნას. გარდა ამისა, დამაჯერებლადაა გაანალიზებული ე. წ. ანტინაციისტური „ერთიანი ფრონტის”

ფორმირების შეუძლებლობა, რომელშიც მთელი 70-წლიანი პერიოდის მანძილზე საბჭოური ისტორიოგრაფია ცალმხრივად სოციალ-დემოკრატებს ადანაშაულებდა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მიმართულება, რომელიც ვაიმარის რეპუბლიკის დემონტაჟის პრობლემებს სოციალურ-ეკონომიკური კუთხით იკვლევდა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო პოზიციებია განვითარებული კნუტ ბორჰარტისა და ურსულა ბიუტნერის შრომებში<sup>28</sup>.

1918-1933 წლებში გერმანიაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების, სამრეწველო და აგრარული წრეების, პროფკავშირული გაერთიანებების საქმიანობის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით დ. ფრიკეს, მ. გაიერს, კ. ჰოლს, კ. იონასს, კ. ლიოშეს, კ. მომზენს, დ. პეცინას, რ. მორზაის, რ. ნეებეს, ლ. პრელლერს, უ. შელმ-შპანგებერგს, კ. ი. შორს, კ. შიონჰოვენს, ფ. რ. ბერგჰაანს და სხვა ავტორებს.<sup>29</sup> რესპუბლიკის ფედერალური მხარეებისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის საკითხებს აშუქებენ კ. ბენცი, ი. გაისი, კ. გრუნდი, კ. მიოლერი, კ. რუნგე, კ. შულცე და კ. შტეფანი.<sup>30</sup> ნაშრომში გამოყენებულია ცალკეული ისტორიული პიროვნებებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიც, რომელთა ავტორებიც არიან ლ. ა. ბენდინი, კ. დოიერლაინი, კ. დიკმანი, ა. დორპალენი, ა. ფონ სალდერნი, მ. შუმახერი, ი. კ. ფესტი, ჯ. კ. უილერ-ბენეტი და ა. ბალოკი.<sup>31</sup>

საბჭოთა კავშირის არსებობისა და ორი პოლიტიკური სისტემის დაპირისპირების პერიოდში პირველი გერმანული დემოკრატიის კრახის გამომწვევი სხვადასხვა ასაექტის გაშუქებას როგორც საბჭოთა სამეცნიერო ცენტრების, ასევე გდრ-ის მარქსისტული ისტორიოგრაფიაც ახდენდა. ნაშრომთა სიუხვის მიუხედავად, რომელთა ავტორებიც ლ. ი. გინცბერგი, ი. კორნევი, ა. ნორდენი, კ. რუგე, ბ. გ. ბაევი, კ. ნ. ვინოგრადოვი, მ. კ. ერინი, კ. დ. კულბაკინი, ი. ს. დრაბკინი, კ. ბ. ტარტაკოვსკი, მ. ი. ორლოვა, ლ. კ. ოვჩინნიკოვა ა. ი. პატრუშევი და სხვ. არიან,<sup>32</sup> მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ბუნებრივია, უაღრესად დარიბი და აშკარად იდეოლოგიზირებულია. აღსანიშნავია, რომ

იდეოლოგიური პრინციპების უცილობელი დაცვის მოთხოვნის პირობებში, რაც ორი მსოფლიო სისტემის თანაარსებობის კონფრონტაციული ხასიათიდან გამომდინარეობდა, მეცნიერებლები შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდნენ და მიუხედავად ყველაფრისა, თავიანთი ნამუშევრებით ისტორიკოს-გერმანისტთა მომავალი თაობებისათვის გარკვეულ ბაზას ქმნიდნენ, რის საფუძველზე ახალი პვლევითი ინიციატივების განხორციელება ბევრად ადვილია. ჩვენი ნაშრომის შესაბამის აღგილას კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში ამ გამოკვლევათა ღირსება-ნაკლი სათანადოდად აღნიშნული. 90-იანი წლების დამდეგიდან რუსულმა ისტორიოგრაფიამ (მათ შორის ზემოხსენებული მკვლევარების ნაწილმა) აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება დაიწყო და ახალი პუბლიკაციებიც გაჩნდა.<sup>33</sup>

სამწუხაროდ, მსოფლიოს უახლესი ისტორიის შემსწავლელი ქართული სკოლა აღნიშნული პრობლემატიკით ჯერ სათანადოდ არ დაინტერესებულა. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომს განვიხილავთ როგორც ამ გაკუუმის შევსების პირველ და უაღრესად მოკრძალებულ მცდელობას.

## თავი I. ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება გერმანიაში 30-იანი წლების დასაწყისში

### § 1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა გერმანიაზე

XX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვაიმარის რესპუბლიკაში სტაბილური გახდა: გამყარდა ნაციონალური ვალუტის კურსი; დაიწყო ეკონომიკური

აღორძინება; მიღწეულ იქნა შეთანხმება რეპარაციების თაობაზე (ე. შ. „დაუესის გეგმა“); აშშ-მა გერმანიას დიდი ოდენობით კრედიტი გამოუყო; გუსტავ შტრეზემანის წყალობით გაფორმდა ლოკარნოს ხელშეკრულება და ქვეყანა ერთა ლიგის წევრი გახდა; ფედერალურმა ხელისუფლებამ შედარებით გაიმყარა მდგომარეობა და აიმაღლა აგტორიტეტი; საგრძნობლად შემცირდა უმუშევრობა და გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალური პირობები, მაგრამ 1928 წლის შემდეგ ეს პროცესი დამუხრუჭდა და აღმავლობა-სტაბილიზაციის პერიოდს დეპრესიის ხანა მოჰყვა.

1929 წლის 25 ოქტომბერს („შავი პარასკევი“) ნიუ-იორკის ბირჟის გაკოტრებით მანამდე არნახული ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რომელმაც გამოიწვია სამრეწველო საქონლის და წარმოების საშუალებათა წარმოების შემცირება, საგარეო ვაჭრობისა და მზა პროდუქციაზე ფასების დაცემა, აგრარული, საკრედიტო და ფულადი კრიზისი, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესება.

გლობალური ხასიათის მიუხედავად, კრიზისის გერმანიაში განსაკუთრებული ძალით გამოვლენა სავსებით ლოგიკურია, რადგან ნაწილობრივი სტაბილიზაცია დიდწილად უცხოურმა სესხებმა და ინვესტიციებმა განაპირობა.

კრიზისის ნიშნები აქ უფრო ადრე გაჩნდა. ომისა და რეპარაციების წყალობით ქვეყნის გადარიბებამ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირება გამოიწვია, რის შედეგადაც ჯერ კიდევ 1927 წლიდან შეიმჩნეოდა მოხმარების საგანთა წარმოების შემცირება. ეს გარკვეულწილად მათზე ფასების არსებული დონის შენარჩუნების მიზნითაც კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, რაციონალიზაციის პროცესის განვითარების შედეგად, წარმოების საშუალებათა წარმოება 1929 წლის შუახანებამდე განაგრძობდა ზრდას.

კრიზისი ამ სფეროში უჩვეულო დაცემის დონით გამოირჩეოდა. ინფლაციურ პერიოდსა და ვალუტის სტაბილიზაციის ხანაში მრეწველობის არნახულმა გაფართოებამ ეკონომიკური დეპრესიის დაწყებიდან მცირე ხანში გამოავლინა ნეგატიური მხარე. პროდუქციის

წარმოების ტემპის დაცემამ კატასტროფული შედეგი გამოიღო და გერმანიის სამრეწველო პოტენციალი 1896 წლის დონეს გაუთანაბრა.<sup>1</sup>

გერმანული კრიზისის თავისებურება გახლდათ ისიც, რომ აგრარულ სფეროში ვითარება გაცილებით გვიან გამწვავდა ვიდრე სხვა ქვეყნებში. 1932-33 წლებამდე ვაიმარის რესპუბლიკა რჩებოდა სახელმწიფოდ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის ყველა სახეობის ექსპორტირებას ახდენდა. ხელისუფლება ამ დარგის მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებდა: ხელი რომ შეეშალათ უცხოური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეღწევის გერმანულ ბაზარზე მთავრობა ხელოვნურად ზრდიდა საბაჟო გადასახადებს ანალოგიური ტიპის იმპორტირებულ საქონელზე და კრძალავდა ზოგიერთი პროდუქტის შემოტანას. ეს ღონისძიება მეორე მიზანსაც ისახავდა, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით მაღალი და მდგრადი ფასების შენარჩუნებას. ყოველივე ამის განხორცილება მართლაც მოხერხდა და გერმანია გახლდათ ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ეკონომიკური კრიზისის საწყის სტადიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები არ დაცემულა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ პროტექციონიზმა აგრარულ სექტორში უარყოფითი როლიც კი ითამაშა. ცნობილია, რომ ეკონომიკის ყველა სფერო მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და შეუძლებელია რომელიმე მათგანის იზოლირება. მაშინ, როცა ფასები სამრეწველო ნაწარმზე კატასტროფულად ეცემოდა, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები ხელოვნურად ინარჩუნებდნენ მაღალ ფასს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე. ამის გამო, ამ დარგის მიერ წარმოებული საქონლის მოცულობა გერმანიაში სწრაფად იზრდებოდა, თუ გავითვალისწინებო მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ასევე სწრაფ დაცემას, ცხადი გახდება ის მიზეზი, რომელმაც უკიდურესად გაამწვავა სიტუაცია აგრარულ სექტორში: ე. ი. საქონლის მიწოდებამ გადააჭარბა მასზე რეალურ მოთხოვნილებას. ჭარბწარმოების პირობებში კი საბაჟო დაცვა უძლური

აღმოჩნდა და მან ვერ მოახერხა ფასების გარდნის პროცესის გაკონტროლება თუ შეჩერება.

მთავრობის პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, რომელიც ძირითადად ხორბლის მოსავლის გაზრდაზე იყო ორიენტირებული, შედეგი გამოიღო, მაგრამ ყურადღების მიღმა დარჩა მეცხოველეობის სფერო. ამ დარგის მიმდევარნი ხორბალს არ აწარმოებდნენ და იძულებულნი იყვნენ პირუტყვის გამოსაკვებად იგი შეეძინათ. ისეთ ვითარებაში, როცა სახელმწიფო დოტაცია მხოლოდ მსხვილ იუნკრულ მამულებზე ვრცელდებოდა, წვრილი და საშუალო გლეხები იძულებულნი იყვნენ მარცვლოვანი კულტურების შესაძენად ბანკებისგან აეღოთ კრედიტი. მათი დავალიანება აღნიშნული დაწესებულებებისადმი 1929-30 წლებში 13 მილიარდ მარკამდე გაიზარდა. მზა პროდუქციაზე ფასების დაცემის პირობებში წვრილი გლეხები ვერ ახერხებდნენ სესხების გასტუმრებას და მათი მიწები ვალის დაფარვის მიზნით აუქციონებზე იყიდებოდა.<sup>2</sup>

თავისებურად განვითარდა გერმანიაში საკრედიტო კრიზისიც. ორი წლის მანძილზე – 1929წ.-ის შუახანებიდან - 1931წ.-ის შუახანებამდე – ქვეყნის ბანკები და საწარმოები იძულებულნი იყვნენ უკან დაებრუნებინათ ის მოკლევადიანი კრედიტები, რომლებიც მათთვის უცხოელმა ინვესტორებმა გამოყვეს. მათი გადახდა ხშირად ოქროთი ხდებოდა, რაც თავის მხრივ, რაიხსბანკის ძვირფასი ლითონის მარაგის ძლიერ შემცირებას იწვევდა. მას შემდეგ, რაც პარტნიორ ქვეყანათა უმრავლესობამ თავდაცვითი ეკონომიკური დონისძიებანი გაატარა გერმანული საექსპორტო საქონლის წინააღმდეგ, საგარეო ვალების გადახდა შეუძლებელი აღმოჩნდა და დაიწყო საბანკო კატასტროფების პერიოდი.

მსხვილი ბანკები ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებოდნენ, რამაც მთლიანად შეარყია საკრედიტო სისტემა. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ არა მხოლოდ მოკლევადიანი სესხების იძულებითი უკან დაბრუნება, არამედ ფასების დაცემაც და დავალიანების დონის გაზრდაც.

რაიხსბანგის საშუალო ერთოვიური საბანკოტო მიმოქცევა 1929 წელს 4 403 მლნ. მარკას შეადგენდა, ხოლო 1933წ. იგი 3 373 მლნ. მარკამდე შემცირდა. ანალოგიური სიტუაცია განვითარდა ოქროს მარაგთან დაკავშირებითაც: ის შესაბამისად 2 258 მლნ. მარკიდან 839 ათას ოქროს მარკამდე შეიკვეცა.<sup>3</sup>

აღნიშნულ პერიოდში ძალზედ გაიზარდა გაკოტრებულ საწარმოთა რაოდენობა. 1929წ. გერმანიაში დაფიქსირებულ იქნა 13180 ბანკროტობის შემთხვევა (ამ ციფრში გაერთიანებულია ყველა კატეგორიის – წვრილი, საშუალო და მსხვილი საწარმოები – დ. წ.), ხოლო 1932 წლისთვის მათი რაოდენობა 14138-მდე გაიზარდა.

კიდევ ერთი თავისებურება 1929 წლის ეკონომიკური კრიზისისა იმაში მდგომარეობდა, რომ ის თავისი ხასიათით ყველაზე ხანგრძლივი, ხოლო შედეგებით უმძიმესი იყო გერმანიის ისტორიაში.<sup>4</sup>

ეკონომიკურმა დეპრესიამ იმპორტის სფეროზეც მოახდინა ზემოქმედება. ექსპორტისაგან განსხვავებით, აქ უდაბლესი წერტილი 1935 წელს აღინიშნა, როცა მისი საერთო რაოდენობა 70,8%-ით შემცირდა.<sup>5</sup>

ეკონომიკური სიტუაციის გამწვავებამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიის მოსახლეობის საშუალო ფენა და მუშათა კლასი. უმუშევართა რაოდენობა კრიზისის სიმწვავის დონის პროპორციულად იზრდებოდა.<sup>6</sup> 1932 წელს, როდესაც გერმანიაში სიტუაცია უკიდურესად გართულდა, წარმოებიდან გაძევებულთა რაოდენობამ 8 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, ხოლო იმ პირთათვის, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება და ადგილი შეინარჩუნეს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 2-4 დღეს შეადგენდა. კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა მოსამსახურეებსა და ჩინოვნიკებს. 1933 წლის დამდეგისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით 597 ათასი მათგანი უმუშევარი აღმოჩნდა.<sup>7</sup>

უმუშევართა მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ მათი უმრავლესობა 2-3-4 წლის მანძილზე უშედეგოდ დაეძებდა სამსახურს. მართალია, კანონმდებლობა სოციალურად დაუცველ პირებზე

დახმარების გაცემას ითვალისწინებდა, მაგრამ მისი რაოდენობა და სანგრძლივობა ძალზედ მცირე იყო. ამას ერთვოდა ისიც, რომ ეკონომიკური სიტუაციის გავლენით და მსხვილ მონოპოლიათა მოთხოვნით, გერმანიის მთავრობა თანდათან ამცირებდა უმუშევართათვის განკუთვნილი სუბსიდიების რაოდენობას. 1932 წლისათვის ოფიციალურად რეგისტრირებული 5,773 მლნ უმუშევრიდან კანონით გათვალისწინებულ დახმარებას მხოლოდ 889 ათასი ადამიანი, ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 15,4% იღებდა.<sup>8</sup>

ამ ციფრების უკან ცალკეულ ინდიკიდთა ბედი იდგა. მათი ერთი ნაწილი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდა,<sup>9</sup> ხოლო მეორენი - რადიკალურად განწყობილი ძალების - კომუნისტებისა და ნაცისტების რიგებს ავსებდნენ.

ის ადამიანებიც კი, რომლებმაც სამუშაო ადგილები შეინარჩუნეს, მეტად მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. 1932 წლისათვის გერმანელი მუშის საშუალო ხელფასი ერთი კვირის მანძილზე 21,74 მარკას შეადგენდა, რაც 47%-ით ნაკლები იყო 1929წ.-ის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ეს მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი ერთ სულ ადამიანზე დროის იმავე მონაკვეთში - 39,05 მარკას აღწევდა.<sup>10</sup>

მუშათა შემოსავლების შემცირება უარყოფითად აისახა ქალაქის საშუალო ფენების - ხელოსნების, წვრილი ვაჭრების და ა.შ. - ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ ფაქტს სხვა მიზეზებიც ჰქონდა: პირველი - ეკონომიკურ კრიზისს მზა პროდუქციაზე ფასების დაცემა მოჰყვა შედეგად. ეს განსაკუთრებით წვრილ ხელოსნებს აზარალებდა, რომელებიც კუსტარული წესით ქმნიდნენ საქონელს. მზა ნაწარმის ფასი კი მის თვითდირებულებას ვერ ანაზღაურებდა, რის გამოც წვრილი საწარმოები ფაქტიურად, მოგების გარეშე მუშაობდენენ. მეორე - ეკონომიკური დეპრესიის პროცესმა კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია გასაღების ბაზრისათვის. მსხვილ მონოპოლიებთან შეჭიდებისას კი კუსტარები ყოველთვის მარცხდებოდნენ, რასაც, როგორც წესი, მათი გაკოტრება მოჰყვებოდა შედეგად. ამას

ადასტურებს ფაქტობრივი მონაცემებიც: 1928 წლისათვის კუსტარულად დამზადებული საქონლის საერთო ლირებულება მთელი გერმანიის მასშტაბით 20 მლრდ. მარკას შეადგენდა, ხოლო 1932 წლისთვის 10 მლრდ. მარკამდე დაეცა.

ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა მსხვილ მონოპოლიებსაც. გამძაფრდა მათ შორის კონკურენცია, რომელიც ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა.

მთელი რიგი დადებითი ძვრების მიუხედავად, სოციალური ვითარება ვაიმარის რესპუბლიკაში მაინც უკიდურესად დაძაბული იყო. განმსაზღვრელი ფაქტორის როლს აქ ეკონომიკური მდგომარეობა თამაშობდა. მონარქიის ლიკვიდაციის მიუხედავად, გერმანიაში ყველაზე პრივილეგირებულ სოციალურ ფენას გვაროვნული არისტოკრატია და მსხვილი მაგნატები წარმოადგენდნენ. ისინი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენდნენ და როგორც 1925 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებიდან ჩანს, მათი რიცხვი 1,186 მლნ. ადამიანს არ აღემატებოდა.<sup>11</sup>

გვაროვნული არისტოკრატიის ერთი ნაწილი მრეწველობის სფეროში საქმიანობდა, ხოლო მათი ძირითადი ბირთვი კი - კვლავ აგრარულ სექტორში მოღვაწეობდა. 1933 წლის მონაცემებით მთელს გერმანიაში 88 ათასი მსხვილი იუნკრული მამული არსებობდა, რომელთა კონცენტრაცია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული გახლდათ. განსაკუთრებით ბევრი იყო მათი რაოდენობა აღმოსავლეთ პრუსიაში, პომერანიაში, მეკლენბურგსა და ბრანდენბურგში. ეკონომიკურმა კრიზისმა ამ მეურნეობებს დიდი ზიანი მიაყენა, მათი საქმაოდ დიდი ნაწილი გაკოტრდა და დავალიანების გასტუმრების მიზნით აუქციონებზე გაიყიდა. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე წლისთვის გერმანიის დამუშავებული მიწების საერთო რაოდენობის 37,9%-ს ამ პირთა მამულები შეადგენდა.<sup>12</sup>

XX საუკუნის დასაწყისიდანვე გერმანია მრეწველობის კონცენტრაციის მაღალი დონით გამოირჩეოდა. ეკონომიკის სფეროში

წამყვანი პოზიციის მოპოვება პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიდერობას უდრიდა. ასეთი სიტუაცია შენარჩუნდა ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდშიც. ეს იყო სტინგის, ტისენის, კირდორფის, კლეკნერის, შრიოდერის, კრუპის, შახტისა და სხვ. ხანა. თითქმის ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პროცესი მათი ინტერესების შესაბამისად მიმდინარეობდა ან წყდებოდა.

საკვლევი პერიოდის სოციალური მდგომარეობის დახასიათებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებს. მათ რიცხვში ერთიანდებოდნენ ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, რანტიეები, მოსამსახურენი, თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლები და ა. შ.. 1925წ. ჩატარებული აღწერის შედეგად გაირკვა, რომ ქალაქის საშუალო ფენების საერთო რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 7,4 მლნ. ადამიანს აღწევდა.<sup>13</sup>

ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესებამ ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ მათ მიაყენა. ყოფილი წვრილი მესაკუთრენი უმუშევართა და საარსებო წყაროდაკარგულ პირთა რიგებს ავსებდნენ. მათი მსოფლმხედველობიდან და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, მათთვის ყველაზე მისაღები პოლიტიკური ძალა ნაცისტური პარტია იყო. პიტლერელთა სოციალური დემაგოგიაც სწორედ მათკენ იყო მიმართული.<sup>14</sup>

ძირითადად ასეთი გახლდათ 1929 წელს დაწყებული კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გერმანიისათვის. მან დიდად შეუწყო ხელი მემარცხენე და მემარჯვენე ტოტალიტარული ორიენტაციის ქვეშ. პოლიტიკურ ძალებს მყარი მასობრივი ბაზის ჩამოყალიბების საქმეში. ეს განსაკუთრებით ნაცისტურ პარტიაზე ითქმის. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეკონომიკური დეპრესიის შედეგები დაინტერესებულმა წრეებმა საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოიყენეს.

**§ 2. პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალური მენტალიტეტის  
ძებუვიდრეობითობის პრობლემა პარტიულ სისტემაში**

გართულებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე  
უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური ვითარებაც. ამის მიზეზები  
ვაიმარის რესპუბლიკისა და უფრო ადრეული გერმანული სახელმწიფოს  
სპეციფიკურ განვითარებაში უნდა ვეძიოთ.

ვაიმარის კონსტიტუცია ვერ გამოდგა ქვეყნის შემდგომი ნორმალური განვითარების გარანტი, ხოლო ვერსალის კაბალური ზავი კი, გახდა ის ტვირთი, რომელიც ამძიმებდა ახალი სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას და ხელს უშლიდა მის კულტურულ ლეგიტიმაციას. იმ სიტუაციაში, როცა პოლიტიკური პარტიები და ლიდერები კარგავდნენ ავტორიტეტს, მხოლოდ ნაციონალურ იდეას და მითებს შეეძლოთ ინდივიდს, კოლექტივსა და გარე საყაროს შორის იდენტურობის სტაბილიზება.

ამგვარ ეროვნულ მითად 20-იანი წლების გერმანიაში ტანენბერგის ლეგენდარული გამარჯვება იქცა, ხოლო ნაციონალური იდეის მატარებლად – 1925 წლიდან პრეზიდენტად მოვლენილი გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი. მისმა კულტმა ჩაანაცვლა საკრალურად ლეგიტიმირებული კაიზერის ფიგურა და ზემოქმედება მოახდინა იმპერიისდროინდელი პოლიტიკური პრაქტიკის ტრანსფორმაციაზე. ეროვნული მითის მძლავრი სტრუქტურა გახდა გრძელვადიანი პოლიტიკური კონტინუიტეტის (მემკვიდრეობითობის – ავტ.) საფუძველი იმპერიის პოლიტიკური კულტურიდან – მართვის რესპუბლიკურ ფორმაზე გადასვლისას. ის ხელს უწყობდა ვილჰელმინისტური საზოგადოების მილიტარისტული ღირებულებების შენარჩუნებას და ბადებდა ვაიმარის მოწინააღმდეგეთა ძირითად პოსტულატებს: „დოლეშტონის იდეას”, სამხედრო რევანშისა და ავტორიტარული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღდგენისაკენ სწრაფვას.

ამ მოსაზრებათა სისწორის დასადასტურებლად 1925 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გამოგვადგება. პროცენტული თვალსაზრისით ჰინდენბურგს მნიშვნელოვანი გამარჯვება არ მოჟპოვებია, ვინაიდან მთავარ კონკურენტს – მარქსს – ხმების საერთო რაოდენობის მხოლოდ 5%-ით აჯობა, მაგრამ მისი გამარჯვების ფაქტს ერისათვის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ქარიზმატულ-სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. ბევრისთვის ფელდმარშალი მძლავრ სახელმწიფოებრივ ავტორიტეტს წარმოადგენდა, ვინაიდან

დიდწილად იმპერიასთან უფრო ასოცირდებოდა, ვიდრე საპარლამენტო რესპუბლიკასთან. ეხება რა აღნიშნულ ტენდენციას, ვერნერ კონცე წერს: „1925 წლის საპრეზიდენტო არჩევნები თრი დაპირისპირებული ჯგუფის ძალთა მოსინჯვა იყო (მხედველობაშია რესპუბლიკისა და მონარქიის მომხრეები – დ. წ.). ის ხალხის მიერ იმპერატორის არჩევას ჰგავდა... ფაქტიურად, ეს გახლდათ პლებისციტი ძველი სახელმწიფო სისტემის სასარგებლოდ... დემოკრატია, ობივატელის თვალში იქცა „ტროას ცხენად”, რომელიც გერმანიაში ანტანტის ქვეყნებმა შეაგზავნეს და რომლისგანაც სწრაფად უნდა გათავისუფლებულიყვნენ, რათა ამავდროულად ვერსალის დიქტატისგანაც ეხსნათ თავი. დემოკრატიულ ინსტიტუტებს ხალხი დროებით მოვლენად, ტაქტიკურ მეთოდად აღიქვამდა, მან ვერ მოიპოვა გერმანელთა აღიარება. მათვის მონარქია არ იყო აუტანელი, საჭირო გახლდათ მხოლოდ მონარქის შეცვლა”.<sup>1</sup>

არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო ძალაუფლების ახალ სიმბოლოთა გაფორმება და პოლიტიკური კულტურისათვის ნაციონალურ-მილიტარისტული ხასიათის მიცემა. აუცილებლობას წარმოადგენდა ეროვნულობის აბსტრაქტული ცნების გააზრებულად აღქმად და ესთეტურ რეალობად გადაქცევა. ამ საქმეში ცენტრალური ადგილი ნაციონალური სახელმწიფოს „პოლიტიკურ ინსცენირებას” ეკავა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ 1926 წელს ბევრი დასავლელი მკვლევარი „ვაიმარის კონსოლიდაციის ფაზას” უწოდებს.<sup>2</sup>

1925-33 წლებში ხელისუფლება ცდილობდა პოლიტიკური ლოგიკისთვის სიმბოლური ხასიათი მიეცა, რათა ნიშნების, ქცევების და რიტუალების მეშვეობით გაემყარებინა საკუთარი ლეგიტიმურობა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკის არსებობის საწყის ეტაპზე ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატების მცდელობა, საზოგადოებაში ახალი დემოკრატიული ლირებულებანი დაემკვიდრებინათ, კრახით დასრულდა, ხოლო პინდენბურგის პრეზიდენტობისას მთავრობამ წარმატებას მიაღწია – რადგანაც პოლიტიკურ კულტურას მეორე რაიხის დროინდელი ავტორიტარული იერ-სახე დაუბრუნა.

კაიზერის დროინდელი გერმანიის პოლიტიკური კულტურის საფუძველი ლეგიტიმირებული ავტორიტეტის არსებობა გახდათ, რომელიც შესაძლებელს ხდიდა სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების აღმშენებლობა-მოწესრიგებას, ხოლო საზოგადოების ცალკეულ წევრს - საკუთარ ადგილს ანიჭებდა. ანალოგიური სიტუაცია განმეორდა ვაიმარის ოქსპუბლიკის არსებობის უკანასკნელ ეტაპზეც: პოლიტიკური კულტურის ნორმები, უპირველეს ყოვლისა, ბაზირდებოდა კულტადქცეულ პრეზიდენტ ჰინდენბურგის ფიგურაზე, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური დამსახურებების გარდა, ცალკეული სოციალური წრისთვის გარდასულ იმპერიასა და ამჟამად არსებულ სახელმწიფოს შორის მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. ფელდმარშალი იყო პრუსიული პატრიარქალური ტრადიციის ნიმუში, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებდა ნამდვილი მმართველის სიბრძნეს, სიდინჯეს, სიმამაცეს, გამბედაობასა და თანამიმდევრულობას.

ჰინდენბურგის კულტის დამკვიდრებას დაინტერესებული წრეები სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით ცდილობდნენ. მათ შორის წამყვანი პოზიცია ეჭირათ ჟურნალ-გაზეთებს, სასკოლო პროგრამებს, შემცნებით ექსკურსიებს და მემორიალებს. აღსანიშნავია, რომ ამ ხერხმა გაამართლა და ზემოქმედება მოახდინა არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მოსახლეობაზეც.

ამგვარად, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის გერმანული შიდა პოლიტიკის ცენტრში იდგა მონარქის „ხავერდოვნად ჩამნაცვლებელი“ ჰინდენბურგი. ფაქტიურად, მისი მმართველობის დასაწყისიდანვე შეიქმნა საფუძველი ავტორიტარული სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ამაზე მეტყველებს თავად გერმანელთა დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურისადმი. მისმა ფიგურამ შეიძინა ყველა ის ატრიბუტი, რომელიც აუცილებელი იყო ბელადის ფენომენისთვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამოდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ: პრეზიდენტი იყო გერმანელ ხელოსანთა საპატიო ოსტატი, იოანიტთა ორდენის საპატიო კანტორი, გერმანიის 172 ქალაქის საპატიო მოქალაქე, კენიგსბერგის უნივერსიტეტის ოთხივე სპეციალობის, ბონის

უნივერსიტეტის სამართლისა და ფილოსოფიის, გრაცისა და ბრესლაუს უნივერსიტეტის სამართლის, პანვერის ზოოლოგიური ინსტიტუტის მედიცინისა და ვეტერინარიის დოქტორი. პრესაში მას ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც - „ჯარისკაცება და მხედართმთავარს”, „აღმოსავლეთ პრუსიის გადამრჩენს”, „რაინდანდისადმი ერთგულს” და ა. შ. ხაზი ესმებოდა მის დამოკიდებულებას მეცნიერებისადმი, მრეწველობისადმი და კულტურისადმი. როგორც ჩანს, ვაიმარის არასტაბილური პოლიტიკური სივრცის ორგანიზება კულტურულ მექანიზმთა გამოყენებითაც ხდებოდა. ეკონომიკური სტრუქტურების სწრაფი ტრანსფორმაციისა და ტრადიციულ ლირებულებათა რღვევის პირობებში მასამ გამოავლინა მზაობა, რათა გაჰყოლოდა ნაციონალურ გმირს. ამან კი, თავის მხრივ, ქვეცნობიერ დონეზე შექმნა წინაპირობა რესპუბლიკიდან ავტორიტარულ რეჟიმზე უმტკივნეულო გადასვლისა.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში გერმანია, ლიბერალურ-დემოკრატიული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალთა მცდელობის მიუხედავად, ზედაპირული დემოკრატიის ქვეყნად რჩებოდა. ვაიმარის კონსტიტუციას, რომელიც იმ პერიოდის იურიდიული აზრის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რეაქციული წრეები არსებული სისტემის ლიკვიდაციისთვის იყენებდნენ. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემი 1930 წლიდან, ანუ მას შემდეგ გახდა, რაც პრეზიდენტმა, მისი უახლოესი გარემოცვის დაუინებული მოთხოვნითა და რჩევით, ქვეყნის ძირითადი კანონის 48-ე მუხლი აამოქმედა და დამკვიდრდა განსაკუთრებული დეკრეტებით სახელმწიფოს მართვის პრაქტიკა.<sup>3</sup>

30-იანი წლების დასაწყისის გერმანიის პოლიტიკური ვითარების დახასიათებისას აუცილებლად უნდა შევეხოთ პოლიტიკურ პარტიებს, რადგან, თითოეული მათგანი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ინტერესებს გამოხატავდა. რა პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩენოს, იმ პერიოდის რესპუბლიკის ყველა გავლენიანი ბურჟუაზიული პარტიის საბოლოო მიზანს (მცირე გამონაკლისის გარდა) – არსებული პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაცია წარმოადგენდა. მათი უმრავლესობა

ქვეყანაში მონარქიის აღდგენის მომხრე იყო. ამ ფაქტის ახსნა მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ამ ორგანიზაციათა განვითარების თავისებურებებს გავითვალისწინებთ.

საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნეში ნამდვილი კონფლიქტი აღორძინების გზაზე მდგომ ბურჟუაზიასა და ფეოდალიზმს შორის არ მომხდარა. გერმანულმა ლიბერალიზმა ვერ შესძლო უმთავრესი ამოცანის – დემოკრატიული გზით ქვეყნის გაერთიანების განხორციელება და სადოვასთან გამარჯვების შემდეგ ბისმარკის სამსახურში ჩადგა. მართალია, ამგვარი ტენდენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ის არსად ისეთი სიმძაფრით არ გამოვლენილა, როგორც გერმანიაში.

ფაქტიურად, გერმანული ლიბერალიზმი იმპერიალისტური წრეების სამსახურში ჩადგა. მან უდიდესი ტრანსფორმაცია განიცადა და თუ კლასიკურ ინგლისურ მოდელთან შევადარებთ, ვნახავთ, რომ საერთო პროგრამული მოთხოვნები დიდად უპირისპირდებოდა გერმანელ ლიბერალთა რეალურ საქმიანობას. „ლიბერალიზმის იმპერიალისტურმა ტენდენციებმა არამარტო ლიბერალური იდეოლოგიის დისკრედიტაცია გამოიწვია, არამედ, ხელი შეუწყო თრივე მსოფლიო ომის წარმოშობას” – აღნიშნა ვ. მომზენმა ლიბერალიზმის პრობლემებისადმი 1975 წელს პომერსბახში მიძღვნილ კოლოკვიუმზე.<sup>4</sup>

მეტამორფოზის ანალოგიური სტადია გაიარა გერმანიის თითქმის ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. მათ ნაწილობრივ დატოვეს თავიანთი თავდაპირველი პლატფორმა და გამგონე იარაღის ფუნქციას ასრულებდნენ. მათი დიდი ნაწილი მუდმივად ოპოზიციაში იყო, რაც სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილების მიღების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

მონარქიის დამხობის შემდეგ გერმანიაში უჩვეულო შიდაპოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა: პარტიები ოკეანეში უიალქნოდ მცურავ ნავს დაემსგავსნენ. მათ არ შეეძლოთ სტაბილური სამთავრობო კაბინეტებისა და კონსტრუქციული საპარლამენტო უმრავლესობის

ჩამოყალიბება. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით თვალში საცემი ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ წლებში გახდა.

ლიბერალური ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობა, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით, გერმანიაში თავიდანვე გახლებილი იყო. ჯერ კიდევ კაიზერის პერიოდში იგი ორ მიმართულებად – მემარცხენებად (პროგრესული პარტია) და მემარჯვენებად (ნაციონალურ-ლიბერალური პარტია) დაიშალა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ პირველს გერმანიის დემოკრატიული პარტია (DDP - შემდგომში გდპ) ეწოდა, ხოლო მეორეს – გერმანიის სახალხო პარტია (DVP - შემდგომში გსპ). რესპუბლიკის არსებობის პირობებშიც კი მათ შეინარჩუნეს ძველი ნიშან-თვისებანი. კერძოდ:

1. ლიბერალებს არ ჰქონდათ შემუშავებული ახალ ვითარებაში სახელმწიფოს მოწყობის რაიმე კონკრეტული გეგმა. მათ არ სურდათ ჰოპენცოლერნთა მონარქიის ლიკვიდირება, პირიქით, ის უნდა შენარჩუნებულიყო, მაგრამ უნდა მომხდარიყო საპარლამენტო სისტემის რეფორმირება. 1919-1933 წლებშიც კი - გსპ მონარქისტებს ემსრობოდა. დემოკრატიულ პარტიაშიც ბევრი იყო ე. წ. „რაციონალური რესპუბლიკელი“ – ანუ ისეთი მოღვაწე, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ვითარებათა გათვალისწინებით შედიოდა რესპუბლიკის დამცველთა რიგებში.

2. ლიბერალიზმი გერმანიაში არასოდეს ყოფილა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობა. მის იდეებს უმეტესწილად განათლებული წრეები იზიარებდნენ. ლიბერალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონცეპციებზე გავლენა იქნია გერმანული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საერთო ხასიათმა, რომელიც პოლიტიკურ რეალობათა გათვალისწინების გარეშე სახელმწიფოს იდეისადმი მიმხრობაში მდგომარეობდა.

1918 წლის ნოემბერში ლიბერალებს კონსოლიდირებული და ერთიან პლატფორმაზე მდგომი ბიკონფესიონალური პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმირების მცდელობა ქონდათ, მაგრამ პიროვნულ-სუბიექტურ და იდეურ ფაქტორთა ზეგავლენით ის ჩაიშალა.<sup>5</sup> 20

ნოემბერს გ. შტრეზემანმა რ. ფრიდბერგთან, პ. ვ. ფოგელთან და ოტო ჰიუგოსთან ერთად შეადგინა დოკუმენტი, რომლითაც საკუთარ მომხრეებს ნაციონალ-ლიბერალური ორგანიზაციის ბაზაზე ახალი პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდა. 15 დეკემბერს გაიმართა ცენტრალური აპარატის სხდომა და 33 ხმით 28-ის წინააღმდეგ დაფუძნდა გსპ, რომლის თავმჯდომარედაც გ. შტრეზემანი აირჩიეს.<sup>6</sup>

გსპ თავდაპირველად ვაიმარის პოლიტიკური სისტემის მოწინააღმდეგეთა რიგებში იყო, მაგრამ გ. შტრეზემანმა მისი კონსტრუქციული ოპოზიციის პლატფორმაზე გადაყვანა მოახერხდა. 1919წ. 13 აპრილს იენაში გამართულ პარტიის ყრილობაზე მან განაცხადა: „ჩვენ ვერ ვივლით სისხლიანი ანგარიშსწორების გზით (მხედველობაშია სამოქალაქო ომის მეშვეობით მონარქიის რესტავრაციის კურსი – დ.წ.)... ჩვენს მიწაზე მშვიდობის გზა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მართვის რესპუბლიკურ ფორმაზე გადის, ამიტომაც ვითანამშრომლებთ მასთან”.<sup>7</sup>

ბუნებრივია, საინტერესოა თუ რამ განაპირობა მონარქისტი შტრეზემანის მრწამსის ამგვარი ტრანსფორმაცია? საქმე იმაშია, რომ ის შინაგანად კვლავ ძველი სახელმწიფოებრივი სისტემის ერთგული რჩებოდა, მაგრამ შექმნილი ვითარება აიძულებდა ეღვაწა რესპუბლიკის სასარგებლოდ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ულტრარეაქციული წრეები მზად იყვნენ კვლავ წასულიყვნენ აშკარა კონფლიქტზე ანტანტის წინააღმდეგ, რაც პირდაპირ დაემუქრებოდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. შტრეზემანისა და საბოლოო ჯამში გსპ-ის არჩევანში კვლავ თავი იჩინა სახელმწიფო იდეისადმი ერთგულების მომენტა და ამიტომაც ჩადგნენ ისინი რესპუბლიკის სამსახურში.

სახალხო პარტია, მართალია, ვაიმარის მთავრობების საქმიანობას აკრიტიკებდა, მაგრამ რეაქციონერთაგან განსხვავებით, კონსტრუქციული ოპოზიციის ფუნქციას ასრულებდა. აღნიშნულის წყალობით მას

მუდმივად პყავდა წარმომადგენელი ფედერალურ მთავრობაში და ფრაქცია რაიხსტაგში.<sup>8</sup>

კონფესიონალური თვალსაზრისით გსპ პროტესტანტული პარტია გახლდათ. ამიტომ, მისი ხელმძღვანელობა ძირითად აქცენტს გერმანიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონების ქალაქების მოსახლეობაზე აკეთებდა. პროგრამულ მოთხოვნათა შორის აღსანიშნავია: კონსტიტუციის გადასინჯვა, საარჩევნო სისტემის რეფორმირება, პრეზიდენტის ფუნქციათა გადიდება, ხელისუფლების ცენტრალიზაცია და საარჩევნო სისტემის რეფორმირება. საგარეო პოლიტიკის სფეროში პარტია ვერსალის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვართა რევიზიას, რეპარაციების გაუქმებას, კოლონიების დაბრუნებას და გერმანიის სამხედრო ძლიერების აღდგენას ითხოვდა. პარტიის ეკონომიკურ პროგრამაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მისი წევრები მეურნეობის საფუძვლად კერძო საკუთრებას თვლიდნენ. მსხვილ მრეწველთა ინტერესებიდან გამომდინარე – გსპ სოციალური ხარჯებისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების შემდგომ შემცირებას მოითხოვდა.<sup>9</sup>

20-იანი წლების დამდეგიდანვე გსპ-ის შიგნით არსებობდა ოპოზიციური ჯგუფი, რომელსაც იოპან ბეკერი ხელმძღვანელობდა. ისინი ალბერტ ფიოგლერს დაუახლოვდნენ და 1924 წელს საიმპერიო ნაციონალ-ლიბერალური პარტია დააარსეს, რომელიც მომდევნო წელს გერმანიის ნაციონალურ სახალხო პარტიას შეუერთდა. ამით გამოუსწორებელი ზარალი მიადგა გსპ-ს შიდაპარტიულ სალაროს.

1929 წელს, გ. შტრეზემანის გარდაცვალების შემდეგ, პარტიის თავმჯდომარედ ერნსტ შოლცი აირჩიეს, რომელიც ორი წლის შემდეგ ედუარდ დინგელდაიმ შეცვალა. პიროვნული ავტორიტეტის არარსებობისა და საპარლამენტო არჩევნებში განცდილი წარუმატებლობის გამო გააქტიურდა პარტიის მემარჯვენე ფრთა, რის გამოც 1930-33წ.-ში გსპ-მ დაიწყო მემარჯვენე ძალებისკენ სვლა.

გერმანიის დემოკრატიული პარტიაც 1918 წლის ნოემბერში შეიქმნა. იგი ყოფილ პროგრესისტთა ბაზაზე აღმოცენდა და სათავეში

ლიბერალიზმის ცნობილი თეორეტიკოსი ფ. ნაუმანი ედგა. გდპ-ს ელექტორატს თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლები, ქიმიური და ელექტროტექნიკური ინდუსტრიის მუშაკები, საშუალო ფენა და ლიბერალურად განწყობილი ებრაელობა შეადგენდა. მისი გამოჩენილი წევრები იყვნენ: ვალტერ რატენაუ, თეოდორ ჰოისი, თომას მანი, ვილჰელმ კიულცი, ცნობილი ფოლოსოფოსი ერნსტ კესზირერი, პუბლიცისტები – თეოდორ ვოლფი და გეორგ ბერნჰარდი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლუდვიგ კვიდდე, ედუარდ პამი, ვაიმარის კონსტიტუციის ავტორი – პუგო პროისი და სხვ..

გდპ გერმანული ლიბერალური მოძრაობის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა და შესაბამისად, რესპუბლიკის დამცველთა რიგებში იდგა. მისმა ძირითადმა პროგრამულმა მოთხოვნებმა ვაიმარის კონსტიტუციაში პპოვა ასახვა. დემოკრატებს ძლიერი ორგანიზაციები პქონდათ ბერლინში, პოტსდამში, შლეზვიგ-ჰოლშტაინში, ვიურტემბერგში, ემსსა და ჰამბურგში. მათ სოციალურ ბაზას წვრილი მრეწველები, ინტელიგენცია, კუსტარები და რანტიეები შეადგენდნენ. ე. ი. იმ სოციალური წრის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობით არამდგრადნი, იმპულსურნი იყვნენ და რომელთა შენარჩუნებასაც მოქნილი ტაქტიკა სჭირდებოდა.

1928 წლის რაიხსტაგის არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ, გდპ-სა და გსპ-ს ხელმძღვანელობა სერიოზულად ჩაფიქრდა ამ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შემდგომი ურთიერთობისა და გერმანული ლიბერალიზმის ბედის შესახებ. ადსანიშნავია, რომ გაერთიანების ტენდენცია ორივე მათგანში არსებობდა, მაგრამ მის რეალიზებას შიდაპარტიული დაპირისპირება და დაქსაქსულობა უშლიდა ხელს. აღნიშნულ ორგანიზაციებში არსებობდნენ მემარცხენე და მემარჯვენე ფრთები. სწორედ უკანასკნელნი იყვნენ გაერთიანების წინააღმდეგნი. გსპ-ს რაიხსტაგის ფრაქციის ლიდერი ე. შოლცი სათავეში ედგა ამ პარტიის მემარჯვენე ნაწილს და ხელმძღვანელობისაგან ნაციონალურ-სახალხო პარტიასთან თანამშრომლობას ითხოვდა.

ლიბერალური ბანაკის შიგნით მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, 1929წ. ზაფხულისათვის „ბურჟუაზიული ცენტრის“ ჩამოყალიბების ორი ტენდენცია გაჩნდა: პირველი – შექმნილიყო დიდი ლიბერალური ორგანიზაცია გდპ-სა და გსპ-ს მემარცხენე ელემენტებისაგან; მეორე – ჩამოყალიბებინათ კონსერვატიულ-რესპუბლიკური პარტია ამ ორგანიზაციათა მემარჯვენე ნაწილისა და ზომიერი ნაციონალისტებისაგან.

ეს გეგმები 1930 წლის მარტში პ. მიულერის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადადგომამ და ვაიმარის დიდი კოალიციის დაშლამ ჩაშალა. ამგვარ სიტუაციაში პარტიებს შორის ურთიერთობის საკითხი უკიდურესად გამწვავდა.<sup>10</sup>

კოხ-ვეზერმა და მისმა თანამოაზრებმა მოლაპარაკება დაიწყეს „ახალგაზრდაგერმანულ ორდენთან“ („იუნგდო“), რომლის ლიდერიც ო. მარაუნი იყო. ეს პროცესი გდპ-ს მემარცხენე ფრთისგან ფარულად მიმდინარეობდა. ხელმძღვანელობამ საკუთარი პარტიის წევრები მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა: 1930წ. 28 ივლისს ყველასათვის მოულოდნელად, გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც ახალი ე. წ. სახელმწიფო პარტიის პროგრამის საფუძვლებს შეიცავდა. მისი დიდი ნაწილი არ ეთანხმებოდა გერმანელ დემოკრატთა ინტერესებს და საქმიანობის ხასიათს.<sup>11</sup>

ამის მიუხედავად, 1930წ. 30-31 ივლისს პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომაზე კოხ-ვეზერი, ბოიმერი და ვეზერი, სახელმწიფო პარტიის ჩამოყალიბების სხვა ინიციატორებთან ერთად, შეეცადნენ დამსწრეთა დარწმუნებას ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. მთავარმა კომიტეტმა გდპ-ს ახალ ორგანიზაციაში გაერთიანების სანქცირება არ მოახდინა, მაგრამ სახელმწიფო პარტიამ 1930 წლის სექტემბრის რაიხსტაგის არჩევნებში მაინც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ნავარაუდევი წარმატების ნაცვლად, სრული ფიასკო განიცადა.<sup>12</sup>

არჩევნების შემდეგ ახალ პარტნიორებს „იუნგდოსა“ და გდპ-ს შორის დიდი განხეთქილება მოხდა. ო. მარაუნს სურდა, ახალ პარტიაში მის ორგანიზაციას წამყვანი პოზიცია ქონოდა. ამიტომ, მან კოხ-

ვეზერისაგან მოითხოვა, რომ სახელმწიფო პარტიის ხელმძღვანელობაში არ შეეყვანათ საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეები – გ. ჭეპკერ-აშოფი, ო. მაიერი, გ. შტოლპერი, პ. რაინჰოლდი და ა. ვებერი.

1930 წლის 7 ოქტომბერს დემოკრატიული პარტიის გამგეობის წევრებმა ამ ულტიმატუმის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს, რასაც შედეგად კოხ-ვეზერის გადადგომა მოჰყვა. საბოლოოდ საქმე მაინც გდპ-ს მემარჯვენე ფრთის სასარგებლოდ გადაწყდა. 1930 წლის 8 ნოემბერს პანვერში შემდგარ ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გდპ-ს დაშლისა და მის სახელმწიფო პარტიაში გაერთიანების თაობაზე. 9 ნოემბერს შედგა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. გერმანიის სახელმწიფო პარტიის თავმჯდომარედ გ. დიტრიხი აირჩიეს, რომელსაც ამ დროისთვის ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა პ. ბრიუნინგის პირველ კაბინეტში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პარტია საპროგრამო მოთხოვნებით და მიზნებით კიდევ უფრო დაშორდა ტრადიციულ ლიბერალიზმს. მისმა ლიდერებმა გადაწყვიტეს ე. წ. „ნაციონალური იდეა“ ხელიდან გამოეგლიჯათ ნაცისტებისთვის და მის საფუძველზე გაეფართოებინათ საკუთარი მასობრივი ბაზა. მოვლენათა მსვლელობამ აჩვენა, რომ ამის გაკეთება მათ ვერ შეძლეს. საგარეო პოლიტიკის სფეროში მათ იგივე მიზნები გააჩნდათ, რაც ნაციონალისტებს, ამ უკანასკნელებთან დაახლოების გამო, სახელმწიფო პარტიის ისედაც მცირერიცხოვანი მხარდამჭერები ტოვებდნენ მას და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა რიგებს აგსებდნენ.

დემოკრატიული პარტიის დაშლილად გამოცხადების შემდეგ, მის მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა გ. კვიდდეს ხელმძღვანელობით – 1930 წლის 30 ნოემბერს – რადიკალურ-დემოკრატიული პარტია დააარსა.<sup>13</sup> მის თავმჯდომარედ ბერლინელი ადვოკატი ბრაუბახი აირჩიეს. ლიბერალური ინტელიგენცია ამ ფაქტს დემოკრატიული პარტიის აღორძინების ტოლფას მოვლენად მიიჩნევდა. რადიკალ-დემოკრატია პროგრამა ზედმეტად მემარცხენე გახლდათ. ეკონომიკურ სფეროში ის მოითხოვდა კონტროლის დაწესებას მონოპოლიათა საქმიანობაზე,

გადამჭრელი დონისძიებების განხორციელებას უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით, სამუშაო დროის შემცირებას, ბრძოლას მიღიტარიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. მათ მიზანს „მშვიდობიანობისა და სოციალური სამართლიანობის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბება შეადგენდა.<sup>14</sup> ეს პროგრამული დებულებანი ყოფილი გდპ-ს ბევრი წევრისთვისაც მიუდებელი იყო და ამიტომ, მათი ერთი ნაწილი კათოლიკური ცენტრის პარტიაში, ხოლო მეორე – სოციალ-დემოკრატთა ბანაკში გადაბარგდა. ოფიციალური წყაროებით დადგენილია, რომ რადიკალ-დემოკრატთა წევრების რაოდენობა 20 ათასს არ აღემატებოდა.

შიდაპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო, გსპ-ც თანდათან კარგავდა ადრინდელ პოზიციებს და ჩამოდიოდა პოლიტიკური ავანსცენიდან. მისი წევრების დიდი ნაწილი ნაციონალური სახალხო პარტიის რიგებში გადავიდა.

1920 წელს ჰერმან დრევიცის ინიციატივით გერმანიის დემოკრატიულ პარტიას გამოეყო მცირე და საშუალო ბიზნესის საიმპერიო პარტია (ე. წ. ეკონომიკური პარტია), რომელიც ბერლინის, ბრანდენბურგის, სილეზიის, მეკლენბურგისა და პომერანიის მცირე და საშუალო ბიზნესმენთა ინტერესებს იცავდა. 1924 წელს მას შეუერთდნენ კვალიფიციური მუშები ოტო კოლოსზერისა და იაკობ ლუდვიგ მოლატის ხელმძღვანელობით. 1928 წელს აღნიშნულ ორგანიზაციას გნეპ-დან წამოსული წევრებიც დაემატნენ, რისი წყალობითაც ეკონომიკური პარტია სიძლიერის თვალსაზრისით თითქმის გაუტოლდა გდპ-ს. 1920-31წ.-ში მას სათავეში ჰერმან დრევიცი ედგა, ხოლო წევრთა რაოდენობა 50-დან 60 ათასამდე მერყეობდა. ისინი მხარს უჭერდნენ ვაიმარის დიდ კოალიციას და რესპუბლიკასთან თანამშრომლობის კურსს იცავდნენ. განსაკუთრებულ წარმატებას პარტიამ 1928 და 1930 წლების რაიხსტაგის არჩევნებისას მიაღწია, როცა საკანონმდებლო ორგანოში ორივეჯერ 23 დეკუტატი გაიყვანა. მის წევრს - იოჰან ვიქტორ ბრედტს იუსტიციის მინისტრის პოსტი ეჭირა ბრიუნინგის I კაბინეტში. 1930-32 წლებში ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ მთავრობის

არაპოპულარულ დეკრეტთა მსარდაჭერის გამო ეკონომიკური პარტიის ერთი ნაწილი ნაცისტებს შეუერთდა, ხოლო მეორე - გერმანიის ნაციონალურ-სახალხო პარტიას.<sup>15</sup>

ამგვარად, იმ პერიოდისთვის, როცა ვაიმარის რესპუბლიკა არსებობის გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, გერმანული ლიბერალიზმი, როგორც რესპუბლიკური სისტემის საყრდენი ძალა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. შინაგანმა და გარეგანმა წინააღმდეგობებმა ეს მოძრაობა განადგურების პირას მიიყვანა. ლიბერალებმა არაკონკურენტუნარიანობის გამო დაკარგეს მასობრივი ბაზა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული, კათოლიკური ცენტრისა და ნაციონალური სახალხო პარტიების საკუთრება გახდა. ბევრი მკვლევარი ლიბერალიზმის ხედრში სიმბოლურად ვაიმარის რესპუბლიკის ბედსაც ხედავდა. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რადგან ამ მოძრაობის კრიზისმა დიდწილად განაპირობა არსებული პოლიტიკური სისტემის კრახი.

ყველაზე სტაბილური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი მასობრივი ბაზა - კათოლიკური ცენტრის პარტია გახდათ. ის 1870 წელს შეიქმნა. მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა ქრისტიანული პროფესიონელები, რომლებშიც 1931 წლის მონაცემებით 80 ათასი ადამიანი ერთიანდებოდა. ცენტრის პარტია ვატიკანის მფარველობითაც სარგებლობდა, ამიტომაც იდგა მის სამსახურში კათოლიკური ეკლესიის მთელი აპარატი. სხვა მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შედარებით ის, მართლაც, დემოკრატიული ორიენტაციის პარტია იყო. ალბათ, აქედანაც გამომდინარეობდა ის, რომ მისი მომხრეები და წევრები სხვადასხვა სოციალური ფენის შვილები იყვნენ.

კათოლიკური ცენტრის პარტიის პროგრამა „სახალხო ერთიანობის“ და „მუშათა დეპოლებარიზაციის“ იდეას ქადაგებდა. მისი იდეოლოგია რელიგიურ საბურველში იყო გახვეული. იდეალური სახელმწიფო წყობილების ფორმად ამ პარტიის წარმომადგენლებს მონარქია მიაჩნდათ. მათ მიზანს საიმპერატორო ხელისუფლების აღდგენა და

გერმანიაში ინგლისური მოდელის მსგავსი კონსტიტუციური მონარქიის ფორმირება წარმოადგენდა.

სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ცენტრის პარტია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც კათოლიკური მოსახლეობა სჭარბობდა. ე. ი. ბავარიაში, ვიურტემბერგში, ბადენსა და ჰესენში. აქ მისი წევრები ან სათავეში ედგნენ მთავრობას, ან კოალიციაში იყვნენ სოციალ-დემოკრატებთან.

კათოლიკური ცენტრის პარტიას მხარს უჭერდა რურის მეტალურგიულ მაგნატთა ერთი ნაწილიც. უპირველეს ყოვლისა, მათ რიცხვში უნდა დავასახელოთ პეტერ კლეკნერი, ოტო ვოლფი, კონცერნ „იგ ფარბენინდუსტრის“ ხელმძღვანელები კარლ დუისბერგი და ჰერმან შმიცი, აგრეთვე კათოლიკე ბანკირები – რობერტ პფერმენდესი და ლუი ჰაგენი.<sup>16</sup>

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ამ პოლიტიკური ორგანიზაციის შეხედულებებს იზიარებდა რურის ზოგიერთი მონოპოლისტი, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მეპატრონე. პარტიის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა ი. ვირტი, ხოლო მემარჯვენეს - ლუდვიგ კაასი, ჰაინრიხ ბრიუნინგი, ესენის ბურგომისტრი ბრახტი, კიოლნის ობერ-ბურგომისტრი კონრად ადენაუერი, ფრანც ფონ პაპენი და სხვ.. 1928 წელს პარტიის თავმჯდომარედ პრელატი ლ. კაასი აირჩიეს.<sup>17</sup>

მყარი მასობრივი ბაზა და ვატიკანის მხრიდან არსებული მხარდაჭერა კათოლიკურ ცენტრს ვაიმარის რესპუბლიკის სხვა პარტიათაგან გამოარჩევდა. ამიტომ ის გარკვეულ ეტაპზე გერმანიის ხელმძღვანელ ძალადაც კი იქცა. იგი კოალიციაში იყო გდპ-თან, გსპ-თან, სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან (ე. წ. „ვაიმარის დიდი კოალიცია“) და მათ შორის მომრიგებლის ფუნქციას ასრულებდა.

რესპუბლიკის ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიათაგან ყველაზე მემარჯვენე პოზიცია გერმანიის ნაციონალურ სახალხო პარტიას (DNVP – შემდგომში გნსპ) ეკავა. ის მემარჯვენე კონსერვატიული სპექტრის

ორგანიზაცია გახლდათ, მაგრამ იმპერიისდროინდელი კონსერვატორებისგან განსხვავებით, საკუთარი მასობრივი ბაზის გაფართოება შეძლო. აგრარული რეგიონების გარდა (მეკლენბურგი, ბრანდენბურგი, პომერანია, აღმოსავლეთ პრუსია), მან ქალაქის საშუალო და ქვედა ფენების მხარდაჭერის მოპოვებაც მოახერხა. პარტია მტრულად იყო განწყობილი ვაიმარის რესპუბლიკისა და მისი სტრუქტურების მიმართ. იგი 1918 წელს ჩამოყალიბდა და პრუსიელ იუნკერთა, რაიხსვერის, რეაქციული ბიუროკრატიის და ზოგიერთი მძიმე მრეწველის ინტერესებს გამოხატავდა. 1928 წლიდან მის სათავეში იდგა კრუპის კონცერნის ყოფილი დირექტორი და მედია მაგნატი ალფრედ ჰუგენბერგი.

გნსპ-ს მასობრივ ბაზას ყოფილ ფრონტელთა გასამხედროებული ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადი” წარმოადგენდა, რომელსაც პ. დიუსტერბერგი ხელმძღვანელობდა. პარტიის წევრთა რაოდენობა 1 მლნ. ადამიანს ადწევდა. მათ მჭიდრო ურთიერთობა პქონდათ პრუსიელ იუნკერთა რეაქციულ კავშირ „ლანდბუნდთან”, რომლის თავმჯდომარე გრაფი კალკროიტი - ნაციონალური სახალხო პარტიის გამგეობის წევრი იყო.

გნსპ-ს პროგრამიდან ცხადი ხდებოდა, რომ ის ესწრაფვოდა მონარქიის აღდგენას, მსხვილ აგრარიათა ინტერესების დაცვას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის შემცირებასა და გაკოტრებული იუნკრებისათვის სუბსიდიების გამოყოფას, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გაზრდას, ძლიერი გერმანელი კრისა და „გერმანული სულის” ფორმირებას, რევოლუციისა და ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლას, ვერსალის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას, ყველა დაკარგული ტერიტორიისა და კოლონიის დაბრუნებას, გერმანიის სამხედრო ძლიერების აღდგენასა და საყოველთაო სამხედრო სამსხურის შემოდებას.

1928-30 წლებში გნსპ-ს გამოეყო რამოდენიმე ჯგუფი, რომელთა საფუძველზეც სამი პარტია აღმოცენდა: 1) ქრისტიანულ-ნაციონალური გლეხთა პარტია; 2) ქრისტიანულ-სოციალური პარტია და 3)

კონსერვატიული სახალხო პარტია, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა და შემდგომ პერიოდში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა.<sup>18</sup>

სხვა წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ორგანიზაციათაგან უნდა აღინიშნოს სამეურნეო პარტია (მიზნად ისახავდა საშუალო ფენების ინტერესთა დაცვას), მაგრამ, ფაქტიურად, ვერავითარ როლს ვერ ასრულებდა ვაიმარის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### **გ 3. სოციალ-დემოკრატია და რადიკალური ძალები**

1918-1930წწ.-ში წამყვანი როლი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (SPD – შემდეგში გხდა) ეკისრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პ. მიულერის გადაყენების შემდეგ მისი წარმომადგენელი მთავრობის შემადგენლობაში არ შესულა, სოციალ-დემოკრატებს მრავალრიცხოვანი ელექტორალური ბაზა, საპარლამენტო ფრაქცია, გავლენიანი პროფესიონელები და სხვა სტრუქტურები გააჩნდათ. გარდა ამისა, ისინი სათავეში ედგნენ გერმანიის ყველაზე დიდ მხარეს – პრუსიას, დანარჩენ

პროვინციებში კი სამთავრობო კოალიციაში შედიოდნენ კათოლიკურ ცენტრთან და გდპ-თან.

გსდპ 1863 წელს შექმნა ფ. ლასალმა, მისი თავდაპირველი სახელწოდება – გერმანიის მუშათა კავშირი იყო. 1875 წელს იგი პლიკბეჭისა და ავგუსტ ბებელის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანდა. 1878-1890წ.-ში იმის გამო, რომ გერმანიაში მოქმედებდა განსაკუთრებული კანონი სოციალისტთა წინააღმდეგ, არალეგალურად საქმიანობდა. ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მან სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან ბრძოლისა და ურთიერთობის გრანდიოზული გამოცდილება შეიძინა. ლიბერალთა მსგავსად, სოციალ-დემოკრატებიც რეაქციული ძალების მუდმივ ზეწოლას განიცდიდნენ. 1914 წელს პარტიამ მხარი დაუჭირა გერმანიის მთავრობას I მსოფლიო ომში, რასაც შედეგად შიდაპარტიული განხეთქილება მოჰყვა. ეს პროცესი 1917 წლამდე გაგრძელდა და 6-8 აპრილს გოთაში ჩატარებულ ოპოზიციონერთა კონგრესზე გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (გდსდპ – USPD) გამოყოფით დასრულდა.

გსდპ-ს, აშკარად გამოხატული მარქსიტული ორიენტაციის მიუხედავად, არ სურდა მონარქიის ლიკვიდირება, მაგრამ 1918 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ სოციალ-დემოკრატთა ხელში მთელი ძალაუფლება აღმოჩნდა. მათ თავისუფლად შეეძლოთ ქვეყანაში სტაბილური დემოკრატიის საფუძვლების შექმნა. ამ მიზნით კი, ან უნდა მოესპოთ პოპულარულობა, იმპერიის მხარდამჭერი ძალების წინააღმდეგობა, ან მოეხდინათ მათი ნეიტრალიზება. უკანასკნელთა რიცხვში იუნკრები, მაგნატები, მსხვილ კარტელთა ხელმძღვანელები, მოხალისეთა რაზმების მეთაურები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები და რაც მთავარია, გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრები შედიოდნენ. იმის გამო, რომ პარტია აღნიშნულის განხორციელებისთვის საკმარის რესურსს არ ფლობდა, მათ მსგავსი ქმედებანი ვერ განახორციელეს. პირიქით, ისინი უმაღლეს მთავარსარდლობას შეუთანხმდნენ (ე. წ. „ებერტ-გრენერის პაქტი“), რაც 30-იანი წლების დამდეგს

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისთვის ფატალური შედეგებით დასრულდა.

სახელმწიფო ინტერვენციონიზმის მაღალი დონე, რომელიც გერმანიის კაპიტალისტური სისტემის ძირითადი მახასიათებელი იყო, სოციალ-დემოკრატ ლიდერებს კლასობრივი მტრის არა განადგურებისკენ (როგორც ეს რუსეთში მოხდა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ), არამედ მათთან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე თანამშრომლობისკენ უბიძგებდა.<sup>1</sup> აღნიშნული ტაქტიკის წყალობით რევოლუციის პერიოდში ხელისუფლებაში მყოფი პარტია კვლავ ოპოზიციაში აღმოჩნდა, რაზეც იმავე 1925 წელს მიღებული ჰაიდელბერგის პროგრამაც მეტყველებს. ფაქტიურად, გსდპ კვლავ უბრუნდებოდა ვილჰელმ II მმართველობის პერიოდისთვის დამახასიათებელ კურსს. ეს კი მის აშკარა სოციო-კულტურულ იზოლაციონიზმზე მიუთითებდა.

ამგვარი ტენდენცია შენარჩუნებული იქნა ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ ეტაპამდე. სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს თავიანთი ორგანიზაციისთვის სახალხო-მასობრივი ხასიათის მიცემა. სამართლიანია ჰანს მომზენის შენიშვნა, როცა ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სოციალ-დემოკრატია კვლავინდებურად პროლეტარიატის პროფესიონალურ პარტიად“ რჩებოდა, რადგან 1930 წლისთვისაც კი – მისი წევრების 76,9%-ს მუშები შეადგენდნენ.<sup>2</sup>

გარდა აღნიშნულისა, თვალში საცემი იყო ორგანიზაციის იმობილიზმიც. გსდპ აშკარად განიცდიდა ახალგაზრდა შეგსების დეფიციტს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას კი განმსაზღვრელ როლს პარტიის მობერებული ცენტრალური აპარატის პოზიცია ასრულებდა, რომლებიც ქვეცნობიერ დონეზე მაინც განიცდიდნენ ბისმარკის პერიოდში კულტივირებული სახელმწიფო იდეისა და ავტორიტეტისადმი მორჩილების ფაქტორის ზეგავლენას. ეს კი ინიციატივიანი ახალგაზრდა კადრების გადინებას იწვევდა. ამის დასტურად გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტიის (SAPD) შექმნაც

გამოგვადგება, რომელიც გსდპ-დან წასულმა ახალგაზრდებმა დააფუძნეს.

1928-32წ.-ში გსდპ ერთდროულად აღმოჩნდა მემარცხენე და მემარჯვენე რეაქციული ძალების გააფთრებული თავდასხმების ობიექტი. ორგანიზაციამ ვერ გაუძლო მრავალ ფრონტზე ბრძოლას, „ვაიმარის დიდი კოალიციაც” მყიფე აღმოჩნდა და მიყენებული უმძიმესი დარტყმების გამო მისი პოზიციებიც საბოლოოდ შეირყა. მართალია, 1932 წლის ბოლომდე გსდპ-ს რაიხსტაგში ერთ-ერთი უდიდესი ფრაქცია ჰყავდა, მაგრამ საპრეზიდენტო დეკრეტებით ქვეყნის მართვის პრაქტიკის დამკვიდრებამ პარლამენტის როლი მინიმუმამდე შეამცირა, ხოლო კანცლერ ფ. ფონ პაპენის ინიციატივით 1932 წლის ივლისში პრუსიაში განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ სოციალ-დემოკრატიულ დაციალ-დემოკრატიულ

პარტიას, უნდა ითქვას, რომ ის თავიდანვე პეტეროგენული ორგანიზაცია იყო. ეს კარგად ჩანს მის ხელმძღვანელ ბირთვში შემავალი პიროვნებების პოლიტიკურ-იდეური მრწამსიდანაც: ჰააზე და კ. აისნერი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ედუარდ ბერნშტაინი – რევიზიონისტი, კარლ კაუცკი – მარქსიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი, აქვე არსებობდა ე. წ. „სპარტაკის ჯგუფი”, რომელშიც მომავალი კომპარტიის ლიდერები შედიოდნენ. ხელმძღვანელი რგოლის ამგვარი სიჭრელის პირობებში ერთიან ტაქტიკასა და სერიოზულ პოლიტიკურ წარმატებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გდსდპ-ს მიერ რაიხსტაგის არჩევნებში მიღებული სმების რაოდენობაც გამოგვადგება.<sup>3</sup> ფაქტიურად, 1920 წლის შემდეგ ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელი ეტაპის ჩათვლით მას არანაირი როლი არ შეუსრულებია ქვეყანაში სიტუაციის შეცვლის თვალსაზრისით.

პარტიულ-პოლიტიკური სპექტრის უკიდურესად მემარცხენე ფრთაზე გერმანიის კომუნისტური პარტია იდგა (შემდეგში - გკპ). უკვე აღინიშნა, რომ იგი სპარტაკის კავშირის საფუძველზე აღმოცენდა 1918 წლის 29-31

დეკემბერს. მის დამფუძნებლებად ითვლებიან როზა ლუქსემბურგი, კარლ ლიკბნეხტი, ფრანც მერინგი, ერნსტ მაიერი, პერმან დუნკერი, ვილჰელმ პიკი, ლეო ჯოხიგესი და კლარა ცეტკინი. დაარსებისთანავე ცხადი გახდა, რომ გპპ მტრულ პოზიციას დაიკავებდა როგორც ვაიმარის რესპუბლიკის, ასევე საშინაო პოლიტიკის ყველა სუბიექტის მიმართ. ამაზე მეტყველებს სპარტაკის კავშირის დეკემბრის კონფერენციის მასალები. როზა ლუქსემბურგმა დამსწრეთაგან ნაციონალური კრების არჩევნებში მონაწილეობა ითხოვა, რაზეც უმრავლესობა არ დათანხმდა. ეს განპირობებული გახლდათ იმით, რომ გპპ-ში 1919-1924 წლებში დომინირებდნენ ე.წ. ბრემენელი მემარცხენეები (ოტო რიულე, იოჰან კნიფი, პაულ ფერლიხი და სხვ), რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რუს ბოლშევიკებთან და პირადად ლენინთან. შესაბამისად, ისინი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეას ანგითარებდნენ და კატეგორიულად უარყოფდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან ყოველგვარ ურთიერთობას. დესტრუქციული ხასიათის გამო ვაიმარის მთავრობამ გპპ 1919 წელს ვე აკრძალა., მისი წევრები იძულებულნი გახდნენ არალეგალურად ემოქმედათ. იმავე წელს აღნიშნული ორგანიზაცია III კომუნისტური ინტერნაციონალის წევრი გახდა, რითაც ფაქტიურად, რკპ(ბ)-ს საგარეო პოლიტიკურ დანამატად იქცა. 1920-23 წლებში კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ შიდაპოლიტიკურ პროცესებში, სადაც კოალიციაში არიან გსდპ-თან და გდსდპ-თან. ამავე პერიოდში პარტიას რამდენიმე მემარჯვენე ჯგუფი გამოეყო და საკუთარი ორგანიზაცია შექმნა.

1924 წელს ლენინის გარდაცვალებამ და მის მემკვიდრედ ი. ბ. სტალინის აღიარებამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია გპპ-ს ხელმძღვანელ აპარატში. 1925წ. პარტიის თავმჯდომარედ ერნსტ ტელმანი აირჩიეს. მან შემოიკრიბა ცნობილი სტალინისტები - ვალტერ ულბრიხტი, პერმან რემელე და პაინც ნოიმანი. ხელმძღვანელი აპარატის ცვლილებისთანავე პარტიიდან გარიცხეს „მემარცხენეები“ (რუს ფიშერი, არკადი მასლოვი, არტურ როზენბერგი და სხვ.), რომლებმაც

დამოუკიდებელი კომუნისტური ორგანიზაცია - „ლენინის კავშირი” დაარსეს.

გპ-ს ტაქტიკასა და სტრატეგიაზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა კ. წ. „სოციალ-ფაშიზმის” დოქტრინამ, რომელიც რუსმა კომუნისტებმა შეიმუშავეს 20-იანი წლების შუა ხანებში. მისი ექსპორტირება და დამკვიდრება სატელიტ თრგანიზაციებში მსოფლიოს მასშტაბით მესამე კომინტერნის მეშვეობით ხდებოდა. 1924 წელს ჯერ ზინოვიევმა, ხოლო შემდეგ ი. ბ. სტალინმა სცადეს ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის გათანასწორება. ურნალ „ბოლშევიკის” მე-11 ნომერში დაიბეჭდა სტალინის სტატია სათაურით - „საერთაშორისო მდგომარეობისათვის”, რომლის ძირითადი ნაწილი გერმანიას ეხებოდა. სწორედ მასში ჩამოყალიბდა ცნობილი თეზისი იმის თაობაზე, რომ: „ფაშიზმი ბურჟუაზიის მებრძოლი თრგანიზაციაა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის აქტიურ მხარდაჭერას ეყრდნობა. სოციალ-დემოკრატია – ფაშიზმის ობიექტურად ზომიერი ფრთა არის”.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში გპ ძალზედ გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია, აღნიშნული დოქტრინა დამდუპველად მოქმედებდა არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიასთან ერთიანი ფრონტის ფორმირებაზე, არამედ თავად კომუნისტებზეც. ისინი გადაჭარბებულად აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და მცდარი ანალიზის გამო არასწორ კურსსაც ატარებდნენ. ნაცისტების მსგავსად, გპ-ს საბოლოო მიზანს არსებული პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ერთპარტიული დიდქატურის დამყარება წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატებთან და გერმანიის პროგრესულ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობის გართულება სავალალო შედეგებით დასრულდა.

პირველი გერმანული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის უკიდურესად მემარჯვენე ფრთაზე ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია (NSDAP – შემდეგში გნხმ) იდგა. ეკონომიკური კრიზისის შედეგებმა და საშუალო ფენების მდგომარეობის გაუარესებამ არნახულად გაზარდა მისი მასობრივი ბაზა, ხოლო გავლენიანი

მონოპოლისტური კაპიტალის მხარდაჭერამ პარტიის ფინანსური მდგომარეობაც გააუმჯობესა.

გნემა 1919 წელს შეიქმნა. მან ევოლუციის ძნელი გზა განვლო, სანამ მონოლითურ პარტიულ ორგანიზაციად იქცეოდა. 20-იანი წლების შუახანებში სტაბილურობის ელემენტის გაჩენამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა კრიზისებზე ორიენტირებულ მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ამაზე 1924 წლის მაისსა და დეკემბერში ჩატარებული რაიხსტაგის არჩევნების შედეგებიც მეტყველებს. მაისში მემარჯვენე რადიკალებმა ხმების საერთო რაოდენობის 26%, ხოლო კომუნისტებმა კი – 12,6% მიიღეს; დეკემბერში მათთვის მიცემული ხმების რაოდენობა შესაბამისად 13 და 4,2 პროცენტამდე შემცირდა.<sup>5</sup>

კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნაცისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელი ბირთვიც წარუმატებელი „ლუდხანის პუტჩის“ შემდეგ ლანდსბერგის ციხეში იჯდა. ბავარიის მთავრობამ აკრძალა როგორც გნემა, ასევე მისი ბეჭდვითი ორგანო „Völkischer Beobachter“-ი. დაპატიმრების წინ ჰიტლერმა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ალფრედ როზენბერგს დაავალა. უკანასკნელი სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და პარტია ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებად დაიშალა: ალბრეხტ ფონ გრეფემ, გრეგორ შტრასერმა და ერიხ ფონ ლუდენდორფმა ჩრდილოეთ გერმანიაში „ფოლკიშეთა“ გამაერთიანებლის პრეზენტიის მქონე „თავისუფლების გერმანული ნაციონალური პარტია“ (Deutschvölkische Freiheitspartei) შექმნეს; ერნსტ რემი მოიერიშეთა რაზმების პარტიული დაქვემდებარებიდან გამოყვანას ცდილობდა; ა. როზენბერგმა დარჩენილ მომხრეთა კონსოლიდაცია „დიდგერმანულ სახალხო გაერთიანებაში“ (Großdeutsche Volksgemeinschaft) სცადა, მაგრამ წარუმატებლად; უკანასკნელის საწინააღმდეგოდ ი. შტრაიხერმა, ჰ. ესერმა და ა. დინტერმა „ბავარიის ფოლკიშეთა ბლოკი“ ჩამოაყალიბეს, რითაც როზენბერგის როლი პარტიაში მინიმუმამდე შემცირდა.<sup>6</sup>

საპურობილები მყოფი პიტლერი ამ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობის გაღრმავებას ხელს შეგნებულად უწყობდა, ვინაიდან ძალაუფლების ახალი ცენტრების გაჩენა საფრთხეს შეუქმნიდა ფიურერიზმის პრინციპზე დაფუძნებული მონოლითური პარტიის ფორმირებას. ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და ციხიდან გათავისუფლების მომენტისთვის (1924 წლის 20 დეკემბერი) მას არც ერთი სერიოზული კონკურენტი არ ჰყავდა. „მუშტად შეკრულ მოწინააღმდეგეთა ერთიანი ფრონტის ნაცვლად მას უძლური ფრაქციები დახვდნენ. ის უნდა გამხდარიყო მარაზმადქცეული ფოლკიშეთა მოძრაობის მხსნელი”.<sup>7</sup>

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ციხეში ყოფნისას ძირეული გარდატეხა მოხდა პიტლერის ცნობიერებაში: იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად კონსტიტუციური გზით უნდა ებრძოლა. ეს ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა და წარმატებით დაგვირგვინდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გნეშა მის უსიტყვო დაქვემდებარებაში მყოფ პოლიტიკურ ორგანიზაციად იქცეოდა. პიტლერის მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეძლებდა მოწინააღმდეგეთა კერძო ინტერესებისაგან იზოლირებას და მემარჯვენეთა მიერ ოკუპირებულ პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი პარტიისთვის ორიგინალური სახის მიცემას. იგი მიხვდა, რომ მხოლოდ ბელადის კულტადქვეულ ფიგურას შეეძლო იმ მაინტეგრირებელი როლის შესრულება, რასაც მისი გეგმა მოითხოვდა. ამიტომაც ამბობდა უარს ნაჩერებ კავშირთა გაფორმებაზე (მაგ: ლუდენდორფთან, შტრასერთან ან გრეფესთან) და პრინციპულად ემიჯნებოდა ყველა პოტენციურ კონკურენტს.

ბამბერგის კონფერენციაზე (14. 02. 1926) და მიუნხენში ჩატარებულ პარტიის წევრთა გენერალურ კრებაზე პიტლერმა მიაღწია იმას, რომ ორგანიზაციამ აღიარა ფიურერიზმის პრინციპი, ხოლო „მიუნხენის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა კავშირი” - „პარტიული იდეის” ერთადერთ მატარებლად.<sup>8</sup>

1926-1930 წლები ნაცისტური პარტიის რეორგანიზების და მისი სტრუქტურული ერთეულების სრულყოფის ხანაა. ა. ჰუგენბერგის დახმარებით ი. გებელსმა შესძლო არნახული პროპაგანდისტული აპარატის ჩამოყალიბება. რაფინირებული დემაგოგია მასათა მიზიდვის საუკეთესო საშუალებად იქცა. ნაცისტები ყველას ყველაფერს პირდებოდნენ: მუშაბს – უმუშევრობის ლიკვიდაციას და „ნაციონალური სოციალიზმის“ აშენებას, გლეხებს - „პროცენტული მონობისაგან“ გათავისუფლებას, ქალაქის საშუალო ფენებს - პლუტოკრატიისა და მსხვილი საგაჭრო ფირმების დიქტატის ლიკვიდირებას, სამხედროებს – ძლიერი გერმანიის შექმნას, რომელსაც მრავალრიცხოვანი, მობილური და ბრძოლისუნარიანი არმია ეყოლებოდა, მსხვილ მონოპოლიებს – სიმშვიდეს, წესრიგს და კომუნიზმის განადგურებას.<sup>9</sup>

პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე უდიდეს გავლენას ახდენდა რაიხსვერი. პირველ მსოფლიო ომში მარცხმა ისედაც რეაქციულ პოზიციებზე მდგომი სამხედროები კიდევ უფრო შოვინისტურ და რევანშისტულ პლატფორმაზე დააყენა. თავის დროზე სწორედ მათი ხელშეწყობით დაიწყო აღორძინება ნაცისტურმა პარტიამ. მას შემდეგ, რაც რაიხსპრეზიდენტად პინდენბურგი აირჩიეს არმიის გავლენა მთავრობაზე განსაკუთრებით გაიზარდა.<sup>10</sup>

რ. ფიშერს წიგნში „შლაიხერი, მითი და სინამდვილე“, რომელიც პამბურგში 1932 წელს გამოიცა, ამ საკითხის ანალიზისას გენერალ გრენერის მიერ 1930 წ. გაკეთებული განცხადება მოჰყავს: „დღეიდან გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი ქვაც კი არ უნდა გადაადგილდეს ისე, რომ რაიხსვერმა საკუთარი გადამწყვეტი სიტყვა არ თქვას“.<sup>11</sup> შემდგომმა მოვლენებმა მართლაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებში არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი სამხედროთა მონაწილეობისა და მათი აზრის გათვალისწინების გარეშე არ იჭრებოდა. რაიხსვერის გენერლები სამთავრობო კურსის განსაზღვრაზეც კი ახდენდნენ გავლენას, მათი წარდგინებითვე ინიშნებოდნენ უკანასკნელი კანცლერები.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 30-იანი წლების დასაწყისისათვის გერმანიის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა მეტად დაძაბული და რთული იყო. პარტიულ-პოლიტიკური სკექტრის დაქსაქსულობის პირობებში არ ხერხდებოდა სამთავრობო კრიზისების თავიდან აცილება. რეაქციული ძალები, რომლებიც თავიდანვე მრავლად იყვნენ ვაიმარის პოლიტიკურ პარტიებსა თუ სხვა გაერთიანებებში, შექმნილ ვითარებას საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელად მიიჩნევდნენ. ცხადი იყო გადამწყვეტი მომენტის მოახლოება, როცა ამ წრეებს უნდა გადაეჭრათ საკითხი – ავტორიტარული საპრეზიდენტო მმართველობა, მონარქია თუ ერთპარტიული დიქტატურა? კონსტრუქციული ძალების სიმცირისა და რესპუბლიკის დემონტაჟისკენ მიმართული დესტრუქციული ტენდენციების დომინირების შედეგად მისი შენარჩუნების შანსი დღითიდეკ მცირდებოდა. 1930 წლის 27 მარტს ჸ. მიულერის გადადგომამ და მომდევნო სამთავრობო კაბინეტებიდან სოციალ-დემოკრატიის გამორიცხვამ ეს შანსი მინიმუმამდე დაიყვანა. ახლა საჭირო იყო მომენტის შერჩევა, რათა ანტირესპუბლიკური გადატრიალება ლეგალურობის პრინციპის ფორმალური დაცვით განხორციელებულიყო.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ვაიმარის ფასადურ დემოკრატიას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა. მან სააშკარაოზე გამოიტანა ის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური და ელექტორალური წინააღმდეგობანი, რომლებიც სტაბილიზაციის ხანმოკლე პერიოდში თითქოსდა დავიწყებას მიეცა.

„ვაიმარის დიდი კოალიციის“ ანტიკრიზისული პოლიტიკა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმებს ეყრდნობოდა, მაგრამ იგი არაეფექტური გამოდგა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ცალკეულ სამინისტროთა ხელმძღვანელის პარტიკულარული და ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი ინტერესები იყო. გ. შტრეზემანის გარდაცვალების შემდეგ გერმანიაში აღარ არსებობდა პოლიტიკური ავტორიტეტი, რომელიც რესპუბლიკანიზმის თანამიმდევრული დამცველი

და რაც მთავარია, ლიბერალურ-დემოკრატიულ ძალებსა და სოციალ-დემოკრატიას შორის მომრიგებლის როლის შემსრულებელი იქნებოდა. „ახლა გერმანიის სახალხო პარტიის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აღარ იზღუდებოდა შტრეზემანის პრაქტიკული, კომპრომისული აზროვნებით, რომელიც უკანასკნელი ძალ-დონის დაბაბვით ცდილობდა საკუთარ პარტიაში კოალიციისთვის ვარგისი ნაწილაკების გამონახვას, მსხვილი ინდუსტრიის პოლიტიკური ინტერესებისათვის ელასტიკური ხასიათის მიცემას, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე - დიალოგის წარმოებას სოციალისტებთან და ამასთან, რესპუბლიკური სულისკვეთების სამოქალაქო ცენტრის ტიპის დიდი პოლიტიკური გაერთიანების ფორმირებას”.<sup>12</sup>

„ვაიმარის დიდი კოალიციის” შენარჩუნებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კომპრომისების გამოძებნა სწორედ მის სახელს უკავშირდებოდა. შტრეზემანის გარდაცვალებამ და ეკონომიკური კრიზისის გადრმავებამ ყოფილ პარტნიორებს შორის თანამშრომლობისა და ერთიან პლატფორმაზე დგომის შანსი მოსპო. 30-იანი წლების დამდეგისთვის სახეზე იყო ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სრული „ატომიზაცია”.

ცენტრიდანული ტენდენციების გააქტიურება მეტ-ნაკლებად ვაიმარის თითქმის ყველა პოლიტიკურ სუბიექტში შეიმჩნეოდა. არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა კათოლიკური ცენტრის პარტიაში. უკვე აღინიშნა, რომ მასში თავიდანვე სამი დაჯგუფება არსებობდა: მემარცხენე (ი. ვირტი), ცენტრისტული (ვ. მარქსი) და მემარჯვენე (ლ. კაასი). 1928 წლის დეკემბერში კიოლნის პარტიულ ყრილობაზე ლუდვიგ კაასის თავმჯდომარედ არჩევა „ძველი კათოლიკური ცენტრის” დასასრულს მოასწავებდა. ამით ფართო ასპარეზი მიეცათ შიდაპარტიულ პრომონარქისტულ ძალებს, რომლებიც შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში უარს ამბობდნენ ტრადიციულ „ინტეგრაციისა და მობილიზაციის” პრაქტიკაზე. „ვაიმარის დიდ კოალიციაში” შემავალი სუბიექტების ნაცვლად ისინი ორიენტაციას მემარჯვენე

ძალებზე იღებდნენ, რათა ამ „ექვსფეხა ხბოს”<sup>13</sup> მოსპობით ძირეულად შეეცვალათ ქვეყნის პოლიტიკური სისტემაც.

რესპუბლიკანიზმის მომხრე პარტიათაგან უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა გდპ. 1928 წლის 20 მაისის არჩევნებმა თვალნათლივ ანახა, რომ ელექტორატი, შედარებითი ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში, მხოლოდ სახელმწიფოს ძლიერების აღდგენისკენ მიმართული პოლიტიკური კურსით აღარ კმაყოფილდებოდა. სოციალურ პრობლემათა იგნორირება, რომელზეც მოსახლეობა მთავარ პასუხისმგებლობას ბურჟუაზიული სპექტრის პარტიებს აკისრებდა, მემარცხენე ორიენტაციის ძალთა პოზიციებს ამყარებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამან განაპირობა სოციალ-დემოკრატიის არნახული წარმატება სსენებულ არჩევნებზე. კონფორმიზმი, სამთავრობო კოალიციებში კონსერვატორებთან და ნაციონალისტებთან თანამშრომლობა, გდპ-ს ძალზე ძვირი დაუჯდა. ლიბერალთა ისედაც მცირერიცხოვანი ელექტორალური ველი უფრო შევიწროვდა, რაც ამ პოლიტიკური სუბიექტის ბუნდოვანი პოზიციით იყო განპირობებული. მართალია, 1929-1930 წლებში ლიბერალები დიდი და მასობრივი ორგანიზაციის ფორმირებას შეეცადნენ, მაგრამ როგორც აღინიშნა, შიდაპარტიული წინააღმდეგობების და არაკონკურენტუნარიანობის გამო – გერმანიის სახელმწიფო პარტია მკვდრადშობილი აღმოჩნდა.

1928 წლის საპარლამენტო არჩევნებმა სიურპრიზი სოციალ-დემოკრატიასაც შესთავაზა. პარტია, რომელიც მთავრობაში მონაწილეობას ტრამვად, მსხვერპლის გაღებად თვლიდა და „რომლისთვისაც ვაიმარის რესპუბლიკა მხოლოდდა მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაზე გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა”<sup>14</sup> – მოულოდნელად იძულებული გახდა ქვეყნის მართვის სადაცემი საკუთარ ხელში აეღო. როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რაიხსვერთან „ჩუმი შეთანხმების”, სოციო-კულტურული იზოლაციისა და იმობილიზმის ნეგატიურმა ფაქტორებმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას არათუ ხელისუფლების შენარჩუნების, არამედ მომავალ სამთავრობო კაბინეტებში მონაწილეობის შანსიც კი მოუსპო.

1929-1930 წლებში ფუნდამენტური ძგრები მოხდა მემარჯვენეთა ბანაკშიც. გნსპ შიდაპარტიული დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ა. ჰუგენბერგის ირაციონალურმა პოლიტიკამ, რომლის მთავარი მიზანიც ნაციონალისტური ბლოკის ერთპიროვნული ლიდერის როლის მოპოვება იყო, ერთის მხრივ – რაიხსპარეზიდენტის, მისი გარემოცვისა და რაიხსვერის, ხოლო მეორეს მხრივ - საკუთარი პარტიის რაიხსტაგის ფრაქციის 28 კაციანი ჯგუფის დაპირისპირება გამოიწვია.<sup>15</sup> ეს პროცესი სავალალო იმითაც იყო, რომ სწორედ ა. ჰუგენბერგის ფინანსური ხელშეწყობით დაბრუნდა ნაციონალურ ასპარეზზე ის ძალა, რომელმაც არათუ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის, არამედ მთელი ვაიმარის სისტემის მესაფლავის ფუნქცია შეასრულა. ბუნებრივია, მხედველობაში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია გვყავს.

თავი II. პაინრის ბრიუნინგის კაბინეტები და პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლა ანტიკრიზისული პრობლემატიკის ირგვლივ

## § 1. პ. პრიუნინგის I კაბინეტის კონფლიქტი რაიხსტაგთან და „საპრეზიდენტო მმართველობის“ შემოღება

აშკარა სისტემური კრიზისის პირობებში რესპუბლიკის მმართველი ელიტა, რომელსაც გერმანული ისტორიოგრაფია „ნაციონალურ-აგტორიტარული ჯგუფის“ სახელით მოიხსენიებს,<sup>1</sup> კარგა ხნის მანძილზე იდეაში არსებული გეგმის განხორციელებას შეუდგა: მისი მიზანი პარლამენტისაგან დამოუკიდებელი და პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებული მინისტრთა კაბინეტის ფორმირება, ფართომასშტაბიანი საკონსტიტუციო რეფორმების ეტაპობრივი გატარება იყო. პირველი ნაბიჯი, აღნიშნულ გზაზე პარტიკულარული ინტერესებისაგან თავისუფალი მთავრობის ჩამოყალიბება უნდა გამხდარიყო.

მინისტრების, რაიხსტაგის პრეზიდენტის, დეპუტატების, ფრაქციათა და პოლიტიკურ პარტიათა მსგავსად რაიხსკანცლერები ვაიმარის რესპუბლიკის მმართველი ელიტის რიგებს მიეკუთვნებოდნენ. როგორც გერმანიის ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, უკანასკნელთა ეფექტურ საქმიანობას ოთხი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა. „პირველი – სიტუაციური. პოლიტიკურ მოვლენებზე პიროვნების ზემოქმედების კონკრეტული ხასიათი დიდწილად სისტემის მდგომარეობით, მისი ისტორიული განვითარების ფაზით განისაზღვრებოდა, რომელიც ლიდერებს სპეციფიურ „სოციალურ შეკვეთას“ აძლევდა პრინციპით: „საჭირო ადამიანი – საჭირო დროს“. XIX საუკუნის მეორე ნახევარი – როცა ერთიანი გერმანული სახელმწიფო იქმნებოდა, XX ს.-ის პირველი და მეორე გერმანული დემოკრატიის პერიოდები, ამ სისტემის ფორმირებისა და განვითარების ხანას წარმოადგენდა.

მეორე – ინსტიტუციონალური, დამოკიდებული იყო პოლიტიკური სისტემის განვითარების დონესა და პოლიტიკურ კულტურაზე, რომლებიც იმ მინიმალურ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს განსაზღვრავდნენ, რაც მმართველი ელიტის ლიდერს უნდა ჰქონოდა. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ადგილს, რომელიც

გერმანიის პარტიულ-საპარლამენტო მექანიზმში რაიხსკანცლერს ეკუთვნოდა. აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვან „პოზიტს“ წარმოადგენდა პოლიტიკურ თამაშში. შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოები კანცლერს ლიდერის თვისებათა გამოვლენის შესაძლებლობას აძლევდა და ეხმარებოდა პარლამენტითან, კაიზერთან ან პრეზიდენტთან ურთიერთობის აგებაში.

მესამე ფაქტორია – პიროვნულ-ფსიქოლოგიური. გარდამავალ პერიოდებში, რომელთა დროსაც საზოგადოების ტრადიციულ დირებულებათა მსხვრევა ინოვაციათა დანერგვის გზით ხდებოდა, საჭირო იყო პიროვნება, აღჭურვილი, უპირველეს ყოვლისა, საქმიანი თვისებებით, რომლებიც თავის მხრივ საზოგადოებრივი განვითარების დინამიურ მოთხოვნებს შეეფერებოდნენ. ამასთან, ლიდერის წარმატება მნიშვნელოვანწილად ქარიზმის ქონაზეც იყო დამოკიდებული.

მეოთხე ფაქტორია – საერთაშორისო. სისტემის, განსაკუთრებით დემოკრატიულის, ფორმირების პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნების პოზიციას გერმანიაში მიმდინარე პროცესების მიმართ, აგრეთვე მათი მხარდაჭერის ხარისხს საგარეო პოლიტიკის სფეროში მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისადმი”<sup>2</sup>.

ჰაინრიხ ბრიუნინგის გერმანიის კანცლერის რანგში აყვანა, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტორების შინაარსობრივ კომპონენტთა თანხვედრამ განაპირობა და არა მმართველი ელიტის მხოლოდ მერკანტილურ-კლასობრივმა ინტერესებმა, როგორც ამაზე ყოვილი გდრის ისტორიკოსი ვ. რუგე მიუთითებდა.<sup>3</sup> ჰინდუნბურგისა და მისი გარემოცვის მხრიდან ბრიუნინგზე ყურადღების შეჩერების მიზეზთა გამორკვევისათვის მოკლედ გაგეცნოთ მის ბიოგრაფიას.

ჰ. ბრიუნინგი დრმად მორწმუნე კათოლიკეთა ოჯახში 1885 წლის 26 ნოემბერს დაიბადა. მამის ადრეულ ასაკში გარდაცვალების გამო მის აღზრდასა და პიროვნებად ფორმირებაში დიდი როლი ითამაშეს დედამ და მმამ. 1903 წელს იგი მიუნსტერის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მისი ინტერესების სფეროს ისტორია, სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა და

ფილოსოფია შეადგენდა. 1911 წელს ბრიუნინგმა დაასრულა უნივერსიტეტი, მაგრამ პედაგოგიური საქმიანობის დაწყების ნაცვლად ინგლისში გაემგზავრა. ორწლიანი ნაყოფიერი საქმიანობის შემდეგ ის კვლავ გერმანიაში დაბრუნდა და 1914 წლის დეკემბერში ბონის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხი დაიცვა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, სუსტი ჯანმრთელობისა და ახლომხედველობის მიუხედავად, იგი მოხალისედ წავიდა დასავლეთის ფრონტზე. გამოჩენილი სიმამაცისთვის ის პირველი და მეორე ხარისხის რკინის ჯვრის ორდენებით იქნა დაჯილდოებული, მიიღო ლეიტენანტის ჩინი და მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურიც გახდა. გერმანიის მარცხმა და ნოემბრის რევოლუციამ მასზე დამთრგუნველად იმოქმედა. სწორედ ამ მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო აღმოჩნდა ის ბერლინელი კათოლიკე მღვდლის – კარლ ზონენშაინის სამწყსოში. უკანასკნელის პროტექციით ბრიუნინგი პრუსიის საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების მინისტრის ადამ შტეგერვალდის პირადი რეფერენტი გახდა.

1920 წელს ის კათოლიკური ცენტრის პარტიის პროფკავშირების თავმჯდომარე გახდა, ხოლო 1924წ. რაიხსტაგის დეპუტატი. სწორედ ამ კერიოდიდან ჩანს ბრიუნინგი ნაციონალურ პოლიტიკურ ასპარეზზე. 1928 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იგი ერთდროულად იყო გერმანიის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოსა და პრუსიის ლანდგრაფის წევრი.<sup>4</sup>

მაღალი პროფესონალიზმის და მემარჯვენე ცენტრისტული ორიენტაციის გამო ის 1928 წლიდანვე მოქმედა ე.წ. „ნაციონალურ-ავტორიტარული ჯგუფის“ და რაიხსვერის ყურადღების არეალში. ინტერესი მისი პერსონის მიმართ ცენტრის პარტიის მიერ წამოყენებულმა ფინანსური და სოციალური რეფორმების პროექტმაც განაპირობა, რომლის ავტორიც თავადვე გახლდათ და რომელიც მართვის ავტორიტარულ მეთოდთა გამოყენებას - უმძიმესი ვითარებიდან გამოსვლის მიზნით - დასაშვებად მიიჩნევდა.<sup>5</sup>

მომავალი რაიხსკანცლერის პოლიტიკურ პოზიციათა ზონდირება „ოფისის გენერლად” წოდებულმა პ. ფონ შლაიხერმა ითავა. მათი პირველი საქმიანი შეხვედრა 1929 წლის აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მოხდა. ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივია საუბრის შინაარსი, რომელსაც ბრიუნინგი თავის მემუარებში შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მან (შლაიხერმა – დ. წ.) არასწორად გაიგო ჩემი პოზიცია და თქვა: „ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ჩვენ ხელის ერთი მოსმით გვინდა მონარქიის აღდგენა?!” ჩემი პასუხი: „მე არ ვეწინააღმდეგები მონარქიის აღდგენის საკითხს, მაგრამ ფინანსური და სოციალური პოლიტიკის სფეროში გადასადგმელი ნაბიჯები იმდენად არაპოპულალური იქნება, რომ მონარქია ამით არ უნდა დაიტვირთოს ...

ჩვენ ერთმანეთს ვემთხვევით იმაში, რომ მონარქიის აღდგენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს გაწვრთნილი მუშათა კლასის წინააღმდეგობის პირობებში. მონარქია უნდა იდგეს რეფორმის ბოლოს... 48-ე მუხლი კონსტიტუციის შესაცვლელად უნდა გამოვიყენოთ.”<sup>6</sup>

პრინციპულ საკითხში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შლაიხერმა ბრიუნინგისთვის გზის გაკაფვა დაიწყო. მიზნის მისაღწევად მას ორი ამოცანა უნდა გადაეჭრა: პირველი - შეემზადებინა პრეზიდენტი პინდენბურგი ბრიუნინგის კანცლერობისთვის და მეორე - დაეჩქარებინა ჰ. მიულერის კაბინეტის დამხობის პროცესი. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მან საქმეს ბრწყინვალედ გაართვა თავი. შლაიხერი პირადად იცნობდა გერმანიის პრეზიდენტს. გარდა ამისა, ის მიღებული გახდდათ იმ წრეშიც, რომელსაც პინდენბურგზე ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. ამ ჯგუფში შედიოდნენ პრეზიდენტის ვაჟი ოსკარ პინდენბურგი, კრონპრინცი ვილჰელმ პოპენცოლერნი, თავდაცვის მინისტრი გენერალი ვილჰელმ გრენერი, პრუსიელი იუნკერი ოლდენბურგ-იანუშაუ, სახელმწიფო მდივანი ო. მაისნერი და სხვა გავლენიანი პირები.<sup>7</sup> სწორედ მათი დახმარებით დაარწმუნა შლაიხერმა მოხუცი პრეზიდენტი კანდიდატის საიმედოობაში და 1929 წლის დეკემბერში პინდენბურგ-ბრიუნინგის პირველი შეხვედრის ორგანიზება მოახერხა. მოხუცი ფელდმარშალი უკანასკნელით აღფრთოვანებული

დარჩა.<sup>8</sup> 1930 წლის იანვრისთვის უკვე საეჭვო აღარ იყო, რომ კათოლიკური ცენტრის მოღვაწეს რაიხსკანცლერის სავარძელში იხილავდნენ.

ბრიუნინგისა და პრეზიდენტის მორიგ შეხვედრაზე, რომელიც 1930 წლის 11 მარტს გაიმართა, ჰინდურბურგმა მომავალ კანცლერს აცნობა, რომ მას ყველა იმ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას გადასცემდა, რომელსაც ითვალისწინებდა ვაიმარის კონსტიტუცია. ამასთან, ბრიუნინგისაგან კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ახალი კაბინეტი არ ყოფილიყო კოალიციური და დაკომპლექტებულიყო მხოლოდ მემარჯვენე პარტიათა წარმომადგენლებისაგან, რასაც ის უყოფმანოდ დათანხმდა.<sup>9</sup> მართალია, მთავრობის ფორმირებაში პრეზიდენტის აქტიური მონაწილეობა და პარტიებისაგან დამოუკიდებელი კანცლერის არსებობა ვაიმარის რესპუბლიკის ისტორიისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ამ ეტაპზე ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მემარჯვენე ძალების მხრიდან გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლას მოასწავებდა. მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია ითვალისწინებდნენ თუ არა ისინი მათი გეგმის განხორციელებისთვის სავარაუდო ხელისშემშლელ ფაქტორებს, პქონდათ თუ არა უმართავი სიტუაციის შექმნისას მოქმედების რაიმე კონკრეტული გეგმა? ერთი რამ კი ცხადია – ისინი გადაჭარბებით აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

შლაიხერმა ბრიუნინგის პოლიტიკური ზეადსვლის გზაზე ზემოთხსენებულ მეორე ამოცანასაც წარმატებით გაართვა თავი. 1930 წლის დამდეგიდან იგი ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჰ. მიულერის მთავრობაში შემავალ მინისტრებთან. განსაკუთრებული აქცენტი კათოლიკური ცენტრისა და გსპ-ის წარმომადგენლებზე კეთდებოდა. საქმე ეხებოდა ხელოვნური სამთავრობო კრიზისის ინსპირირებას, რომლითაც წერტილი უნდა დასმოდა „ვაიმარის დიდი კოალიციის“ არსებობას და ფედერალურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობას. გნსპ-ის ლიდერის ა. ჰუგენბერგისთვის გზის გადაღობვის მიზნით მინისტრები შლაიხერის წინადადებას დათანხმდნენ. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი გერმანიის მრეწველთა

საბჭოს (RDI) პოზიციამაც ითამაშა. 1929 წლის დეკემბერში მან გამოაქვეყნა მემორანდუმი სათაურით - „აღმავლობა თუ დაცემა?”, რომელშიც დაფიქსირებული მოთხოვნები სრულ თანხმობაში იყო შლაიხერის გეგმასთან. უკვე აღინიშნა, რომ გსპ ამ წრეების ინტერესებს გამოხატავდა. პაულ როიშის (გერმანიის მეფოლადეთა კავშირის თავმჯდომარე) ზეგავლენით პარტია „დიდი კოალიციის” დაშლის კურსს დაადგა. რაც შეეხება გნსპ-ს, მასში არსებული ზომიერი ფრთა, გრაფ კუნო ვესტარპის ხელმძღვანელობით, თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ა. პუგენბერგის ულტრამემარჯვენე კურსს და პ. ფონ შლაიხერთან მოლაპარაკებებისას ბრიუნინგის კანდიდატურის მხარდაჭერას დათანხმდა. ანალოგიური პოზიცია ეკავა გდპ-საც. ამგვარად, გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო მხოლოდ საბაბის პოვნა.

1930 წლის მარტი საბედისწერო აღმოჩნდა რესპუბლიკანიზმის მხარდაჭერი პოლიტიკური ძალებისთვის. 13 მარტს მიღებულ იქნა ე. წ. „იუნგის გეგმა“, რომელმაც განსაზღვრა გერმანიისთვის დაკისრებულ რეპარაციათა საერთო რაოდენობა და დაადგინა მისი გადახდის ვადები. ამ ფაქტმა მიულერის მთავრობას ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა, ხოლო მემარჯვენეთა კონსოლიდაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

27 მარტს კაბინეტის სხდომაზე 1930-1931 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილებოდა. ის თავები, რომლებიც საგადასახადო და უმუშევართა დაზღვევის გაუმჯობესებას შეეხებოდა, თავიდანვე საჯილდაო ქვად იქცა გსპ-ს, კათოლიკურ ცენტრსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. იმ დღეს ეკონომიკის მინისტრი პაულ მოლდენპაუერი ბიუჯეტის სწორედ ამ ნაწილს წარმოადგენდა.<sup>10</sup>

1929 წლის დეკემბრიდან 1930წ. მარტამდე გერმანიაში საბიუჯეტო დეფიციტმა 330 მლნ. მარკას მიაღწია. მისი აღმოფხვრის, ახალი საინვესტიციო წყაროების მოზიდვისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოლდენპაუერი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას ითხოვდა. გარდა ამისა, უნდა მომხდარიყო გადასახადების გაზრდა და სოციალური დახმარების ფონდების შეკვეცა. პ. მიულერმა, საკუთარი პარტიული ორგანიზაციისა და პროფკავშირების შეუვალი პოზიციის

გამო, ამ პროექტის დამტკიცებაზე უარი განაცხადა, რითაც მოწინააღმდეგებს სამოქმედო ასპარეზი მისცა.

მაშინვე ამოქმედდა შლაიხერთან წინასწარ შეთანხმებული გეგმა: ჯერ თანამდებობიდან ეკონომიკის მინისტრი გადადგა, შემდეგ კი – მის მაგალითს ცენტრის პარტიის წევრმა მინისტრებმა - ი. ვირტმა, ჰერარდმა და ა. შტეგერვალდმა მიბაძეს.<sup>11</sup> შედეგად რაიხსკანცლერიც იძულებული გახდა საკუთარი მინისტრების ბედი გაეზიარებინა.

28 მარტს, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის შედგენა 44 წლის პაინტის ბრიუნინგს დაავალა. ასე დაიწყო პერიოდი, რომელიც გერმანულ ისტორიოგრაფიაში „ბრიუნინგის ერის“ სახელით მოიხსენიება. უნდა ითქვას, რომ მთავრობის ფორმირება იოლად ვერ მოხერხდა. 28-30 მარტს კანცლერს შეხვედრები ჰქონდა გდპ-ის, გსპ-ის, გნსპ-ის და კათოლიკური ცენტრის წარმომადგენლებთან. გერმანიის ნაციონალური სახალხო პარტიის წევრმა მ. შილემ ბრიუნინგისგან იუნკერთათვის ხელსაყრელი აგრარული პოლიტიკის გატარება და პრუსიაში სოციალ-დემოკრატი პრემიერ-მინისტრის – ი. ბრაუნის დამხობა მოითხოვა.<sup>12</sup> ცენტრის პარტიამ, ა. ჰუგენბერგთან დაპირისპირების გამო, ამ საკითხზე კატეგორიული უარი განაცხადა და პრობლემა მხოლოდ ჰინდენბურგის ჩარევის შემდეგ მოგვარდა.<sup>13</sup>

ახალი კაბინეტი საქმიანობას 31 მარტს შეუდგა.<sup>14</sup> როგორც გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული კაბინეტის სხდომების მასალებიდან ჩანს, მის ფორმირებასა და მომავალი საქმიანობის ხასიათის განსაზღვრაში პრეზიდენტთან ერთად რაიხსვერის მმართველი ეშელონიც მონაწილეობდა. ამის დასტურად შლაიხერის ადიუტანტის პატაკის ერთი ნაწყვეტიც საკმარისია: „ზეპარტიულ საფუძველზე ჩამოყალიბდეს ახალი მთავრობა. კანცლერად დაინიშნოს ბრიუნინგი. იმ ამოცანით, რომ პარტიებისა და მიწების ინტერესთა გათვალისწინების გარეშე განხორციელდეს ეკონომიკური და ფინანსური სანაცია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით ამ პროგრამის შესრულება შეუძლებელია“. <sup>15</sup> ეს აზრი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყნის მმართველი ელიტა

კონსტიტუციის ფორმალური მოშველიებით არსებული პოლიტიკური სისტემის აშკარა რეფორმირებას ესწრაფვოდა ავტორიტარული მმართველობის გაძლიერების თვალსაზრისით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ვაიმარის კანცლერები დიდწილად იყვნენ დამოკიდებულნი ინსტიტუციონალურ და სართაშორისო ფაქტორებზე, ვინაიდან არცერთი მათგანი (შტრეზემანის გარდა) არ იყო ქარიზმატული პიროვნება და მითუმეტეს დემოკრატიის თანამიმდევრული დამცველი. ეს ჰ. ბრიუნინგზეც ითქმის. მადალი ინტელექტის მიუხედავად, მას არ გააჩნდა გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერისთვის აუცილებელი თვისებები. პრეზიდიალური კაბინეტის შემოღება კი ავტორიტარიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაიმარის კონსტიტუცია თავისი არსით დუალისტური გახლდათ. მან აღმასრულებელ ხელისუფლებას დემოკრატიზმი შესძინა, მაგრამ მთავრობა და კანცლერი გარკვეულწილად პრეზიდენტისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში დატოვა. რესპუბლიკის ადრეულ ეტაპზე კაბინეტის ხელმძღვანელს შეგნებულად შეეზღუდა ხელისუფლების კონცენტრირების შესაძლებლობა, მაგრამ იმავე კონსტიტუციის საფუძველზე პრეზიდენტმა 1930 წელს პარლამენტის, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ლიკვიდირება მოახდინა, როცა მთავრობის ფორმირების პრეროგატივა თავად მიითვისა.

ფაქტიურად, გერმანია ბისმარკის პერიოდს უბრუნდებოდა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ბრიუნინგს პინდენბურგისადმი ისე არ შეეძლო მიემართა, როგორც ეს 1862წ. ბისმარკმა გააკეთა, როცა ვილჰელმ I განუცხადა, რომ „ის საკუთარ მდგომარეობას აფასებს არა როგორც კონსტიტუციური მინისტრისას, არამედ როგორც მისი უდიდებულესობის მსახურისას და ყველა განკარგულება შესრულდება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის მის საკუთარ შეხედულებებს არ დაემთხვევა”.<sup>16</sup>

არ არსებობდა გარანტია იმისა, რომ ახალი კაბინეტი და მისი ხელმძღვანელი სიტუაციის უარესისკენ სვლის პროცესს შეაჩერებდნენ.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ გერმანული ელიტა „ვა-ბანკზე“ მიღიოდა, ხოლო თამაშში დადებულ ფსონს არც მეტი, არც ნაკლები – არსებული პოლიტიკური სისტემა წარმოადგენდა.

1930 წლის 1 აპრილს კანცლერი საპროგრამო განცხადებით წარსდგა რაიხსტაგის წინაშე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი კაბინეტი არცერთ კოალიციასთან არ იყო კავშირში და, რომ მის ამოცანას პარლამენტის დახმარებით ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტა წარმოადგენდა. ბრიუნინგმა განაცხადა, რომ მთავრობის მთავარი მიზანი – საზოგადოებრივი სახსრების ეკონომიკურად ხარჯვის რეჟიმის განხორციელებით ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. ეს პროცესი პირველ რიგში მშრომელთა სოციალური დაზღვევის პრობლემის დაძლევით უნდა დაწყებულიყო. კანცლერი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ კაბინეტის მომავალი საქმიანობის გეგმა წინასწარ იყო შეთანხმებული პრეზიდენტთან და საკანონმდებლო ორგანოსთან კონფლიქტის შემთხვევაში რაიხსტაგი დაიშლებოდა.<sup>17</sup>

კაბინეტი აპრილშივე შეუდგა გაცხოველებულ საქმიანობას. პირველხარისხოვან ამოცანას 1930-1931 წლების ბიუჯეტის დამტკიცება წარმოადგენდა. მთავრობამ თვის დასაწყისში შეიტანა აგრარული და ფინანსური კანონმდებლობის პირველი ნაწილი რაიხსტაგის საგადასახადო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტში განსახილველად. პროექტის ის მონაკვეთი, რომელიც ლუდზე, საწვავ-საპოხ მასალებსა და იმპორტზე გადასახადების ზრდას ითვალისწინებდა – ბავარიის სახალხო პარტიის წინააღმდეგობას წააწყდა, ხოლო აგრარული ნაწილი – გნეპ-ის მემარჯვენე ფრთის კრიტიკის ობიექტად იქცა. პირველი ორი მოსმენის შედეგებმა ბრიუნინგი საპარლამენტო ფრაქციებთან კომპრომისის აუცილებლობაში დაარწმუნა. მან 3 აპრილს პარლამენტარები სათათბიროდ რაიხსკანცელარიაში დაიბარა და მათი შენიშვნები მოისმინა.<sup>18</sup> აღნიშნულის საფუძველზე ბიუჯეტის ამ ნაწილის კორექტირება მოხდა და შედეგმაც არ დააყოვნა: 14 აპრილის სხდომაზე რაიხსტაგმა კანონი მიიღო<sup>19</sup>. ამრიგად, საქმიანობის საწყის

ეტაპზე კანცლერი, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტისგან პარლამენტის დაშლის თაობაზე წინასწარ ხელმოწერილ დეკრეტს ფლობდა, დეპუტატებთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა.

1930 წლის აპრილ-მაისში მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უარესობისკენ შეიცვალა. ფინანსთა მინისტრმა მოლდენპაუერმა მაისის დასაწყისში კაბინეტს წარუდგინა ანგარიში, რომელშიც მითითებული გახლდათ, რომ მხოლოდ უმუშევართა დაზღვევისათვის განკუთვნილი თანხებისთვის საბიუჯეტო დეფიციტი, არსებული სადაზღვევო პოლიტიკის შენარჩუნების პირობებში მალე 443 მლნ. მარკას შეადგენდა.<sup>20</sup> სამინისტრო იძულებული იყო სანაციური პოლიტიკა კიდევ უფრო გაემკაცრებინა, რის გამოც მოლდენპაუერი საყოველთაო კრიტიკის ობიექტად იქცა.<sup>21</sup> მას საკუთარი პარტიაც კი დაუპირისპირდა და მინისტრი გადადგა.

თავდაპირველად ბრიუნინგს ამ პოსტზე პრუსიის ფინანსთა მინისტრ ჰ. ჰოპკერ-აშოფის დანიშვნა სურდა, საიმპერიო რეფორმის სანუკვარი პროცესიც დაიწყებოდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატთა და პრეზიდენტის გარემოცვის პროტესტის გამო, ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.<sup>22</sup> კანცლერი იძულებული იყო „დამბიმებული გულით“ ფინანსთა მინისტრის პ. დიტრიხისათვის შეეთავსებინა.

მაის-ივნისში ეკონომიკური კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებამ კაბინეტს ფინანსური პოლიტიკის შემდგომი რადიკალიზაციისაკენ უბიძგა. ბიუჯეტის მეორე ნაწილი, რომელიც რაიხსტაგში ივლისის დასაწყისში უნდა წარდგენილიყო, სოციალური ხარჯების შემდგომ შემცირებას, მოსახლეობის დაზღვევის მიზნით მოსამსახურეთა და ჩინოვნიკთა ხელფასების საერთო რაოდენობის 4%-ის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხვას ითვალისწინებდა. ამ პუნქტებმა დიდი დავა გამოიწვია კაბინეტის შიგნით და ბუნებრივია, საპარლამენტო ფრაქციებს შორისაც.

აღნიშნული კანონპროექტის განხილვისას სრულად იჩინა თავი გნეპ-სა და რაიხსკანცლერს შორის არსებულმა დაპირისპირებამ. ა. პუგენბერგი უკვე პრეზიდენტისაგან ხმამაღლა ითხოვდა ბრიუნინგის

გადაყენებას. პარლამენტში მყარი პოზიციების არქონის გამო, ბიუჯეტის პროექტის კანონად ქცევის ერთადერთ გზად რაიხსტაგის დათხოვნა რჩებოდა. რადიკალური ნაბიჯის გადადგმამდე კანცლერმა ფორმალურად კიდევ ერთხელ მოუწოდა პარტიებს თანამშრომლობისაკენ, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატია ფრაქცია კანონპროექტიდან მიუღებელი პუნქტების ამოღების შემთხვევაში ბრიუნინგს მხარდაჭერას პირდებოდა, მაგრამ უკანასკნელმა უარი განაცხადა.<sup>23</sup>

ფინანსურ დონისძიებათა შინაარსმა გერმანიის სახალხო პარტიის გამგეობაც აღაშფოთა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერნსტ შოლცი მთავრობიდან საგარეო საქმეთა მინისტრ კურციუსის გამოყვანით დაიმუქრა.<sup>24</sup>

გამოუვალი მდგომარეობის გამო კონფლიქტი რაიხსტაგსა და მთავრობას შორის გარდაუვალი იყო. 16 ივლისს ფინანსური კანონის მეორე ნაწილი პ. დიტრიხმა რაიხსტაგს წარუდგინა. მის წინააღმდეგ მაშინვე გაილაშქრეს გსპ-მ, გნსპ-მ, გსდპ-მ და კომუნისტებმა. საბოლოოდ კენჭისყრაზე 193 ხმით 256-ის წინააღმდეგ კანონპროექტი ჩავარდა.<sup>25</sup> იმავე საღამოს აღნიშნული პროექტი ბრიუნინგმა წინასწარ მომზადებული განსკუთრებული დეკრეტის მეშვეობით კანონად აქცია. ეს აშკარა გამოწვევა იყო და პარლამენტმაც არ დააყოვნა: მათ 18 ივლისს მთავრობის მეთაური რაიხსტაგში დაიბარეს, სადაც უნდა გარკვეულიყო რაიხსკანცლერის ქმედების კონსტიტუციურობის საკითხი. ხმების უმრავლესობით პრეზიდიალური დეკრეტი გაუქმდებული იქნა, მაგრამ... სხდომის დასასრულს ბრიუნინგმა სიტყვა ითხოვა და პინდენბურგის მიერ ჯერ კიდევ მარტში ხელმოწერილი დეკრეტი ჩაიკითხა, რომლითაც რაიხსტაგი დაშლილად, ხოლო ახალი საპარლამენტო არჩევნების თარიღად 1930 წლის 14 სექტემბერი ცხადდებოდა.<sup>26</sup>

როგორ უნდა შეფასდეს აღნიშნული ფაქტი? ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობის დევალვაციის პირობებში კანცლერის სანაციური პოლიტიკის მხარდაჭერები რაიხსტაგში

უმცირესობაში აღმოჩდნენ. ბრიუნინგი ვერც გრაფ ვესტარპის რიცხობრივად მერყევმა ჯგუფმა იხსნა, რომელიც ჰუგენბერგის აშკარა რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა გნეპის შიგნით და მთავრობასთან თანამშრომლობის კურსის მომხრე იყო. მართალია, იურიდიული თვალსაზრისით კანცლერი კონსტიტუციონალიზმის ჩარჩოებს არ გასცილებია, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ვაიმარის ისედაც სუსტი დემოკრატიის ხერხემალში გადატეხვის ტოლფასი მოვლენა იყო. 1930 წლის 18 ივლისი გერმანიაში არსებული პოლიტიკური სისტემის რდვევის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. საფუძველი ჩაეყარა განსაკუთრებული დეკრეტებით ქვეყნის მართვის ავტორიტარულ პრაქტიკას,<sup>27</sup> რაც დრმა პოლიტიკური კრიზისის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა. სამთავრობო კურსის მარჯვნივ გადახრა შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე ისედაც ძალზე გააქტიურებულ ულტრარეაქციულ ძალებს უწყობდა ხელს.

საინტერესოა ისიც, თუ რა გარანტიები არსებობდა იმისა, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად შეკრებილი რაიხსტაგი მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიმართ ლოიალურ პოზიციას დაიკავებდა? როგორც იმ პერიოდის წყაროთმცოდნეობითი მასალის ანალიზით ირკვევა, ამ კითხვაზე პასუხი უმარტივესი და ცალსახაა – არავითარი!!! ბრიუნინგის გეგმის სისრულეში მოყვანა მთლიანად პრეზიდენტსა და მის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციის 48-ე მუხლის ამოქმედებით რაიხსპრეზიდენტმა კაბინეტი საკანონმდებლო ორგანოს კონტროლიდან გამოიყვანა. ახალი კანონპროექტების დამტკიცება ამიერიდან პრეზიდენტისა და რაიხსრატის<sup>28</sup> თანხმობის საფუძველზე მოხდებოდა. პინდენბურგსა და მის გარემოცვაზე ზეწოლის მიზნით, ბრიუნინგი გერმანიის მრეწველთა საიმპერიო საბჭოს მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა, რომლის წევრებიც, ეკონომიკური კრიზისის გამო, სანაციური პოლიტიკის მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ.

ბრიუნინგი იმედოვნებდა, რომ ახალ პარლამენტშიც ძალთა ის ბალანსი შენარჩუნდებოდა, რომელიც 1928 წლის არჩევნების შედეგად

ფორმირებულ რაიხსტაგში არსებობდა. კერძოდ: სოციალ-დემოკრატიული პარტია კვლავ მოიპოვებდა მანდატთა უმრავლესობას, ხოლო მომდევნო პოზიციას მთავრობის საქმიანობისადმი ლოიალურად განწყობილი კათოლიკური ცენტრისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები დაიჭერდნენ.<sup>29</sup> კანცლერმა იცოდა, რომ ნაცისტურ-კომუნისტური საფრთხის ზეგავლენით გერმანელი სოციალ-დემოკრატები კვლავინდებურად „მოთმინების პოლიტიკის“ მიმდევარნი დარჩებოდნენ, რაც საჭიროების შემთხვევაში მათთან თანამშრომლობის საფუძველი გახდებოდა. გარდა ამისა, ბრიუნინგს ხელთ ეპყრა ამ ორგანიზაციაზე ზეწოლის ეფექტური ბერკეტი – ცენტრისა და სოციალ-დემოკრატთა კოალიცია ფედერაციის ცალკეულ სუბიექტთა ლანდტაგებსა და მთავრობებში, რომლის შენარჩუნებასაც უკანასკნელნი ძალ-ღონის მაქსიმალური დაბაბუით ცდილობდნენ. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ოცნებადქცეული კონსტრუქციული საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება, რომელიც კონსტიტუციურობის ფორმალური დაცვით მოახდენდა კაბინეტის ავტორიტარული კურსის ლეგიტიმაციას.

მოვლენათა სხვა მიმართულებით განვითარების შემთხვევაში კი, როგორც პ. ფონ შლაიხერი ირწმუნებოდა, შესაძლებელი იქნებოდა ულტრარეაქციული მემარჯვენე ძალის (მხედველობაშია ნაცისტური პარტია) მთავრობაში ჩართვა, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისად მათი აგრესიული ფრაზეოლოგიისა თუ საქმიანობის ნეიტრალიზება.

ერთი შეხედვით ლოგიკურად თითქოს ყველაფერი კარგად იყო გათვლილი, მაგრამ თუ იმ დროის გერმანიის კალეიდოსკოპურად ცვალებად შიდაპოლიტიკურ სიტუაციას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სინამდვილე დიამეტრალურად განსხვავებული გახლდათ. კაბინეტის წევრთა უმრავლესობისა და მათი მხარდამჭერი ძალების მოსაზრებანი უფრო მათთვის სასურველი სურათის ანალიზის ნაყოფი იყო, ვიდრე რეალობის ობიექტურად აღქმის შედეგად დანახული ჭეშმარიტება. ხელისუფლების ზედა ეშელონებში მყოფი ადამიანები გადაჭარბებით

აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ზვავივით მოვარდნილი ნაცისტური მოძრაობის პოტენციალზე.

ბრიუნინგის კაბინეტის საქმიანობის მთავარ მიმართულებას გაწონასწორებული ბიუჯეტის ფორმირება წარმოადგენდა. კანცლერი თავიდანვე შეეცადა უმკაცრესი სანაციური პოლიტიკის გატარებით მოეწესრიგებინა საგადასახადო, ფინანსური, სოფლის მეურნეობის და სხვა პრობლემები, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამწვავების ფონზე მის ლონისძიებებს ბუნებრივია, რომ სწრაფი ეფექტი არ მოჰყოლია. პირიქით, არაპოპულარული გადაწყვეტილებანი მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების აღშფოთებას იწვევდა და ხელს უწყობდა შიდაპოლიტიკური ძალების პოლარიზებას. იმ პრობლემათა გადაჭრა, რომლებსაც „დიდი კოალიცია“ ემსხვერპლა, მან ბიუროკრატიული მეთოდების გამოყენებით სცადა. ეს გარკვეულწილად ბისმარკისდროინდელი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციის აღორძინების მცდელობა იყო. მთავრობა, პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა პერმანენტულად ცდილობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურის რეანიმაციას, ანუ საშინაო პოლიტიკის დამორჩილებას საგარეო პოლიტიკური მიზნებისადმი. ამგვარი კურსის გატარებით ისინი ეხმაურებოდნენ და ფაქტიურად, ხორცს ასხამდნენ ე.წ. „კონსერვატიული რევოლუციის“ იდეას, რომელიც ძალზე პოპულარული იყო იმ პერიოდის ანტირესპუბლიკურად განწყობილ წრეებში.<sup>30</sup>

რაიხსტაგის დაშლა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ყველაზე მეტად კრიზისებზე ორიენტირებულ რადიკალურ ძალებს აძლევდათ ხელს. რესპუბლიკანიზმის მომხრე კოსტრუქციული პარტიები კი ცაიგნოგში აღმოჩნდნენ. ეკონომიკური კრიზისით გათანგულ მოსახლეობისათვის მათი ლიბერალური ფრაზეოლოგია და რაც მთავარია – ბრიუნინგისადმი ლოიალური დამოკიდებულება – უკვე არაფრისმთქმელი, ნაკლებ მიმზიდველი და გამადიზიანებელიც კი იყო.

ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში აშკარად მომგებიან პოზიციაში იყვნენ დემაგოგიური ლოზუნგებით მოსარგებლე ტოტალიტარული მისწრაფების მქონე ნაცისტები და გერმანიის კომპარტია. წინასაარჩევნო პერიოდი სწორედ ამ ორი პოლიტიკური სუბიექტის არნახული აქტივობით გამოირჩეოდა.

30-იანი წლების დამდეგს გერმანიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ლიბერალური პარტიები სრულიად მოუმზადებელნი ხვდებოდნენ. ზემოთ ვრცლად ითქვა რესპუბლიკანიზმის მომხრე ძალების დევალვაციასა და პერსპექტივებზე და ამიტომ, უბრალოდ შევნიშნავთ, რომ დიდი სურვილის მიუხედავად მაინტეგრირებელი ფუნქციის მქონე ორგანიზაციის ფორმირება მათ ვერ მოახერხეს. პირიქით, მთავრობის არაპოპულარული კურსის მხარდაჭერა შლიდა მათ მასობრივ სოციალურ ბაზას და აკნინებდა მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის ხარისხს.

## **§ 2. მთავრობა და მემარჯვენე რადიკალური ძალების დესტრუქციული პოლიტიკა**

განსხვავებული მდგომარეობა სუფევდა მემარჯვენეთა ბანაკში. ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით თითქოს კვანძი გაიხსნა და მათ შორის ხელისუფლებისა და პირველობისათვის აქტიურად მებრძოლი

რამოდენიმე ჯგუფი გამოვლინდა: ა) რაიხსპრეზიდენტი, მისი გარემოცვა, რაიხსვერი და კ. წ. „ნაციონალური კონცენტრაციის მთავრობა“; ბ) ჰუგენბერგის დაჯგუფება და გ) ნაცისტური პარტია. პირველ ორს ბევრი საერთო სოციოლოგიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხების წერტილი ქონდა. მათი სამოქმედო ტაქტიკაც თითქმის იდენტური იყო, რის გამოც წინასაარჩევნო პერიოდში ხელს უშლიდნენ ერთმანეთს და კიდევ უფრო მიზერულს ხდიდნენ არათუ არსებული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების, არამედ ხელისუფლებაში ყოფნისა თუ მისი მოპოვების შანსს.

პიროვნული დაპირისპირების გამო, ყოფილი საიდუმლო მრჩეველი ა. ჰუგენბერგი, მიუღებელი პარტნიორი იყო როგორც პრეზიდენტისათვის, ისე რაიხსკანცლერისთვისაც. ამიტომ, ურთიერთობა კ. ფონ შლაიხერისა და ჰინდენბურგის უახლოესი ანტურაჟის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა, რომლის საბოლოო მიზანიც ამ ორგანიზაციის გახლება იყო. უკვე აღინიშნა, რომ გნესპ-ში არსებობდა მემარცხენე ფრთა გრაფ ვესტარპის მეთაურობით. მასში შედიოდნენ ცნობილი პოლიტიკური ფიგურები – ტრევირანუსი, ჰოეჩი, ფონ ლინდაინერი, ლამბახი, რადემახერი, დენკარდტი, ფონ დრაიანდერი, ანა ფონ გირკე, გეორგ ჰარტმანი, მილტცოვი, გრაფი შულენბურგ-ტრესოვი, ერნა ტიშბაინი, ჰერმან ულმანი და სხვ.. ისინი მთავრობის საქმიანობას პოზიტიურად აფასებდნენ. სწორედ მათი დახმარებით მოახერხა ბრიუნინგმა 1930 წლის 14 აპრილს ფინანსური და აგრარული კანონპროექტის პირველი ნაწილის დამტკიცება რაიხსტაგის პლენარულ სხდომაზე.

საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნისა და წინასაარჩევნო მარათონის გაჩაღების პირობებში ჰუგენბერგი შიდაპარტიული დისციპლინის აღდგენას შეეცადა. მან გნესპ-ის წევრთაგან მთავრობასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა მოითხოვა, რასაც 23 ივლისს შედეგად პარტიის გახლება მოჰყვა.<sup>1</sup> 24 ივლისს ჰუგენბერგმა ორგანიზაციის გამგეობის სხდომა მოიწვია, ოპოზიციონერებთან ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე მოახსენა და

კოლეგებს წინასაარჩევნო პერიოდში განსახორციელებელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული სამუშაოების გეგმა გააცნო.

პარტიის გამგეობის წევრებმა მოიწონეს თავიანთი ლიდერის მოსაზრებანი და ოფიციალურად გამოაცხადეს მთავრობისადმი ოპოზიციაში გადასვლის შესახებ. გნეპ-ის ერთ-ერთი ლიდერის - ობერფორენის განცხადებით, პარტიის მთავარ წინასაარჩევნო ლოზუნგად უნდა ქცეულიყო „ბრძოლა მინისტრთა კაბინეტისა და მარქსიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ“.<sup>2</sup>

ძალზე საინტერესოდ წარიმართა ურთიერთობა გნეპ-სა და ნაცისტებს შორის. მათი დაახლოების ტენდენცია ჯერ კიდევ 1929 წლიდან შეიმჩნეოდა.<sup>3</sup> ადსანიშნავია, რომ ორივე პარტიის ლიდერი - პიტლერიცა და ჰუგენბერგიც - ამ სვლას მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით აკეთებდა. პირველს გნეპ-ის ნაციონალურ ასპარეზზე გამოყვანა და მედიამაგნატ ჰუგენბერგის ფინანსური დახმარებით პარტიის პროპაგანდისტული აპარატის სრულყოფა სურდა, ხოლო მეორეს - მზარდი ნაცისტური მოძრაობის საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარება. ჰუგენბერგის საბოლოო მიზანს „სოციალისტთა რესპუბლიკისათვის“ ბოლოს მოღება წარმოადგენდა. მისი განსახორციელებისათვის ის არ იშურებდა არც ენერგიასა და არც ფინანსებს, მაგრამ ი. კ. ფესტის მოხდენილი გამონათქვამის მიხედვით „ეს ჩასუქებული ბატონი პენსიაზე მყოფ პორტიეს უფრო განასახიერებდა, ვიდრე ურყევი პრინციპების მატარებელ პიროვნებას“.<sup>4</sup>

ამ ორი პოლიტიკური სუბიექტის თანამშრომლობა 1929 წელს „იუნგის გეგმის“ საწინააღმდეგოდ ჩატარებულ პლებისციტში გამოვლინდა. მართალია, ეს აქცია წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ პიტლერმა მაინც მიაღწია საწადელს. მან ჰუგენბერგის ფინანსური დახმარებით პარტიის პროპაგანდისტული აპარატის სრულყოფა მოახდინა და რაც მთავარია, კონსერვატიულად განწყობილ წრეებს თვალნათლივ დაანახა, რომ მემარჯვენეთა ბანაკში მისი ორგანიზაცია იყო ყველაზე მიზანმიმართული ძალა, რომლისთვისაც უცხო გახლდათ შიდაპარტიული სექტანტობა. შედეგმაც არ დააყოვნა და ვაიმარის

პოლიტიკური სისტემისადმი მტრულად განწყობილმა მსხვილმა ბიზნესმენებმა გნემპ-ის დაფინანსება დაიწყეს.<sup>5</sup> მატერიალური სახსრების მოზღვავება დადებითად აისახა არა მხოლოდ პარტიის სტრუქტურული ელემენტების მუშაობის ხარისხზე, არამედ მის მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიათა შედეგებზეც. 1929 წელს გერმანიის ცალკეულ მიწათა ადგილობრივ არჩევნებში მათ საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს. საქსონიასა და შვერინ-მეკლენბურგში ხმათა 5% მიიღეს, კობურგში ბურგომისტრად თავიანთი კანდიდატი გაიყვანეს, ხოლო ტიურინგიაში პრემიერ-მინისტრის პოსტი ნაცისტმა ვილჰელმ ფრიკმა დაიკავა.

„იუნგის გეგმის“ საწინააღმდეგოდ ორგანიზებული წარუმატებელი პლებისციტის დასრულებისთანავე ჰიტლერმა - „ბურჟუაზიული სიმხდალისა და ყოფმანის“ ბრალდებით, ოფიციალურად განაცხადა უარი „კაპიტალისტ ღორ ჰუგენბერგთან“ ურთიერთობაზე. 1930 წლის დამდეგს მან პარტიის ხელმძღვანელი აპარატის რეორგანიზება მოახდინა: გრეგორ შტრასერი პირველი საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნა, ხოლო ი. გებელსს პროპაგანდა ჩააბარა. ნაციონალური მასშტაბით მიღწეული წარმატებები ჰიტლერს იმის განცხადების საფუძველს აძლევდა, რომ „ჩვენი მოძრაობის საბოლოო გამარჯვება ყველაზე გვიან ორნახევარი-სამი წლის შემდეგ მოხდება“-ო.<sup>6</sup>

გნემპ-მოხერხებულად გამოიყენა ეკონომიკური კრიზისის შედეგები და აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობა გააჩადა სოფლად თუ ქალაქად. გლეხების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მათ დაიწყეს ვალტერ დარეს მიერ 1930 წლის მარტში შემუშავებული აგრარული რეფორმის პროექტის აფიშირება. ამას შედეგად „ერის ყველაზე კეთილშობილი ფენის“ ნაცისტებისკენ შემობრუნება მოჰყვა. ანალოგიური სიტუაცია განმეორდა კვალიფიციურ მუშებთან დაკავშირებითაც. ყოველივე ამან პარტიის რაოდენობრივი ზრდაც განაპირობა და იგი ნამდვილ მასობრივ ორგანიზაციად იქცა.

პიტლერმა და გებელსმა 1930 წლის ივნისში შიდაპარტიული ბუნტის აღკვეთაც მოახერხეს.<sup>7</sup> ამრიგად, საპარლამენტო არჩევნებს გნეშმა მემარჯვენე რადიკალთა მეტად ჭრელ ბანაკში ყველაზე ორგანიზებული და ფაქტიურად მაინტეგრირებული ძალის პრეტენზიის მქონე პოლიტიკური სუბიექტის რანგში ხვდებოდა.<sup>8</sup>

ნაცისტური პარტიის საპარლამენტო ტაქტიკას ყველაზე უკეთ მისი ერთ-ერთი ლიდერი ი. გებელსი ახასიათებს: „ჩვენ გავხდებით დეპუტატები იმისათვის, რათა ვაიმარის პოლიტიკური წესრიგის პარალიზება მისივე დახმარებით მოვახდინოთ. ჩვენთვის უფასო სამგზავრო ბილეთის ბოძებით დემოკრატია სიბრიყვეს იჩენს და საკუთარ თავს დათვურ სამსახურს უწევს, მაგრამ ეს მისი საქმეა. ყოველი ლეგალური და კანონიერი საშუალება ჩვენთვისაც მისაღებია, რათა ამჟამინდელი მდგომარეობა რევოლუციაში გადავზარდოთ [...].“

ჩვენ მოვდივართ როგორც მტრები! როგორც ცხვრის ფარაში შეჭრილი მგლები! [...]. საპარლამენტო მანდატს საკუთარი მიზნების შესრულებისთვის გამოვიყენებოთ [...].“<sup>9</sup>

სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით ეხელმძღვანელათ და მხარი დაუჭირათ მთავრობის საქმიანობისთვის, საარჩევნო პროგრამიდან ამოაგდეს ის პუნქტები, რომლებიც ბრიუნინგის შიდაპოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებოდა. ეს მარქსისტული ორგანიზაცია ერთდროულად აღმოჩნდა გერმანიაში არსებული ყველა პარტიის თავდასხმის ობიექტი, რამაც სოციალ-დემოკრატთა დეზორიენტირება და აქტიური ქმედებების ნაცვლად – თავდაცვით პოზიციებზე გადასვლა განაპირობა. ამით, ფაქტიურად, გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ სისტემას ინსტიტუციონალური თვალსაზრისითაც გამოეცალა ერთ-ერთი საყრდენი.

ეკონომიკური კრიზისის გამწვავებამ მემარცხენე რადიკალური ძალის გააქტიურებაც განაპირობა. გერმანიის კომუნისტური პარტია „პოლეტარიატის დიქტატურის“ დამყარების იდეას ქადაგებდა და ნაცისტების მსგავსად ერთპარტიული პოლიტიკური რეჟიმის

ფორმირების მომხრე იყო. „სოციალ-ფაშიზმის“ დოქტრინიდან და სოციალური თვალსაზრისით მასობრივი ბაზის იდენტურობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ კომუნისტთა მთავარი დარტყმის ობიექტად გხდა იქცა. ამას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ 1929 წლის 1 მაისს პრუსიის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ (ო. ბრაუნი და კ. ზეგერინგი) სასტიკად დაარბია კომუნისტთა დემონსტრაცია, რასაც 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეს ფაქტი მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის X პლენუმზე შემდეგნაირად შეფასდა: „მაისის ბრძოლები ბერლინში შემობრუნების მომენტს წარმოადგენს გერმანიაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისათვის და აჩქარებს მუშათა მოძრაობის რევოლუციური აღმავლობის ტემპებს. ბურჟუაზიული დემოკრატია გაკოტრდა და მის ლიკვიდაციას ან ფაშიზმი, ან პროლეტარიატი მოახდენს.“<sup>10</sup>

ბრიუნინგის ხელისუფლებაში მოსვლა გკპ-მ ქვეყანაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების პრელუდიად მიიჩნია, რაც აშკარა გადაჭარბება იყო. 1930 წლის ივნისით დათარიღებულ დადგენილებაში, რომელიც ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო, ნათქვამია, რომ ფაშიზმის გაძლიერება ხელს უწყობდა „რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებას“. იქვე საგანგებოდაა მითითებული: „ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოუდგენელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ უმწვავესი ბრძოლის გარეშე, რომლებიც თავის მხრივ, გერმანიის ფაშიზაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ“.<sup>11</sup>

ნაცისტთა მსგავსად კომპარტიაც ბალზე აქტიურად ჩაება წინასაარჩევნო კამპანიაში. ე. ტელმანი და მისი უახლოესი გარემოცვა თვლიდა, რომ მათი უმთავრესი გზავნილები ფაშისტებისა და სოციალ-დემოკრატთათვის „ნიდბის ჩამოხსნისკენ“ უნდა ყოფილიყო მიმართული. სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1930 წლის აგვისტოში კომუნისტთა მიერ გამოქვეყნებული „გერმანელი ხალხის ნაციონალური და სოციალური გათავისუფლების პროგრამა“, რომელიც რუსული

ბოლშევკიზმისათვის დამახასიათებელი „საუკეთესო ტრადიციების“ დაცვა-გათვალისწინებით იყო დაწერილი. დოკუმენტის ძირითად მოთხოვნათა შორის აღსანიშნავია: „ვერსალის იმპერიალისტური ზავის კაბალური პირობების გაუქმება“, „ბურჟუაზიული ფსევდოლიბერალიზმის“ მოსკობა, ნაცისტთა და სოციალ-დემოკრატთა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების მხილება, საყოველთაო და სრული ნაციონალიზაცია, ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის შექმნა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. როგორც ვხედავთ, მათი და ნაცისტების სტრატეგია იდენტური იყო, მაგრამ ფაშისტთაგან განსხვავებით ისინი აშკარად გადაჭარბებით აფასებდნენ სიტუაციას და რაც მთავარია, ვერ ახერხებდნენ გერმანული მუშაობა კლასის აბსოლუტური უმრავლესობის სიმპატიების მოპოვებას, აღარაფერს ვამბობთ რაიხსვერზე.

კომუნისტთა პროგრამის შესახებ მოგვიანებით ვ. პიკი წერდა, რომ „მისთვის დამახასიათებელი გახლდათ ის ნაკლი, რომ საჭირო დოზით წინა პლანზე არ წევდა სახალხო მასების პოლიტიკური უფლებების დაცვის საკითხს... გარდა ამისა, კრიტიკის მთავარ ობიექტებად თანაბარი ხარისხით სოციალ-დემოკრატები და ნაცისტები იყვნენ მიჩნეულნი. ეს მაშინ, როცა ფაშისტური საფთხე უკვე აშკარა იყო“.<sup>12</sup>

ანალოგიურია გ. დიმიტროვის შეფასებაც: „ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა... დააგვიანეს სოციალური და ნაციონალური გათავისუფლების პროგრამით. ხოლო როცა ის წამოაყენეს, ვერ მოახერხეს მისი მისადაგება მასების კონკრეტული მოთხოვნებისადმი და რაც მთავარია, ვერ შესძლეს მისი პოპულარიზება“.<sup>13</sup> მართალია, აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები ისევ მარქსისტული პოზიციებიდან კეთდებოდა, მაგრამ მათშიც კარგად ჩანს გპ-ის კურსის მცდარობა და დესტრუქტივიზმი.

1930 წლის აგვისტო-სექტემბერში სრულად გამოვლინდა რადიკალთა დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ. გერმანია ნაცისტთა და კომუნისტთა სათარეშო ასპარეზად იქცა. SA-ს რაზმებისა და

„წითელფრონტელთა” შეტაკებანი, რაც ხშირად სისხლისღვრითა და ლეტალური შედეგებით სრულდებოდა, 30-იანი წლების დამდეგის ვაიმარის რესპუბლიკის პოლიტიკური ყოფის განუყოფელ ატრიბუტად გადაიქცა.

ბუნებრივია, საინტერესოა თუ რა კონტრზომებს დებულობდა მთავრობა სიტუაციის ნორმალიზებისა და სამოქალაქო წესრიგის უზრუნველსაყოფად? ფაქტიურად არავითარს! საქმე იმაშია, რომ მოიერიშეთა რაზმების რიცხობრივი რაოდენობა უკვე აღემატებოდა რაიხსვერის პირად შემადგენლობას. ამიტომ, უმართავი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაურბოდა გასამხედროებულ შენაერთთა აკრძალვას.

წინასაარჩევნო პერიოდი მთავრობამაც აქტიურად ჩაატარა. მისი წევრები, კანცლერის ჩათვლით, გერმანიის თითქმის ყველა მხარეში ჩავიდნენ და თავიანთ ამომრჩეველს განუმარტეს კაბინეტის შიდაპოლიტიკური კურსის ნიუანსები. და აი, 1930 წლის 15 სექტემბერს მსოფლიო საზოგადოებამ გერმანიდან სენსაციური ცნობა მიიღო. ნაცისტური პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობამ ყოველგვარ პროგნოზს გადააჭარბა და 6,4 მლნ. ადამიანი შეადგინა. მანდატთა განაწილება ახალ რაიხსტაგში კი შემდეგნაირად მოხდა: სოციალ-დემოკრატები – 143, ნაცისტები – 107, კომუნისტები – 77, ცენტრი – 69, გნსპ – 41, გსპ – 30, ეკონომიკური პარტია – 23, სახელმწიფო პარტია – 22, ბავარიის სახალხო პარტია – 18, დანარჩენი წერილი პოლიტიკური ორგანიზაციები (ერთად) – 26.<sup>14</sup>

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ანტირესპუბლიკურად განწყობილ ძალთა (გნსპ, გნსპ, გპპ) კონსოლიდაციის პროცესი, რომელმაც ჯერ კიდევ 1929 წლის ადგილობრივი არჩევნებისას იჩინა თავი, ახალ ფაზაში შედიოდა. რაიხსტაგის ამჟამინდელი შემადგენლობა კიდევ ერთხელ ადასტურებდა ლიბერალური ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობის ღრმა კრიზისს (გდპ, გსპ, სახალხო და სახელმწიფო პარტიები). მისი მხარდამჭერების რაოდენობა კატასტროფულად

შემცირდა. ოუ 1919 წელს ლიბერალები დამფუძნებელ კრებაში მანდატთა 23%-ს ფლობდნენ, ახლა ამ რიცხვმა 8,5%-მდე დაიკლო.

მთავრობის, კომუნისტების და უკელა ჯურის ნაციონალისტების გამუდმებული თავდასხმებით დეზორიენტირებულმა სოციალ-დემოკრატიამაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. იგი 1928 წლის მოწვევის პარლამენტში მანდატთა 42,2%-ს ფლობდა, ახალი არჩევნების შემდეგ კი – 38,2%.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიის ნაციონალური-სახალხო პარტია. მან არა მარტო მანდატთა წინანდელი რაოდენობის ნახევარი დაკარგა, არამედ ვესტარპის ჯგუფის გამოყოფის შემდეგ, მისი არსებობის საკითხიც კი ეჭვქვეშ დადგა.

ამრიგად, 1930 წლის 14 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნებს ფაქტიურად, ერთადერთი გამარჯვებული – ნაცისტური პარტია ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ფრაქცია სიდიდით მეორე იყო, ნათლად გამოჩნდა ორგანიზაციის შემდგომი დინამიკური ზრდის პერსპექტივა, რასაც მზარდი ეკონომიკური კრიზისიც უწყობდა ხელს.

საგრძნობ წარმატებას მიაღწია გკპ-მაც. მისი ხელმძღვანელობა „ბრმა თვითკმაყოფილებით“ აცხადებდა, რომ „სექტემბრის არჩევნებში ერთადერთი გამარჯვებული კომუნისტური პარტიაა“-ო.<sup>15</sup>

რაიხსტაგში მანდატთა განაწილების ამგვარი სქემა დიდ პრობლემებს შეუქმნიდა ბრიუნინგ-შლაიხერის გეგმის განხორციელებას და წინასწარვე სპობდა კონსტრუქციული, ან თუნდაც პროსამთავრობო უმრავლესობის ფორმირების შანსს. მაქსიმალურად ხელსაყრელი თანაფარდობა, რომლისთვისაც სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის მხარდაჭერის შემთხვევაში შეეძლო მიეღწია კაბინეტს – 209 : 225 - იყო რეაქციონერთა სასარგებლოდ (აქ ჩვენ ვგულისხმობთ გნეშებს, გპპ-ს, გნსპ-ს და სხვა ულტრამერჯვენე პარტიათა დეპუტაციას). ბუნებრივია, რომ იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო, ბრიუნინგსა და კომუნისტებს შორის რაიმე შეთანხმებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, კანცლერს გართულებული პქონდა ურთიერთობა გნსპ-თანაც, ამიტომ,

საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა ნაცისტებთან დიალოგის წარმოება.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისიც, თუ როგორ აფასებდა არჩევნების შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას თავად მთავრობა. „რაიხსკანცელარიის აქტებში“ დაცულია სახელმწიფო მდივან ჰ. პიუნდერის ჩანაწერი: „1930 წლის 14 სექტემბრის არჩევნების არადამაკმაყოფილებელი რეზულტატი მდგომარეობს იმაში, რომ მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალურმა ელემენტებმა ისეთი მასშტაბით გაიმყარეს პოზიციები, როგორსაც პესიმისტებიც კი არ მოელოდნენ. ყოველივე აღნიშნული მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სავალალო შედეგია ... საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ამ ორი რადიკალური ჯგუფის გარდა, საგრძნობ წარმატებას მიაღწია კათოლიკური ცენტრისა და ბავარიის სახალხო პარტიის ბლოკმაც. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახლანდელი ნაციონალური მთავრობა კანცლერ დოქტორ ბრიუნინგის რეფორმების პროგრამას ატარებს, რომელსაც ის თავგამოდებით იცავდა წინასაარჩევნო პერიოდში, შეგვიძლია ვივარაუდოთ – გერმანელი ხალხი ამ პროგრამას გაგებით მოეკიდა, რაც კარგი შედეგების მიღწევის შანსს იძლევა“.<sup>16</sup>

ამის შემდეგ პიუნდერი საუბრობს მთავრობისა და წამყვანი პოლიტიკური ძალების ურთიერთობის პერსპექტივაზე. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ნაციონალური-სახალხო პარტიის მიერ განცდილი მარცხი და ორგანიზაციიდან წამყვანი პოლიტიკოსების წასვლა ა. ჰუგენბერგს ამჟამინდელ მინისტრთა კაბინეტთან თანამშრომლობისკენ უბიძებდა, რაც თავის მხრივ, კონსოლიდირებული და ნაციონალურ ინტერესებზე ორიენტირებული მემარჯვენე ბლოკის ფორმირების გარანტი იქნებოდა.<sup>17</sup>

როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულება არა მხოლოდ პიუნდერის, არამედ კანცლერის პოზიციასაც წარმოადგენდა, რაც ძალზედ დიდი შეცდომა იყო. მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ დაადასტურა, რომ ზოგჯერ მოვლენათა განვითარება არალოგიკური გზითაცაა

შესაძლებელი. სამწუხაროდ, ბრიუნინგი და მისი პოლიტიკური კომპანიონები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ შესაძლებლობებში, განსაკუთრებით კი რაიხსპეჩიდენტის კეთილგანწყობასა და ავტორიტეტში, რომ ალოგიკური სცენარით პროცესების სვლას გამორიცხავდნენ.

ბუნებრივია, ახსნას საჭიროებენ ის ფაქტორები, რომლებმაც გერმანიაში საპრეზიდენტო მმართველობაზე ასე უმტკივნეულოდ და უაპელაციოდ გადასვლის წინაპირობები შექმნეს. ჩვენი აზრით, ამ კუთხით რამოდენიმე გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ევროპის სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, გერმანიაში პარლამენტარიზმსა და პლურალიზმზე დაფუძნებულ პოლიტიკურ სისტემას დრმა ფესვები არ ქონდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ სახელმწიფოს სამოქალაქო რევოლუციების, ანუ არსებითი ხასიათის სისტემური ცვლილებებისთვის ბიძგის მიმცემი ფაქტორის ზეგავლენა არ განუცდია. ამიტომ, ლეგიტიმირებული ავტორიტეტის არსებობის მომენტი, რომელიც კაიზერისდროინდელი გერმანიის პოლიტიკური ყოფისა და კულტურის ქვაკუთხედი იყო, თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის ცნობიერებაში გახლდათ აღბეჭდილი. მისი აღმოფხვრა ვერც 1919 წლის საიმპერიო კონსტიტუციაში დეკლარირებული ლიბერალური დირებულებების პროპაგანდირებით მოხერხდა, რადგან რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს - თავად დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი ავლენდა დუალისტურ ხასიათს, რითაც ძველ და ახალ პოლიტიკურ სისტემას შორის გარდამავალ ვარიანტს წარმოადგენდა. იურიდიული თვალსაზრისით ვაიმარის რესპუბლიკა დაუსრულებელი დემოკრატიული სახელმწიფო იყო. იგი წაგებული ომის ფონზე სამოქალაქო, კათოლიკურ და სოციალ-დემოკრატიულ წრეებს შორის კომპრომისის საფუძველზე გაჩნდა, რის გამოც ვერ მოიპოვა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აღიარება. სწორედ ამიტომ, 1929 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისის უმძიმეს შედეგთა ზეგავლენით, გერმანელთა

დიდი ნაწილის სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა კვლავ ძველი, ბისმარკისეული სახელმწიფოს სასარგებლოდ შეიცვალა.

ვაიმარის კონსტიტუციამ ვერ მოახერხა „იმპერიის მტრებსა და მეგობრებს“ შორის სოციალური ოლების გონივრული განაწილება. იქ კი, სადაც ამ საკითხის თაობაზე ელემენტარული თანხმობა არ არსებობს – სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია. „იმის გამო, რომ სახელმწიფოს საფუძვლების გარშემო დავა კონსტიტუციის მიღებამ ვერ დაასრულა, კლასებთან მიმართებაში ნეიტრალური დამოკიდებულების იდეა – ურთიერთსაწინააღმდეგო მძლავრი სოციალური ინტერესების მაინტეგრირებელ პარლამენტან კონკურენციის ნორმად იქცა.“<sup>18</sup>

სწორედ ეს მომენტი გახდა ეკონომიკური კრიზისის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების განცალკევებისთვის ბიძგის მიმცემი. თანდათან სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა პარტიკულარული ინტერესებისგან თავისუფალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების იდეა.

აღნიშნული საკითხით დაინტერესებული წრების აქტივობას იურიდიულ საფუძველს კონსტიტუციის 48-ე მუხლი უქმნიდა, რომელიც დამოკლეს მახვილივით იყო აღმართული რესპუბლიკის მომხრე ძალების თავზე. საგულისხმოა, რომ ამას ისინი თავადაც გრძნობდნენ.<sup>19</sup> კონსტიტუციური მომენტის დიქტატურის დამყარებისთვის გამოყენების საფრთხე არასტაბილური საპარლამენტო უმრავლესობისა და მყიფე სამთავრობო კოალიციების ფონზე 1919 წლიდანვე არსებობდა. რესპუბლიკის სათავეში ფელდმარშალ ჰინდენბურგის მოსვლისა და რაიხსვერის პოლიტიკური აქტივობის გაზრდის შემდეგ ეს საშიშროება ერთიორად გაიზარდა. 8. შტურმერი სტატიაში „დაუსრულებელი პარტიული სახელმწიფო – საპრეზიდენტო რეჟიმის პრეისტორიისათვის ვაიმარის რესპუბლიკის მიწურულს“, პოლიტიკური სისტემის რეორგანიზების ოთხ მცდელობას აღწერს (საუბარია 1923-1928წწ.-ზე) და მიუთითებს, რომ ამ პრობლემისადმი უარყოფითი პოზიციის გამო მიიჩნია პრეზიდენტის გარემოცვამ სოციალ-დემოკრატია მთავრობაში შემდგომი მონაწილეობისთვის უვარგის ძალად.<sup>20</sup> ამგვარად, ნაცისტური

საფრთხისა და ეკონომიკური კრიზისის ფაქტორთა არარსებობის პირობებშიც კი ცხადი გახდა, რომ ქვეყნის უმაღლესი ბიუროკრატია არჩევანს ავტორიტარიზმის სასარგებლოდ აკეთებდა.

არასწორი იქნება თუ პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაციაზე სრულ პასუხისმგებლობას რაიხსპეჩიდენტს, მის გარემოცვას, მემარჯვენე პოლიტიკურ სპექტრს ან თუნდაც რაიხსვერს დავაკისრებთ. ჩვენი აზრით, უდიდეს პრობლემას დემოკრატიულ ინსტიტუტთა უკიდურესი სისუსტე და უძლურება წარმოადგენდა. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რყევების გამო ძალთა თანაფარდობა იმდენად არასტაბილური იყო, რომ 1919-1933 წლების მანძილზე საიმპერიო მთავრობა 16-ჯერ შეიცვალა. ინსტიტუციონალური სისუსტის გამო ამ პროცესს ხელს ვერ უშლიდნენ ვერც დემოკრატიული და ვერც ზომიერად მემარჯვენე ძალები, რითაც საკუთარ ელექტორატს რეაქციული პარტიებისკენ უბიძებდნენ. ასე ყალიბდებოდა „მოჯადოებული წრე“, რომლის გარღვევაც მკაფიოდ გამოხატული საბოლოო ორიენტირის არარსებობის პირობებში, ფაქტიურად შეუძლებელი იყო.

კრიზისული მოვლენების ნებატიურ შედეგთა გამო გერმანიის ყველა სოციალური შრის აბსოლუტური უმრავლესობა ანტივაიმარულად იყო განწყობილი: მეწარმეები უკმაყოფილონი იყვნენ სოციალური დაცვის მექანიზმთა ამოქმედებით და პროფკავშირთა საქმიანობით, არისტოკრატია – წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებით, საშუალო ფენა – ინფლაციური პროცესებით, მემარცხენე ინტელიგენცია – „რესპუბლიკის კომპრომისული, დაუმთავრებელი, მოსაწყენი და სამოქალაქო ხასიათით“, ჩინოვნიკები – ქვეყნის არასტაბილურობით, დაუცველობით და ა. შ..

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 30-იანი წლების დამდეგს საპარლამენტო დემოკრატიაზე უარის თქმა – მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სოციალური ჯგუფის ინტერესთა გათვალისწინებითა და ზეგავლენით არ მომხდარა. ეს ფაქტი გერმანული საზოგადოების საერთო მისწრაფებებს შეესაბამებოდა. „სამთავრობო კრიზისებმა,

ხანგრძლივმა და ხშირად უსარგებლო საპარლამენტო კინკლაობამ, ფრაქციათაშორისმა ბრძოლამ და პარტიულ ინტერესთა დაცვამ - ბევრი გერმანელის თვალში პარლამენტარიზმის იდეის დისკრედიტაცია განაპირობა. ისინი თვლიდნენ, რომ „პარტიული სახელმწიფო“ გაკოტრდა, რომ კრიზისის პირობებში საპრეზიდენტო სისტემა უფრო მისაღები იქნებოდა, ვინაიდან ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაჯანსაღებას უზრუნველყოფდა.“<sup>21</sup>

საზოგადოების განწყობა შესანიშნავად იგრძნეს ბურჟუაზიულ პარტიათა ერთმა ნაწილმა, მრეწველებმა, რაიხსვერმა, პინდენბურგმა და მისმა გარემოცვამ. 1930 წელს მათ ხელისუფლებიდან გააძევეს სოციალ-დემოკრატები, რითაც ვაიმარის სახელმწიფო სისტემის დაშლის პირველი ეტაპი და ავტორიტარული ხელისუფლების ფორმირება-განმტკიცების პროცესი დაიწყო.

### **§ 3. ბრძოლა კონსტიტუციური რეფორმისათვის პარტიული სისტემის „ატომიზაციის“ პირობებში**

კონსტიტუციის 48-ე მუხლის ამოქმედებამ ვაიმარის პოლიტიკური სისტემა ფუნქციონალურად შეცვალა. მთავრობა გათავისუფლდა რაიხსტაგის კონტროლისაგან და საკანონმდებლო ინიციატივა მთლიანად ქვეყნის მეთაურის პრეროგატივად იქცა. ფაქტიურად, 1930 წლის მარტიდან გერმანიაში ერთდროულად არსებობდა აღმავლობის

ფაზაში მყოფი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაძლევისთვის ბრძოლამ საზოგადოებრივ ძალთა პოლარიზაცია გააღრმავა. ერთის მხრივ – გაიმარის კონსტიტუციური სისტემის რეორგანიზაციის პროცესი შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებათა ესკალაციას იწვევდა, ხოლო მეორეს მხრივ – გართულებული ეკონომიკური მდგომარეობა დრამატულად ამწვავებდა სოციალურ ვითარებას. „პოლიტიკური სისტემის მზარდი ლაბილურობა და სოციალურ-კონფლიქტური პოტენციალი იყო ის ნაყოფიერი გარემო, რომელშიც კარგად ვითარდებოდა მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალიზმი.“<sup>1</sup>

ასეთ ვითარებაში ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მმართველ ელიტას უნდა მოეხერხებინა მისი მხარდაჭერი ძალების მობილიზება. საწყის ეტაპზე, როგორც ეს 14 სექტემბრის რაიხსტაგის არჩევნებმა აჩვენა, მან ეს ვერ შესძლო. პირიქით, მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების სრული ფინანსური მხარდაჭერის პირობებშიც კი, „ნაციონალურად დირებული პოლიტიკური ელემენტები“ პარლამენტი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ეკონომიკური სანაციის უმკაცრესი კურსი, რომელსაც 1930-1932 წლებში ბრიუნინგის კაბინეტი ახორციელებდა, ამ ძალებს შორისაც კი მადეზინტეგრირებელი ფაქტორის როლს თამაშობდა. ისინი ნელ-ნელა ტოვებდნენ სამთავრობო ორბიტას და ოპოზიციაში გადადიოდნენ. ამიტომ, თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ბრიუნინგის კაბინეტი პოლიტიკური უმცირესობის მთავრობას წარმოადგენდა, რომლის ფუნქციონირების ხანგრძლივობაც მთლიანად რაიხსპრეზიდენტისა და რაიხსვერის მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული.

ბრიუნინგი აღნიშნულს თავადაც გრძნობდა და ამიტომ, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე შეეცადა საკუთარი ელექტორალური მასობრივი ბაზის გაფართოებას. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ადამ შტეგერვალდი. საქმე ეხებოდა გერმანიის მრეწველთა საიმპერიო საბჭოსა (RDI) და პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებას (ADGB) შორის კოოპერაციის მიზნით დაწყებულ დიალოგს.

მოლაპარაკების პროცესი 1930 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) დაიწყო. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მეწარმეებიცა და პროფკავშირებიც 1918-1924წწ.-ში არსებული „ცენტრალური კომისიის“ აღდგენას შეეცადნენ, რომლის ფუნქციაც მათ შორის ურთიერთობის დარეგულირება იყო.<sup>2</sup>

ამ საკითხის წამოწევის ინიციატორი „AEG“-ის მმართველობის წევრი ჰერმან ბიუხერი გახლდათ. პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ლიდერ თ. ლაიპარტან შეხვედრისას მან აღნიშნა, რომ ლიბერალური ეკონომიკის შემდგომი არსებობისთვის აუცილებელი იყო მეწარმეთა და მუშათა შორის ურთიერთობის ახალი ფორმების გამოძებნა. ამ მიზნით, ბიუხერმა სტუმარს ინდუსტრიისა და პროფკავშირების ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფორმირება შესთავაზა, მაგრამ თ. ლაიპარტმა ამ ეტაპზე კონკრეტული პასუხისმგან თავი შეიკავა.<sup>3</sup>

1930 წლის მაისიდან აღნიშნული ძალების დაახლოების პროცესით მთავრობაც დაინტერესდა. დაიწყო იმედისმომცემი დიალოგის მეორე რაუნდი, რომელიც რაინ-ვესტფალიელ სამრეწველო მაგნატთა ნეგატიური პოზიციის გამო ივნისის ბოლოს ჩაიშალა.<sup>4</sup>

14 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა მთავრობას კიდევ ერთხელ უბიძგა იმისკენ, რომ რაინსტაგს მიღმა ეძებნა მხარდაჭერი ძალები. სწორედ ამით უნდა აიხსნას ა. შტეგერვალდის ინიციატივა, როცა მან 1930 წლის 12 ნოემბერს სამინისტროში დაიბარა მრეწველთა და პროფკავშირთა ლიდერები. მინისტრი იმედოვნებდა, რომ ისინი კომპრომისული შეთანხმების მიღწევას მთავრობის შუამავლობით მოახერხებდნენ.

ასე დაიწყო მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი. საჯილდაო ქვად ხელფასის შემცირების და მზა პროდუქციაზე ფასების დაწევის, სოციალური უზრუნველყოფის, უმუშევართა დაზღვევის, კოლექტიური ხელშეკრულებების და სამუშაო კვირის ხანგრძლივობის საკითხი იქცა. თავდაპირველად თითქოსდა შეთანხმების საფუძველი გაჩნდა, მაგრამ ბოლოს ერთის მხრივ – თავი იჩინა დარგობრივ პროფკავშირებს შორის წინააღმდეგობამ, ხოლო მეორეს მხრივ – მრეწველთა საიმპერიო

გაერთიანების შევრებს შორის კონფლიქტმა, რის გამოც 1930 წლის 15 დეკემბრისთვის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი შეთანხმების გაფორმება შეუძლებელი გახდა.<sup>5</sup>

ამრიგად, მასობრივი ბაზის გაფართოებისკენ მიმართული სამთავრობო ღონისძიებანი კრახით დასრულდა, რაც სანაციური პროგრამის ამოქმედების პორობებში მდლავრი სოციალური წინააღმდეგობის გაჩენის პროგნოზირების საშუალებას იძლეოდა.

მასობრივი სოციალური ბაზისა და საპარლამენტო უმრავლესობის არქონის გამო მთავრობისთვის დასახული მიზნების მიღწევის ერთადერთ გზად განსაკუთრებული დეკრეტებით ქვეყნის მართვის პრაქტიკის გაგრძელება რჩებოდა. რაიხსტაგის პოლიტიკური როლის შეზღუდვის პირობებშიც კი არსებობდა კაბინეტის საწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელების შანსი. შეედგელოში გვაქს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან მთავრობისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების პრობლემა, რომელსაც ახალი და მძაფრი კონფლიქტის ინსპირირება შეეძლო. ამიტომ, ახალ რაიხსტაგთან მომავალი ურთიერთობის ხასიათისა და უკანასკნელის პოლიტიკური აქტივობის შესუსტების საკითხი კაბინეტის სხდომათა საგანგებო განხილვის საგანი გახდა.

მმართველმა ელიტამ მიზნად დაისახა პარლამენტის საქმიანობის სრული პარალიზება, რაც მისი სხდომების რაოდენობათა შემცირების გზით უნდა მომხდარიყო. იუსტიციის სამინისტროს დაევალა კონსტიტუციაში სათანადო ხელჩასაჭიდი ნიუანსების გამოძებნა. ამ მხრივ ნიშანდობლივია სახელმწიფო მდივან ცვაიგერტის მიერ გაკეთებული მოხსენება. მასში ნათქვამია: „განუსაზღვრელი ვადით რაიხსტაგის სხდომების გადავადების თაობაზე კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეორე აბზაცში არაფერია ნათქვამი... ამგვარი გადავადებანი პარლამენტის რეგლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს, რომლებიც 69-ე და 70-ე პარაგრაფებით რეგულირდება. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რაიხსტაგი ან თავად განსაზღვრავს ახალი სხდომის მოწვევის თარიღს, ან ამ ფუნქციას საკუთარ პრეზიდენტს

დააკისრებს. თუკი რაიხსტაგის წევრები აღნიშნული წესის მიხედვით არ მოიქცევიან, მაშინ მორიგი სესიის მოწვევა სპიკერს საკუთარი შეხედულებით შეუძლია.“<sup>6</sup>

ოქტომბრის დასაწყისში ჰ. ბრიუნინგი სამთავრობო კურსის მომხრე პარტიათა წარმომადგენლებს შეხვდა და მათგან კაბინეტის საშინაო პოლიტიკაზე მხარდაჭერის გარანტია მიიღო,<sup>7</sup> ხოლო 4 ოქტომბერს განცხადება გააკეთა მინისტრთა კაბინეტის წინაშე. მოხსენების თემას პარლამენტის მხრიდან მოსალოდნელი არასასურველი ქმედებების ანალიზი და მათი თავიდან აცილების მექანიზმების მოძიება წარმოადგენდა. ბრიუნინგის მოსაზრებით, რაიხსტაგს შეეძლო სამი საკითხის წამოწევა: 1. კომუნისტები მოითხოვდნენ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას; 2. დეპუტატები დააყენებდნენ ივლის-ოქტომბრის პერიოდში მიღებული განსაკუთრებული დეკრეტების გაუქმების საკითხს; 3. პარლამენტი მოითხოვდა „იუნგის გეგმის“ ძირითად დებულებათა ხელახალ განხილვას.

ასეთ შემთხვევაში, კანცლერის აზრით, უნდა მომხდარიყო რაიხსტაგის განსაკუთრებულ კომისიათა ფორმირება, რომლებშიც პროსამთავრობო ძალების წარმომადგენლებიც შევიდოდნენ და შესაბამისად გააჭიანურებდნენ უკანასკნელთა საქმიანობას.<sup>8</sup>

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ 1930 წლის ოქტომბრისთვის გერმანიის პოლიტიკურმა სისტემამ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა ანტიპარლამენტარიზმის დანერგვის კუთხით და ჩამოყალიბდა „ნახევრადპარლამენტული“ რეჟიმი („Semiparlamentarismus“), რომელიც ძალზედ ახლოს იდგა ავტორიტარიზმთან.<sup>9</sup> „ბრიუნინგი ამიერიდან ქვეყანას უფრო ნახევრადაბსოლუტისტური მეთოდებით მართავდა, ვიდრე საპარლამენტო გზით. მან საკანონმდებლო ორგანოს თითქმის იმპერატორის დროინდელი რაიხტაგის ფუნქციები დაუბრუნა, რაც მთავრობის მიერ შემუშავებული კანონების უსიტყვო მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. 48-ე მუხლზე დაყრდნობით გამოცემული განსაკუთრებული დეკრეტები ცვლიდნენ რაიხსტაგის მიერ ნორმალური გზით მიღებულ

საკანონმდებლო აქტებს. მან პარლამენტს უმთავრესი პრეროგატივა – ბიუჯეტის დამტკიცების უფლებაც კი წაართვა, რითაც გაქრა პარლამენტარიზმის უძირითადესი საფუძველი და ის საპრეზიდენტო ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა.“<sup>10</sup>

ბრიუნინგის „წისქვილზე ისიც ასხამდა წყალს“, რომ გერმანიის ჯერ კიდევ ყველაზე გავლენიანი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ, რომელის კანცლერს „კონსტიტუციის საყრდენად“ თვლიდა, 1930 წლის სექტემბრის ბოლოს სამთავრობო დონისძიებებისამდი მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიიღო. ო. ველსის აზრით, ამგვარად თავიდან აიცილებდნენ დიქტატურას და შეაჩერებედნენ ქვეყნის ფაშიზაციის პროცესს.<sup>11</sup> ო. ჰილფერდინგი სახელმწიფო მდივან ჰ. შეფერთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ: „გსდპ-ს არ სურს ბრიუნინგის კაბინეტის დამხობა. მთავარია, მან მუშათა კლასის თვალში საკუთარი თავის კომპრომეტირება ისე არ მოახდინოს, რომ მასა რადიკალური ძალებისკენ დაიძრას. ამით დემოკრატიის უკანასკნელი ნიშანსვეტიც დაიღუპება.“<sup>12</sup>

ამგვარად, მთავრობის წევრებმა წინასწარ განსაზღვრეს ახალ რაიხსტაგთან მომავალი ურთიერთობის ძირითადი გზები და მიზნად მისი სრული იზოლაცია დაისახეს. საკანონმდებლო ორგანოს შეკრებამდე ბრიუნინგმა ორი ძალზედ მნიშვნელოვანი დონისძიება განახორციელა, რომლებიც ჩვენი აზრით, ტაქტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან კავშირში იყო. 1930 წლის 1 ოქტომბერს მან პრეზიდენტს დაამტკიცებინა ქ. წ. „გამაჯანსაღებელი პროგრამის“ პირველი ნაწილი. ეს იყო გულდასმით შემუშავებული სამეურნეო და ფინანსური სანაციის პროგრამა, რომლის დიდი ნაწილიც გსპ-ის და მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების მოთხოვნათა საფუძველზე იყო შედგენილი. იგი ითვალისწინებდა ხელფასისა და სოციალური ხარჯების შემცირებას, მსხვილ მრეწველთათვის საგადასახადო შედავათების დაწესებას, მათთვის განკუთვნილი სახელმწიფო სუბსიდიების გაზრდას, ლუდზე, შაქარზე და საწვავ-საპოს მასალებზე ფასების მომატებას, უცოლოთათვის საშემოსავლო გადასახადის გადიდებას, „აღმოსავლური

დახმარების“ შემდგომ გაფართოებას, ჩინოვნიკთა ხელფასებისა და პენსიების შემცირებას, უმუშევართა ფონდში გადასარიცხი თანხების 6,5%-ით გაზრდას.<sup>13</sup> აღნიშნული დეკრეტის გამოცემით ბრიუნინგმა ნაცისტთა ლიდერთან შეხვედრის წინ გაანეიტრალა ლაიპციგის სასამართლოში ჰიტლერის მიერ წარმოთქმული სიტყვით მრეწველებზე მოხდენილი ეფექტი და უკანასკნელთა მხარდაჭერის მოპოვება მოახერხა.<sup>14</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ბრიუნინგის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტისთვის რაიხსვერში არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ნაცისტური მოძრაობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით მისი წევრების მთავრობაში შეყვანას ვარაუდობდნენ. ამ მიმართულებით აქტიურად საქმიანობდა პ. ფონ შლაიხერი. იგი დაუკავშირდა ე. რემსა და გ. შტრასერს, რომლებიც გენერლის პოზიციას იზიარებდნენ.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაიხსკანცლერი უალტერნატივო ვითარებაში აღმოჩნდა. ერთის მხრივ – პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ბრიუნინგისგან სოციალ-დემოკრატიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ითხოვდა, ხოლო მეორეს მხრივ – საკანონმდებლო ორგანოში პროსამთავრობო ძალების სიმცირის გამო, კაბინეტის ბედი ბეწვე ეკიდა. გაურკვეველი იყო ისიც, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ნაცისტური პარტია მთავრობის მიმართ უნდობლობის ვოტუმის კენჭისყრაზე დაყენების შემთხვევაში. სწორედ უკანასკნელი პრობლემის მოგვარების აუცილებლობამ უბიძგა მას ჰიტლერთან შეხვედრისკენ.<sup>15</sup>

შეხვედრის „ტექნიკური უზრუნველყოფა“ გ. ტრევირანუსსა და ა. კრებსს დაევალათ. 1930 წლის 6 ოქტომბერს ტრევირანუსის ბინაზე, კონსპირაციის ყველა ატრიბუტის დაცვით, ჰიტლერისა და ბრიუნინგის რანდევუ შედგა. ამ ფაქტის თაობაზე დიდადი ლიტერატურა არსებობს,<sup>16</sup> ამიტომ უბრალოდ შევნიშნავთ, რომ კანცლერისა და რაიხსვერის იმედები არ გამართლდა, ნაცისტთა ბელადმა უარი განაცხადა რაიხსტაგში „კონსტრუქციული ოპოზიციის“ ფუნქციის შესრულებაზე.

ამრიგად, მთავრობამ 1930 წლის ოქტომბრის დასაწყისში გერმანიის უკელა წამყვანი პოლიტიკური პარტიის პოზიციათა ზონდირება მოახდინა. საინტერესოა ბრიუნინგის დასკვნითი ანგარიში, რომელიც მან 9 ოქტომბერს ჰინდენბურგთან აუდიენციისას გააკეთა. კანცლერმა მოკლედ დაახასიათა ვაიმარის პარტიულ-პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება მთავრობისადმი, გამოყო ახლანდელი კურსის მომხრე ორგანიზაციები, კმაყოფილება გამოხატა სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოებრივი პოზიციით, ხოლო ნაცისტების მისამართით განაცხადა, ამ ეტაპზე მათთან რაიმე სახის თანამშრომლობა შეუძლებელია.<sup>17</sup>

ასეთ ვითარებაში, 1930 წლის 13 ოქტომბერს შეიკრიბა რაიხსტაგი. მემარცხენე და მემარჯვენე დესტრუქციული პოლიტიკური პარტიების მიერ თავიდანვე დაკავებულმა ნეგატიურმა პოზიციამ ცხადი გახადა, რომ კონსტრუქციული უმრავლესობის ფორმირების მცირედი შანსიც კი არ არსებობდა. ფაქტიურად, აღნიშნული სუბიექტების უმთავრეს ფუნქციად საკანონმდებლო ორგანოში ერთმანეთის ინტერესთა ბლოკირება იქცა. ამით კი მთავრობას და პრეზიდენტს უკვე აპრობირებული მეთოდებით ქვეყნის მართვის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცათ.

ცნობილი გერმანელი მკვლევარი კ. დ. ბრახერი გერმანიის ისტორიის იმ ფაზას, რომელიც 1930 წ. 13 ოქტომბრიდან – 1932 წ. 30 მაისამდე პერიოდს მოიცავს, სრულიად მართებულად „ძალაუფლების დაკარგვის“ სახელით მოიხსენიებს. მისი აზრით, ხელისუფლების ყველა შტომ დიდწილად დაკარგა მოვლენათა რეალური მართვის ბერკეტები. პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრმა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოების არეალი დატოვა და ქუჩაში გადაინაცვლა, რის გამოც გერმანიაში ტონის მიმცემ სუბიექტებად დესტრუქციული ძალები იქცნენ, ხოლო სახელისუფლებო შტოს ფაქტიურად, სტატისტის ფუნქციადა დარჩაო – ამტკიცებს მკვლევარი.<sup>18</sup>

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაჩნდა მეორე მოსაზრებაც აღნიშნულ პრობლემატიკასთან მიმართებაში. იგი ახალი თაობის

ნეოლიბერალ ისტორიკოსს – ებერჰარდ კოლბს ეპუთვნის. მისი აზრით, იმის გამო, რომ პრეზიდენტის აპარატი, რაიხსვერი და მინისტრთა კაბინეტის სხვა სტრუქტურები გამართულად მუშაობდნენ - „ხელისუფლების დაკარგვაზე“ საუბარიც კი ზედმეტია. „ის, რაც რესპუბლიკის კონსტიტუციურ სინამდვილეში აღნიშნულ პერიოდში მოხდა, ეფრო მეტად პარლამენტიდან და პარტიებიდან ძალაუფლებისა და კომპეტენციების მზარდ საპრეზიდენტო აპარატზე, ხელისუფლების არასაპარლამენტო მატარებლებზე – რაიხსვერსა და ბიუროკრატიაზე – გადატანა იყო.“<sup>19</sup>

მართალია კ.-დ. ბრახერისა და ე. კოლბის მოსაზრებებს შორის არსებითი განსხვავება არაა, ვინაიდან, როცა ერთი ინსტანციიდან ხელისუფლება მეორეზე გადადის - პირველი მას მაინც „პარგავს,“ მაგრამ ჩვენ უფრო უკანასკნელ პოზიციას ვემხრობით. მართლაც, „ძალაუფლების გადატანით“ გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ პრეზიდენტსა და მის გარემოცვას გაუთანაბრდა. თუ გავითვალისწინებოთ ფელდმარშალ პინდენბურგის ასაკს, ნათელი გახდება, რომ ქვეყნის მართვის რეალური სადაცები იმ პირთა ხელში აღმოჩნდებოდა, ვინც ხანდაზმულ პრეზიდენტზე ზემოქმედების მოხდენას შესძლებდა. ამაში მდგომარეობდა 30-იანი წლების გერმანიის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის ტრაგიკომიკური არსი. ფაქტიურად, უკვე სახეზე იყო ვაიმარის კონსტიტუციური სისტემის სრული დეზინტეგრაცია. გერმანია დიდი სისწრაფით მიექანებოდა იმ უფსკრულისკენ, რასაც სახელად ტოტალიტარიზმი პქვია, თუმცა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ავტორიტარული სისტემის ფორმირების ნიშნები ჩანდა.

ხსენებული დეზინტეგრაციის პროცესი მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ კიდევ უფრო გააღრმავა. კომუნისტური და ნაციონალ-სოციალისტური დეპუტაციების ანტისახელმწიფოებრივმა ქმედებებმა, რომლებიც საპარლამენტო სისტემის და ტრადიციების მასხრად აგდებას ჰგავდა, ისედაც დისკრედიტირებულ რაიხსტაგს საბოლოოდ დაუკარგა ავტორიტეტი. იგი საქვეყნო გადაწყვეტილებების მიმღები

სტრუქტურის ნაცვლად ცემა-ტყეპის, ბილწისიტყვაობის, ცილისწამებისა და ანტირესპუბლიკური პროპაგანდის არენად იქცა. ამგვარ პროცესებს ბიძგი 1930 წლის 15 ოქტომბერს, პარლამენტის მეორე სხდომაზევე მიეცა, როცა რაიხსტაგის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს ირჩევდნენ. ნაციონალ-სოციალისტთა ფრაქციამ „მარქსისტობისა და სამხედრო სამსახურზე თავის არიდების ბრალდებით“ სოციალ-დემოკრატი ლიობეს კანდიდატურის მოხსნა მოითხოვა. აღნიშნულ სხდომაზევე თავი იჩინა გსდპ-სა და გსპ-ს შორის დაპირისპირებამ (ე. შოლცის კანდიდატურის გამო), რაც შეეხება გპპ-ს, ისინი ნაცისტთა მსგავსად თანაბარი ძალით იბრძოდნენ ყველა პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ (მათ რაიხსტაგის პრეზიდენტის კანდიდატად ვ. პიკი წარადგინეს). მართალია, კენჭისყრის მეორე ტურში 269 ხმით ლიობემ გაიმარჯვა,<sup>20</sup> მაგრამ იმთავითვე ცხადი გახდა, რომ საკანონმდებლო ორგანო უფრო სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებისას ან საერთოდ უძლური აღმოჩნდებოდა, ან ძალზე გაუჭირდებოდა კონსესუსის მიღწევა.

იმავე დღეს 1 ოქტომბრის განსაკუთრებული დეკრეტის აგრარული მუხლებით უკმაყოფილო ეკონომიკური პარტიის ლიდერმა ჰ. დრევიცმა კანცლერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „ჩემი ფრაქცია იმ აზრისაა, რომ 1930 წლის 14 სექტემბრის არჩევნების შედეგთა გათვალისწინებით აუცილებელია კაბინეტის რეორგანიზება ან გამსხვილება. ეკონომიკასთან შეხების მქონე სამინისტროები სპეციალისტთა დაქვემდებარებაში უნდა გადავიდნენ. ოქვენთვის საქმის გაადვილების მიზნით, ფრაქციამ გადაწყვიტა მთავრობიდან გაიწვიოს დოქტორი ბრედტი.<sup>21</sup> მართალია, დრევიცი უაღრესად დელიკატური ფორმით მიმართავდა კანცლერს, მაგრამ მისი განცხადება მთავრობისთვის საგანგაშო პროცესის დაწყების სიგნალი უნდა გამხდარიყო. ბრიუნინგის მიერ ლამის ასკეტიზმის რანგში აყვანილი ეკონომიკური სანაციის პროგრამა, რომლის მთელი სიმძიმეც ჯერჯერობით წერილ და საშუალო ბიზნესს აწვებოდა, ამ სოციალური

ფენისა და მისი ინტერესების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაციის პროსამთავრობო ფარვატერიდან ამოვარდნას განაპირობებდა.<sup>22</sup>

ამის დასტურად 18 და 19 ოქტომბრის რაიხსტაგის სხდომებზე განვითარებული მოვლენები გამოგვადგება. რეგლამენტის მიხედვით 26 ივლისის განსაკუთრებული დეკრეტის გაუქმებისა და კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხები განიხილებოდა. იმ ფრაქციებს შორის, რომლებმაც ორივე საკითხს მხარი დაუჭირა გნსპ-ს, გკპ-ს, გნსმპ-ს და აგრარიების გვერდით – ეკონომიკური პარტიის წარმომადგენლობაც იყო!

მორიგი პოლიტიკური კრიზისისგან ბრიუნინგის კაბინეტი პარადოქსია, მაგრამ იმ ძალამ იხსნა, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული მთელი სამთავრობო პოლიტიკა. მხედველობაში სოციალ-დემოკრატია გვყავს. ექსკანცლერმა ჰ. მიულერმა 18 ოქტომბრის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები 26 ივლისის განსაკუთრებული დეკრეტის გაუქმებას მხარს არ დაუჭირდნენ, რადგან ეს ვითარების ნორმალიზებას კი არა, მის უფრო დაძაბვას განაპირობებდა, რისკენაც ისწრაფოდნენ გნსპ, ნაცისტები და კომუნისტები.<sup>23</sup>

ძალზე საინტერესო შინაარსისაა გ. შტრასერის სიტყვა, ამიტომ რაიხსტაგის სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან მცირე ნაწყვეტს მოვიყვანთ: „ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები, პრინციპული ანტიპარლამენტარისტები ვართ. მაგრამ დიქტატურის დამყარების სამოქალაქო გეგმების გამო, ვაიმარის კონსტიტუციის დამცველებად ვიქეცით! ჩვენ მხარს ვუჭირთ ვაიმარის კონსტიტუციას და „კანონს რესპუბლიკის დაცვის შესახებ“. ეს მხარდაჭერა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ჩვენ გვჭირდება. მანამდე, სანამ ამ დემოკრატიის მხარდაჭერით მნიშვნელოვან ხელმძღვანელ პოსტებს მივიღებდეთ.“<sup>24</sup> პიტლერისა და გებელსის ანალოგიური შინაარსის გამოსვლებს რომ თავი დავანებოთ, უნებურად ერთი ანალოგიაც ჩნდება. 1919 წლის 5 ივლისს ბენიტო მუსოლინის მიერ „პოპოლო დე იტალია“-ში დაბჭედილ სტატიაში ნათქვამია: „ჩვენ გვაქვს ფუფუნება იმისა, რომ ერთდროულად ვიყოთ

არისტოკრატები და დემოკრატები, კონსერვატორები და პროგრესისტები, რეაქციონერები და რევოლუციონერები, ლეგალისტები და ილეგალისტები – დროის, ვითარებისა და იმ გარემოების შესაბამისად, რომელშიც იძულებულნი ვართ ვიმოქმედოთ.“<sup>25</sup> ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას ტოტალიტარული მისწრაფების მქონე ძალების ტაქტიკური მეთოდების იდენტურობის თაობაზე.

ინტერესმოკლებული არც ვ. პიკის გამოსვლა გახლდათ: „ექსპლუატაციასა და მონობაზე დამყარებული სისტემის დასამხობად არსებობს მხოლოდ რევოლუციური გზა, რომელიც მოსპობს კაპიტალიზმს და განაიარალებს ყველას, ვინც მას მხარს უჭერს. ეს არის ამოცანა, რომლის განხორციელებაც მიზნად დაისახა კომუნისტურმა პარტიამ და მალე დადგება ის დღეც, როცა მშრომელთა მასები და უმუშევრები ამ მეწარმეთა და ფაშისტთა პარლამენტს გარეკავენ ჩვენი ხელმძღვანელობით. მაშინ შეიკრიბება საბჭოები და დამყარდება პროლეტარიატის დიქტატურა. ამ შიმშილის რესპუბლიკისა და გახრწნილი სამოქალაქო საზოგადოების ადგილზე გერმანელი ხალხის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო აშენდება.“<sup>26</sup>

საპარლამენტო გამოსვლების ამ მცირედი ფრაგმენტებიდანაც ჩანს რაიხსტაგში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის არსი. სოციალ-დემოკრატებმა ნაცისტთა, კომუნისტთა, გნსპ-სა და ეკონომიკური პარტიის ობსტრუქციის მიუხედავად, კათოლიკური ცენტრისა და მცირერიცხოვანი სახელმწიფო პარტიის დეპუტაციის დახმარებით არ დაუშვეს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, ხოლო 26 ივლისის განსაკუთრებული დეკრეტის იურიდიული და ეკონომიკური ასპექტები განსახილველად რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიას გადაუგზავნეს. ანუ მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც ამის თაობაზე 4 ოქტომბრის სამთავრობო სხდომაზე ისაუბრა კანცლერმა. 19 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით პარლამენტის მორიგი სესია 3 დეკემბერს დაიწიშნა.

მოგვიანებით პრუსიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ო. ბრაუნი თავის მემუარული ჟანრის ნაშრომში ზემოთ აღნიშნული პერიპეტიების თაობაზე წერდა: „ბრიუნინგის მთავრობამ მოიგო არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – დრო“ – რაც ჩვენი აზრით სრული ჭეშმარიტებაა.<sup>27</sup>

ბუნებრივია, ახსნას საჭიროებს სოციალ-დემოკრატია ბრიუნინგისადმი თავგამოდებული მხარდაჭერის ფაქტი. საბჭოური ისტორიოგრაფია ათწლეულების განმავლობაში ამკვიდრებდა აზრს იმის თაობაზე, რომ სოციალ-დემოკრატებმა თითქოსდა უდალატეს მარქსისტულ დოქტრინას და ექსპლუატატორთა სამსახურში ჩადგნენ, რომ პრუსიაში ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ლამის გუნდრუკს უპევდნენ მთავრობას და ა. შ.. აღნიშნული რა თქმა უნდა დიდწილად იდეოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე იწერებოდა, მაგრამ გარკვეული დოზით მათშიც იყო სიმართლის მარცვალი. სოციალ-დემოკრატია „მოთმინების პოლიტიკას“ ჩვენი აზრით, განაპირობებდა: ა) შიში მემარცხენე და მემარჯვენე ტოტალიტარული მისწრაფების მქონე ძალების ხელისუფლებაში მოსვლის წინაშე; ბ) სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხე; გ) კარგი ურთიერთობანი რაიხსკანცლერთან და დ) პრუსიაში ხელისუფლების შენარჩუნების სურვილი.

1930 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ნაცისტთა მიერ ადგილობრივ არჩევნებში მიღწეული წარმატებების გამო, გსდპ ძალზე უფრთხილდებოდა პრუსიაში კათოლიკურ ცენტრთან არსებულ კოალიციას. თავის მხრივ, მთავრობა ამ ფაქტს ზეწოლის ეფექტურ იარაღად იყენებდა. ამის საილუსტრაციოდ რაიხსკანცლელარიაში 1930 წლის 30 ნოემბერს ჰ. ბრიუნინგსა და პრუსიის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მდივან ვაისმანს შორის შემდგარი დიალოგიც გამოგვადგება. კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა: „სოციალ-დემოკრატიამ კაბინეტის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული დეპრეტების პარლამენტში განხილვისას უმრავლესობა უნდა უზრუნველყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი უარს იტყვის პრუსიაში მასთან

კოალიციაზე. ვიმედოვნებ, რომ პრუსიის პრემიერ-მინისტრი ამას ძალიან კარგად ხვდება.“<sup>28</sup>

ეს პირდაპირი შანტაჟი იყო. ალბათ, ამიტომაც წერდა ბრიუნიგის დახასიათებისას საფრანგეთის ელჩი გერმანიაში ა. ფრანსუა-პონსე, რომ: „იგი სულით იეზუიტია, ხოლო გულით – შოვინისტი. მას არ გააჩნია არც მკაცრი ხმა და არც გერმანელი ხალხის ფიურერისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაცია... მისთვის, ძველ იეზუიტურ დევიზს - „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ჯერაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.“<sup>29</sup> თანმხვედრი გარემოებების წყალობით, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მეთოდი ეფექტურ ზემოქმედებას ახდენდა.

დროებითი ერთოვიანი შესვენება კაბინეტმა ნაყოფიერად გამოიყენა და ფართომასშტაბიანი ფინანსური რეფორმის პროექტი მოამზადა. ფინანსთა მინისტრმა ამ დოკუმენტის შემუშავებაზე ზრუნვა ჯერ კიდევ 1930 წლის აგვისტოში დაიწყო. პ. დიტრიხის მოსაზრებით ახალ კანონს სამი პირველხარისხოვანი პრობლემა უნდა მოეგვარებინა. ა) საიმპერიო ბიუჯეტის გათავისუფლება უმუშევართა დაზღვევის ფონდში გადასარიცხი სახსრების ტვირთისაგან; ბ) მაღალი საგადასახადო ტარიფების დაწევა და ამის საფუძველზე ეკონომიკის გამოცოცხლება; გ) სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ახლებური განაწილება იმპერიასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის.<sup>30</sup>

ობიექტური თვალსაზრისით აღნიშნულ დონისძიებათა გატარებას მართლაც ითხოვდა იმდროინდელი გერმანიის უმძიმესი ფინანსური და სახაზინო მდგომარეობა. თუ 1930 წლის აგვისტოში საბიუჯეტო დეფიციტი 300 მლნ. მარკას შეადგენდა, დიტრიხის გამოთვლით წლის ბოლომდე ეს თანხა 1 მლრდ. მარკამდე გაიზრდებოდა.<sup>31</sup>

ამ დეფიციტის აღმოფხვრა გერმანიას დამოუკიდებლად არ შეეძლო. 1930 წლის სექტემბრის არჩევნებში ნაციისტების მიერ მიღწეულმა წარმატებამ უცხოელი ინვესტორები დააფრთხო და მათ არათუ ახალი სახერების დაბანდება შეწყვიტეს, არამედ უკვე დაბანდებული სახსრების საზღვარგარეთ გატანა დაიწყეს. ასეთ ვითარებაში, მთავრობა

იძულებული იყო ცნობილი ამერიკული საბანკირო სახლისთვის „ლი პიგინსონი” 125 მლნ. დოლარის ოდენობის სესხი ეთხოვა.

აღნიშნული თანხა გერმანიამ მართლაც მიიღო, მაგრამ გარკვეული წინაპირობებით. კერძოდ: 1931-1932 წლების საიმპერიო ბიუჯეტი საპარლამენტო გზით უნდა დამტკიცებულიყო, სახელმწიფოს უნდა აედო სრული პასუხისმგებლობა სესხისა და შესაბამისი პროცენტების დროულ დაბრუნებაზე. გარდა აღნიშნულისა, მთავრობას ეკონომიკის მკაცრი დონისძიებების გატარება ევალებოდა.<sup>32</sup>

უკანასკნელი პირობა სავსებით შეესაბამებოდა ბრიუნინგის გეგმებს. მან სექტემბრის ბოლოდან საზოგადოებისთვის ფინანსური რეფორმის დეტალების გაცნობა დაიწყო, რამაც ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა. ფედერაციის სუბიექტები უკმაყოფილონი იყვნენ ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების შემცირებით, პროფკავშირები კი – უმუშევართა დაზღვევის ფონდში თანხების გადარიცხვის შეკვეცას, ჩინოვნიკთა და მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურების კლებას, საბინაო-კომუნალური მშენებლობის შეზღუდვას აპროტესტებდნენ.<sup>33</sup>

ბუნებრივია, პარლამენტს გარეთ მყოფი სოციალურ-პოლიტიკური ძალების ამგვარი რეაქციის ფონზე, კაბინეტისთვის გასაგები და იოლი წარმოსადგენი იყო ის, თუ რა მოხდებოდა ამ დოკუმენტის რაიხსტაგში წარდგენის შემთხვევაში. ამიტომ კანცლერმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა: 1930 წლის 27 ნოემბერს ის მოხსენებით წარსდგა გერმანიის მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების მთავრი კომიტეტის წინაშე და მომავალი რეფორმის ნიუანსები გააცნო. ფ, ტისენის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაგნატთა დიდმა ნაწილმა კანცლერსა და მთავრობის პოზიციას დაუჭირა მხარი.<sup>34</sup> ამით ბრიუნინგმა ერთდროულად ორ მიზანს მიაღწია: ჯერ ერთი – გერმანული საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ნაწილი კაბინეტის საიმედოობაში დაარწმუნა, მეორეც – წერტილი დაუსვა პრეზიდენტის კარზე მოარულ ინტრიგანთა მცდელობას განეხორციელებინათ კაბინეტის რეორგანიზაცია.<sup>35</sup>

ამის შემდგომ მან რაიხსკანცელარიაში დაიბარა ე. წ. „სამთავრობო პარტიათა“ წარმომადგენლები და მათგან მხარდაჭერის გარანტიათა მიღების შემდეგ<sup>36</sup> 1930 წლის 1 დეკემბერს გამოსცა განსაკუთრებული დეკრეტი „მეურნეობისა და ფინანსების უზრუნველყოფის შესახებ.“<sup>37</sup> ეს კანონი გახდათ ბრიუნინგის მიერ ვაიმარის რესპუბლიკის ფინანსური და პოლიტიკური სისტემების უნიტარიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. ფორმალურად, მისი მიზანი 1931-32 წლების ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენა იყო.<sup>38</sup>

ახალმა განსაკუთრებულმა დეკრეტმა შოკისმომგვრელი ეფექტი გამოიწვია. მან რადიკალურ პოლიტიკურ სუბიექტებს ანტისამთავრობო პროპაგანდის გაძლიერების შანსი მისცა. თავის მხრივ, მთავრობამაც დაიწყო მათი საქმიანობის კანონიერების სამართლებრივ ასპექტთა შესწავლა. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში რაიხსვერის მინისტრ ვ. გრენერსა და შინაგან საქმეთა მინისტრ ი. ვირტს შორის გამართული მიმოწერა. გრენერმა კოლეგისაგან ითხოვა განმარტებანი იმის თაობაზე, იყო თუ არა ანტიკონსტიტუციური გნეშე? ვირტის პასუხში, რომელიც 21 ოქტომბრითაა დათარიღებული ნათქვამია: „ნაცისტთა ტაქტიკურ მანევრებს ხელისუფლება შეცდომაში შეჰვავს... რაიხსტაგში 107 დეპიტატის გაყვანა პარტიას მთავრობის ფორმირებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შანსს არ აძლევს... პიტლერის პატიოსანი სიტყვა (იგულისხმება 1930 წლის 25 სექტემბერს ლაიპციგის სასამართლო პროცესზე დადებული ფიცი – დ. წ.) არ წარმოადგენს მომავალში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის გარანტიას... სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საჭიროა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის აკრძალვა კომპარტიასთან ერთად.“<sup>39</sup>

სამწუხაროდ, განსხვავებული პოზიცია პქონდა რაიხსვერის პოლიტიკური დეპარტამენტის შეფს გენერალ კ. ფონ შლაიხერს. იმავე დღეს ვ. გრენერისადმი წარდგენილ პატაკში ის წერდა: „საიმპერიო მთავრობამ ნებისმიერ შემთხვევაში თავი უნდა შეიკავოს იმგვარი მცდარი მეთოდების გამოყენებისაგან, როგორსაც ომადგელ პერიოდში

სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ახორციელებდა (აქ ავტორი ბისმარკის ე. წ. „ანტისოციალისტურ კანონებს“ გულისხმობდა – დ. წ.).<sup>40</sup> ასე, რომ კაბინეტის შიგნითაც კი არ არსებობდა ერთიანი პოზიცია ულტრარადიკალიზმის ასალაგმავი ლონისძიებების თაობაზე. ეს კი უკანასკნელებს ახალ-ახალი წარმატებების მიღწევის შანსს აძლევდა,<sup>41</sup> რითაც ძალზედ დიდი საფრთხე ემუქრებოდა კონსტიტუციურ წესრიგს.

ამავე პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა ბრიუნინგის მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალებს შორის. აშკარა გახდა, რომ მემარჯვენეთა ბანაკი კონსოლიდირებას ცდილობდა და ამ გზით მთავრობის დასამხობად ემზადებოდა. მათი დარტყმის მთავარ სამიზნედ ამჯერად პრუსიის ლანდტაგი იქცა. ეკონომიკური პარტიის მსგავსად, 1930 წლის ნოემბრის ბოლოს ანტისამთავრობო ტენდენციებმა თავი გერმანიის სახალხო პარტიაშიც იჩინა. ამ ორგანიზაციის საიმპერიო კომიტეტისა და ცენტრალური სამმართველო აპარატის სხდომაზე ე. შოლცი თანამდებობიდან გადააყენეს და მისი ადგილი ე. დინგელდაიმ დაიკავა.<sup>42</sup> ამავე ფორუმზე გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გერმანიაში უკვე დადგა მომენტი „სოციალისტური ტენდენციების საბოლოო დათრგუნვისთვის“, ამიტომ გსპ-ს ორიენტაცია მემარჯვენე ძალებთან თანამშრომლობისკენ უნდა აედო.<sup>43</sup> გარდა ამისა, პარტიის ახალი ხელმძღვანელობა პრუსიაში ვაიმარის „დიდი კოალიციის“ პერიოდის მსგავსი თანამშრომლობის წინააღმდეგი იყო სოციალ-დემოკრატიასთან. ისინი შეუერთდნენ „ფოლადის მუზარადის“ ინიციატივას და 1931 წლის 4 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით პრუსიის ლანდტაგის დაშლისა და ახალი არჩევნების დანიშვნის მიზნით, 9 აგვისტოს რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს.<sup>44</sup>

აგრარული სექტორის ინტერესთა გამომხატველმა პარტიებმა და დაჯგუფებებმა ჩათვალეს, რომ ახალი განსაკუთრებული დეკრეტის შინაარსი მრეწველობას უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა, ვიდრე სოფლის მეურნეობას. მათი დელეგაცია ბრანდესის, კალკროიტის, პერმესისა და ფეერის შემადგენლობით 1930 წლის 17 დეკემბერს

პრეზიდენტმა მიიღო. ამ შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრი შილეც ესწრებოდა. თავის მხრივ, უკანასკნელიც უქმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ პირველი დეპარტიის დეპარტიის შემუშავების პროცესში კანცლერმა და კაბინეტის წევრთა უმრავლესობამ მისი პოზიციების იგნორირება მოახდინა. „მწვანე ფორნტის” ლიდერმა ბრანდესმა აღშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ მთავრობის აგრარული პროგრამა საერთოდ არ ეხებოდა სამხრეთ რეგიონებს.<sup>45</sup> მართალია, ამ ვიზიტს პინდენბურგის მხრიდან ჯერჯერობით რაიმე კრიტიკული ხასიათის რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ ამგვარი ნიუანსების წყალობით ნელ-ნელა იცვლებოდა მისი დამოკიდებულება „ბისმარკის შემდეგ ყველაზე უკეთესი კანცლერის მიმართ.”<sup>46</sup>

ახალი განსაკუთრებული დეპარტი 3 დეპარტერს შეკრებილი რაიხსტაგის გაცხოველებული განხილვის საგნად იქცა. 5 დეპარტერს დეპუტატებმა კანცლერისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვეს. ბრიუნინგმა ხაზგასმით მიუთითა, რომ ქვეყნის წინაშე მდგომი უახლოესი ამოცანების (ძირითადი აქცენტი ფინანსურ-ეკონომიკურ და საგარეო პრობლემებზე გაკეთდა) გადაჭრის მიზნით კაბინეტი, პრეზიდენტან შეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ შემთხვევაში განახორციელებდა ეკონომიკური და ფინანსური სანაციის პროგრამას.<sup>47</sup>

ბრიუნინგის მხსნელის როლი ისევ სოციალ-დემოკრატიას უნდა შეესრულებინა. პარტიის გამგეობა თვლიდა, რომ ანტისოციალური კურსის გამო კაბინეტის დამხობა ძალზე იოლი საქმე იყო, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ქვეყნის სრულ კოლაპსსა და ნაციონალ-სოციალისტური დიქტატურის დამყარებას გამოიწვევდა. ამიტომ, მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების მსგავსად გსდპ-ს ინტერესებში მთავრობის მხარდაჭერა შედიოდა.<sup>48</sup>

კაბინეტსა და პარლამენტს შორის დაპირისპირება 1931 წლის მარტის ბოლომდე გაგრძელდა. ფაქტიურად რაიხსტაგმა აქტიური პოლიტიკური ფაქტორის ფუნქცია დაკარგა. ეს თავიდანვე იყო მოსალოდნელი, ვინაიდან მასში საზოგადოების უკიდურესად დაპირისპირებული ფენების ინტერესთა აკუმულირება ხდებოდა. კრიტიკული სიტუაცია 1931 წლის 7

თებერვალს შეიქმნა, როცა ნაცისტთა და გნეპ-ის მოთხოვნით კენჭისყრაზე მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხი დადგა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული და კათოლიკური ცენტრის ფრაქციათა დისციპლინირებულობის წყალობით კაბინეტი გადარჩა. 292 დეპუტატმა მას ნდობა გამოუცხადა, 220-მა კი - არა.<sup>49</sup> 10 თებერვალს საკანონმდებლო ორგანომ მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად საკუთარ რეგლამენტში ცვლილებების შეტანაც მოახერხა.<sup>50</sup>

„კონსტიტუციური ნორმების“ დარღვევის ბრალდებით ნაციონალ-სოციალისტებმა, გნეპ-მ და კომუნისტებმა 7 თებერვალსვე პარლამენტი დატოვეს. მართალია, კომპარტიის ფრაქცია მეორე დღესვე დაბრუნდა, მაგრამ ორი ულტრამემარჯვენე ძალის რაიხსტაგიდან წასვლამ საკანონმდებლო ორგანოს ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობა მისცა. ამაზე იმ სხდომების (სულ 31) შინაარსიც მეტყველებს, რომელიც 10 თებერვლიდან 26 მარტის ჩათვლით ჩატარდა. სოციალ-დემოკრატთა წყალობით დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტი, იუნგის გეგმის დამატებითი პუნქტები და დაკმაყოფილდა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ჯავშნოსანი გემის ასაგები სახსრების გამოყოფის თაობაზე.<sup>51</sup> 26 მარტს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, რაიხსტაგი ხანგრძლივი ვადით წყვეტდა ფუნქციონირებას და მისი მორიგი სესია 6 თვის შემდეგ, 13 ოქტომბერს შეიკრიბებოდა. პარლამენტიდან წასულმა ნაცისტებმა ფედერალური მთავრობის მუქარის გამო ხელი აიღეს ავანტიურისტულ განზრახვაზე – გაიმარში მოეწვიათ ალტერნატიული რაიხსტაგი.<sup>52</sup>

უდავოა, რომ ნაციონალურ-ავტორიტარულმა დაჯგუფებამ საკანონმდებლო ორგანოს პარალიზებით გიგანტური ნაბიჯი გადადგა პოლიტიკური სისტემის რეფორმირების გზაზე. კონსტიტუციური რეალობის ფუნქციონალური ცვლილებით ისინი თითქოსდა ძალზე ახლოს იდგნენ დასახულ მიზანთან – დაეძრათ საიმპერიო რეფორმის პროექტი, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო, მთავრობას ეს ძალზე ძვირი დაუჯდებოდა.

შიდაპოლიტიკური გუთხით ბრიუნინგის მიერ 1931 წლის მარტში მიღწეული წარმატება პიროსის გამარჯვებას ჰგავდა, რადგან, როგორც ვნახეთ, მისი ანტიკრიზისული მენეჯმენტის წყალობით სამთავრობო ორბიტას ყოფილი მოკავშირეებიც კი ტოვებდნენ. ამიტომ, ისედაც „უმცირესობის კაბინეტის“ პოლიტიკური ზეგავლენის არეალი ნელ-ნელა ვიწროვდებოდა. „მოთმინების პოლიტიკის“ არსებობის პირობებში, საკუთარი პარტიის გარდა, კანცლერის ერთადერთ მხარდაჭერ ძალად სოციალ-დემოკრატია, ანუ ის ორგანიზაცია რჩებოდა, რომელთანაც ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტას ითხოვდა პინდენბურგი. ეს ფაქტი შენელებული მოქმედების ნაღმის ფუნქციას ასრულებდა პრეზიდენტისა და ბრიუნინგის შემდგომი ურთიერთობის პროცესში.

კანცლერის შეუვალმა პოზიციამ არა მხეოლოდ პოლიტიკური პარტიების, არამედ ფედერაციის სუბიექტთა მთავრობების უკმაყოფილებაც განაპირობა. საქმე იმაშია, რომ ბრიუნინგი, ფინანსური და საგადასახადო ბერკეტების გამოყენებით, ცალკეულ მიწებზე ეფუძნებული ზემოქმედების მექანიზმთა შექმნას ცდილობდა. იგი ფაქტიურად, 1930 წლის დეკემბრიდან ეკონომიკურ მეთოდთა გამოყენებით ამზადებდა საიმპერიო რეფორმის პროცესსაც.

უნიფიცირებული სახელმწიფოს ფორმირება, რომლის აქტიურ პროპაგანდასაც ჯერ კიდევ 1930 წლის ზაფხულიდან ეწეოდნენ ცნობილი გერმანელი იურისტები – კ. შმიტტი, ე. შიფერი, პოპიტცი, ვ. კაალი, ფ ზემიში (Saemisch) და სხვები,<sup>53</sup> ფინანსური რეფორმით უნდა დაწყებულიყო და კონსტიტუციური ცვლილებებით დასრულებულიყო. „პარლამენტარიზმი და სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა არათუ შეუთავსებელი, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც ურთიერთგამომრიცხავი დებულებებია“ – წერდა კ. შმიტტი.<sup>54</sup> მისივე აზრით - „გერმანიის ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმა“ აღებული იყო ომამდევლი პერიოდიდან, რის გამოც არ შეესაბამებოდა თანამედროვე რეალობას. იგი თვლიდა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის

აუცილებელი იყო პრუსიასა და იმპერიას შორის არსებული დუალიზმის მოსპობა.

აღსანიშნავია, რომ ბრიუნინგი ჯერ კიდევ 1928 წლიდან იყო კონსტიტუციური რეფორმის საიმპერიო კომიტეტის წევრი და აღნიშნულ იდეებსაც იცნობდა.<sup>55</sup> კანცლერი, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ხედავდა იმას, რომ ტერიტორიული მხარეები ავტონომიურად საკუთარ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ვერ მოხერხებდნენ. ეს კი საიმპერიო რეფორმის პროექტს მკვდარი წერტილიდან დაძრავდა.<sup>56</sup>

კონსტიტუციური რეალობის შეცვლის საფორმულებელი პირველად ბავარიელებმა იგრძნეს. ჯერ კიდევ 1930 წლის 1 ოქტომბრის განსაკუთრებული დეკრეტით უკმაყოფილო ბავარიის პრემიერ-მინისტრმა პ. ჰელდმა კანცლერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თუ საიმპერიო მთავრობა ფინანსური აუცილებლობიდან გამომდინარე - საიმპერიო რეფორმასაც დაიწყებს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ფედერაციის სუბიექტთა კონსტიტუციურ უფლებებს, ბავარიის მთავრობა წინასწარ გაცნობებთ ამ საკითხისადმი ჩვენი ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ... ჩვენ ვერასოდეს გავუწვდენთ ხელს მას, ვინც მიწების დამოუკიდებლობის მოსპობას შეეცდება.”<sup>57</sup>

ფედერალურ ხელისუფლებასა და ბავარიას შორის კონფლიქტს მდაფრი სახე 1930 წლის 1 დეკემბრის განსაკუთრებული დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ მიეცა. ამჯერად პროცესში ბავარიის სახალხო პარტიის ლიდერი პ. შეფერი ჩაერთო. მან 16 დეკემბერს საპროტესტო წერილი გაუგზავნა რაიხსკანცლერს, რომელშიც მიუთითებდა, რომ მის ორგანიზაციას, კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევის გამო, კაბინეტის საწინააღმდეგო სარჩელი შეპქონდა საიმპერიო სასამართლოში.<sup>58</sup>

მდგომარეობის განმუხტვის მიზნით ბრიუნინგმა ბავარიელთა დელეგაცია ჰელდის, შეფერის, პრელატ ლაიხტის (ბავარიის სახალხო პარტიის რაიხსტაგის ფრაქციის ლიდერი) და პრელატ ვოოლმუტის (ბავარიის სახალხო პარტიის ლანდტაგის ფრაქციის თავმჯდომარე) შემადგენლობით ბერლინში მიიწვია.<sup>59</sup>

ბავარიელთა პრეტენზიები საგადასახადო და ფინანსური სისტემების უნიფიკაციის კანონს უკავშირდებოდა. პ. შეფერმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია მოსახლეობის მასიური უკმაყოფილების ფონზე და ლანდტაგის მოახლოებული არჩევნების პირობებში (1932 წლის 24 აპრილი), თუნდაც ტაქტიკური თვალსაზრისით ვერ დაუჭერდა მხარს დეკრეტის შინაარსს. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს იგი განსაკუთრებული დეკრეტის ანულირებაში ან მის ახლით შეცვლაში ხედავდა.<sup>60</sup>

ბრიუნინგმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საბოლოოდ საქმე განსახილველად საიმპერიო სასამართლოს გადაეცა. ამაო გამოდგა ზემოთ ხსენებული ბავარიული დელეგაციის პინდენბურგთან ვიზიტიც. პრეზიდენტმა კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ მისი მხრიდან კონსტიტუციის რაიმე სახით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.<sup>61</sup> საბოლოოდ საქმე ფედერალური მთავრობის სასარგებლოდ გადაწყდა. გერმანიის დანარჩენმა მიწებმა ხსენებული კანონი მცირეოდენი გაბრძოლების შემდეგ მიიღეს.<sup>62</sup>

რაც შეეხება ფედერაციის ყველაზე მსხვილ და ტრადიციულად ყველაზე გავლენიან სუბიექტს - პრუსიას აქ სხვაგვარი სიტუაცია სუფევდა. ერთხელ უკვე აღინიშნა, რომ ო. ბრაუნის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ბრიუნინგს კანცლერობის საწყის სტადიაზე უნიფიკაციის გეგმა თავად შესთავაზა. უფრო მეტიც, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ზევერინგი თავად იყო საკონსტიტუციო რეფორმის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრი.<sup>63</sup> გარდა ამისა, ო. ბრაუნსა და პ. ბრიუნინგს კარგი პიროვნული ურთიერთობებიც აკავშირებდათ.<sup>64</sup> ასე, რომ პრუსიის მხრიდან რაიმე დემარშის საფრთხე თავიდანვე მოხსნილი გახლდათ.

გარდა ამისა, არსებობდა ჩვენი აზრით ერთი მეტად საგულისხმო გარემოებაც. ეკონომიკური კრიზისისა და მისი ზეგავლენით გააქტიურებული რადიკალური ძალების აღმავლობის პირობებში, კანცლერისთვის ამ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა პრუსიაში სოციალ-დემოკრატიული ბასტიონის არსებობას. ეს

გარვეულწილად შეიძლება პარადოქსულადაც ჩანდეს, მაგრამ ზემოთ აღწერილი მოვლენების წყალობით ფაქტად რჩება. ბრიუნინგი „მათრახისა და თაფლაკვერის” პოლიტიკის წყალობით მოხერხებულად სარგებლობდა სოციალ-დემოკრატია „მოთმინების დოქტრინით”. ერთის მხრივ – კათოლიკური ცენტრის პარტიის კოალიციიდან გამოსვლის მუქარით ამ მარქსისტულ ორგანიზაციას საკუთარი ავტორიტარული კურსის ლეგიტიმაციას აიძულებდა რაიხსტაგში, ხოლო მეორე მხრივ – მას სრულ იზოლაციაში ამყოფებდა, რითაც საჭიროების შემთხვევაში, ხელის ერთი მოსმით უმტკივნეულოდ მოაგვარებდა პრუსიის საკითხს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1932 წლის 20 ივლისის მომზადება ბრიუნინგმა 1930 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ზეპარტიული” პოლიტიკური კურსი, რომლის განხორციელებასაც ჰ. ბრიუნინგი ცდილობდა, თავიდანვე ჩიხში შევიდა. დეზინტეგრაციის პროცესმა საკანონმდებლო ორგანოს და პოლიტიკური სისტემის სხვა შემადგენელ კომპონენტებს (ფედერაციის სუბიექტები, პარტიები, პროფესიული კავშირები და სხვ.) ახალ რეალობაში ძველი ფუნქციები დაუკარგა, რაც კანცლერის პოლიტიკური კურსის დამკვეთთა მოთხოვნის ერთი პუნქტის შესრულებას ნიშნავდა. მაგრამ ამ მოვლენამ პოზიტიური ძალები უფრო დააზიანა ვიდრე დესტრუქციული პოლიტიკის მიმდევრები. ამიტომ, მიმდინარე პროცესებზე უკანასკნელთა ზეგავლენის ხარისხი, შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც ისედაც აგონიაში მყოფი რესპუბლიკის ფუდამენტი საბოლოოდ შეარყია.

ფაქტიურად, 1931 წლის ზაფხულისთვის გერმანია ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე იდგა, მაგრამ მის იურიდიულ გაფორმებას ერთის მხრივ – ხელისუფლებაში მყოფი ელიტის პოლარული და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები უშლიდა ხელს, ხოლო მეორეს მხრივ – საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მოსალოდნელი რეაქციის წინაშე შიში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამგვარი ნახევრადდემოკრატიული და

ნახევრადაგტორიტარული შიდაპოლიტიკური მდგომარეობის ხანგრძლივი შენარჩუნება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ, მოწინააღმდეგები ძალებთან სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების მიზნით, მთავრობა საგარეო პრობლემის მოგვარებას შეეცადა, რათა მისი დადებითად გადაწყვეტიდან მიღებული დივიდენდებით გადაეფარა ულტრარადიკალური ძალების ქმედებებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები.

სწორედ ამ კუთხით წარიმართა კანცლერ ბრიუნიგის მთელი საქმიანობა. ეს უაღრესად რთული და სახიფათო გზა იყო, რომელიც ტიტანურ ძალისხმევას, კონსოლიდირებულ პოლიტიკურ გუნდს და კრიზისული სიტუაციების ზედმიწევნით მართვის უნარს საჭიროებდა. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაწყებული საქმიანობის სტარტზევე ბრიუნინგმა, ჩვენი აზრით, ფატალური შეცდომა დაუშვა, როცა საკუთარი ხელისუფლების საფუძვლების გამყარებას არ შეეცადა. ამიტომ, ის არა მხოლოდ „უჯარისკაცო გენერლად”, არამედ კონკრეტული მომენტისთვის არსებული სიტუაციის ტყვედაც იქცა. მისი შიდაპოლიტიკური კურსი ამა თუ იმ მოვლენაზე რეფლექსურ რეგირებას უფრო ჰგავდა, ვიდრე კომპლექსურად ჩამოყალიბებულ კომპონენტთა გააზრებულ ერთობლიობას, რამაც საბოლოოდ გააქარწყლა მისი, როგორც ეფექტური ანტიკიზისული მენეჯერის იმიჯი. ეს ტენდენცია წითელ ზოლად გასდევს მისი კანცლერობის ორწლიან პერიოდს.

#### **§ 4. პოლიტიკური მდგომარეობის რადიკალიზაცია და ბრიუნინგის პირველი კაბინეტის რეორგანიზება**

რაიხსტაგის კონტროლიდან გათავისუფლების პირობებში მთავრობას ეკონომიკური, სოციალური და საგარეო პოლიტიკის საკუთარი შეხედეულებისამებრ წარმართვის შანსი მიეცა. ბრიუნინგი თვლიდა, რომ გერმანიას ავტონომიურ რეჟიმში უნდა დაეძლია კრიზისის

შედეგად გამოწვეული სირთულეები. ამ მიზნის განხორციელების ერთადერთ გზად დეფლაციური კურსი იქნა მიჩნეული. 1930-1931 წლებში კაბინეტის გადაწყვეტილებით გაიზარდა პირდაპირი და ირიბი გადასახადები, სახელმწიფო დრაკონული ეკონომიკის გზით კვეცავდა სოციალურ ხარჯებს, რითაც დადებითი საბიუჯეტო ბალანსის დაცვას ცდილობდა. მთავრობის ეკონომიკურ გუნდში დომინირებდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო მზა პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების ხელოვნური შენარჩუნება, რათა ბიძგი არ მისცემოდა ინფლაციურ პროცესებს.<sup>1</sup> მართალია, ეს მოთხოვნა იუნგის გეგმითაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბრიტანული და ამერიკული მხარე გერმანიას ამ საკითხში თავისუფალი მოქმედების შანსს აძლევდა, თუმცა ბრიუნიგი ჯიუტად არ ახორციელებდა ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმას, რამაც ვალუტის მარაგი შეამცირა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსი კატასტროფულად დაარღვია. უმაღლესი მიზნის – რეპარაციების საბოლოო გაუქმების- მისაღწევად კაბინეტი აშკარა ფინანსურ კრახზე მიდიოდა. ცნობილი ლიბერალი მოღვაწე ანტონ ერკელენზი ამის თაობაზე სამართლიანად წერდა: „უველივე ეს სიკვდილის შიშით გამოწვეულ თვითმკვლელობას ჰგავს, ვინაიდან ამ დეფლაციური პოლიტიკის წყალობით ჩვენ ვკარგავთ იმაზე მეტს, რისი გადახდაც რეპარაციების სახით ოცი წლის მანძილზე მოგვიწევს.“<sup>2</sup>

ზემოთ განხილული ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე ჩვენ ვნახეთ, რომ ბრიუნიგის მთავრობა მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების მხარდაჭერით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც კანცლერის დეფლაციური პოლიტიკისა და უმკაცრესი სანაციური კურსის მთავარი დარტყმა უნდა ეგემნა, ძირითადად საშუალო ფენა იყო. მასების პოლიტიკური სიმპათიების რადიკალური ძალების სასარგებლოდ ზრდის პირობებში ეს დიდი ტაქტიკური შეცდომა გახლდათ. ამიტომაც უწოდებს კ.-დ. ბრახერი ბრიუნიგის საშინაო კურსს „არაპოლიტიკურ პოლიტიკას“.<sup>3</sup> აღნიშნული მეთოდურად აქრობდა ვაიმარის რესპუბლიკის

ხანმოკლე არსებობის მანძილზე სოციალური ჯგუფებისა და პროფესიული გაერთიანებების მხრიდან რესპუბლიკურ-კონსტიტუციური სისტემისადმი ისედაც მცირე დოზით გამოხატულ ნდობის ხარისხს და მათ მნიშვნელოვან ნაწილს, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ასოციალური ელემენტებისა და პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერისკენ უბიძგებდა.

აღნიშნული ძალიან კარგად ჩინოვნიკებთან და სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში გამოვლინდა.<sup>4</sup> მათი დიდი ნაწილი, რომელიც მონარქიიდან რესპუბლიკანიზმზე გადასვლის მიუხედავად მაინც ინარჩუნებდა ძველ თანამდებობებს და შინაგანი მენტალობით კონსერვატორი იყო, საპარლამენტო ზედამხედველობისაგან მინისტრთა კაბინეტის გათავისუფლებას მიესალმებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ახლოვდებოდა დრო, როცა შესაძლებელი გახდებოდა კაიზერის დროინდელი პრივილეგიებისა და გავლენის დაბრუნება. ბრიუნინგის კანცლერობა მათი იმედგაცრუების დასაწყისად იქცა, რადგან სანაციის მიზნით გამოცემული ფინანსურ-ეკონომიკური შინაარსის თითქმის ყველა განსაკუთრებული დეკრეტი ამ ჯგუფის მდგომარეობასაც აუარესებდა. ბევრი მათგანი უმუშევართა მრავალმილიონიან არმიას შეუერთდა, რაც, ბუნებრივია, მათი უკმაყოფილების საფუძველი გახდა, რადგანაც კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ჩინოვნიკობის სამართლებრივი სტატუსიც კი ეჭვქვეშ დადგა.<sup>5</sup> როგორც მოვლენათა მსვლელობამ აჩვენა მთავრობამ ხელისუფლება ჩინოვნიკთა შტოს არ გაუნაწილა.

ბრიუნინგისთვის საბიუჯეტო ბალანსის შენარჩუნება უმაღლეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნად იქცა. ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითიც გამოგვადგება: 1931 წლის მაისში, როცა უმუშევართა რაოდენობა 4 მილიონს გადასცილდა, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი საკუთარ მემორანდუმში „ბიუჯეტის უზრუნველყოფას“ ყველა სხვა საკითხთან მიმართებაში „უპირატეს და მთავრობის პრიორიტეტულ ამოცანად“ მიიჩნევდა.<sup>6</sup>

1930 წლის მარტიდან თავი იჩინა ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთმა თავისებურებამ, რაც სოფლის მეურნეობისადმი აშკარა ლობიზმში გამოიხატა. იმ დროს, როცა მრეწველობის დოტაციის მაჩვენებელი ძალზე დაბალი იყო, ის არნახულად იზრდებოდა აგრარული სფეროს მიმართ. ფინანსური სანაციის პროცესის საპირისპიროდ, პრეზიდენტის აშკარა დაინტერესების გამო, „აღმოსავლური დახმარების“ ეგიდით სახელმწიფოს მიერ გაღებულმა სახსრებმა 2 მლრდ. მარკას გადააჭარბა. პინდენბურგის მხარდაჭერის პირობებში კვებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მარტინ შილეს საქმიანობა კანცლერისთვის უმართავი გახდა. აგრარული სექტორის აშკარა პრივილეგირებული მდგომარეობის მიუხედავად, მინისტრი ბრიუნინგისაგან ახალ დათმობებს ითხოვდა, რაც ავტრაქიაზე გადასვლასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის სრულ აკრძალვაში უნდა გამოხატულიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა 1931 წლის 27, 29 და 30 იანვარს რაიხსკანცელარიაში გამართული თათბირი, რომელსაც ბრიუნინგი, ბრანდესი („მწვანე ფრონტი“), გრაფი კალკროიტი („ლანდბუნდი“), ყოფილი რაიხსმინისტრი ჰერმესი, შილე, ეკონომიკის ექსპერტები – პროფ. ფერი და პროფ. ვარმბოლდტი, სახელმწიფო მდივნები – ჰაგენოვი, პიუნდერი და ფესლერი ესწრებოდნენ.<sup>7</sup>

კანცლერმა განმარტა, რომ იგი მზად იყო 1931 წლის 31 მარტიდან სოფლის მეურნეობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საბაჟო რეჟიმი აემოქმედებინა. რაც შეეხებოდა ავტარქიას – საერთაშორისო რეაქციის შიშით ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდა.<sup>8</sup> აღნიშნულმა დათმობამ აგრარიები მაინც არ დააკმაყოფილა და მათ პრესაში „ვაიმარის სისტემის“ საწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნება იწყეს, რომლებშიც მთავრობის გადაყენებას ითხოვდნენ.<sup>9</sup>

კაბინეტის წევრებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. შტეგერვალდი და დიტრიხი შილეს პროგრამას გადაჭრით აკრიტიკებდნენ. ცუდი სახაზინო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფინანსთა მინისტრი აგრარული სექტორის დაფინანსების შემდგომი

ზრდის წინააღმდეგი იყო, ხოლო ა. შტეგერვალდი ხელფასების კლების ფონზე აგრარულ პროდუქციასა და ნედლეულზე ფასების გაზრდის შემთხვევაში გადადგომით იმუქრებოდა.<sup>10</sup> კანცლერი იძულებული გახდა მათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეგულირების მაკეტია მხარდაჭერის მიზეზები განემარტა. ბრიუნინგს მიაჩნდა, რომ ამით „მწვანე ფრონტს“ სამთავრობო პოზიციებზე გადმოიყვანდა, რითაც ბზარს შეიტანდა მემარჯვენე ოპოზიციის ერთობაში.<sup>11</sup> მთავრობის მასობრივი სოციალურ-პოლიტიკური ბაზის გაფართოების მიზნით მას სამსხვერპლოზე მიჰქონდა ის შესაძლო ზარალი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტის შემცირება მიაყენებდა ქვეყანას.

1931 წლის 31 მარტს შილემ კაბინეტს ეკონომიკის ახლებურად მოწყობისთვის „ყველაზე მეტად აუცილებელი“ ღონისძიებების ნუსხა წარუდგინა, რომლის შინაარსიც მისი სამინისტროს პრეროგატივას სცილდებოდა. აღნიშნულმა ქმედებამ „რკინის ნერვების მქონე კანცლერიც“ კი წონასწორობიდან გამოიყვანა და ბრიუნინგმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა უარი აგრარულ სექტორთან კოოპერაციაზე.<sup>12</sup> ამით, ფაქტიურად, შილეს პრეტენზიებს და „ახალ ინიციატივებს“ მთავრობის სხდომებზე წერტილი დაესვა, მის მიერ წამოყენებული მოთხოვნებიდან – მხოლოდ ზეთზე ფასის მატება განხორციელა და ისიც 1932 წლის იანვარში.

ამრიგად, იუნკრებთან, ფერმერებთან, მსხვილ და საშუალო გლეხებთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორებთან მთავრობის ურთიერთობა ამ პერიოდიდან იწყებს გაუარესებას. ეს გასაგებიცაა, რადგან უკანასკნელთა უზომო და, რაც მთავარია, არარეალური თუ პოტენციურად ნულოვანი ეფექტის მქონე მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კაბინეტი დაკარგავდა იმ ძალასაც, რომლის სრული მხარდაჭერაც ამ ეტაპზე უდავოდ გააჩნდა. საუბარია გერმანიის მრეწველთა საიმპერიო საბჭოს წევრთა უმრავლესობაზე.

უმუშევრობის განუხრელი ზრდა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, დაუცველობისა და უიმედობის განცდა რადიკალურ პარტიებს ახალ-ახალი წარმატებების მიღწევის შანსს

აძლევდა. საპარალმენტო სიბრტყიდან მოვლენათა ეპიცენტრის ქუჩაში გადატანამ მათ დემაგოგიურ ლოზუნგებს ძალზე ბევრი მხარდამჭერი შესძინა, რომელთა რიცხვშიც ახალგაზრდები სჭარბობდნენ. მასობრივი სოციალური ბაზის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის ფენომენი კი სრულიად უცნობი იყო გერმანული სინამდვილისათვის. ნაცისტებმა მოახერხეს და თავიანთ პარტიაში დათრგუნეს ის, რაც ქვეყნის ისტორიაში მანამდე ვერცერთმა ძალამ ვერ შესძლო: ქონებრივი, წოდებრივი და კონფესიონალური დაპირისპირება. ამ თვალსაზრისით გნეშა გახლდათ ახალი ტიპის უკიდურესად რეაქციული პარტია, რომელთანაც გამკლავება არა თუ ვაიმარის დეზინტეგრირებულ სისტემაში არსებულ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებს, არამედ სრულყოფილ დემოკრატიაში თავისუფლად ფუნქციონირებად ძალებსაც კი გაუჭირდებოდათ. ის იყო იმდროინდელი გერმანიის „უნივერსალური გაერთანება“, რომლის მომხიბლავი ლოზუნგები ერთნაირად მიმზიდველ ეფექტს ახდენდა ყველა სოციალური თუ ასოციალური ჯგუფის წარმომადგენელზე. მისი დროშის ქვეშ ერთნაირი შემართებით ერთაინდებოდნენ არისტოკრატებიც და გლეხებიც, მრეწველებიც და მუშებიც, ახალგაზდებიც და ხანდაზმულებიც, ჩინოვნიკებიც და წვრილი მოვაჭრენიც, კათოლიკენიც და ლუთერანებიც, ავაზაკებიცა და პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებული პატიოსანი მოქალაქენიც. მართალია, მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ის სახე, რომელიც 1934 წლის შემდეგ მიიღო, მაგრამ მისი ხელმძღვანელობის ორგანიზატორული ტალანტი და ენერგია ამის უეჭველად მიღწევის გარანტიას იძლეოდა. მთელი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ტოტალიტარული ძალა გახლდათ და წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მონიზმის, კერპთაყვანისმცემლობისა და ფანატიზმის პრინციპზე იყო აგებული.

1930 წლის 14 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაცისტებმა წარმატებული კამპანიები ჩაატარეს ტიურინგიასა და ოლდენბურგში და იქაურ ლანდტაგებშიც უმრავლესობა მოიპოვეს. პიტლერი ჯერ-ჯერობით არ არღვევდა ლაიპციგის სასამართლო

პროცესზე მიცემულ „პატიოსან სიტყვას“, მაგრამ მოიერიშეთა რაზმები უკვე მთელ გერმანიას ატერორებდნენ. ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან ორგანიზაციის ძლიერება მის საბოლოო ნატურალიზებას მოითხოვდა, რაც ხელისუფლების სათავეში მოსვლით დასრულდებოდა.

საინტერესოა იმის ნათლად წარმოჩენა თუ ვინ და როგორ იდგა ნაცისტთა საპირტონებდ იმ ბანაკში, რომელსაც ფორმალური თვალსაზრისით ჯერ კიდევ რესპუბლიკად მოიხსენიებდნენ? აქ უდავოდ გამორჩეული გახლდათ ხელისუფლებიდან გაძევებული, მაგრამ ფუნქციებშეგვეცილ რაიხსტაგში ჯერ კიდევ უდიდესი ფრაქციის მქონე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. სხვათაშორის ეს ის პარლამენტია, რომელიც 1931 წლის თებერვლის დამდეგს დემონტრაციულად დატოვეს ნაცისტებმა, ხოლო იქ დარჩენილ დეპუტატებს ი. გებელსი „თუჯის უკანალიან“ პარტიათა წარმომადგენლებს ეძახდა.<sup>13</sup> სამწუხაროდ, ეს ვულგარული ტერმინი საოცარი სიზუსტით ახასიათებდა არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას, არამედ ყველა იმ გაერთიანებასაც, ვისი მისამართითაც იყო ნათქვამი.

1931 წლის 31 მაისს ლაიპციგში მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხელმძღვანელობაც კი შიშით ადევნებდა თვალ-ყურს ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესებს. საქმე იმაშია, რომ 1931 წლის დამდეგიდან პარტიაში გაძლიერდნენ მემარცხენე ჯგუფები, რომლებიც მწვავედ აკრიტიკებდნენ „მოთმინების პოლიტიკას“. ასე მაგალითად; რაიხსტაგის დეპუტატი ჰესენიდან კარლ მიერენდორფი, სოციალ-დემოკრატთა ახალი თაობის წარმომადგენელი, საკუთარი პარტიის ხელმძღვანელობის მთავრობისადმი დამოკიდებულებას შემდეგნაირად აფასებდა: „კაბინეტის პოლიტიკურმა საქმიანობამ ყოველგვარი შემოქმედებითი სახე დაკარგა და ადმინისტრაციულ სქემატიზმში გადაიზარდა. სოციალ-დემოკრატიამ ყველა პროცესს დიდი სიფხიზლით უნდა ადევნოს თვალი, რათა მასში დროულად ჩარევის შანსი ჰქონდეს. მოთმენა უნდა დასრულდეს იქ, სადაც წარმატების მიღწევის შესაძლებლობა საეჭვო ხდება.“<sup>14</sup>

პარტიის ხელმძღვანელობამ მაინც მოახერხა საკუთარი პოზიციის გატანა. უფრო მეტიც, ყრილობაზე ვილჰელმ სოლმანმა, რომელმაც 1931 წლის 20 მარტს, პ. მიულერის გარდაცვალების გამო, რაიხსტაგის ფრაქციის ლიდერი გახდა, ფორუმზე გამოსვლისას ხაზგასმით მიუთითა „მოთმინების პოლიტიკის წყალობით ჩვენ ნაციონალ-სოციალიზმს ხელისუფლებისკენ მიმავალი გზა გადავუდობეთ.“<sup>15</sup> ამავე პოზიციას იზიარებდნენ რ. ბრაიტშაიდი და ფ. ტარნოვი. ფორუმმა არ გაიზიარა მ. ზაიდევიცისა და როზენფელდის პოზიცია, რომლებიც „ტოლერანტიზმის“ შეწყვეტას და მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის გაჩაღებას მოითხოვდნენ.

გსდპ-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელი იქნებოდა მუშათა კლასის პროფესიონალური და პოლიტიკური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების, სოციალურ ლირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი სისტემის ეტაპობრივი ფორმირების შედეგად. ამ აშკარა კონფორმისტული დოქტრინით ისინი ცდილობდნენ გამიჯვნოდნენ გპპ-ს, რომელიც აღნიშნულის ხორცშესხმის ერთადერთ გზად რევოლუციას მიიჩნევდა.

ცხადი გახდა, რომ ვაიმარის რესპუბლიკის სინამდვილეში ჩატარებულ უკანასკნელ ყრილობაზეც კი, გსდპ-ს – როგორც მისი არსებობის უძირითადეს გარანტორ ძალას, საზოგადოებისთვის და პოლიტიკური პროცესებისთვის ახალი იმპულსის მიცემის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. ეს ლაიპციგში მიღებული გადაწყვეტილებების ხასიათშიც გამოვლინდა. ძირითადი აქცენტი პარტიული დისციპლინის შემდგომ გამყარებას და „მოთმინების პოლიტიკის“ უალტერნატივობაზე გაკეთდა. „აღნიშნულის წყალობით პარტია გაძლიერდა შიგნიდან, მაგრამ დაკარგა გარეგნული მიმზიდველობის ეფექტი და კრიზისულ ვითარებაზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები“.<sup>16</sup> ამის გამო მისი მხარდაჭერი ელექტორატის საკმაოდ დიდი ნაწილი კომუნისტთა ბანაკში გადაბარგდა, რამაც თავი

მომდევნო წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს იჩინა.<sup>17</sup>

მთავრობის წარუმატებელმა საშინაო პოლიტიკამ მისი მომხრე რესპუბლიკური ორგანიზაციებიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. კათოლიკური ცენტრის, გერმანიის სახელმწიფო პარტიის და გერმანიის სახალხო პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ახსნა-განმარტებანი მიეცა საკუთარი ამომრჩევლებისა და აპარატის წევრებისთვის იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა გაეგრძელებინათ მათ „შიმშილის კანცლერის“ მიერ წარმოებული კურსის შემდგომი მხარდაჭერა. ეს ძალზე ძნელი პროცესი გახლდათ და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, შეუძლებელიც კი. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიები იძულებული იყვნენ გადაესინჯათ საკუთარი დამოკიდებულება კაბინეტისადმი. თუ ამ პროცესმა კათოლიკურ ცენტრსა და სახელმწიფო პარტიაში 1932 წლის მარტში იჩინა თავი, გსპ-ში იგი უკვე 1931 წლის მაის-ივნისში იყო სახეზე. ფინანსური კრიზისის უკიდურესმა გამწვავებამ, რომელიც ახლა საბანკო სექტორის კრახში გამოვლინდა, ედუარდ დინგელდაის საბოლოოდ უბიძგა. მემარჯვენე ძალებისკენ.<sup>18</sup>

როგორ ვითარებაში იმყოფებოდა გნსპ-ც. ა. ჰუგენბერგის მიერ აღებული მცდარი კურსი, რომელიც ნაცისტური ორგანიზაციის საკუთარი პოლიტიკური მიზნების ფარვატერში მოქცევას გულისხმობდა, დამდუპველი აღმოჩნდა. პარტია კატასტროფული ტემპით კარგავდა ზეგავლენის არეალს და მისი იდეოლოგიური დოგმების გამზიარებლად მხოლოდ ის წრე რჩებოდა, რომლის ამჟამინდელი წონა მისი გარდასული დიდების აჩრდილსდა პგავდა – ანუ გვაროვნული არისტოკრატია და იუნკრობა.

რაც შეეხება გერმანიის კომუნისტურ პარტიას, მისი ხელმძღვანელობა კვლავინდებურად „სოციალ-ფაშიზმის“ დოქტრინის ტყვეობაში იმყოფებოდა, ებრძოდა გსდპ-ს და „რევოლუციური სიტუაციის“ მოდელირება-ინსპირირების ილუზიური გეგმებით იყო დაკავებული.<sup>19</sup>

პოლიტიკური სპექტრის ამგვარი განლაგებითა და განწყობით გერმანია არასტაბილური, არაპროგნოზირებადი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს იხვეჭდა. ეს სინამდვილეშიც ასე იყო. პარლამენტის სხდომების დროებითმა შეწყვეტამ და პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრად ქუჩის გადაქცევამ სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა სამართალდამცავი ორგანოები. გერმანიის დიდი ქალაქები ყავისფერი და წითელი ბანაკის დაპირისპირების არეალად იქცა. ი. კ. ფესტს აღნიშნული პრობლემის საილუსტრაციოდ ჰიტლერის მიერ 1931 წლის ბოლოს გაკეთებული განცხადება მოჰყავს, რომ მარტო მისმა პარტიამ შეტაკებებში 50 ადამიანი დაკარგა დაღუპულთა სახით, 4000-მდე კი დაიჭრა.<sup>20</sup> ამ ციფრების რეალურობა შესაძლოა ეჭვებელი დავაყენოთ, მაგრამ ექსცესებს მართლაც ქონდა ადგილი და ქვეყანა სამოქალაქო ომთან მიახლოებულ სიტუაციაში იმყოფებოდა.

შიდაპოლიტიკური და სამართლებრივი სიტუაციის სტაბილიზების მიზნით პრუსიამ, ფედერაციის სხვა სუბიექტებთან ერთად, მთავრობისგან ქმედითი ღონისძიებების გატარება მოითხოვა. შედეგად 1931 წლის 28 მარტს რაიხსკრეზიდენტმა ხელი მოაწერა განსაკუთრებულ დეკრეტს „პოლიტიკურ ექსცესებთან ბრძოლის შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით შემოღებული იქნა სასამართლოში საქმის დაჩქარებული წესით წარმოების პრაქტიკა, შეიზღუდა დემონსტრაციების ჩატარების, უნიფორმის ტარების, ახალი კავშირების შექმნის და აგიტაცია-პროპაგანდის უფლებანი.<sup>21</sup>

ამ დეკრეტმა ქ. წ. „ნაციონალურ ოპოზიციაში“ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 29 მარტს გნსპ-ის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ნიურნბერგში ჩატარდა, ა. ჰუგენბერგმა განაცხადა, რომ რაიხსკრეზიდენტი უპირისპირდებოდა იმ ძალებს, რომელთა წყალობითაც 1925 წელს იგი ამ პოსტზე აირჩიეს. პროტესტის და დაუმორჩილებლობის ნიშნად „ფოლადის მუზარადმა“ 31 მაისს სკაგერაკის ბრძოლის აღსანიშნავად ვროცლავში 150 ათას კაციანი დემონსტრცია ჩაატარა. ოთხი დღით ადრე ნაცისტთა საპარლამენტო ფრაქციამ 28 მარტის განსაკუთრებული დეკრეტი „კონსტიტუციის

წარმოუდგენელ დარღვევად“ შეაფასა და პინდენბურგის გადაყენება მოითხოვა.

ასე, რომ მთავრობამ, პარლამენტის დათხოვნის მიუხედავად, რადიკალური პოლიტიკური ტალღის შესუსტება ვერ მოახერხა. ამიტომ, ბრიუნინგი ძალების მაქსიმალური დაძაბვით შეეცადა საგარეო კუთხით იმგვარი წარმატებისთვის მიეღწია, რომელიც ყველა საშინაო პრობლემას გადაფარავდა, მოსპობდა „გერმანული არასრულფასოვნების კომპლექსს და უკანასკნელ მომენტში ქვეყანას კატასტროფიდანაც ისენიდა.“<sup>22</sup>

1931 წლის გაზაფხულზე კაბინეტმა სამი საგარეო პოლიტიკური ამოცანის განხორციელება დაისახა მიზნად: რეპარაციების გაუქმება; შეზღუდვების მოხსნა შეიარაღებაზე და ავსტრიის ეკონომიკური ანშლუსი. ამ გეგმის ხორცშესხმა მესამე პუნქტით დაიწყო, რადგან გერმანული მხარე ჯერ კიდევ ჰ. მიულერის კანცლერობისას აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამ საკითხზე ავსტრიის ბუნდესკანცლერ შობერთან.<sup>23</sup>

1931 წლის 28 თებერვლის სამთავრობო სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა კურციუსმა საგანგებოდ მიუთითა, რომ ავსტრიასთან მიმდინარე მოლაპარაკებები დადებითი შედეგის მიღწევის შანსს იძლეოდა.<sup>24</sup> იმისათვის, რათა ევროპულ სახელმწიფოთა უარყოფითი რეაქცია აეცილებინათ თავიდან, გერმანელი დიპლომატები ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ყველაფერი რეგიონალური ხელშეკრულებების მეშვეობით ევროპის ქავენების ეკონომიკური თანამშრომლობის მოდერნიზება-ინტეგრაციის მიზნით კეთდებოდა.

მოსალოდნელი საფრთხეების მიუხედავად, 1931 წლის 19 მარტს გერმანია-ავსტრიის საბაჟო კავშირი მართლაც გაფორმდა, რამაც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის პროტესტი გამოიწვია. განსაკუთრებით ფრანგები აქტიურობდნენ, რადგან მათ ძალზედ ეშინოდათ კონტინენტურ ევროპაში გერმანიის პოზიციების გაძლიერებისა.<sup>25</sup> საფრანგეთის კატეგორიული მოთხოვნით აღნიშნული

საკითხი 1930 წლის მაისში ერთა ლიგის საბჭოს განხილვის ობიექტი გახდა, რომელმაც იგი გასარჩევად ჰპაგის საერთაშორისო სასამართლოს გადასცა. საბოლოო ვერდიქტი გერმანული მხარის სრულ მარცხს მოასწავებდა. 1931 წლის 5 სექტემბერს რვა ხმით, შვიდის წინააღმდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ საბაჟო კავშირი შინაარსობრივად ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის მიერ 1922 წელს უნივერს პროტოკოლით ნაკისრ ვალდებულებებს. ორი დღით ადრე, 3 სექტემბერს, ფინანსური კრიზისის არნახული გამწვავების პირობებში, რაც საბანკო სექტორის სრულ კრახში გამოვლინდა, გერმანიამ და ავსტრიამ გაფორმებული ხელშეკრულება ბათილად ცნეს.

ეს ბრიუნინგის საგარეო პოლიტიკური დებიუტის ფიასკოზე მიუთითებდა. საბაჟო კავშირის იდეა და მისი განხორციელებისკენ გადადგული ნაბიჯები საბედისწერო დოპლომატიური შეცდომა იყო. მან გერმანიის პარტნიორებს გაუქრო ის ნდობა, რომლის მოხვეჭასაც ფაქტიურად საკუთარი სიცოცხლე შესწირა გ. შტრეზემანმა.

ცხადია, რომ ამგვარი საგარეო პოლიტიკური წარუმატებლობა სტაბილიზების ნაცვლად კიდევ უფრო აუარესებდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას. იმ დროს, როცა ერთა ლიგის საბჭო საბაჟო კავშირის პრობლემას განიხილავდა (მაისი) გერმანული პრესა კატეგორიულად ითხოვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ი. კურციუსის გადაყენებას.<sup>26</sup>

საბაჟო კავშირის გაფორმების მცდელობას კატასტროფული ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. საპასუხო სკლის სახით ფრანგმა კრედიტორებმა თანხების გატანა დაიწყეს ავტორიტეტული ავსტრიული „კრედიტანშტალტ ბანკიდან“, რამაც 11 მაისს მისი სრული პარალიზება გამოიწვია. კურციუსმა გერმანიის მინისტრთა კაბინეტის 18 მაისის სხდომაზე ამ ბანკის გადარჩენისა და ავსტრიაზე საფრანგეთის ზეწოლის შერბილების მიზნით დახმარების აუცილებლობაზე ისაუბრა.<sup>27</sup> აღნიშნულის განხორციელების კატეგორიული მოწინააღმდეგენი იყვნენ სახელმწიფო მდიგარი შეფერი, საიმპერიო ბანკის პრეზიდენტი ლუთერი და მისი მოადგილე დრაისე. ისინი თვლიდნენ, რომ კერძო ბანკის („კრედიტანშტალტ ბანკი“) აქციათა

პაკეტის შეძენა მიზანშეწონილი ქმედება არ იყო. თავად ბრიუნინგი საერთაშორისო კონსორციუმის ფორმირებისა და მისი მეშვეობით საფრანგეთისთვის ავსტრიული ბანკის აქციების შესყიდვაში ხელის შეშლის მომხრე იყო. საბოლოოდ „კრედიტანსტალტის“ აქციათა პაკეტი ინგლისელებმა იყიდეს, რითაც გერმანელთა მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.<sup>28</sup>

საბანკო კრიზისმა გერმანიაშიც მაისში იჩინა თავი, მაგრამ მან პიკს ივლისში მიაღწია, როცა ორი უმსხვილესი დაწესებულება - „დანატბანკი“ და „დრეზდენერ ბანკი“ გადახდისუუნარო გახდა.<sup>29</sup> ამ ფაქტმა გერმანული ეკონომიკის ყველაზე სუსტი მხარე გამოავლინა. საქმე იმაშია, რომ ინფლაციური პერიოდიდან მოყოლებული, ვაიმარის რესპუბლიკის საბანკო სისტემა უცხოურ მოკლევადიან სესხებზე იყო დამოკიდებული. მოცემულ სიტუაციაში კრიზისის და განსაკუთრებით ავსტრიასთან საბაჟო კავშირის გაფორმების გამო, გერმანიიდან უცხოური კაპიტალის მასობრივი გადინება დაიწყო. ფინანსთა მინისტრ დიტრიხისა და რაიხსბანკის პრეზიდენტ ლუთერის მიერ სამთავრობო სხდომებზე გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, რომ ამ პროცესმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. 1-დან 12 ივნისამდე საბანკო სისტემის დანაკარგმა 900 მლნ. მარკა შეადგინა. საქმეს ვერც დისკონტის 5-დან 7%-მდე გაზრდამ უშველა და მარტო 17 ივნისს ზარალმა 70 მლნ. მარკას მიაღწია.<sup>30</sup> ამით რაიხსბანკის უცხოური ვალუტის მარაგი 3 მლრდ.-დან 1,7 მლრდ. მარკამდე შემცირდა, რაც შეუძლებელს ხდიდა იუნგის გეგმით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, აქციონერთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ა. შ.. ფაქტიურად, გერმანია არაგადახდისუნარიან სახელმწიფოდ იქცა. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი მას საგარეო ვალების დაფარვა 1932 წლის მარტამდე შეეძლო.<sup>31</sup> გადახდისუნარიანი ქვეყნის იმიჯის შექმნის მიზნით მთავრობამ უცხოურ სესხებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის მეთოდს მიმართა. რაიხსბანკის პრეზინედტი ლუთერი საკრედიტო პროცენტული განიკვეთის დაწევით ინდუსტრიის საბანკო სექტორით დაინტერესებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. მრეწველთა დიდმა

ნაწილმა უარი თქვა ამ პროექტში მონაწილეობაზე. ამიტომ, 8 ივლისის განსაკუთრებული დეკრეტის მეშვეობით პრეზიდენტმა ამგვარი გარანტიები იძულების წესით შემოიღო.<sup>32</sup> მართალია, მთავრობამ საბაკო სექტორის კრახისაგან ნაწილობრივ გადარჩენა მოახერხა, მაგრამ კრიზისი ამ სფეროში ამით არ ამოწურულა.

ყოველივე აღნიშნული 1931 წლის მაის-ივლისში გერმანიაში შექმნილ ურთულეს მდგომარეობაზე მეტყველებს. ამის მიუხედავად, ბრიუნინგი მაინც არ კარგავდა საგარეო პოლიტიკაში გარდვევის განხორციელების იმედს. ამაზე მიუთითებს კაბინეტის 3 ივნისის სხდომაზე მის მიერ გაკეთებული განცხადება. იგი ლონდონში ვიზიტისთვის ემზადებოდა და პრემიერ-მინისრტ რ. მაკდონალდისათვის შემდეგნაირად აპირებდა გერმანიის პოზიციის ახსნას: „პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ფინანსურად ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობაშია. ჩვენ ვაღიარებთ, რომ უხეში შეცდომები დავუშვით, მაგრამ შეცდნენ სხვებიც. გერმანია, მასზე დაკისრებული „ხარკის“ გამო, ეწინააღმდეგება მსოფლიო ეკონომიკას. ეს განპირობებულია იმით. რომ ჩვენ შევიწროებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით და იძულებულნი ვართ ამგვარად ვიმოქმედოთ.“<sup>33</sup> აშკარაა, კანცლერი რეპარაციების საკითხის „მოგვარების საქმეში“ საკუთარი ქვეყნის გამწვავებული ვითარების „კოზირად“ გამოყენებას აპირებდა.

იგივე შინაარსისაა მის მიერ გერმანები ხალხისადმი გაკეთებული მიმართვის ტექსტიც: „ჩვენ დავძაბეთ ყველა ძალა, რათა წაგებული ომის შედეგად ნაკისრი ყველა ვალდებულება შეგვესრულებინა. რაშიც დიდწილად უცხოური კრედიტებიც გვეხმარებოდა. ამიერიდან ამის გაკეთება შეუძლებელია. გერმანიის მთავრობა მოვალეა საკუთარი მოსახლეობის ყველა ფენის სახელით მთელ მსოფლიოს განუცხადოს: პასუხისმგებლობის ზღვარი, რომელიც გერმანებ ერს შეიძლებოდა დაკისრებოდა მიღწეულია!“<sup>34</sup>

პარადოქსია, მაგრამ წინა დღეს კანცლერმა „ზღვარსგადასული ტანჯვით“ გაწამებულ გერმანებ ერს ახალი, რიგით მეორე განსაკუთრებული დეკრეტი უსახსოვრა სათაურით - „ფინანსებისა და ეკონომიკის უზრუნველყოფის შესახებ“, რომლითაც „თვითგვემის

დონე“ ახალ ხარისხში აიყვანა. იგი ჩინოვნიკთა და მოსამსახურეთა ხელფასების განმეორებით 4-8%-ით შემცირებას, შრომისა და ომის ვეტერანთა პენსიების, ინვალიდთა შემწეობების, უმუშევართა დაზღვევის ფონდში გადასარიცხი თანხების 6,3-14,3%-ით შეკვეცას, ამ კატეგორიაში შემავალ პირთათვის ასაკის 16-დან 21 წლამდე გაზრდას ითვალისწინებდა. უმუშევართათვის ასანაზღაურებელი პერიოდის ხანგრძლივობამ 26-დან 13 კვირამდე მოიკლო, შემოღებული იქნა მაღალ ხელფასზე განსაკუთრებული საშემოსავლო გადასახადი და ა. შ. გარდა ამისა, ახალი განსაკუთრებული დეკრეტი გერმანიის მოქალაქეობის არმქონე პირთა იმპერიიდან გაძევებას და ამ გზით 120 ათასი უმუშევრის დასაქმებას ითვალისწინებდა. ამ მუშახელის ანაზღაურებისთვის 200 მლნ. მარკა გამოიყო. დაწესდა ე. წ. ნებაყოფლობითი შრომითი ვალდებულების სისტემა, რომლის გამართულ საქმიანობაზეც პასუხისმგებლობა უმუშევართა დაზღვევის საშუალებელ კანტორას დაეკისრა. მთავრობა იმედოვნებდა, რომ სამუშაოდაკარგულ პირთა დასაქმებას გზების, სხვა საკომუნიკაციო საშუალებების, მელიორაციული სისტემების მშენებლობებზე და აგრარულ სექტორში მოახერხებდა.<sup>35</sup>

ამ დეკრეტმა რაიხსტაგის წევრ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოს მოწვევის იდეა გაუჩინა. ფაქტიურად, ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია პროტესტს გამოხატავდა. ნაცისტებზე, კომუნისტებზე, გნეპ-ზე და გსპ-ზე რომ არაფერი ვთქვათ, უკვე თვით კათოლიკური ცენტრის პარტიის წევრებიც ვეღარ მალავდნენ კაბინეტის ანტისოციალური კურსით უკმაყოფილებას. თავად ბრიუნინგი ამ დროისათვის (6-9 ივნისი) ოფიციალური ვიზიტით დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა. ლონდონიდან დაბრუნებულ კანცლერს ბრემერსპაფენიდან ბერლინამდე ყველა რკინიგზის სადგურში გაცოფებულ ნაცისტთა ბრბო ხვდებოდა, რომლებიც ქვებს უშენდნენ მის მატარებელს. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა ბერლინში, სადაც ფრიდრიხშტრასეზე მდებარე ვაგზლიდან გამოსვლისას ბრიუნინგი ნაცისტთაგან მხოლოდ პრუსიის პოლიციის ოპერატიულობამ იხსნა.

რაიხსკანცელარიაში მისვლისას მას პიუნდერმა, დიტრიხმა და მაისნერმა მოახსენეს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ. კანცლერი ხვდებოდა, რომ შექმნილ ვითარებაში რაიხსტაგის შეკრება მისი კაბინეტისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით მან 15 ივნისს კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე კომუნისტებისა და ნაცისტების გარდა ყველა წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიწვია. ვიდრე ამ შეხვედრის დეტალებზე ვისაუბრებდეთ მოკლედ შევეხოთ ძირითადი პარტიების დამოკიდებულებას რაიხსტაგის მოწვევის საკითხისადმი.

1931 წლის 9 ივნისს ვიცე-კანცლერი ჰ. დიტრიხი სახელმწიფო პარტიის რაიხსტაგის ფრაქციის წევრებს შეხვდა. მათ თავიანთ ლიდერს სრული ნდობა გამოუცხადეს, მაგრამ უმუშევართა დაზღვევის ფონდში გადასარიცხი თანხების გაზრდა მოითხოვეს.<sup>36</sup>

14 ივნისს პილდსპაიმში შედგა კათოლიკური ცენტრის პარტიის მმართველი აპარატის სხდომა, რომელსაც ბრიუნინგიც ესწრებოდა. ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამჟამინდელ ვითარებაში საკანონმდებლო ორგანოს მოწვევა მიზანშეუწონდად იქნა მიჩნეული.<sup>37</sup>

დიფერენცირებული საშემოსავლო გადასახადის დაწესებამ უკიდურესად გააღიზიანა გერმანიის სახალხო პარტიის გამგეობა. 11 ივნისს შედგა გსპ-ის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა. 15 სეიმ 13-ის წინააღმდეგ დეპუტატებმა რაიხსტაგის მოწვევის გადაწყვეტილება მიიღეს. 13 ივნისს ე. დინგელდაი ჰ. ბრიუნინგს და ლ. კაასს შეხვდა. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ მისი პარტია კატეგორიულად ითხოვდა კაბინეტში პერსონალური ცვლილებების განხორციელებას (დიტრიხის და კურციუსის გადაყენება), 5 ივნისის განსაკუთრებული დეკრეტის გაუქმებას და იმ დროისთვის არსებული ყველა კოლექტიური ხელშეკრულების ბათილად ცნობას.<sup>38</sup>

12 ივნისის სხდომაზე სოციალ-დემოკრატია ფრაქციამ კანცლერის მხარდაჭერის სანაცვლოდ ახალგაზრდა უმუშევრების სახელმწიფო

დაზღვევით უზრუნველყოფა და ამ მიზნით, 5 ივნისის განსაკუთრებული დეკრეტის 87-ე და 105-ე პარაგრაფების შეცვლა მოითხოვა.<sup>39</sup>

მთავრობის მიმართ პრეტენზიებს არ მაღავდნენ ეკონომიკური პარტია, ლანდფოლკი და ბავარიის სახალხო პარტია. პირველი სოციალური ხარჯების შეპვეცას, მეორე აგრარული სექტორის ბანკებისადმი დავალიანების გადახდაზე მორატორიუმის გამოცხადებას, ხოლო მესამე ფედერაციის სუბიექტების მიმართ საგადასახადო შედაგათების დაწესებას მოითხოვდა. ბავარიის სახალხო პარტიის რაიხსტაგის ფრაქციის ლიდერი პრელატი ლაიხტი ეჭვს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ მისი ფრაქცია თავს შეიკავებდა პარლამენტის მოწვევის საკითხის მხარდაჭერისაგან.<sup>40</sup>

კანცლერს აღნიშნული პრობლემების თაობაზე საუბარი რაიხსპრეზიდენტთანაც ჰქონდა ნოიდეკში. რომელიც პრინციპში არ იყო კაბინეტში პერსონალური ცვლილებების განხორციელებისა და სოციალ-დემოკრატია მოთხოვნების დაკმაყოფილების წინააღმდეგი. ბრიუნინგმა მას განუმარტა, რომ თუ სოციალ-დემოკრატია პრეტენზიების გათვალისწინება მოხდებოდა, მაშინ სახალხო პარტია დაუყოვნებლივ მოითხოვდა სატარიფო და შრომითი ხელშეკრულებების სისტემის გადასინჯვას, რაც ისედაც დაძაბულ სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაამძაფრებდა. პრეზიდენტმა კანცლერს დამოუკიდებელი მოქმედების ნებართვა მისცა.

ასეთ ვითარებაში 1931 წლის 15 ივნისს ბრიუნინგი რაიხსკანცელარიაში წამყვანი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა. მთავრობის მხრიდან მასში მონაწილეობდნენ ჰ. დიტრიხი, ი. კურციუსი, ი. ვირტი, ა. შტეგერვალდი, ვ. გრენერი, შეტცელი, მ. შილე, გ. ტრევირანუსი, ჯოელი, ტრენდლენბურგი, ჰ. პიუნდერი, პაგენოვი და ცეხლინი; საკანონმდებლო ორგანოს და პარტიებს წარმოადგენენენ: რაიხსტაგის პრეზიდენტი ლიობე, პარლამენტის პრეს-სამსახურის უფროსი ესერი, ლ. კაასი, პერლიტიუსი, ერზინგი (ცენტრი), დინგელდაი, დაუხი, თილი (გსპ), მოლატი, საქსენბერგი (ეკონომიკური პარტია), დიორბიხი, გარეკე (ლანდფოლკი),

ზიმპფენდორფერი, ლინდაინერ-ვილდაუ (ქრისტიანულ-სოციალური სამსახური), ლაიხტი, რაუხი (ბავარიის სახალხო პარტია), ვებერი და მაიერი (სახელმწიფო პარტია). სოციალ-დემოკრატია პრუსიის მთავრობის სახით იყო წარმოდგენილი (ო. ბრაუნი, პ. ზევერინგი და სახელმწიფო მდივანი ვაისმანი). რაიხსბანკის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ლუთერი და ფონ კარლორფი.<sup>41</sup>

საუბრის დასაწყისშივე კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი უაღრესად კმაყოფილი იქნებოდა, თუკი ხვალ რაიხსტაგის უხუცესთა საბჭო საკანონმდებლო ორგანოს მოწვევის გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ასეთ შემთხვევაში კაბინეტი პარტიათა წარმომადგენლებთან (კომუნისტების გარდა) ამ ტიპის თანამშრომლობის გაგრძელების პირობას დებდა.

„მთავრობა გრძნობს, რომ 1931 წლის 5 ივნისის განსაკუთრებული დეკრეტის ზოგიერთი მუხლი ძალზედ მკაცრია, მაგრამ მასში ამ ეტაპზე ცვლიბების შეტანის შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგან ეს მთელი შენობის ნგრევას გამოიწვევს. ამიტომ კაბინეტი შემდგომი კონსულტაციების გაგრძელებისთვის მზადაა იმ წინასწარი პირობით, რომ კანონში ცვლილებები არ შევა.“<sup>42</sup>

ბრიუნინგმა გულახდილად აღიარა, რომ შექმნილ სიტუაციაში რაიხსტაგის მოწვევა კატასტროფული შედეგით დასრულდებოდა არა მხოლოდ მთავრობისთის, არამედ სახელმწიფოსთვისაც. „დეფლაციური პოლიტიკის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელია. უმდაბლესი წერტილი რომლისთვისაც უნდა მიგვეღწია, რათა დაგვერწმუნებინა მთელი მსოფლიო იმაში, რომ ჩვენ ხელადებით არ გვსურდა კაბალური ხელშეკრულებების გაუქმება – მიღწეულია. საიმპერიო მთავრობა რამოდენიმე კვირაში ელოდება რეპარაციათა საკითხის საბოლოო გადაჭრას. ამისათვის საჭიროა სტაბილურიბის შენარჩუნება, რათა მოპირდაპირე მხარის წინაშე უსასოო მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს პოზიციით არ წარვსდგეთ.

უცხოეთიც გრძნობს, რომ გერმანია რეპარაციათა მოგვარებას ცდილობს. ისინი ამერიკის სახელმწიფო მდივან სტიმსონის ბერლინში

ვიზიტის შედეგებს ელოდებიან. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კაბინეტი შიდაპოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით სასიცოცხლოდაა დაინტერესებული იმაში, რომ არ დაუშვას რაიხსტაგის სესიის გახსნა.“<sup>43</sup>

კანცლერის შესავალი სიტყვის შემდეგ პოზიციების დაფიქსირება პარტიათა წარმომადგენლებმა დაიწყეს. ლ. კაასი სრულად იზიარებდა მთავრობის მოსაზრებას. ო. ბრაუნმა განაცხადა, რომ „რადგან კანცლერი რეპარაციების გაუქმებაზე იდებს პასუხისმგებლობას, უმჯობესი იქნება თუკი რაიხსტაგის სხდომა შემოდგომაზე შედგება.“<sup>44</sup> პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. ზევერინგმა უურადღება ნაცისტებისა და კომუნისტების დესტრუქციულ საქმიანობაზე გაამახვილა და ფედერალურ მთავრობას მოსახლეობის სახელფასო დაგალიანების დროულად დაფარვა თხოვა.<sup>45</sup>

დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ ლანდფოლკის წარმომადგენლებს. დიორბიხმა საკუთარი პარტიის აზრი შემდეგნაირად გამოხატა: „ახალი განსაკუთრებული დეკრეტი ვერც ფინანსურ ეფექტს გამოიდებს და ვერც სიმშვიდეს უზრუნველყოფს. ამიტომ ჩვენ კაბინეტის პერსონალური შემადგენლობის შეცვლის მომხრენი ვართ. პარტია ხედავს ამ მომენტისათვის შექმნილი მდგომარეობის სირთულეს, მაგრამ ჩვენ ვერ ვიძლევით პირობას იმის თაობაზე, რომ პროსამთავრობო პოზიციების დაცვას მოვახერხებთ ფრაქციაში.“<sup>46</sup>

იგივე პოზიცია დააფიქსირა გსპ-ის დელეგაციამაც, რაზეც ბრიუნინგმა განაცხადა, რომ კაბინეტის რეორგანიზება პრეზიდენტის პრეროგატივას შეადგენდა. თანაც პერსონალურ ცვლილებებს შეიძლებოდა შედეგად ამჟამად მთავრობაში მონაწილე პარტიების არაორდინალური რეაქცია მოჰყოლოდა.

შეხვედრის დასასრულს ცხადი გახდა, რომ კაბინეტს სოციალ-დემოკრატთა, კათოლიკური ცენტრის, სახელმწიფო პარტიის, ქრისტიანულ-სოციალური სამსახურის და ნაწილობრივ გსპ-ის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდა. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ რეპარაციების გაუქმების საკითხში მარცხის განცდის შემთხვევაში

კაბინეტის არსენალში ხელისუფლების შენარჩუნების არანაირი საშუალება აღარ დარჩებოდა.

იმავე დღის საღამოს 19 სთ. და 30 წუთზე დაიწყო ბრიუნინგისა და ნაციონალური-სახალხო პარტიის წარმომადგენლების შეხვედრა. პუგენბერგმა და ობერფორენმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს მთავრობის საშინაო პოლიტიკა. მათ კანცლერს განუცხადეს, რომ გნსპ ცალსახად უჭერდა მხარს რაიხსტაგის მოწვევისა და საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის დაწყების იდეას.<sup>47</sup>

ამრიგად, ბრიუნინგის კაბინეტის არსებობის საკითხი კვლავინდებურად ბეწვზე ეკიდა. ცხადი გახდა, რომ საკვანძო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას, მასობრივი სოციალური პაზის არქონის პირობებში საპრეზიდენტო მმართველობის დროსაც კი მისი ყოფნა-არყოფნა პარტიათა პოზიციებზე იყო დამოკიდებული.

ძალზედ დრამატულ ხასიათს ატარებდა 16 ივნისის დილით ჩატარებული სამთავრობო სხდომა. კანცლერმა მინისტრებს აცნობა, რომ რაიხსტაგის უხუცესთა საბჭოს ანგისამთავრობო გადაწყვეტილების შემთხვევაში, იგი პრეზიდენტს გადადგომის თხოვნას გაუგზავნიდა. იგივე აზრი გამოხატეს პ. გრენერმა, მ. შილემ და ჰ. დიტრიხმა.<sup>48</sup>

პრეზიდენტის სახელმწიფო მდივანმა ო. მაისნერმა კაბინეტის წევრებს პინდენბურგის პოზიცია გააცნო. უკანასკნელის აზრით, მთავრობის გადადგომის შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა კანცლერის პოსტზე ა. პუგენბერგი დაენიშნა, რაც შიდაპოლიტიკური მდგომარეობის უკიდურეს რადიკალიზაციას გამოიწვევდა. ამიტომ, პრეზიდენტი თვლიდა, რომ ამ ეტაპზე მემარჯვენე ძალების სრული მხარდაჭერის არარსებობის პირობებშიც კი მისოფის ბრიუნინგის უმცირესობის კაბინეტი უფრო მისაღები იყო.<sup>49</sup>

ამ სიტყვების მოსმენისთანავე ბრიუნინგმა მისი შინაარსის სოციალ-დემოკრატებისთვის და განსაკუთრებით გსპ-ის ხელმძღვანელებისთვის გაცნობა მოითხოვა,<sup>50</sup> რათა უხუცესთა საბჭოს სხდომაზე მათ წარმომადგენლობას სრულად გაესიგრძეგანებინა მიმდინარე მომენტის

მნიშვნელობა. უნდა ითქვას, რომ ამ ტრიუკმა გაჭრა და სხვა გარემოებებთან ერთად მთავრობისადმი ზოგიერთი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციის დამოკიდებულების შეცვლა განაპირობა.

იმავე დღის პირველ საათზე დაიწყო რაიხსტაგის უხუცესთა საბჭოს სხდომა. ნაცისტებმა, გნეპ-მა, ლანდფოლკმა და კომუნისტებმა საკანონმდებლო ორგანოს მოწვევა და მისი საბიუჯეტო კომისიისთვის მთავრობის ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადაცემა მოითხოვეს.<sup>51</sup> კათოლიკური ცენტრის, ბავარიის სახალხო პარტიის, გსპ-ის, გსდპ-ის და ქრისტიანულ-სოციალური სამსახურის 13 უხუცესმა საკანონმდებლო ორგანოს სხდომის მოწვევაზე უარი განაცხადა. რაიხსტაგის მორიგი სესია მარტში მიღებული რეგლამენტის მიხედვით 1931 წლის 13 ოქტომბერს შეიკრიბებოდა.<sup>52</sup>

აღნიშნული ფაქტი არ უნდა შეფასდეს როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ძალების ხელახლი კონსოლიდაცია. ჩვენი აზრით, ამ პარტიების პოზიციათა თანხვედრა მოცემულ ისტორიულ მომენტი უფრო მეტად „ნაკლები ბოროტების“ პრინციპმა განაპირობა, ვიდრე მომავალში შეთანხმებული საქმიანობის სურვილმა. ხსენებულ გაერთიანებათა ზურგსუკან მდგომა ძალებმა, დაინახეს რა უკიდურესი რეაქციის ხელისუფლებაში მოსვლის საფრთხე, პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე მხარი დაუჭირეს ბრიუნინგს. ამიტომ, აქ რაიმე გრძელვადიანი კოოპერირების ან „გაიმარის დიდი კოალიციის“ მსგავსი თანამშრომლობის აღდგენის სურვილზეც კი ლაპარაკი ზედმეტია.

თითოეული პოლიტიკური პარტია, რომელმაც ბრიუნინგს კანცლერის სავარძელი შეუნარჩუნა, სანაცვლოდ უკანასკნელისგან საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოელოდა. მათი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში, ჯერ ერთი კაბინეტისთვის შუალედური, კომპრომისული გზის გამონახვა შეუძლებელი იყო და მეორეც, პრეზიდენტის წინასწარი დაკვეთა, რომელიც შედეგზე ორიენტირებული „ზეპარტიული

პოლიტიკის“ წარმოებას გულისხმობდა, არა მხოლოდ პარტიების, არამედ მთელი გერმანული საზოგადოების ინტერესთა იგნორირების საშუალებას იძლეოდა.

კატასტროფული შედეგების მქონე საბანკო კრიზისის პირობებში გერმანიას მხელად აშშ-ის პრეზიდენტი ჰუვერტ ჰუვერი მოევლინა. 1931 წლის 20 ივნისს მან, პინდენბურგის ფორმალური თხოვნის საფუძველზე, გერმანიის მიერ გადასახდელ საგარეო ვალებსა და რეპარაციებზე ერთწლიანი მორატორიუმი გამოაცხადა. ამ ფაქტმა გერმანიის მოსახლეობის დიდ ნაწილს დრაკონული სოციალური პოლიტიკის შერბილების იმედი ჩაუსახა. ბრიუნინგს მიაჩნდა, რომ ჰუვერის მორატორიუმი რეპარაციათა საბოლოო გაუქმების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. სანუკვარი მიზნის მისაღწევად ქვეყანას კვლავაც უნდა გაეგრძელებინა ასკეტურ სტილში ცხოვრება. 1931 წლის 23 აგვისტოს რადიოთი გამოსვლისას კანცლერმა განაცხადა: „იმის ვარაუდი, რომ პრეზიდენტ ჰუვერის წინადადების ძალაში შესვლით ყველა უბედურება მოგვარდება, ძალზედ დიდი ილუზია იქნება, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს გერმანელი ხალხი... ჩვენ კიდევ ბევრი მსხვერპლის გადება მოგვიწევს საზოგადოებრივი ფინანსების გაუმჯობესებისათვის... ნდობა, რომელიც პრეზიდენტმა ჰუვერმა ამ ისტორიული ნაბიჯის გადადგმით გამოხატა, შედეგს მხოლოდ მაშინ გამოიდებს, თუკი გერმანელი ხალხი გამოთქვამს მზადყოფნას განაგრძოს ყველა სფეროში უმკაცრესი ეკონომიის გზით სიარული.“<sup>53</sup>

კანცლერის გამოსვლის შინაარსმა გერმანიის მოსახლეობის დიდ ნაწილში სანაციური პოლიტიკის შერბილების მოლოდინი გააქარწყლა. ცხადი იყო, რომ კაბინეტი უმთავრესი მიზნის მიღწევამდე ნებისმიერ ფასად შეეცდებოდა შეენარჩუნებინა უმკაცრესი ეკონომიის კურსი. როგორც ზემოთ აღწერილი მოვლენებიდან გამოჩნდა, ამ საკითხის მიმართ ჯერჯერობით გერმანიის პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა სუბიექტის (ულტრარადიკალური პარტიების გარდა) დამოკიდებულება-განწყობაც ანალოგიური იყო. კეინსიანისტური

თეორიის დომინირების პირობებში ბრიუნინგის მიერ წარმოებული პოლიტიკა კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად მიაჩნდათ.

რეპარაციებზე ერთწლიანი მორატორიუმის გამოცხადების, 1931 წლის 20-23 ივლისის ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებების და რეპარაციათა მარეგულირებელი საერთაშორისო ბანკის მიერ გერმანიისთვის 100 მილიონიანი კრედიტის გამოყოფის გამო, კაბინეტმა სანაციური ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების გადახედვა დაიწყო.<sup>54</sup> ამავე პერიოდისთვის გამოვლინდა ბრიუნინგის საშინაო კურსისთვის დამახასიათებელი ერთი მეტად სპეციფიური ნიშანი. კერძოდ: საერთაშორისო ინსტიტუტების სრული ფინანსური მხარდაჭერის პირობებშიც კი, კანცლერი გაურბოდა უცხოური სესხების დიდი რაოდენობით აღებას. ამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითიც გამოდგება: „დანატბანკის“ ფინანსური კრახის დროს ამერიკელებმა დახმარების სურვული გამოხატეს, რასაც გერმანიის მთავრობის უკიდურესად ნებატიური რეაქცია მოჰყვა. ბუნებრივია, ეს ფაქტი ახსნას საჭიროებს. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე საერთაშორისო ასპარეზზე მაქსიმალურად თავისუფალი ქმედებების შენარჩუნება-მოპოვების მიზნით მთავრობა გაურბოდა ისეთი ფინანსური ვალდებულებების აღებას, რომელიც გარე ძალას ზეწოლის ბერკეტად შეეძლო გამოეყენებინა. ალბათ, ამიტომაც არ შეარბილა მან უმკაცრესი ეკონომიის გზით ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური გარემოს ავტონომიური გაჯანსაღების კურსი. განმსაზღვრელი ფაქტორის როლს ამ შემთხვევაშიც უმაღლესი მიზანი – რეპარაციების საბოლოო გაუქმება ასრულებდა. ეს ტენდენცია ბრიუნინგის ხელისუფლებაში ყოფნის უკანასკნელ დღემდე შენარჩუნდა.

როგორც აღინიშნა, ამ საკითხში კანცლერის პოზიციას გერმანიაში მოქმედი პოლიტიკური ძალების დიდი ნაწილიც იზიარებდა. უფრო მეტიც, გერმანიის მრეწველთა საიმპერიო საბჭოს წევრები, 1931 წლის 30 ივლისს ბრიუნინგისადმი გაგზავნილ მიმართვაში, რომელსაც ხელს კრუპი, პ. კლიოკნერი, პ. ზილვერბერგი, ა. ფიოგლერი, ფ. შპრინგორუმი,

კ. სიმენსი, პ. ბიუხერი, ე. ფონ ბორზიგი და პ. როიში აწერდნენ, სამთავრობო კურსის კიდევ უფრო მარჯვნივ გადახრას და გამკაცრებას მოითხოვდნენ.<sup>55</sup> ეს უკვე მეტისმეტი გახლდათ და კანცლერმაც, რომელიც რაციონალური პოლიტიკის პრინციპით ხელმძღვანელობდა, მის უმთავრეს მხარდაჭერ ძალას პრეტენზიათა სრულ დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა. ამით კაბინეტის საქმიანობის ხასიათის კიდევ ერთი თავისებურება გამოჩნდა: საპრეზიდენტო მმართველობის დროს სახელმწიფო აპარატის ავტონომიურობის ხარისხი იმდენად გაიზარდა, რომ ქვეყნის მეთაურის მხარდაჭერის პირობებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, იგი გავლენიანი სამრეწველო წრეების ინტერესთა იგნორირებაზეც მიდიოდა. ეს მომენტალურად იგრძნეს უკანასკნელებმაც და 1931 წლის სექტემბრიდან მრეწველები ნელ-ნელა უარს ამბობენ ბრიუნინგის შემდგომ მეურვეობაზე.

პარლამენტის სესიის მოახლოებასთან ერთად ძალზედ გააქტიურდნენ რადიკალური ძალები. ცხადი იყო, რომ მათი წარმომადგენლობა პირველივე სხდომაზე შეეცდებოდა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას. აღნიშნულ მოსაზრებას 1931 წლის 1 აგვისტოს ა. ჰუგენბერგის მიერ პრეზიდენტთან შეხვედრისას გაკეთებული განცხადებაც აძლიერებდა. გნსპ-ის ლიდერმა ბრიუნინგი მარქსისტად შერაცხა და პინდენბუგრს მისი დაუყოვნებლივ გადაყენება მოთხოვა.<sup>56</sup>

მოახლოებულ საფრთხეს მთავრობაც გრძნობდა და ამიტომ მხარდაჭერის მოპოვების მიზნით რაიხსკანცელარიაში ინტენსიური კონსულტაციები დაიწყო პოლიტიკურ პარტიებთან, ფედერაციის სუბიექტებთან, მუშათა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან და მრეწველებთან.<sup>57</sup> კაბინეტის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ბრიუნინგი, დიტრიხი და შტეგერვალდი დათანხმდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნას გადაესინჯათ 5 ივნისის განსაკუთრებული დეკრეტის 87-ე, 105-ე და 106-ე პარაგრაფები.<sup>58</sup> აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე რაიხსპრეზიდენტმა 1931 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოაწერა მესამე დეკრეტს - „ფინანსებისა და

ეკონომიკის „უზრუნველყოფის შესახებ”, რომელშიც მხარეებისა და პარტიების მოთხოვნებიც დიდწილად აისახა.<sup>59</sup>

თავის მხრივ, პოლიტიკური ზეწოლა მემარჯვენე რადიკალურმა ოპოზიციამაც გააძლიერა. გერმანია-ავსტრიის საბაჟო კავშირის გაფორმების ჩაშლის შემდეგ მათი განსაკუთრებული თავდასხმების ობიექტად ი. კურციუსი, ხოლო საბანკო კატასტროფების შედეგად – პ. დიტრიხი იქცა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ „პანგერმანული კავშირის“ თავმჯდომარე პ. კლასი და ვესტფალიელი არისტოკრატი ზალმ-ჰორსტმარი. ისინი კანცლერად ა. პუგენბერგის დანიშვნას ითხოვდნენ.

საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში ხელისუფლების ყველა ატრიბუტის ფაქტობრივმა უზურპაციამ პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი „ერზაც-კაიზერის“ რანგამდე გაზარდა. ამიტომ, საპარლამენტო უმრავლესობის ყოლამ და ვაიმარის კონსტიტუციაში დეკლარირებულმა ლირებულებებმა ახალ ვითარებაში აზრი დაკარგა. ფაქტიურად, 1931 წლის 19 სექტემბრიდან გერმანიაში დაიწყო პროცესი, რომელსაც „პინდენბურგისათვის ბრძოლა“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ამ ჭიდილში განსაკუთრებით გაიზარდა პიროვნულ-სუბიექტური ფაქტორის როლი. მთავრობაც ათავისებდა შექმნილი სიტუაციის სირთულეს, ულტრარადიკალური ძალების მიერ მიღწეული ახალი წარმატებანი მას ჩაფიქრების საფუძველს აძლევდა.<sup>60</sup> ცხადი იყო, რომ ასეთ ვითარებაში რაიხსტაგის დაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა სრული კატასტროფით დასრულდებოდა. ამიტომ, იმ კონსულტაციებზე, რომლებშიც პრეზიდენტის უახლოესი ანტურაჟი – ო. მაისნერი, ო. პინდენბურგი, პ. ფონ შლაიხერი და პ. ვესტარპი – მონაწილეობდა, კაბინეტის რეორგანიზების გადაწყვეტილება მიიღეს, ოღონდ იმ წინასწარი პირობით, რომ ბრიუნინგი კვლავაც შეინარჩუნებდა კანცლერის პოსტს.

მოვლენებიც ამ მიმართულებით განვითარდა: 3 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. კურციუსმა კანცლერს გადაყენების თხოვნით მიმართა. 7 ოქტომბრის სამთავრობო სხდომაზე ბრიუნინგმა მიმოიხილა

შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ პროცესების რადიკალიზაციის, ტრადიციულ მოკავშირეთა ოპოზიციაში გადასვლის და უმართავი სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით უმჯობესი იქნებოდა კაბინეტის სრული შემადგენლობით გადადგომა, რაზეც მინისტრებმაც თანხმობა განაცხადეს.

ამრიგად, ბრინინგის პირველმა კაბინეტმა 17 თვიანი საქმიანობის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. თუ მის მიერ მიღწეულ შედეგებზე ვიმსჯელებოთ შემდეგ დასკვნას მივიღებთ: შემკვეთი ძალების ინტერესებიდან გამომდინარე – მთავრობას აქტივში უდაოდ უნდა ჩაეწეროს რაიხსტაგის სრული იზოლირება და პარალიზება, პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრირების გზით პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების არნახული გაზრდა, პირველი ნაბიჯის გადადგმა რეპარაციების გაუქმების გზაზე, ფინანსური და „საიმპერიო რეფორმისთვის“ ნიადაგის შემზადება; პასივში – მემარჯვენე პოლიტიკური ძალებისთვის მიზიდულობის ცენტრად ვერ გადაქცევა, გერმანია-ავსტრიის საბაჟო კავშირის კრახი, გართულებული ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, უმკაცრესი სანაციის გზით მოსახლეობის უკიდურესი გადარიბება, ირიბად ხელის შეწყობა ულტრარადიკალური ძალების გავლენის ზრდაზე, საერთაშორისო არენაზე არასტაბილური სახელმწიფოს იმიჯის დამკვიდრება და პრუსიაში სოციალ-დემოკრატიული ციტადელის შენარჩუნება. აშკარაა, რომ ბრიუნინგისთვის კანცლერის პოსტის შენარჩუნება მოასწავებდა იმას, რომ მის მეორე კაბინეტს პირველის შეცდომები უნდა გაესწორებინა.

## **§ 5. რაიხსვერის პოლიტიკური როდის გაძლიერება**

პრეზიდენტ პინდენბურგის აზრით, ახალი კაბინეტი კიდევ უფრო მემარჯვენე თრიენტაციის და პარტიათა ინტერესებზე ნაკლებად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო. მთავრობა დატოვეს ი. კურციუსმა, ი. ვირტმა და ფონ გერარდმა (Guerard). საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჰ. ბრიუნინგმა შეითავსა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის – ვ. გრენერმა. გამოჩნდა ახალი სახეც – პერმან ვარმბოლდი, სოფლის მეურნეობის ექსპერტი და „იგ ფარბენის“ გამგეობის ყოფილი წევრი,

რომელიც ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა. ბრიუნინგი იმედოვნებდა, რომ მისი მეშვეობით ძველებურ ურთიერთობებს აღადგენდა მრეწველთა საიმპერიო გაერთიანებასთან, მაგრამ სასტიკად შეცდა. საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ეკონომიკის ახალი მინისტრი კანცლერის სამეურნეო კურსის ძირითად პოსტულატებს არ იზიარებდა.<sup>1</sup>

ახალი კაბინეტის პერსონალური შემადგენლობიდანაც ჩანდა, რომ პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილი ნაციონალურ-ავტორიტარული ჯგუფი, არათუ გერმანიის მთელი პოლიტიკური სპექტრის, არამედ მისი მემარჯვენე ნაწილის კონსოლიდირებასაც კი ვერ ახერხებდა. ამის მიზეზი მათი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხედვა გახლდათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლებ როლს პიროვნულ-სუბიექტური ფაქტორიც ასრულებდა.

1931 წლის მიწურულისთვის გერმანიის პოლიტიკურ ყოფაში პარადოქსული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა აშკარად მონარქისტული მიდრეკილებების მქონე ფელდმარშალი ჰინდენბურგი, ხოლო ის ძალები, რომლებმაც 1925 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მას გამარჯვება მოუტანეს ოპოზიციაში აღმოჩდნენ.

ასეთ ვითარებაში უაღრესად გააქტიურდა რაიხსვერი. გენერალი გრენერი, რომელიც პრეზიდენტის კარზე ბრიუნინგის მფარველადაც ითვლებოდა, თანდათან კარგავდა ოფიცრების, გენერალიტეტისა და რაც მთავარია, ჰინდენბურგის მხარდაჭერას. უნდა ითქვას, რომ მას პრუსიელი მაღალი ჩინის სამხედროები თავიდანვე ამრეზით უცქერდნენ, რადგან წარმოშობით შვაბი გრენერი, მათგან განსხვავებით, ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა რესპუბლიკისადმი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ის ვაიმარის თავგამოდებულ დამცველთა რიცხვში ნამდვილად არ შედიოდა, 1928-1930 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ჰ. მიულერის სოციალ-დემოკრატიულ კაბინეტთან. ეს კი ჰანს ფონ სექტისა და მსგავსი რეაქციონერების უკმაყოფილებას განაპირობებდა. ვერ ვიტყვით იმასაც, რომ გრენერს კარგი

დამოკიდებულება პქონდა პინდენბურგთან, თუმცა უკანასკნელი დიდად აფასებდა მის ორგანიზატორულ ტალანტს, სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და განხორციელების ნიჭს. თ. ეშენბურგი გრენერის პიროვნულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას ხაზგასმით გამოყოფს მისი, როგორც მინისტრისა და პოლიტიკური ფიგურის არსებითი ხასიათის ნაკლს, როცა მიუთითებს, რომ იგი უაღრესად არაკომუნიკაბელური პიროვნება იყო და არ შეეძლო ოპონენტებთან. დებატებისა თუ დისკუსიების წარმოება.<sup>2</sup> ეს მოვალეობა მან შეგნებულად რაიხსვერის პოლიტიკური განყოფილების უფროსს გენერალ კ. ფონ შლაიხერს გადააბარა. თავდაპირველ ეტაპზე მათი თანამშრომლობა პარმონიულ ხასიათს ატარებდა, რადგან ხელქვეითი ზუსტად ასრულებდა ხელმძღვანელის ინსტრუქციებს. ფაქტიურად, ის მინისტრის პოლიტიკური მრჩევლი გახლდათ. „შლაიხერს ჩემი პოლიტიკა ქმნის“ – ხშირად აღნიშნავდა გრენერი,<sup>3</sup> როგორც თანამედროვენი მიუთითებდნენ, საქმიანობის საწყის ეტაპზე მინისტრი და პოლიტიკური დეპარტამენტის შეფი ერთმანეთს ავსებდნენ როგორც სტრატეგი და ტაქტიკოსი.<sup>4</sup>

სწორედ მათ შეიმუშავეს პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრაციის გაღრმავების, კონსტიტუციური რეფორმის, საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის და პარტიულ-პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობის ის გეგმა, რომლის რეალიზებასაც ჰ. ბრიუნინგი ცდილობდა. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კანცლერის უმკაცრესი ფინანსური სანაციის პროგრამა არანაირი ასპექტით რაიხსვერს არ შეხებია.

შლაიხერისა და გრენერის იდეალურ ურთიერთობას წერტილი 1930 წლის შემოდგომაზე დაესვა.<sup>5</sup> პიროვნული წყენის გამო, მათ შორის გაუცხოების პროცესი დაიწყო, რამაც საბოლოო ჯამში ორივესთვის ტრაგიკული შედეგები გამოიდო. სახელმწიფო მდივნების – მაისნერისა და პლანკის – დახმარებით შლაიხერმა პრეზიდენტ პინდენბურგის გარემოცვაში შეაღწია და დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში წამოიწყო, რომლის არსიც ყველაზე მკაფიოდ ნაცისტურ მოძრაობასთან

ურთიერთობაში გამოვლინდა. გრენერისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ „პიტლერის ლეგალურობის ბოძზე მიბმის” მომხრე იყო, შლაიხერი გნემპ-ის გახლების ან მისი წევრების მთავრობაში ჩართვის გზით მათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრებისაც მოითხოვდა. სწორედ ამ მიზნით აწარმოებდა ის მოლაპარაკებებს ერემთან და გ. შტრასერთან, მოგვიანებით კი ვ. ფრიკთან, პ. გერინგთან და ა. პიტლერთან. გრენერისადმი ნდობისა და პატივისცემის შესუსტების გამო, მალე ამ კურსს პრეზიდენტიცა და მისი გარემოცვაც მიემხრო.

შლაიხერის ამგვარ პოზიციას მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი მაიორი (შემდგომში გენერალ-მაიორი) პოლტცენდორფი შემდეგნაირად ხსნის: „რაიხსვერი გერმანიაში საპრეზიდენტო ხელისუფლების განმტკიცებისა და გაფართოების ერთადერთი ინსტრუმენტი იყო. მისი ხელმძღვანელობა კონსტიტუციის 48-ე მუხლის ამოქმედებას ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობით ხსნდა. ამ გზით 1923 წელს პრეზიდენტმა ებერტმა იმპერია რადიკალური ძალებისგან დაიცვა. 30-იანი წლების დამდეგს ეკონომიკური კრიზისით განპირობებული რადიკალიზაცია ამ საშუალების კიდევ ერთხელ გამოყენების აზრს ბადებდა.

...შლაიხერი გნემპ-ის აღმასვლის გამომწვევ მიზეზებს რეალისტის თვალით და უფრო უკეთ ხედავდა, ვიდრე გრენერი. ის მიიჩნევდა, რომ პარტია ერის ჯანსაღი სხეულის ბუნებრივ რეაქციას გამოხატავდა და ამავე დროს წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, რომელმაც რადიკალურად განწყობილი მემარცხენე ჯგუფების კომუნისტებისთვის წართმევა შეძლო. მოსკოვის მხარდაჭერის გამო, შლაიხერი გპ-ს ყველაზე საშიშ ორგანიზაციად თვლიდა. უკანასკნელისგან განსხვავებით, იგი ნაცისტებს რაიხსვერის თავდაცვითი მიზნებისთვის (იგულისხმება აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა – დ. წ.) გამოსაყენებლად ვარგის ძალადაც მიიჩნევდა. მეორეს მხრივ, შლაიხერი აცნობიერებდა იმ საშიშროებასაც, რომელსაც ნებისმიერ მასობრივ ორგანიზაციაში ავანტიურისტებისა და რადიკალურ ელემენტთა

სიმრავლე ქმნიდა.. პარტიის შემდგომი წინსვლის შეჩერება მთავრობას მხოლოდ ეკონომიკური სიდუხეჭირის ლიკვიდირებით და საგარეო პოლიტიკური გარღვევის განხორციელებით შეეძლო. ამ კურსის წარუმატებლობის პირობებში შლაიხერი, გნემპ-ის გავლენის ზრდის შეჩერების ერთადერთ გზად – ოპოზიციიდან თანამშრომლობაზე მის უსწრაფეს გადაყვანას და მთავრობაში ჩართვის მეშვეობით ნაცისტებისათვის სახელისუფლებო პასუხისმგებლობის დაკისრებას მიიჩნევდა. „ეკონომიკამ კარგად იცის, რომ უმჯობესია სამეთვალყურეო საბჭოში ყველაზე ურჩი და ხმაურიანი აქციონერების შეყვანა” – ცინიკურად აღნიშნავდა შლაიხერი და იმედოვნებდა, რომ რაიხსვერი 1920-30 წლებში სოციალ-დემოკრატიის „აღზრდის” მსგავსად ნაცისტთა მოთვინიერებასაც შეძლებდა.”<sup>6</sup>

მოვლენათა თვითმხილველის – გენერალ ფონ ჰოლტცენდორფის - ჩანაწერების ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტიდან გასაგები ხდება რაიხსვერის ნაცისტებისადმი ლოიალური დამოკიდებულების მიზეზები. ცხადია, რომ მისი პოლიტიკური თავკაცი სასტიკად ცდებოდა. საქმე იმაშია, რომ ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ელიტაზე გასვლას და მათთან კონტაქტის დამყარებას თავის მხრივ, პიტლერიც ცდილობდა. ის კარგად მიხვდა, რომ საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში საარჩევნო მარათონებში მიღწეული წარმატებანი ხელისუფლებაში მოსვლისთვის საკმარისი პირობა არ აღმოჩნდა. საჭირო იყო მთავრობის პოზიციის მუდმივი ტორპედირება, რათა პრეზიდენტ პინდენბურგის განწყობა ნაცისტთა სასარგებლოდ შეცვლილიყო. ასე, რომ დიალოგს შლაიხერსა და პიტლერს შორის, რომელის 1931 წლის მაისიდან ინტენსიურ ხასიათს იძენს, ორივე მხარისთვის ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენი აზრით, რაიხსვერისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებამ შლაიხერს თავისუფალი ქმედებების განხორციელების შანსი კიდევ უფრო გაუზარდა, რადგან რთული საშინაო მდგომარეობის გამო, გრენერის უურადღება მთლიანად მართლწესრიგის უზრუნველყოფის საკითხებზე იყო კონცენტრირებული. გარდა ამისა,

აშკარად გამოიკვეთა ორი პოზიცია ნაცისტურ მოძრაობასთან მიმართებაში – ერთი სამთავრობო, ხოლო მეორე კი პრეზიდენტის გარემოცვის მხრიდან წარმოებული. მართალია, 1932 წლის დამდეგამდე ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ აშკარად მომგებიან მდგომარეობაში აყენებდნენ ჰიტლერს. მას მოხერხებული სვლების გაკეთების გზით საშუალება ეძლეოდა ჰინდენბურგსა და კაბინეტს შორის არსებული ბზარი კიდევ უფრო გაელრმავებინა.

ფორმალური თვალსაზრისით ამ პროცესს სათავე 1931 წლის 10 ოქტომბერს, შლაიხერის მიერ ორგანიზებული ჰინდენბურგ-ჰიტლერის შეხვედრით დაედო. მართალია, ნაცისტთა შეფმა პრეზიდენტზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ უფრო მნიშვნელოვანი მეორე მხარეც – იგი აღიარეს როგორც პარტნიორი და მემარჯვენეთა მეტად ჭრელ ბანაკში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალის ლიდერი.

ასეთ ვითარებაში მოახლოვდა 1930 წლის მოწვევის რაიხსტაგის 53-ე სესიის გახსნის დღეც. მემარჯვენე რადიკალური ძალები კონსოლიდირებისა და ბრიუნინგის მთავრობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით ბრაუნშვაიგის საკურორტო ქალაქ ბად-პარცბურგში შეიკრიბნენ.<sup>7</sup> ჰუგენბერგის მცდელობა, ხელთ ეგდო ოპოზიციის ლიდერობა, წარუმატებელი აღმოჩნდა. ჰიტლერს არ სურდა, ვინმეს დამორჩილებოდა, რადგან ამ შემთხვევაში მისი აზრით „გერმანელ ხალხს ორი მესია ეყოლებოდა.”<sup>8</sup> ამის მიუხედავად, „პარცბურგის ფრონტში” ნაციონალური ოპოზიციის გაერთიანება ბრიუნინგის კაბინეტის მხარდამჭერი ძალებისთვის საგანგაშო სიგნალი იყო.

13 ოქტომბრის საპარლამენტო სესიას „პარცბურგის ფრონტში” გაერთიანებული პარტიების დეპუტატები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ. ბრიუნინგს შესაძლებლობა მიეცა ნორმალურ გარემოში წარედგინა ახალი კაბინეტი და რაიხსტაგში დარჩენილ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ფრაქციებისთვის გაეცნო მომავალი სამთავრობო პოლიტიკის დეტალები. მან ისაუბრა იმაზე, რომ პრეზიდენტის

მმართველობა არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას და მისი შემოღება განპირობებული იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის უაღრესად მძიმე ზეგავლენით გერმანიაზე. მოკლედ დახასიათა ქვეყნის იმუამინდელი ფინანსური მდგომარეობა, შეეხო ურთულეს ვითარებას საბანკო სექტორში, ხაზი გაუსვა მიმდინარე მომენტის მნიშვნელობას საგარეო პრობლემების მოგვარების საქმეში და რაიხსტაგში წარმოდგენილ პარტიებს ამ პროცესებში პოზიტიური კუთხით მონაწილეობა თხოვა. აშკარად ჩანდა, რომ კანცლერი შეგნებულად გაურბოდა სოციალურ პრობლემებზე დეტალურ საუბარს, მან ზოგადად განაცხადა, რომ ამ კუთხით სამთავრობო პოლიტიკა დამოკიდებული იქნებოდა ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გამოსვლის დასკვნით ნაწილში იგი შეეხო დეპუტატ ტორგლერის (გპ) მოთხოვნას რაიხსტაგის დაშლის, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების და ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის თაობაზე. კანცლერმა ხაზგასმით განაცხადა, რომ რაიხსპრეზიდენტი პინდენბურგი არ იყო დაინტერესებული საპარლამენტო ექსპერიმენტთა წარმოებით, ახლანდელ ვითარებაში ერთა ლიგის დატოვება გერმანიისთვის სრული კატასტროფით დასრულდებოდა, ხოლო რაც შეეხება უნდობლობის ვოტუმს – დეპუტატებს მუქარანარევი ტონით მიმართა, რომ სამთავრობო კრიზისის ხელოვნურად ინსპირირების შემთხვევაში, ჩამოყალიბდებოდა ახალი მთავრობა, რომელიც ახლანდელზე უფრო ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული პარტიების პოზიციებზე.<sup>9</sup>

14-15-16 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო დისკუსიებში უკვე ყველა პარტია მონაწილეობდა. სოციალ-დემოკრატების, კათოლიკური ცენტრის, სახელმწიფო, სახალხო-ნაციონალური, ქრისტიანულ-სოციალური, ბავარიის სახალხო პარტიების და გსპ-ის 5 დეპუტატის მხარდაჭერით<sup>10</sup> მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების საკითხი ჩავარდა. ასეთივე ბედი ეწია რადიკალთა მიერ დაყენებულ მოთხოვნებს - რაიხსტაგის თვითდაშლისა და კაბინეტის მიერ 1931 წლის ივნის-ოქტომბერში მიღებული განსაკუთრებული დეკრეტების გაუქმების თაობაზე.<sup>11</sup>

16 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით რაიხსტაგის მორიგი სესია 1932 წლის 23 თებერვალს გაიმართებოდა. ამრიგად, მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალიზმის შემდგომი ზრდის შიშით დემოკრატიული ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაციები შეგნებულად ამბობდნენ უარს მათ ხელთ არსებულ საპარლამენტო პრეროგატივათა აშკარად აგტორიტარული მთავრობის წინააღმდეგ გამოყენებაზე. ფაქტიურად, ისინი „უალტერნატივო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და „ნაკლები ბოროტების“ პრინციპიდან გამომდინარე, ხელს უწყობდნენ კანცლერ ბრიუნინგს. თავის დღიურებში ი. გებელსი წერდა: „პრეზიდიალური მმართველობის შედეგად ფორმირებული მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა „უფერული“ ხელისუფლება, რომელიც გზას გაგვიწმენდს. რაც უფრო სუსტია ის, მით უფრო იოლი იქნება მისი დამხეობა.“<sup>12</sup> ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ, რადგან დემოკრატიის დათრგუნვით, მისი კონსტიტუციური საფუძვლების იგნორირებით და მართვის აგტორიტარული პრაქტიკის დამკვიდრებით ერთი ნაბიჯილა რჩებოდა დიქტატურამდე. ძნელი სათქმელია, როგორ წარმოედგინათ ხელისუფლებაში მყოფ პირებს გერმანიის მომავალი, ან რამდენად რეალური იყო ბევრი მათგანის მემუარებში დაფიქსირებული აზრი მონარქიის აღდგენის თაობაზე? ჩვენი აზრით, რაიხსგერის შლაიხერისეული დოქტრინის ამოქმედებამ და პიტლერის პოლიტიკურ პარტნიორად აღიარებამ ქვეყნის მმართველ ელიტას სიტუაციის კონტროლის უკანასკნელი ძაფიც გამოაცალა ხელიდან და თავად ჩააყენა მარიონეტულ მდგომარეობაში, ხოლო არჩევანის უქონლობამ დემოკრატიულ ძალებს თვითიზოლაციისკენ უბიძგა. მასობრივი ელექტორალური ბაზის არქონის პირობებში კაბინეტი პატრიოტული ლოზუნგების მოშველიებითა და „პირადი უნიების“ გაფორმებით ცდილობდა როგორმე გაეხანგრძლივებინა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი, რათა მიეღწია უმთავრესი მიზნისთვის, რაც რეპარაციების გაუქმებასა და სამხედრო პარიტეტის აღდგენაში მდგომარეობდა.

გერმანიაში შექმნილი ვითარების ფონზე ამ ამოცანების განხორციელება წარმოუდგენლად რთული იქნებოდა, რადგან კაბინეტს

1932 წლის დამდეგისთვის ფაქტობრივად აღარ გააჩნდა არც ფინანსური, არც მატერიალური, არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური და უკვე აღარც ადამიანური რესურსი, რათა ეფექტური ქმედებების წყალობით გამკლავებოდა მოსახლეობის განწყობის განუხრელი რადიკალიზაციის პროცესს. მის ერთადერთ იმედად კვლავინდებურად ჯერჯერობით ნაცისტურ-კომუნისტური იდეოლოგიით მოუწამლავი რაიხსვერი რჩებოდა, მაგრამ ლაიპციგის სასამართლო პროცესმა აჩვენა, რომ არც ის წარმოადგენდა აუღებელ ციხე-სიმაგრეს, მუთუმეტეს იმ პირობებში, როცა მისმა პოლიტიკურმა თავკაცმა თავად აიღო პიტლერთან დაახლოების კურსი, ხოლო ვ. გრენერმა ნაცისტებს სასაზღვრო ჯარებში სამსახურის უფლება მისცა.<sup>13</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმკაცრესი ფინანსური სანაციის კურსის გატარებამ წარმოუდგენლად გაზარდა გერმანული ელექტორატის რადიკალური განწყობა, ავტორიტარული მართვის სტილის დანერგვის პირობებშიც კი მთავრობას ხელიდან გაექცა მოვლენებზე ზემოქმედების სადავეები, იგი რეალურად ვეღარ მართავდა პოლიტიკურ პროცესებს და მათი მდევრის როლში გამოდიოდა. მის მიერ გამოცემული ყოველი განსაკუთრებული დეკრეტი კი, უკვე თუნდაც პროგრესული ხასიათის მქონე, დაშოშმინების ნაცვლად პოლიტიკური დუღილის ხარისხს კიდევ უფრო ზრდიდა. ცხადი იყო, რომ ახლოვდებოდა გადამწყვეტი მომენტი, რომელიც ყველაფერს საკუთარ ადგილს მიუჩენდა, მაგრამ ახლადდაბადებული წესრიგი, როგორც ჩანდა, აღარ იქნებოდა დემოკრატიული.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კაბინეტის რეორგანიზება პარლამენტის სესიის მოახლოებამაც განაპირობა. მთავრობის პირადი შემადგენლობის პარტიული კუთვნილების დადგენის შემთხვევაშიც კი იმ დაკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ ვერც კანცლერმა, ვერც პრეზიდენტმა და ვერც რაიხსვერმა ამ ეტაპზე მისი მხარდაჭერი პოლიტიკური სუბიექტების არეალის გაფართოება ვერ მოახერხა. საერთო გერმანულ მასშტაბს რომ თავი დავანებოთ, ახლი კაბინეტის მიმართ სიმპათიით

განწყობილი წრეები თვით მემარჯვენეთა ბანაკშიც კი – უმცირესობაში იმყოფებოდნენ. გსპ-ის წარმომადგენლების მხრიდან მთავრობაში შესვლაზე უარის თქმამ, ეს არეალი კიდევ უფრო შეავიწროვა. ამიტომ, საუბარიც კი მასობრივი ბაზის გაფართოებასა და ახალი პოლიტიკური პარტნიორების გამოძებნაზე, ზედმეტი იყო. კვლავინდებურად, გერმანულ სოციალ-დემოკრატიას იძულებითი „მოთმინება-ტოლერანტიზმის“ დოქტრინიდან გამომდინარე, უნდა გაეწია საპარლამენტო დონეზე კაბინეტის მხარდაჭერის ჭაპანი და ამით „ალტრუიზმის მაგალითი“ მიეცა მსოფლიოსათვის.

ბრიუნინგის მეორე კაბინეტის დაკომპლექტებისას ჰინდენბურგის გარშემო შემოკრებილი ნაციონალურ-ავტორიტარული ჯგუფი ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა. 1931 წლის 5 ივნისის, 8 აგვისტოს და 6 ოქტომბრის განსაკუთრებული დეკრეტების ეკონომიკურ-ფინანსური მუხლებით უკმაყოფილო მსხვილ მრეწველთა დიდი ჯგუფი სამთავრობო პოლიტიკის მიმართ უარყოფითად განეწყო. ამან მათი ინტერესების გამომხატველ სახალხო პარტიის პოზიციაზეც იქონია გავლენა და 1931 წლის ოქტომბრიდან ამ ორგანიზაციის ძირითადმა ბირთვმა ოპოზიციაში გადაინაცვლა.<sup>14</sup>

ამრიგად, ახალი კაბინეტის საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ბრიუნინგის მთავრობას გავლენიანი მოკავშირის – გერმანიის მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების – ძველებური მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ეს ფაქტი ისედაც სუსტი საზოგადოებრივი პოზიციების მქონე ხელისუფლებას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

აღნიშნული საფრთხე მთავრობამაც იგრძნო და 1931 წლის 24 სექტემბერს სახელმწიფო მდივანმა ტრენდლენბურგმა ქ. წ. „ეკონომიკური კომისის“ ჩამოყალიბების იდეა წამოაყენა. ეს უნდა ყოფილიყო ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წამყვან ექსპერტთა და მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენელთა ვიწრო წრე, რომლის ფუნქციაც კაბინეტსა და სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის ნდობის აღდგენა უნდა ყოფილიყო. ეს იდეა იმდენად

მომხიბვლელი ჩანდა, რომ ბრიუნინგიც დათანხმდა. 5 ოქტომბერს პრეზიდენტის ვაჟთან ო. პინდენბურგთან თათბირისას გრაფმა პ. ვესტარპმა ამ კომისიაში შესაყვან პიროვნებათა კანდიდატურები დაასახელა.<sup>15</sup> პირველივე სამთავრობო სხდომაზე, რომელიც 1931 წლის 10 ოქტომბერს გაიმართა, ბრიუნინგმა უპირველეს ამოცანათა შორის „ეკონომიკური კომისიის“ სწრაფი ფორმირების საკითხი გამოყო და აღნიშნა: „ჩვენი ეკონომიკა უნდა გამოცოცხლდეს. ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა განვიხილოთ საპროცენტო განიკვეთისა და კოლექტიური ხელშეკრულებების საკითხები.“<sup>16</sup> იმავე სხდომაზე მან ფინანსთა მინისტრ დიტრიხთან აღნიშნულ კომისიაში შესაყვან პოროვნებათა კანდიდატურები და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა შორის თანაფარდობის საკითხი განიხილა. თავდაპირველი ვარიანტით მასში 11 პიროვნება უნდა შესულიყო, მაგრამ საბოლოოდ წევრთა რაოდენობა 20-მდე გაიზარდა.<sup>17</sup>

აღნიშნული კომისიის საქმიანობის მიზანი, როგორც მისი სხდომების ჩანაწერებიდან ჩანს, დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევა, ფასებისა და ხელფასების გონივრული პროპორციული თანაფარდობის აღდგენა, სოციალური დაზღვევის სისტემის დემონტაჟი, „ბოლშევიკურად გამთანაბრებელი“ ხასიათის კოლექტიური ხელშეკრულებების რევიზია, „აღმოსავლური დახმარების“ მასშტაბების და სხვა მსგავსი დონისძიებებისთვის აუცილებელი წინაპირობების მომზადება იყო.<sup>18</sup>

ბრიუნინგისთვის ამ კომისიის ფორმირებას წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რეალური თანამშრომლობის მიღწევის პირობებში იგი კვლავ მოიპოვებდა მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების უმრავლესობის მხარდაჭერას და პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების სიმპათიას. გარდა ამისა, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მას სჭირდებოდა პრეზიდენტის ქმედითუნარიანობისა და ადექვატურობის დემონსტრირება. ამიტომაც შესთავაზა მას „ეკონომიკური კომისიის“ სხდომის თავმჯდომარეობა.

1931 წლის 29 ოქტომბერს 84 წლის პ. ფონ პინდენბურგმა კომისიის პირველი სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ამ ორგანოს ფუნქციების მისეული ხედვა გააცნო: „გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას უაღრესად მტკიცნეულად აღიქვამს. აღნიშნულს საზოგადოების წევრთა შორის ანტაგონიზმიც ემატება... ეკონომიკური სიდუხჭირე არყვას ურთიერთნდობის საფუძველს და სპობს ჩვენი ეკონომიკის გამოცოცხლების შანსს... ამოცანა, რომელიც თქვენს წინაშე დგას, მხოლოდ შესაძლებლობების სწორი შეფასებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების სამართლიანი შეთანხმების გზით შეიძლება გადაიჭრას. ეკონომიკური ექსპერტებისა და საიმპერიო მთავრობის თანამშრომლობისაგან მე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობის დაძლევას მოველი.”<sup>19</sup>

პრეზიდენტის შემდეგ სიტყვით ბრიუნინგი გამოვიდა. მან მიმოიხილა საგარეო მდგომარეობა, ხაზი გაუსვა რეპარაციების გადახდაზე მორატორიუმის გამოცხადების მნიშვნელობას, შემდეგ კი აღნიშნა, რომ გერმანია 1932 წელს ფინანსური რეზერვების გარეშე ხვდებოდა, ამიტომ მთავრობა იძულებული იყო კვლავაც გაეგრძელებინა სანაციური კურსი. მან კომისიის წევრებს საგანგებოდ თხოვა შემდგომი საქმიანობისას გაეთვალისწინებინათ ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება, რათა სახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური კრახისაგან ეხსნათ. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა თანხმობის წინასწარ მოთხოვნა მომავალი განსაკუთრებული დეკრეტების ვიზირებაზე. უნდა ითქვას, რომ გერმანელმა მაგნატებმა ეკონომიკური კომისიის რეალური დანიშნულების არსი ადრევე განჭვრიტეს და ბრიუნინგს უკვე აშკარა ეჭვის თვალით უყურებდნენ.<sup>20</sup>

„ეკონომიკური კომისიის” წევრებმა ორი კომიტეტი (თვითდირებულების, ფასებისა და ხელფასების რეგულირების; საკრედიტო და საპროცენტო პოლიტიკის) ჩამოაყალიბეს. სულ მათი ექვსი სხდომა ჩატარდა და ერთოვანი მუშაობის შემდეგ – 1931 წლის

23 ნოემბერს – მოეწყო დასკვნითი შეკრება. მიღებულ იქნა სპეციალური დეკლარაცია, რომელშიც ორივე კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობისა და შემუშავებული რეკომენდაციების ვრცელი ნუსხა იყო ჩამოთვლილი.<sup>21</sup> მათ შორის აღსანიშნავია: ინფლაციური პროცესებისა და მარკის დევალვაციის (ინგლისური ფუნტი სტერლინგის მსგავსად) დაუშვებლობა, ეკონომიკის კერძო სექტორის საზოგადოებრივი ტვირთისაგან გათავისუფლება, რეპარაციების საკითხის საბოლოო გადაჭრა, მორატორიუმის ვადის ამოწურვამდე ქვეყნის უცხოური კრედიტით უზრუნველყოფა, ხელფასებისა და მზა ნაწარმზე ფასების ერთდროული დაწევა, კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემის შენარჩუნებისა და ეკონომიკისთვის შედავათიანი პირობების დაწესების აუცილებლობა.

„ეკონომიკური კომისიის“ დეკლარაციის პრესაში გამოქვეყნებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა. 25 ნოემბერს, იმის გამო, რომ დოკუმენტის ძირითადი თეზისები შრომითი უზრუნველყოფისა და ფასების რეგულირების კონკრეტულ მექანიზმთა აღწერილობას არ შეიცავდა, პროტესტი გამოხატა გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების მთავარმა კომიტეტმა. 15 დეკემბერს კი აღმოსავლეთ პრუსიის სასოფლო-სამეურნეო პალატამ პინდენბურგს დეკლარაციის მიუღებელი აგრარული რეკომენდაციების გამო, მთავრობის ხელახლი რეორგანიზება და მასში „ნაციონალური ოპოზიციის“ წევრების შეყვანა მოთხოვა.

გამართდა გერმანიის მრეწველთა საიმპერიო გაერთიანების გამგეობის ეჭვიც. ისინი მიხვდნენ, რომ კანცლერი „ეკონომიკური კომისიის“ ფორმირებით მათი პოლიტიკური ზეგავლენის შესუსტებას და საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარებას შეეცადა. ამიტომ მრეწველთა მხრიდან ბრიუნინგისადმი ზურგშექცევის პროცესი შეჩერების ნაცვლად უფრო დაჩქარდა. სამართლიანია კ-დ. ბრახერის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ ოქტომბერ-ნოემბერში მიეცა ბიძგი იმ პროცესს, რომელმაც „პიტლერი 1932 წლის 27 იანვრამდე მიიყვანა.“<sup>22</sup>

ამრიგად, კანცლერის მორიგმა ინოვაციაშიც სრული ფიასკო განიცადა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: რეპარაციების პრობლემის საბოლოო მოგვარებისადმი ყველა შიდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსის დაქვემდებარება, სანაციური კურსის შემდგომ გაგრძელებას მოითხოვდა, ეს კი, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საზოგადოებრივი ძალების უკიდურესად დაძაბვას განაპირობებდა. ზემოთ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ გერმანელი მრეწველები საწყის ეტაპზე ბრიუნინგს აქტიურად უჭერდნენ მხარს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კანცლერმა დიფერენცირებული სატარიფო და საგადასახადო სისტემა აამოქმედა, აღნიშნული მხარდაჭერა მომენტალურად შეწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ავტორიტარული სახელმწიფოს ფორმირების იდეას კვლავინდებურად ემსრობოდნენ. ბრიუნინგისგან განსხვავებით მაგნატია ქცევის განმსაზღვრელი ნიუანსი შესანიშნავად ამოიცნო პიტლერმა, რასაც დიუსელდორფის კლუბში მისი გამოსვლაც ადასტურებს: „საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი ერის საშინაო მდგომარეობით განისაზღვრება, ყველაფერი სხვა – არის გზა საკუთარი პოზიციების დათმობისკენ, ნაციონალური იდენტურობის მოსპობისკენ ან ეს გახლავთ ცუდი მთავრობის მიერ გადმოგდებული სატყუარა. გერმანელი ხალხის შინაგანი მდგომარეობა დემოკრატიის ნიველირებადი გავლენითაა შერყეული. თუ რომელიმე ერის შიგნით, ისედაც იშვიათი რაოდენობით არსებული ჭკვიანი ადამიანები, ყველა სხვასთან თანაბრდებიან, მაშინ ნელა, მაგრამ გარდაუკლად ხდება გენის, პიროვნების ღირსებისა და შესაძლებლობის გაუფასურება – რასაც ხალხის ხელისუფლებას უწოდებენ. აღნიშნული კი სიცრუეა, რადგან სინამდვილეში ეს ხალხის კი არა სიბრიუგის, უფერულების, არასრულფასოვნების, სიმხდალის, სისუსტის და უნიჭობის ძალაუფლებაა. ნამდვილი სახალხო მმართველობისას ერს, მისი ცხოვრების ყველა სფეროში უნდა მართავდნენ ყველაზე გონიერი, მართლაც ამისთვის დაბადებული ადამიანები და არა უმრავლესობა.

მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით ღირებული დემოკრატიული თანასწორობის უწყინარი იდეა, ადრე თუ გვიან ცხოვრების ყველა სფეროში გაუნავს და ნელ-ნელა წამლავს ერს. კერძო საკუთრება, თავისი არსით შეუთავსებელია დემოკრატიულ პრინციპთან, ვინაიდან უკანასკნელის ლოგიკური და მორალური გამართლება ადამიანთა თანასწორობის რწმენას ემყარება. თუ ამას ვაღიარებთ, სიგიჟე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეკონომიკის სფეროში არსებობს ღირებულებითი განსხვავებანი, ხოლო პოლიტიკურში – არა! არაბუნებრივია – სამეურნეო თვალსაზრისით ცხოვრება წარმატების იდეაზე, პიროვნულ ღირებულებებზე, ე. ი. პიროვნების ავტორიტეტზე ააგო, ხოლო პოლიტიკური კუთხით უარყო ეს ავტორიტეტი და შეცვალო იგი დემოკრატიით. ასე წარმოშვება უთანხმოება ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონცეპციებს შორის და მისი დაძლევისთვის ხდება პოლიტიკური მიზნებისთვის ეკონომიკის მისადაგება.”<sup>23</sup>

ამ ფრაგმენტის დასკვნითი ნაწილი წარმოუდგენელი სიზუსტით ახასიათებს ჰ. ბრიუნინგის პოლიტიკას, რომელიც თუ ლოგიკის კანონებიდან ვიმსჯელებთ შეუთავსებელ გარემოებათა შეთავსებას ცდილობდა: როგორც კათოლიკე და პროფესიონალი იურისტი, ის ვერ წავიდა კონსტიტუციის ლიკვიდაციაზე, რადგან ეს ბუნებით სამართალს ეწინააღმდეგებოდა. ქრისტიანული სწავლებიდან გამომდინარე, მისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი დიქტატურა. აღნიშნულის თაობაზე დ. იუნკერი წერს: „ნაციზმისაგან მას კათოლიციზმი და სამართლებრივი სახელმწიფოს აღიარება მიჯნავდა, ხოლო დემოკრატიისგან – პრუსიული მონარქიზმი, სახელმწიფოებრივი მოწყობის იდეა (იგულისხმება კონსტიტუციური მონარქია – დ. წ.) და ხალხისადმი, როგორც ბრძოსადმი – ელიტარული ზიზდი.”<sup>24</sup> ბრიუნინგის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორიტარული კურსის გატარების პორობებში მას დემოკრატობაც სურდა. ამიტომაც, ჰიტლერის გამონაქვამისა არ იყოს, სანახევრო, დაუსრულებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმით სრულად ვერცერთი სოციალური ფენის შეკვეთას ვერ ასრულებდა. ეკონომიკის წარმომადგენელთა მხრიდან

ზურგშექცევა მას ფაქტიურად, განწირულის მდგომარეობაში აყენებდა. ეს ვითარება უკვე 1932 წლის დამდეგისთვის გამოიკვეთა, მაგრამ რაიხვერი ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინებით ჯერ კიდევ არ ჩქარობდა მასთან განშორებას. ამ გარემოებებს შორის პირველი 1932 წლის მარტში ჩასატარებელი საპრეზიდენტო არჩევნები გახდათ, ხოლო მეორე – ივნისისთვის დაგეგმილი ლოზანის კონფერენცია, რომელზეც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო რეპარაციებისა და შეიარაღების საკითხები.

#### § 6. „ნაციონალური ოპოზიცია“ და ბრიუნინგის II კაბინეტის კრახი

„ეკონომიკური კომისიის“ სხდომების დასრულებისთანავე კაბინეტი ახალი განსაკუთრებული დეკრეტის პროექტის შემუშავებას შეუდგა. ამჯერად მთავრობის წევრთა შორის წინააღმდეგობამაც იჩინა თავი, რამაც მუშაობის პროცესი ორი კვირით გააჭიანურა. უთანხმოება სატარიფო განიკვეთის, საფოსტო მოსაკრებლის, მყარი და თავისუფალი ფასების 10%-ით შემცირების საკითხმა გამოიწვია.<sup>1</sup>

ფასების დაწევის პარალელურად უნდა შემცირებულიყო ხელფასიც: კერძო წარმოებაში ის გაუთანაბრდებოდა 1927 წლის 10 იანვრის დონეს, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებში მოიკლებდა 9%-ით. შესაბამისად 4-8%-ით იკლებდა პენსიის მოცულობაც.<sup>2</sup> ახალი განსაკუთრებული დეკრეტის ძირითადი ნაწილი საიმპერიო ბანკის მიერ 1931 წლის ივლისში დაწესებული საპროცენტო განიკვეთისა და დისკონტის შემცირებას ეხებოდა. რაიხსკანცლერმა დისკონტის 6%-ით დაწევა მოითხოვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანული ეკონომიკა რამოდენიმე კვირაში გაჩერდებოდა. თავის მხრივ, ეკონომიკის მინისტრმა ვარმბოლდმა ლუთერს 2 მლრდ. მარკის ოდენობით ფარული კრედიტის გამოყოფა თხოვა მრეწველობის სტიმულირებისთვის, რაზეც იმ მოტივით, რომ ეს ინფლაციურ პროცესებს წაახალისებდა, საიმპერიო ბანკის პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განაცხადა. 9 დეკემბერს ბრიუნინგმა ლუთერი საპროცენტო განიკვეთის 7%-ით შემცირებაზეც დაითანხმა, რაც შეეხებოდა 2 მილიარდიანი კრედიტის საკითხს, კანცლერმა ვარმბოლდს განუცხადა, რომ იგი გადადგებოდა, მარგამ არ დაუშვებდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.<sup>3</sup>

საბოლოოდ, მბაფრი დაპირისპირების მიუხედავად, ახალი განსაკუთრებული დეკრეტი 1931 წლის 8 დეკემბერს გამოიცა. მისი ძირითადი მიზნის თაობაზე ეკონომიკის მინისტრის მრჩეველი ფესლერი 16 დეკემბრის ჩანაწერში მიუთითებს, რომ მთავრობას სურდა სწრაფად მიეღწია ეკონომიკური ვარდნის უდაბლესი წერტილისთვის, რათა ამის შემდეგ აღმაგლობის ხანა დაწევებულიყო.

კაბინეტმა მიიღო სოფლის მეურნეობის მინისტრ შილეს წინადადება და 1931 წლის 10 დეკემბერს ფასებზე კონტროლის საიმპერიო კომისრად ლაიპციგის ობერ-ბურგომისტრი კარლ გერდელერი დანიშნა. ეს უკანასკნელი დიდი ენერგიით შეუდგა საქმიანობას და უკვე 1932 წლის 21 იანვარს მთავრობას აცნობა, რომ ფასების ინდექსმა 7%-ით მოიკლო, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით აქციას თებერვლის ბოლომდე დაასრულებდა. ეს ერთი შეხედვით პროგრესული ნაბიჯი უკიდურესობასაც შეიცავდა. საქმე იმაშია, რომ გაზიარდა, ელექტროობასა

და წყალზე ტარიფის შემცირება ადექვატურად აისახებოდა კომუნათა ფინანსურ მდგომარეობაზე. ბრიუნინგის მთავრობა იმის გამო, რომ მას ფედერალური ბიუჯეტიდან ფედერაციის სუბიექტების დასაფინანსებლად თანხების გაღება არ უნდოდა, ეს პრობლემა ვერ მოაგვარა.<sup>4</sup>

ახალი განსაკუთრებული დეკრეტის შინაარსი და მთავრობის ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა კაბინეტის წევრთა (შეფერი და ვარმბოლდი), ეკონომიკურ ექსპერტთა (ვაგემანი), პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების (ვოიტინსკი და ერკელენზი), ჩინოვნიკთა პროფესიული კავშირების (ა. ფოგელი და გ. შნაიდერი) და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა (ე. ჰაიმანი (ჰამბურგი), ი. მარშაკი (ჰაიდელბერგი), გ. რიტერშაუზენი (მაინის ფრანკფურტი), გ. კოლმი (კილი) და სხვ.) კრიტიკის ობიექტად იქცა.<sup>5</sup> „მისი იდეა კაპიტალისტური ეკონომიკა კანონიკური სამართლის საშუალებით მართოს – აბსურდულია” – წერდა ბრიუნინგის შესახებ კლაუს დიტერ კრონი.<sup>6</sup>

კრიტიკის ხმა კანცლერის მხარდაჭერი, ან მის მიმართ ტოლერანტულად განწყობილი პარტიების მხრიდანაც მოდიოდა. ასე მაგალითად, სოციალ-დემოკრატი ანტონ ერკელენზი 1931 წლის 8 დეკემბრის განსაკუთრებული დეკრეტის თაობაზე წერდა: „მთავრობის დეფლაციური პოლიტიკის წყალობით რესპუბლიკური პარტიები, რომლებიც სახელმწიფოსა და რესპუბლიკის შენარჩუნების მიზნით უდიდეს მსხვერპლს იღებენ, ფაქტიურად ჰიტლერის სასარგებლოდ მუშაობდნენ. მთავრობა, რომელიც მოსახლეობის 95%-ს თავის საწინაარმდებოდ განაწყობს და ყოველდღიურად ბლალავს მის ინტერესებს დიდხანს ვერ იარსებებს. ეს განსაკუთრებული დეკრეტიც, ისევე როგორც ყველა ადრინდელი, ჰიტლერს უამრავ ახალ მხარდაჭერს შესძენს. მერე კი მის წინააღმდეგ არანაირი პოლიტიკური ბრძოლა არ გვიშველის. მან, ვისაც ჰიტლერის დამარცხება სურს, უნდა დაასრულოს დეფლაციის პროცესი, რომელიც სპობს სამუშაოს, ხელფასებსა და კაპიტალს... სიბრძმავეს დაუსადგურებია მთელს გერმანიაში, ყველაზე მეტად კი მათში, ვისაც დიდი პასუხისმგებლობა

აკისრია. ესენია: მთავრობა, მრეწველობა და დიდწილად გერმანული პრესაც.”<sup>7</sup>

„ნაციონალური ოპოზიციის” მხრიდან რაიხსტაგის დატოვებამ და დაპირისპირების ასპარეზად კვლავ ქუჩის გადაქცევამ, მთელი გერმანიის მასშტაბით პოლიტიკურ ექსცესთა რაოდენობა გაზარდა. კ. წ.  
„ბოქსპაიმის დოკუმენტების” პოვნის შემდეგაც კი (1931 წლის 25 ნოემბერი), რომელის ნაციონალ-სოციალისტთა მიერ ხელისუფლების ძალადობრივი გზით მოპოვების დეტალურ გეგმას შეიცავდა, მთავრობამ ადგქვატური ლონისძიებანი არ გაატარა და მხოლოდ კოსმეტიკური ზომებით შემოიფარგლა. იგივე 8 დეკემბრის განსაკუთრებულ დეკრეტში მითითებული იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე ემუქრებოდა, პოლიციას უფლება ჰქონდა ცეცხლსასროლი და ციგი იარაღის, საბრძოლო და ცეცხლგამჩენი მასალების კონფისკაცია მოეხდინა.<sup>8</sup> 7 დეკემბრის სამთავრობო სხდომაზე მხარეების შინაგან საქმეთა მინისტრები დაუინებით ითხოვდნენ შემოედოთ აკრძალვა უნიფორმის ტარებაზე. გაიმართა საინტერესო დებატები ფედერაციის სუბიექტთა წარმომადგენლებს, იუსტიციის მინისტრ ჯოელსა და კ. ფონ შლაიხერს შორის. ჯოელმა განაცხადა, რომ რადიკალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გასამხედროებული შენაერთების აკრძალვა პრაქტიკულად შეუძლებელია. შლაიხერმა აღნიშნა: „ჩვენ უკვე არ გაგვაჩნია საამისო ძალა და თუ მაინც შევეცდებით ამის გაკეთებას, უბრალოდ გადაგვთელავენ.”<sup>9</sup>

1931 წლის 8 დეკემბერს რადიოთი გამოსვლისას ბრიუნინგმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „საიმპერიო მთავრობას ძალუბს და არ შეუშინდება იმას, რომ გადამჭრელი ზომების გატარებით დაუპირისპირდეს საზოგადოებერივი წესრიგის დარღვევას. ის ვერ მოითმენს ვერანაირ ძალაუფლებას კონსტიტუციურის გარდა... საიმპერიო ხელისუფლება შეეცდება სრულად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც კონსტიტუციურ წესრიგზე ხელის აღმართვას შეეცდებიან.”<sup>10</sup> გასაოცარია, მაგრამ კანცლერი სახელმწიფო გადატრიალების

ორგანიზატორთა წინააღმდეგ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.

მთავრობის ამგვარ თავშეკავებას, ჩვენი აზრით, ორი მიზეზი ჰქონდა:

1. იგი ერიდებოდა სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირებას, ხოლო რაიხსვერი ნაცისტთა შეიარაღებული რაზმების გამოყენებას საკუთარი თავდაცვითი მიზნებისათვის ცდილობდა; 2. ბრიუნინგი სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული პინდენბურგის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებით, რისთვისაც პარლამენტში ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდებოდა, რისი მიღწევაც ნაცისტთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო.

ბოლო პუნქტის განხორციელებისთვის კანცლერს ჯერ მოხუცი ფელდმარშლის თანხმობა სჭირდებოდა. ამაზე იყო დამოკიდებული მის მიერ წარმოებული პოლიტიკის შემდგომი ბედი და საერთოდ ქვეყნის მომავალიც. მოულოდნელად პრეზიდენტი გაჯიუტდა, ბრიუნინგთან საუბრისას მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომ უკვე ასაკოვანი იყო და ადარ შესწევდა ქვეყნის მეთაურის ტვირთის ტარების ძალა. გარდა ამისა, მან დაუფარავად განაცხადა, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმით ის კიდევ ერთხელ გაანაწყენებდა „პარცბურგის ფრონტში” გაერთიანებულ ძველ მეგობრებს, რითაც საკუთარი თავის წინააღმდეგ თავდასხმების ახალ ტალღას ააგორებდა.<sup>11</sup> პრეზიდენტის დათანხმების მიზნით კანცლერმა მას ქვეყნის შემდგომი განვითარების მისეული კონცეპცია გააცნო. კერძოდ: პინდენბურგის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების შემდეგ ბრიუნინგი პარლამენტში განსახილველად შეტანდა წინადადებას მონარქიის აღდგენის შესახებ. პრეზიდენტი გარდაცვალებამდე რეგენტის უფლებით ისარგებლებდა, შემდეგ კი გერმანიის ტახტზე კრონპრინცის რომელიმე ვაჟი ავიდოდა, რითაც პიტლერს საბოლოოდ მოექრებოდა გზა ხელისუფლებისაკენ.<sup>12</sup> პინდენბურგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ გერმანიის ტახტზე პოლანდიაში ექსორიად მყოფი ვილჰელმ II-ის გარდა ვინმე ენახა. ოსკარ პინდენბურგის, ო. მაისნერის, ვ. გრენერის და კ. ფონ შლაიხერის თხოვნების შემდეგ პრეზიდენტი დათანხმდა კანცლერის

წინადადებას საკუთარი მმართველობის ვადის გაგრძელებაზე, ოდონდ შემდეგი პირობებით: ა) პარტიებთან კომბინაციური გარიგების გარეშე მისი საპრეზიდენტო ვადის გაგრძელება უნდა მოეთხოვა გერმანელ ხალხს; ბ) „პარცბურგის ფრონტში” შემავალ ორგანიზაციებს ამ საკითხისადმი არ უნდა დაეკავებინათ უარყოფითი პოზიცია.<sup>13</sup> გარდა ამისა, პრეზიდენტმა ხაზგასმით მიუთითა, რომ იგი არ დაუშვებდა 1932 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი პრუსიის ლანდტაგის არჩევნების გადადებას.<sup>14</sup>

პინდენბურგის თანხმობის მიღების შემდეგ კაბინეტის წევრები ამ პრობლემის იურიდიულ ასპექტთა შესწავლას შეუდგნენ. 1932 წლის 5 იანვარს აღნიშნულ საკითხზე თათბირობდნენ ბრიუნინგი, ჯოელი, სახელმწიფო მდივნები – ცვაიგერტი, მაისნერი და პიუნდერი. ისინი მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ რაიხსტაგის წინაშე წარსადგენ დოკუმენტში არ უნდა ჩაწერილიყო პრეზიდენტის გადადგომის ზუსტი თარიღი. ეს საკითხი მთლიანად პინდენბურგის ნება-სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული.<sup>15</sup> მიღებული გადაწყვეტილება ფელდმარშალმაც მოიწონა. კანცლერი დაპირდა მას, რომ უახლოეს მომავალში მემარჯვენე პარტიების პოზიციათა ზონდირებას მოახდენდა და შედეგსაც აცნობებდა.<sup>16</sup>

მარქსისტული ისტორიოგრაფია ბრიუნინგის მიერ რადიკალურ მემარჯვენე ორგანიზაციებთან დიალოგის დაწყების ფაქტს ნაცისტთა ხელისუფლებაში მოყვანის მცდელობად განიხილავდა. ეს, როგორც იმ პერიოდის წყაროების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, ისტორიული პროცესის ფალსიფიცირების მცდელობას წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, კანცლერის მხრიდან ამგვარი პოლიტიკური თამაშის წამოწყება მართალია, რისკის უდიდეს ფაქტორს შეიცავდა, მაგრამ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა საპირისპირო მხარესაც. რადიკალებთან დიალოგის დაწყება პიტლერს უდავოდ ცენტრალურ ფიგურად ხდიდა, რადგან ნაცისტთა რაიხსტაგის 107 კაციან ფრაქციაზე დიდწილად იყო დამოკიდებული საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების საკითხის გადაჭრა, მაგრამ არსებობდა მეორე მხარეც: პინდენბურგის მხარდაჭერის

შემთხვევაში, ფიურერი საკუთარი ხელით გაამაგრებდა ამ დროისთვის უკვე საკმაოდ დისკრედიტირებული ქანცლერის მორყეულ სკამს, ან არადა, პრეზიდენტის პოსტის მოპოვებისთვის უთანასწორო ბრძოლაში უნდა შებმოდა გერმანიის ეროვნულ გმირს.

როგორც ვხედავთ, ვითარება არც ისე მარტივი და ცალსახა გახდებათ, როგორც ამას მარქსისტი მკვლევარები ( გ. გ. ტარტაკოვსკი, ვ. დ. კულბაკინი, ლ. ი. გინცბერგი, ა. ა. გალკინი, გ. ლ. როზანოვი, ვ. რუბე და სხვ.) წარმოაჩენდნენ. ეს არათუ ნაცისტთათვის ხელისუფლებისკენ გზის გახსნად, არამედ მათი „მოთვინიერების“ მცდელობად შეიძლება განვიხილოთ. ბუნებრივია, რომ ინტერესს იწვევს ის, არსებობდა თუ არა გნესმპ-ში მთავრობასთან თანამშრომლობის მომხრე გუნდი? ვინც ნაციზმის ისტორიას იცნობს, მიხვდება რაზეცაა საუბარი. ჩვენ მხედლობაში გვყავს გ. შტრასერის დაჯგუფება, რომელიც მართალია, 1926 წლის ბამბერგის პარტიული კონფერენციის შემდეგ ჰიტლერის სტრატეგიულ ხაზს დამორჩილდა, მაგრამ ხანგრძლივ საარჩევნო მარათონებში მიღწეული წარმატებების საფუძველზე ხელისუფლებაში მოსვლის პროცესის გაჭიანურებამ, მათში ოპოზიციური მუხტი კვლავაც გააღვიძა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გენერალი პ. ფონ შლაიხერი 1931 წლის მაისიდან ინტენსიურად ცდილობდა ნაცისტთა ბანაკთან ურთიერთობის გაბმას. მან სწორედ ამ ჯგუფთან მოახერხა კონტაქტების დამყარება, რითაც მისი აზრით, ამ ულტრარადიკალური პარტიის გახლეჩის ნიადაგს ამზადებდა. ასე, რომ ბრიუნინგის მიერ ჰიტლერთან მოლაპარაკებების დაწყება არ ყოფილა მთავრობის იმპულსური ან ნაცისტური პარტიის ხელისუფლებაში მოყვანისთვის გადადგმული ნაბიჯი, იგი მმართველი ელიტისა და რაიხსვერის სტრატეგიული გეგმის ნაწილს შეადგენდა. პოტენციური საფრთხეების მიხედვითაც კი ის ჰიტლერისთვის უფრო იყო საშიში, ვიდრე კაბინეტისთვის. უნდა ითქვას, რომ ამას ძალიან კარგად ხვდებოდნენ თავად ნაცისტებიც - „იწყება საჭადრაკო პარტია ხელისუფლების მოპოვებისთვის, ის ალბათ ამ წლის ბოლომდე გაგრძელდება. ეს პარტია უნდა ვითამაშოთ ტემპში, ჭკვიანურად და

მოქნილად, ჩვენთვის მთავარია შევინარჩუნოთ ძლიერება და არ წავიდეთ არანაირ კომპრომისზე” – წერდა ი. გებელსი.<sup>17</sup> ცხადია, რომ პიტლერმა ამოიცნო მთავრობის ჩანაფიქრის არსი, ახლა უკვე ყველაფერი სწორ ტაქტიკურ ქმედებებზე იქნებოდა დამოკიდებული.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ პინდენბურგის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებით ბრიუნინგი მოიგებდა დროს, რომელიც მას საგარეო პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისთვის ჭირდებოდა და მომენტალურად დაიწყებდა ქვეყნის ეკონომიკური კონიუნქტურის აღორძინებას, რის შედეგადაც მისი აზრით, ბოლო მოედებოდა ყოველგვარი რადიკალიზმის გამომწვევ მიზეზს.

ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომენტებიდან გამომდინარე, კანცლერმა მემარჯვენე ოპოზიციასთან კონსულტაციები პიტლერთან შეხვედრით დაიწყო. 7 იანვარს პ. გრენერის ბინაზე შემდგარმა საუბარმა შედეგი არ გამოიდო, რადგან ფიურერი მხარდაჭერის წინაპირობად ბრიუნინგისგან რაიხსტაგის დაშლას და ახალი არჩევნების დანიშვნას ითხოვდა. 8 იანვარს ნაცისტთა შეფი შლაიხერს შეხვდა და ამჯერად უკვე თავად ითხოვა კანცლერთან აუდიენცია.<sup>18</sup>

შეიქმნა იმის ილუზია, რომ ორივე მხარე შეთანხმებისკენ იხრებოდა. 9 იანვარს რაიხსკანცელარიის ბეჭედი ბიბლიოთეკის შენობაში გამართული შეხვედრისას, რომელიც საათნახევრის მანძილზე გაგრძელდა და გარეგნულად კეთილმოსურნე ატმოსფეროში ჩაიარა, პიტლერმა განაცხადა, რომ საბოლოო პასუხის გაცემამდე ითათბირებდა საკუთარი პარტიის აპარატის წევრებთან და „პარცბურგის ფრონტში” შემავალ სუბიექტთა ხელმძღვანელობასთან.<sup>19</sup> დღის მეორე ნახევარში სახელმწიფო მდივან პ. პიუნდერს პ. ფრიკმა ტელეფონით აცნობა, რომ ფიურერი ორი დღის ვადას ითხოვდა და ნაცისტთა საბოლოო სოზიციას ორშაბათს, 11 იანვარს დააფიქსირებდა.<sup>20</sup>

10 იანვარს ბრიუნინგი „პარცბურგის ფრონტის” შექმნის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს ა. პუგენბერგს შეხვდა. უკანასკნელმა ისარგებლა შემთხვევით და პოზიციის დაფიქსირების ნაცვლად კაბინეტის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკა დაიწყო.

იგი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამოც, რომ კანცლერი მისი, როგორც „ნაციონალური ოპოზიციის” ლიდერის გვერდის ავლით ჯერ ჰიტლერს ესაუბრა.<sup>21</sup>

იმავე საღამოს ბრიუნინგს ხანგრძლივი განხილვა ჰქონდა ო. მაისნერთან და ჰ. პიუნდერთან. ორივე სახელმწიფო მდივანმა ერთსულოვნად აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია როგორც ჩანდა არ დათანხმდებოდა საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების მთავრობისეულ პოზიციას.<sup>22</sup>

ბალზედ საინტერსო მოვლენები განვითარდა ნაცისტური პარტიის ცენტრალური აპარატის სხდომაზე. გ. შტრასერი ჰიტლერს ბრიუნინგის წინადადებაზე დათანხმებას ურჩევდა, საწინააღმდეგო მოსაზრებისანი იყვნენ ე. რემი, ჰ. გერინგი და ი. გებელსი. „აქ საუბარი არ არის რაიხსპრეზიდენტზე; საქმე იმაშია, რომ ბატონ ბრიუნინგს ძალიან სურს დიდი ხნით გაიმყაროს საკუთარი და მინისტრთა კაბინეტის პოზიციები... სიტუაცია ყველა მხრივ გამოკვლევას საჭიროებს” – განაცხადა 10 იანვრის თათბირზე უკანასკნელმა.<sup>23</sup>

6 იანვარს, ჰიტლერისა და ჰუგენბერგის პოზიციების ზონდირებამდე, კანცლერი გერმანიის სახალხო პარტიის ლიდერს ე. დინგელდაის შეხვდა. იგი სრულიად იზიარებდა ამ საკითხში ბრიუნინგის შეხედულებას და მხარდაჭერასაც აღუთქვამდა.<sup>24</sup>

აღსანიშნავია, რომ ჰინდენბურგის გაფრთხილების მიუხედავად, კაბინეტის წევრებმა ვერ უზრუნველყვეს პარტიებთან კონსულტაციების კონფიდენციალურობა და პრესამ ამ შეხვედრათა თაობაზე შეიტყო, რამაც პრეზიდენტი ძალზედ გაანაწყენა. ამას გნსპ-სა და ნაცისტების დემარშიც დაემატა. 11 იანვარს ჰუგენბერგმა კანცლერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თქვენ ამ საკითხს გსდპ-სა და კათოლიკური ცენტრის მხარდაჭერის გარეშე ვერ წამოწევდით. ეს ის პარტიებია, რომლებიც თავის დროზე ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევას ეწინააღმდეგებპდნენ, სწორედ უკანასკნელთა მხარდაჭერის პირობებში თქვენ მოდიხართ იმ ძალასთან, რომელმაც მისი არჩევის სტიმულირება მოახდინა. თქვენი მოქმედების სისწორეს ისინი საგარეო

პოლიტიკური ფაქტორებითა და სტაბილური ხელისუფლების არსებობის აუცილებლობით ასაბუთებდნენ... აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამინდელი მთავრობის გადადგომით გაუმჯობესდება.. ბატონო რაიხსკანცლერო, გერმანიის პრეზიდენტის არჩევა ხალხის პრეროგატივას წარმოადგენს! ამ უფლების იმ რაიხსტაგისთვის მინიჭება, რომელიც ერის სურვილს და ამჟამინდელ განწყობას არ გამოხატავს, შეუძლებელია... საპარლამენტო პროცედურა ახლანდელი საიმპერიო მთავრობისადმი მხარდაჭერის მომასწავებელი უფრო იქნებოდა, ვიდრე პრეზიდენტისადმი. ამ გარემოებათა გამო, მე საბოლოო პასუხს გაცნობებთ: ჩვენ თქვენს მიერ ჩაფიქრებულ დონისძიებას ვერც დავეთანხმებით და ვერც მხარს დავუჭერთ.”<sup>25</sup>

ფაქტიურად, იგივე შინაარსისა იყო ჰიტლერის პასუხიც, ოლონდ მან საპასუხო წერილი ჰ. გერინგს პირპადიორ პრეზიდენტის კანცელარიაში, კანცლერის აპარატის გვერდის ავლით, მიატანინა. ნაცისტთა შეფი კაზუისტიკურ მეთოდთა გამოყენებით თავს კონსტიტუციის დამცველად ასაღებდა და მიუთითებდა ბევრ ისეთ იურიდიულ ნიუანსზე, რომელთა გამოც კანცლერის გეგმას ვერ გაიზიარებდა.<sup>26</sup>

22 იანვრით დათარიღებულ პასუხში ბრიუნინგი შეეცადა სათანადო არგუმენტაციით დაემტკიცებინა ჰიტლერისთვის და საზოგადოებისთვის, რომ პრეზიდენტის ვადის გაგრძელება სულაც არ იყო ანტიკონსტიტუციური აქტი, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს ცვლიდა.<sup>27</sup> ამის შემდეგ „ფოლადის მუზარადის“ ხელმძღვანელობასთან შლაიხერის მიერ წარმოებულმა მოლაპარაკებებმაც აზრი დაკარგა. მისი მეთაური ზელდტე, ა. ჰუგენბერგის ზეწოლის გამო, უარს აცხადებდა კანცლერის გეგმის მხარდაჭერაზე.<sup>28</sup>

ამ მოვლენებმა ბრიუნინგი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ რადიკალურ მემარჯვენეთა ბანაკი მხარს არ დაუჭერდა მის არცერთ დონისძიებას. გარდა ამისა, ის პიროვნულად შეურაცხეოფილად გრძნობდა თავს და როგორც რაიხსკანცლერიის აქტებიდან ჩანს გადადგომის თაობაზე განცხადების

გაკეთებასაც კი აპირებდა.<sup>29</sup> „თუ ჩემი წასვლა პრეზიდენტ პინდენბურგს მემარჯვენეთა ერთსულოვან მხარდაჭერას მოუტანს, ახლავე გადავდგები” – განუცხადა მან 26 იანვარს შლაიხერსა და გრენერს.<sup>30</sup> მისი გარემოცვა შეეცადა გაერკვია ის, მთახდინა თუ არა კანცლერის წარუმატებლობამ რაიმე სახის ზემოქმედება პინდენბურგის მისდამი დამოკიდებულებაზე. ამ საკითხით დაინტერესებული ჰ. პიუნდერი ო. მაისნერმა ანუგეშა და უთხრა, რომ პრეზიდენტი კვლავაც ენდობოდა კანცლერს, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა თუკი უკანასკნელი გადადგომის განცხადებით თავად არ მიმართავდა ფელდმარშალს.<sup>31</sup>

კაბინეტის წევრები, ზემოთ აღწერილი მიმართულებით წარმოებულ საქმიანობაში განცდილი მარცხის შემდეგ, შეეცადნენ პინდენბურგი საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე დაეთანხმებინათ. 27 იანვარს მათ ვილჰელმ გრენერმა სასიხარული ინფორმაცია მოუტანა: „პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოხატა არჩევნებში მონაწილეობაზე, თუ ეს გერმანელი ხალხის ნება იქნებოდა... მას არ სურს, რომ თანამდებობიდან გადადგეს კანცლერი ბრიუნინგი.”<sup>32</sup>

კაბინეტმა მოახერხა ის, რომ გერმანული საზოგადოების ერთმანაწილმა, რომელსაც სათავეში ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ჰენრიხ ზამი ედგა, მოითხოვა ხანდაზმულ ფელდმარშალს კვლავ წამოეყენებინა საკუთარი კანდიდატურა რაიხსპრეზიდენტის პოსტზე.<sup>33</sup> მთავრობის წევრებისთვის ნათელი გახდა ისიც, რომ მემარჯვენე ოპოზიციის შეურიგებელი პოზიციის გამო მათი კანდიდატის ბედი ყველაზე მეტად სოციალ-დემოკრატიაზე იქნებოდა დამოკიდებული. 15 თებერვალს პინდენბურგმა ოფიციალურად გამოაცხადა არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე, ხოლო 22 თებერვალს, ბერლინის სპორტ-პალასში შეკრებილი ნაცისტური ელიტის წინაშე იგივე გააკეთა ადოლფ ჰიტლერმაც.<sup>34</sup>

ჩვენ არ შევუდგებით საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტიათა დეტალურ აღწერას, მაგრამ გამოვყოფთ მთავარ მომენტს, რომელმაც ბრიუნინგის ავტორიტეტი პინდენბურგის თვალში კიდევ უფრო დასცა. მართალია, კანცლერს თავი არ დაუზოგავს აგიტაციურ-

პროპაგანდისტული საქმიანობის წარმოების კუთხით, მაგრამ არჩევნების მეორე ტურში (1932 წლის 10 აპრილი) პინდენბურგის დამაჯერებელი გამარჯვება დიდწილად სოციალ-დემოკრატებმა განაპირობეს.<sup>35</sup> პრეზიდენტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრიუნინგი არ იყო ის კანცლერი, რომელსაც მისთვის ყველა ჯურის მემარჯვენე ძალის უპირობო მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეეძლო. ამიტომ, იგი შესაფერისი კანდიდატურის გამოჩენის შემთხვევაში უკვე ყოველგვარი სინაწელის გარეშე შეეძლეოდა მას.

1932 წლის მარტი და აპრილი მეტად მძიმე თვეები გამოდგა მთავრობისთვის. უკვე აღინიშნა იმის თაობაზე, თუ რა მიზანს ისახავდა 1931 წლის 8 დეკემბრის განსაკუთრებული დეკრეტი. 1932 წლის თებერვლის ბოლოს პროდუქციაზე ფასების დაწევისა და სოციალური ხარჯების უკიდურესად შეზღუდვის გზით კაბინეტმა იმ სასურველ უმდაბლეს წერტილს მიაღწია, საიდანაც მათი აზრით, ეკონომიკური აღმასვლა უნდა დაწყებულიყო. სამწუხაროდ, ეს იმედიც ფუჭი აღმოჩნდა, ფინანსთა სამინისტროს და საიმპერიო ბანკს სარეანიმაციო ღონისძიებათა დასაფინანსებელი სახსრები არ აღმოაჩნდათ. მარტის დასაწყისში გამართულ პირველივე სამთავრობო სხდომაზე დიტრიხმა განაცხადა, რომ 1932-1933 წლების ბიუჯეტში სავარაუდოდ 400 მილიონიანი დეფიციტი იქნებოდა, ხოლო ეკონომიკის მინისტრი ვარმბოლდი აპრილის დამდეგისთვის 375-500 მლნ. დანაკარგს ელოდა მხოლოდ უცხოური ვალუტის სახით.<sup>36</sup>

მინისტრები, განსაკუთრებით შტებერვალდი და ვარმბოლდი, შეშფოთებულნი იყვნენ შექმნილი მდგომარეობით. ბრიუნინგმა მათ კატეგორიულად მოთხოვა, რომ პესიმისტური პროგნოზები საზოგადოებისთვის არ გამხდარიყო ცნობილი. კანცლერის პოზიციის გამო, 1932 წლის 19 მარტს თანამდებობა დატოვა მისმა ყველაზე დიდმა ოპონენტმა და ამავდროულად ყველაზე საქმიანმა თანაშემწემ ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ჰანს შეფერმა. საინტერსო დიალოგი გაიმართა ამ უკანასკნელსა და კანცლერს შორის. ბრიუნინგის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „მამაცი გერმანელი

ხალხის განსაკუთრებულობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ არ დაკარგოს გამძლეობა მიზანთან ახლოს ყოფნისას და არ დანებდეს,” შეფერმა შედმები სახის პასუხი გასცა: „იმ შემთხვევებში, როცა მსოფლიო ომის ბოლოს და „რურისათვის ბრძოლის” პირობებში, ხალხმა ანალოგიური პროცესების სიმწვავე გადაიტანა – არსებობდა მკაფიოდ გამოხატული მიზანი და მისი განხორციელებისთვის მებრძოლი ხელმძღვანელები.”<sup>37</sup> ამით, ფაქტიურად, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კანცლერი კრიზისული პროცესების მართვის უუნარობაში დაადანაშაულა. ამავე პერიოდისთვის საბოლოოდ გახდა ცხადი, რომ მთავრობა ვერც სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის პროგრამას განახორციელებდა, ეს კი ბრიუნინგის ფინანსურეკონომიკური გეგმის ჩაშლას ნიშნავდა.

1932 წლის აპრილში გერმანიაში კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია უმუშევრობამ. მხოლოდ შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულთა რაოდენობა 6 მილიონს გადასცდა, აღარაფერს ვამბობთ ფარულ უმუშევრობაზე. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ მასის ყოველმხრივი დახმარება შეუძლებელი იყო. ამიტომ, კაბინეტი კვლავინდებურად ცდილობდა უმუშევართა დახმარების ვადების შეკვეცას – 13 კვირამდე.

ურთულესი მდგომარეობა შეიქმნა აგრარულ რეგიონებშიც. ე. წ. „აღმოსავლური დახმარების“ პროექტი, სათანადო ფინანური უზრუნველყოფის არარსებობის გამო, არაეფექტური გამოდგა. ახალმა საიმპერიო კომისარმა პანს შლანგე-შიონინგერმა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ე. წ. „ჩასახლების პროგრამის“ იდეა წამოაყენა. მას პომერანიის სასოფლო-სამეურნეო პალატის პრეზიდენტი ფლემინგიც უჭერდა მხარს. მათი აზრით, საიმპერიო ბანკს უნდა მოეძია საჭირო სახსრები, რომელსაც შლანგე-შიონინგენი მიწის ნაკვეთების შესასყიდად და იქ ქვეყნის ცენტრალური რეგიონებიდან წამოყვანილ უმუშევართა ჩასასახლებლად გამოიყენებდა.<sup>38</sup> მოგვიანებით, 1932 წლის 9 მაისს, კომისარმა გაკოტრებულ იუნკერთა ადგილ-მამულების საჯარო

აუქციონზე გაყიდვის ნებართვაც მიიღო,<sup>39</sup> როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ფაქტი, მნიშვნელოვანი ფაქტორის როლს შეასრულებს ბრიუნინგის კაბინეტის დამხობის საქმეში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1931 წლის ბოლოდან შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები ნაცისტური პარტიის კონსტიტუციურობის საკითხს სწავლობდნენ. მართალია, გრენერმა და ჯოელმა ორგანიზაციის აკრძალვა არ განახორციელეს, მაგრამ მისი გასამხედროებული შენაერთების თარეშმა ფედერაციის სუბიექტთა მთავრობების ყურადღება მიიპყრო. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისას ამ პრობლემის მოგვარება გადაუდებელ ამოცანად იქცა. 1932 წლის 4 მარტს პრუსიის პრემიერ-მინისტრი ო. ბრაუნი ბრიუნინგს წერდა: „ფაქტიურად, SA და SS ფანატიკურად განწყობილი სამხედრო ორგანიზაციებია. ისინი მუსოლონის „შავხალათიანებს“ გვანან. მათი წევრები განსხვავებულად მოაზროვნეთა ტერორიზებას ეწევიან... ჰიტლერის მტკიცება ლეგალურობის თაობაზე ფიქციას წარმოადგენს.”<sup>40</sup> მარტის შუა რიცხვებიდან ნაცისტური რაზმების წინააღმდეგ აქტიურ ღონისძიებათა გატარებას საქსონიის, ვიურტემბერგის, ბადენის და ჰესენის მთავრობებიც ითხოვდნენ.<sup>41</sup> განსაკუთრებული სიმძაფრით ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრ შტიუცელის 30 მარტით დათარიღებული წერილი გამოირჩეოდა, რომელიც გრენერს აკრძალვის შემოუღებლობის შემთხვევაში ამ ნაბიჯის ავტონომიურად განხორციელებით დაემუქრა.<sup>42</sup> შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა მინისტრი იძელებული იყო ემოქმედა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარების დღეს კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჰინდენბურგისთვის ხელმოსაწერად წარედგინათ განსაკუთრებული დეკრეტი SA-ს აკრძალვის თაობაზე.<sup>43</sup> მთავრობის სხდომას პ. ფონ შლაიხერიც ესწრებოდა. მან იმ მოტივით, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახლა ძალზედ მომგებიანი მომენტი იყო, მხარი დაუჭირა გრენერის გადაწყვეტილებას. ამით გენერალმა კარგად მოფიქრებული ინტრიგა წარმოება წამოიწყო, რომელიც საბოლოო ჯამში მთავრობისთვის სავალალო შედეგებით დასრულდა.

მის არსში გარკვევისათვის საჭიროა რაიხსვერის ნაცისტური რაზმებისადმი ურთიერთდამოკიდებულების ზოგადად წარმოდგენა. იურიდიულ და სპეციალურ საკითხებში თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების სამოქალაქო რეფერენტი ალფრედ ფონ კარლოვიცი ამ სიტუაციას ასე ახასიათებს: „შლაიხერის პოლიტიკაში SA-ს მიმართ შემობრუნების წერტილად 1932 წლის აპრილი უნდა მივიჩნიოთ. მისი თავდაცვითი კონცეპციის მიხედვით უნდა მომხდარიყო ანალოგიური კავშირების დეპოლიტიზაცია და მათი კონსტრუქციულ მილიციაში გაერთიანება, რითაც მემარჯვენე რადიკალური პარტიები დაკარგავდნენ ძალისმიერ ფაქტორს და ძლიერ პროპაგანდისტულ ინსტრუმენტსაც.“<sup>44</sup> ადსანიშნავია, რომ რაიხსვერს მართლაც გააჩნდა „საიმპერიო სამეურვეო საბჭო,“ რომელსაც სათავეში გენერალი შტიულპნაგელი ედგა და მის ფუნქციას აპოლიტიკურ საფუძველზე ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა შეადგენდა. შლაიხერის აზრით, მას შემდეგ, რაც ჩატარდებოდა კონფერენცია განიარაღების თაობაზე, რაიხსვერი შტიულპნაგელის სტრუქტურაგამოვლილი ახალგაზრდობისაგან დამხმარე საპოლიციო რაზმების ფორმირებას დაიწყებდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პოზიციას გრენერიც და სახმელეთო ჯარების სარდალი გენერალი ჰამერშტაინიც იზიარებდნენ.

რაიხსვერის მინისტრის მიერ SA-ს აკრძალვაზე თანხმობის განცხადებამ სამხედროთა დიდი ნაწილი მის წინააღმდეგ განაწყო. შლაიხერმა მოხერხებულად გამოიყენა ეს ფაქტი და ყოფილი მფარველისა და პროტესეს წინააღმდეგ ინტრიგათა წარმოება დაიწყო. ერთის მხრივ – იგი გრენერისა და ბრიუნინგის წინააღმდეგ განაწყობდა ჰინდენბურგს, ხოლო მეორეს მხრივ – მთავრობაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმაციას აწვდიდა ნაცისტებს. მართალია, 1932 წლის 13 აპრილს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს „სახელმწიფო ავტორიტეტის უზრუნველყოფის შესახებ,“<sup>45</sup> მაგრამ 16 აპრილს შლაიხერის „წყალობით“ ჰინდენბურგმა შინაგან საქმეთა მინისტრისგან სოციალ-დემოკრატიული „რაიხსბანერის“ აკრძალვაც მოითხოვა.<sup>46</sup> გარდა აღნიშნულისა შლაიხერმა სამხედრო ოლქების

სარდლებს აცნობა, რომ რაიხსვერის ხელმძღვანელი ბირთვი არ ეთანხმებოდა SA-ს აკრძალვის ფაქტს.

თავდაცვის სამინისტროსა და პრეზიდენტის კარზე წარმოებული ინტრიგების პარალელურად, გენერალმა ნაცისტთა პოზიციების ზონდირება დაიწყო. 13-დან 28 აპრილამდე ის რამოდენიმეჯერ შეხვდა ე. რემს და SA-ს ბერლინის რაზმების მეთაურ გრაფ ჰალდორფს.<sup>47</sup> ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობა თავიდანვე ჩაწერის „კეთილგანწყობის“ ნამდვილ არსეს, მაგრამ ისინი შეგნებულად არ ამბობდნენ უარს ამგვარ კონტაქტებზე და ვირტუოზულად აგრძელებდნენ იმ საჭადრაკო პარტიას, რომელსაც ჰიტლერი ხელისუფლებამდე უნდა მიეყვანა.

ამგვარ ჰიტლებში, ბუნებრივია, რომ 13 აპრილის განსაკუთრებულ დეკრეტს გნემპ-თვის რაიმე კატასტროფული შედეგი არ მოუტანია. ჰიტლერი, მან კიდევ უფრო შეარყია კაბინეტის და განსაკუთრებით გრენერ-ბრიუნინგის ავტორიტეტი. პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში უკვე მათ მემკვიდრეებზე საუბრობდნენ. ნაცისტთა შეფარდებით უარყო ე. რემის წინადადება წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე და მოიერიშეთა რაზმები პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიყვანა. ამით მან უადრესად სწორი ტაქტიკური ნაბიჯი გადადგა, რითაც SA-ს ერთიანობაც შეინარჩუნა და შლაიხერს მათი გადაბირების შესაძლებლობაც მოუსპო.

ამგვარად, ნაცისტური პარტია განაგრძობდა მიზანდასახულ სვლას ხელისუფლებისკენ. მისი ხელმძღვანელობა მოხერხებულად სარგებლობდა ეკონომიკური კრიზისის შედეგებით, ქვეყნის პარტიულ-პოლიტიკურ სპექტრს შორის არსებული დაპირისპირებებით და ახალ წარმატებებს აღწევდა. ვიურტემბერგის, ბავარიის ჰამბურგის საკანონმდებლო ორგანოთა არჩევნებში გნემპ-მ მაღალი შედეგი აჩვენა. ეს მაშინ, როცა სამოქალაქო ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციები ყველგან (ბავარიის გარდა) მასიურად კარგავდნენ ამომრჩეველთა მხარდაჭერას.

ასეთ ვითარებაში დადგა 1932 წლის 24 აპრილი და ნაცისტებმა კიდევ ერთი სენსაცია მოახდინეს: მათ მოახერხეს სოციალ-დემოკრატიის მისსავე ციტადელში დამარცხება და პრუსიის ლანდტაგში უდიდეს ფრაქციად იქცნენ.<sup>48</sup> გერმანული საზოგადოების გახლებილობამ და ანტივაიმარულმა განწყობამ აქაც იჩინა თავი. მართალია, ულტრამემარჯვენე ძალებს კვალიფიციური უმრავლების ფორმირება არ შეეძლოთ,<sup>49</sup> რაც მათ პრუსიის მთავრობის შეცვლის საფუძველს მისცემდათ, მაგრამ მცირე ხნით გაჩნდა საშიში ტენდენცია კათოლიკური ცენტრის პარტიასთან თანამშრომლობისა,<sup>50</sup> რომელსაც ბრაუნ-ზევერინგის მთავრობისთვის კატასტროფული შედეგების მოტანა შეეძლო.

ფაქტიურად, 1932 წლის მაისის დამდეგისთვის გერმანიაში თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით საკანონმდებლო დონეზე ნაცისტები და სხვა ულტრამემარჯვენე ძალები დომინირებდნენ. ფედერალური და ადგილობრივი მთავრობები ყველანაირი ღონისძიების გამოყენებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მათი მასიურად შეღწევის პროცესი, მაგრამ ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაში ისეთი ნაბიჯების გადადგამს ვერ ახერხებდნენ, რომ რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზები მოესპოროთ.

აპრილის ბოლოსთვის ვითარება უკიდურესად გამწვავდა მინისტრთა კაბინეტშიც. 28 აპრილს ეკონომიკის მინისტრმა ჰ. ვარმბოლდმა იმ მოტივით, რომ კანცლერისა და მთავრობის სხვა წევრთა აქტიური ჩარევის გამო, შეზღუდული პქონდა თავისუფალი ქმედების არეალი, პრეზიდენტს გადადგომის თხოვნა გაუგზავნა.<sup>51</sup> მინისტრი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ იგი ვერ აიღებდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმ ეკონომიკურ პურსზე, რომელიც მისი თანხმობის გარეშე ხორციელდებოდა.<sup>52</sup> შეფერის გადადგომის შემდეგ ეს მორიგი საკაბინეტო სკანდალი იმაზე მიუთითებდა, რომ ბრიუნინგის მთავრობას უახლოეს მომავალში გარდაუვალი კრახი ელოდა. ამას ძალზედ კარგად გრძნობდნენ ოპოზიციური ძალები. ი. გებელსი თავის დღიურებში წერს:

„6. 05. 1932. ბომბი აფეთქდა... ეკონომიკის მინისტრი გადადგა, პრიუნინგი და გრენერი შეტორგმანდნენ.”<sup>53</sup>

კანცლერის მდგომარეობა დაამძიმა იმ გარემოებამაც, რომ მან 26-29 აპრილს უენევაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ამან პრეზიდენტის გარემოცვას და განსაკუთრებით კ. ფონ შლაიხერს ინტრიგათა ქსელის კიდევ უფრო გაფართოებისაკენ უბიძგა. იგი ჯერ 28 აპრილს, შემდეგ კი 7 მაისს ორჯერ შეხვდა ჰიტლერს და მისგან ახალი მემარჯვენე კაბინეტის მხარდაჭერა ითხოვა. ნაცისტთა ლიდერიც იმ პირობით, რომ გაუქმდებოდა აკრძალვა SA-ზე და დაიშლებოდა რაიხსტაგი, თანხმობას აცხადებდა. „8. 05. 1932. ფიურერს გადამწყვეტი შეხვედრა ჰქონდა შლაიხერთან; მასში პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის რამოდენიმე წევრიც მონაწილეობდა. ყველაფერი შესანიშნავად მიდის... ბრიუნინგი უახლოეს დღეებში უნდა გადადგეს. პრეზიდენტი მას უნდობლობას გამოუცხადებს. გეგმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვლავ ჩამოყალიბდება პრეზიდიალური მთავრობა, დაიშლება რაიხსტაგი, გაუქმდება ყველა განსაკუთრებული დეკრეტი, ჩვენ მივიღებთ თავისუფალი აგიტაციის უფლებას და დავიწყებთ პროპაგანდისტულ საქმიანობას” – წერდა ი. გებელსი.<sup>54</sup>

კ. ფონ შლაიხერი ამ ვითარების შესახებ პერმანენტულად აცნობებდა პრეზიდენტს. მანვე შესთავაზა პინდენბურგს მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებთან დიალოგის დაწყების იდეა, რითაც მის ანტიბრიუნინგულ განწყობას კიდევ უფრო გაამძაფრებდა.<sup>55</sup> 9 მაისს ფელდმარშალმა აღნიშნული თემა კანცლერთან შეხვედრისას გააუღერა. ბრიუნინგი მიხვდა, რომ მთავრობის მეთაურის პოსტზე მისი ყოფნის დღეები დათვლილი იყო და ამიტომ, უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია. მან პინდენბურგს აუხსნა, რომ 16 ივნისს უენევაში განიარაღების პრობლემათა თაობაზე მოლაპარაკებების მეორე რაუნდი დაიწყებოდა. ასეთ ვითარებაში წამგებიანი იქნებოდა სამთავრობო ცვლილებების განხორციელება და რადიკალური მემარჯვენე ძალების წარმომადგენელთა კაბინეტში შეყვანა. კანცლერმა კატეგორიულად

განაცხადა, რომ თუ რაიხსკრეზიდენტი აღნიშნულ მოსაზრებას არ გაიზიარებდა, იგი დაუყოვნებლივ გადადგებოდა. საბოლოო გადაწყვეტილებით დადგინდა - მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება-კონსულტაციები 24 მაისის შემდეგ დაწყებულიყო.<sup>56</sup>

9 მაისს ვე მუშაობას შეუდგა გერმანიის რაიხსტაგი. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მისი 10 მაისის სხდომა, რომელზეც SA-ს აკრძალვის საკითხის კონსტიტუციურობა განიხილებოდა. საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტმა ლიობემ ამასთან დაკავშირებით სიტყვა გენერალ გრენერს მისცა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ძალზედ ცული ორატორი იყო, მას არ შეეძლო პათეტიკური გამოსვლით მსმენელთა დატყვევება. ამით ისარგებლეს ნაცისტებმა და პარლამენტი დებოში მოაწყვეს. განსაკუთრებით ჰ. გერინგი აქტიურობდა.<sup>57</sup> მან გრენერს პიროვნული შეურაცხყოფაც მიაყენა და სახალხოდ მასხრად აიგდო. საყოველთაო აურზაურში გენერალმა ბოლომდე ჩაიკითხა მოხსენების ტაქსტი და დარბაზის გასასვლელისკენ გაემართა. სხდომათა დარბაზის კართან მას კ. ფონ შლაიხერი დახვდა და გამოუცხადა, რომ ამიერიდან „ის ადარ სარგებლობს რაიხსვერის ნდობით.“<sup>58</sup> ამაო გამოდგა გრენერის ვიზიტი ჰინდუსტრიულგთანაც. პრეზიდენტმა „აუხსნა“ გენერალს, რომ „შექმნილ ვითარებაში მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია.“<sup>59</sup>

13 მაისს ვ. გრენერი რაიხსვერის მინისტრობიდან გადადგა, მაგრამ შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. გახარებული იოზეფ გებელსი წერდა: „12. 05. 32. სადამოს მოვიდა ნანატრი ცნობა – გრენერი გადადგა. 13. 05. 32. ჩვენ მივიღეთ შეტყობინება გენერალ შლაიხერისგან: კრიზისი გეგმის მიხედვით ვითარდება.“<sup>60</sup>

მართალია, რაიხსტაგმა 12 მაისს კანცლერს კვლავ ნდობა გამოუცხადა, მაგრამ გრენერის გადადგომა უდიდესი დანაკლისი იყო. ბრიუნინგმა რაიხვერის მინისტრობა შლაიხერს შესთავაზა, მაგრამ უკანასკნელმა პასუხისმგრა თავი შეიკავა. კაბინეტმა ისე დაასრულა არსებობა, რომ ეს პოსტი ვაკანტურად დარჩა.

13-დან 21 მაისამდე მთავრობა ახალი განსაკუთრებული დეკრეტის ნიუანსებზე მუშაობდა, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკური, სოციალური და აგრარული სფეროების გამოცოცხლებას ისახავდა მიზნად. ძირითადი აქცენტი უმუშევრობის დაძლევაზე კეთდებოდა. ა. შტეგერვალდი ამ მიზნით 1 მლრდ. მარკის გამოყოფას მოითხოვდა, მაგრამ საბიუჯეტო დეფიციტის გამო საიმპერიო ბანკს მხოლოდ 135 მლნ.-ის გადარიცხვა შეეძლო. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით უნდა დაწყებულიყო ფართომასშტაბიანი საამშენებლო პროექტების განხორციელება და სრული სიმძლავრით ამოქმედებულიყო ე. წ. „ჩასახლების პროგრამა,” რომელიც უპირატესად ძლიერ ინდუსტრიული ცენტრალური რეგიონებიდან უმუშევართა აგრარულ სექტორში ჩაბმას გულისხმობდა.<sup>61</sup> სწორედ ამ უკანასკნელი პუნქტის ტორპედირება გადაწყვიტა გერმანიის ნაციონალურმა სახალხო პარტიამ და „ლანდბუნდმა.”

1932 წლის მაისში პინდებურგის კანცელარია საპროტესტო წერილებით აივსო. პრუსიელი არისტოკრატები აღმფოთებას ვერ მალავდნენ საიმპერიო კომისარ ჰ. შლანგე-შიონინგენის მიერ გაკოტრებულ იუნკერთა მამულების საჯარო აუქციონებზე გაყიდვის გამო. პინდებურგის უახლოესმა მეგობარმა ოლდენბურგ-იანუშაუმ ამ ღონისძიებების ვიზირებისთვის ჰ. ბრიუნინგს „შავად შეღებილი სოციალ-დემოკრატი,” ხოლო შლანგე-შიონინგენს „აგრარული ბოლშევიკი” უწოდა.<sup>62</sup>

ბრიუნინგის დამხობაში გადამწყვეტი როლი პ. ფონ შლაიხერმა ითამაშა. ამ პერიოდისთვის მას უკვე შერჩეული ჰყავდა რაიხსკანცლერის ახალი კანდიდატურა. 1932 წლის 26 მაისს იგი კონსპირაციულად ჩავიდა ნოიდეკში, პინდებურგს მომავალი კაბინეტის შემადგენლობა გააცნო და იმ მიზნით, რომ პრეზიდენტი საბოლოოდ უარყოფითად განეწყო ამჟამინდელი კანცლერის მიმართ საიმპერიო არქივიდან 15 წლის წინანდელი დოკუმენტი მოიტანა, რომელშიც ლეიტენანტი ბრიუნინგი ოსკარ ფონ პინდებურგს უნიჭობაში სდებდა

ბრალს. ამ დოკუმენტმა გარკვეულწილად მოვლენათა შემდგომი მსვლელობა დააჩქარა.

29 მაისს, პრეზიდენტის ბერლინში ჩასვლის შემდეგ, მასთან ჩვეულებრივი მოხსენების გაკეთების მიზნით კანცლერი გამოცხადდა. ბრიუნინგმა ფელდმარშალს დასავლეთის ქვეყნებთან მიმდინარე მოლაპარაკებების და პერსპექტივების თაობაზე დაუწყო საუბარი. მოულოდნელად ჰინდენბურგმა მას სიტყვა გააწყვეტინა და განაცხადა, რომ ის შემდეგში არცერთ განსაკუთრებულ დეკრეტს არ მოაწერდა ხელს, გარდა ამისა, მან კანცლერს კაბინეტში პერსონალური ცვლილებების განხორცილება აუკრძალა.<sup>63</sup>

1932 წლის 30 მაისს – ხელისუფლებაში 26 თვიანი ყოფნის შემდეგ ჰაინრიხ ბრიუნინგი გადადგა. ასე დასრულდა პერიოდი, რომელიც „ბრიუნინგის ერის“ სახელითაა ცნობილი.

კანცლერის გადადგომით დასრულდა საპრეზიდენტო მმართველობის ზომიერი ფაზაც. ბრიუნინგმა მოახერხა გერმანიის ბიუჯეტის გაწონასწორება, მოამზადა საიმპერიო რეფორმა, მოაწესრიგა კატასტროფული საბანკო კრიზისი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, - გერმანია სანუკვარი საგარეო პოლიტიკური მიზნიდან, რომელიც რეპარაციების საბოლოო გაუქმებასა და სამხედრო პარიტეტის აღდგენაში მდგომარეობდა, 100 მეტრში იდგა.

კანცლერის ფოკუსირებამ საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე იგი უმკაცრესი ფინანსური სანაციის კურსის გატარების აუცილებლობამდე მიიყვანა. ამან კი გააუარესა სოციალური დაზღვევის სისტემა, წარმოუდგენლად გაზარდა უმუშევართა რიცხვი და დაზარალა აგრარული სექტორი. გერმანელ მრეწველთა გაზრდილი პრეტენზიების ალაგმვის მიზნით ბრიუნინგმა ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმი და დიფერენცირებული სატარიფო სისტემა აამოქმედა, რამაც მსხვილ მაგნატთა უკმაყოფილება და მინისტრთა კაბინეტისადმი დაპირისპირება განაპირობა.

კანცლერის შიდაპოლიტიკური კურსის წყალობით განხორციელდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრაცია, რამაც გერმანია ახალი

კონსტიტუციური რეალობის წინაშე დააყენა. მმართველი ელიტის შიგნით არსებული დაპირისპირებებისა და ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების გამო კანცლერმა ვერ მოახერხა რადიკალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა დათრგუნვა, ან მოთვინიერება. ეკონომიკური დეპრესიის პირობებში მის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული მენეჯმენტი გარკვეულწილად ულტრარადიკალური ბალების წისქვილზეც კი ასხამდა წყალს და ზრდიდა მათი მხარდამჭერების რიცხვს. ამაში გამოვლინდა ბრიუნინგის არაპოლიტიკური საშინაო კურსის არაპრაქტიკული ხასიათი.

თავი III. ვაიმარის რესპუბლიკა ფ. ფონ პაპენისა და კ. ფონ შლაიხერის  
ანტირესპუბლიკური კაბინეტების დროს

**§1. კონსტიტუციური კრიზისის ესკალაცია და სახელმწიფო  
გადატრიალება პრუსიაში**

კ. ბრიუნინგის გადაყენებით ვაიმარის პოლიტიკური სისტემის გადარჩენა-რეანიმაციის შანსი საბოლოოდ გაქრა. ძველმა ელიტამ, პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის სახით, რომელიც თავიდანვე ვერ ერკვეოდა მოქმედი კონსტიტუციურ-პარტიული მექანიზმის არსში, საბოლოოდ გადაწყვიტა კაიზერის პერიოდის მსგავსად სახელმწიფო – დემოკრატიაზე მაღლა დაეყენებინა. 1930-32 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ამ ჯგუფს განუმტკიცა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პარტიები აშკარად რომელიმე სოციალური ფენის კერძო ინტერესებს გამოხატავდნენ. ამიტომ, კვაზისაპრეზიდენტო მოდელის ფორმირების პირობებში, ჰინდუნბურგმა აშკარად მემარჯვენე, „ნაციონალური ინტერესების გამომხატველი” ზეპარტიული მთავრობის ფორმირებისკენ აიღო გეზი. ამ დონისძიების ნაკლოვანი მხარეები ბრიუნინგის კანცლერობისას გამოვლინდა, მაგრამ ხელისუფლებაში მყოფმა ნაცონალურ-ავტორიტარულმა ჯგუფმა, სათანადო ანალიზისა და დასკვნების გაკეთების გარეშე, ჯიუტად გააგრძელა ამ გეზით სკლა და უმცირესობის მეორე მთავრობა ჩამოაყალიბა – პაპენის კარიკატურული „ბარონთა კაბინეტის” სახით.<sup>1</sup>

მისი ფორმირება და დაკომპლექტება მთლიანად რაიხსვერის პოლიტიკური დეპარტამენტის შეფა – კ. ფონ შლაიხერმა განახორციელა. კურიოზია, მაგრამ ფაქტია – რაიხსკანცლერობის კანდიდატმა მისი მომავალი დანიშვნის თაობაზე პირველად 1932 წლის 28 მაისს შეიტყო ისე, რომ ამ პროცესს წინ არანაირი მოლაპარაკების ფონი არ უძღვდა.<sup>2</sup> ასე აღმოჩნდა ყოფილი ულანთა პოლკის მალემსრბოლი ფ. ფონ პაპენი მთავრობის მეთაურის სავარძელში. სანამ მისი დანიშვნის მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პაპენს ყველა თავისი თანამედროვე (მინისტრთა კაბინეტის წევრების გარდა) უაღრესად ქარაფშუტა, ზედაპირულ და შარიან პერსონად ახასიათებს. საფრანგეთის ელჩი გერმანიაში ა. ფრანსუა პონსე ამის თაობაზე წერს: „პრეზიდენტის არჩევანი გასაოცარი გახლდათ. მან ყველა ადამიანში მხოლოდ ლიმილი და დაცინვა

გამოიწვია, რადგან ახალი კანცლერის დამახასიათებელი თვისება გახლდათ ის, რომ მას არც მეგობრები და არც მტრები სერიოზულად არ აღიქვამდნენ... ის გახდათ უაღრესად მზაკვარი, პრეტენზიული, ცბიერი, შარიანი და რაც მთავარია, არაშორსმჭვრეტელი კაცი.”<sup>3</sup>

მართლაც გაოცებას იწვევს, თუ როგორ შეიძლებოდა ამგვარი პიროვნებისთვის სამოქალაქო ომის ზღვარზე მყოფი ქვეყნის მართვის სადაცების ჩაბარება?! მაგრამ შლაიხერის გამოთქმისა არ იყოს „თანამშრომლობისთვის მზადმყოფ ძალებს შორის” მასზე დამჯერე ადამიანს ძნელად თუ იპოვიდნენ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ რაიხსვერის პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე პაპენს „განტევების ვაცის” როლი უნდა ეთამაშა. როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ის „კერპეტი კაკალი” აღმოჩნდა და ფაქტიურად, შლაიხერთან დაპირისპირების გამო, ვაიმარის პოლიტიკური სისტემის მესაფლავის ფუნქციაც შეასრულა. ამგვარად, 1932 წლის 31 მაისს რაიხსკანცლერის პოსტი ჩაიბარა ადამიანმა, რომლის პოლიტიკურ კარიარაშიც უმაღლეს მიღწევად პრუსიის ლანდგაგის წევრობა იყო.<sup>4</sup>

ჩვენი აზრით, პაპენის კანცლერად დანიშვნა შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა: ა) შლაიხერი თვლიდა, რომ გრაფ ვესტარპთან და პ. გერდელერთნ შედარებით ის უფრო იოლად სამართავი იქნებოდა; ბ) პაპენის გაკანცლერება კათოლიკური ცენტრის პარტიას სამთავრობო ფარვატერისკენ მოაბრუნებდა და გ) პაპენი აგრარული სექტორიდან გახლდათ, ანუ იმ წრიდან, რომლის მხარდაჭერასაც რაიხსვერის მსგავსად ძალზედ აფასებდა პრეზინედტი.

შლაიხერის გათვლამ დასაწყისშივე ნაწილობრივი წარუმატებლობა განიცადა. კათოლიკური ცენტრის გამგეობამ, რომელიც განაწყენებული იყო ბრიუნინგისადმი უცერემონიო მოქცევის გამო, პაპენის თანხმობა კანცლერის პოსტის დაკავებაზე პარტიული ინტერესების ღალატად შეაფასა და იგი ორგანიზაციიდან გარიცხა. ამიტომ, როგორც თ. ეშენბურგი წერს, „მთავრობის მეთაურმა „მზითევის გარეშე” (იგულისხმება ცენტრის გარანტირებული მხარდაჭერა – ავტ.) დაიკავა

პოსტი.”<sup>5</sup> ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მისი კაბინეტის ძირითადი კურსი წინასწარვე იყო განსაზღვრული: მას უნდა გაეგრძელებინა ის გეზი, რომელიც ნაცისტური მოძრაობის „გაცვეთას” ითვალისწინებდა მისი წევრების მთავრობაში მოწვევის გზით; კვლავინდებურად ძალაში რჩებოდა ყველა კონსერვატიული ძალის შემდგომი ინტეგრაციისა და კონსტიტუციური რეფორმის გაგრძელების იდეა.

როგორც ჩანს, ნაცისტური პარტიის მხრიდან ახალი კაბინეტისადმი ლოიალური პოზიციის დაკავებას პრეზიდენტისა და მისი კამარილიისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გნეშმა-ის საბოლოო პოზიციის დადგენის მიზნით, 1932 წლის 30 მაისს ჰიტლერ-ჰინდუბურგის მორიგი შეხვედრის ორგანიზება მოხდა. ნაცისტთა შეფს აღუთქვეს, რომ მთავრობა გააუქმებდა 13 აპრილის განსაკუთრებულ დეკრეტს SA-ს აკრძალვის თაობაზე და დანიშნავდა ახალ საპარლამენტო არჩევნებს. ასეთ პირობებს ჰიტლერი დათანხმდა და პრეზიდენტს დაპირდა, რომ პაპენის კაბინეტის მიმართ ლოიალურ კურსს გაატარებდა. ეს, რბილად რომ ვთქვათ, ჰინდუბურგის მიერ დაშვებული მორიგი ლაფსუსი გახლდათ. ნაცისტური მოძრაობის აღმავლობის ტენდენციის გათვალისწინებით ძნელი არ იყო იმის პროგნოზირება, რომ ახალი საარჩევნო კამპანია გნეშმა-ს იმაზე დიდი წარმატებას მოუტანდა, ვიდრე ეს 1930 წლის სექტემბერში მოხდა და შესაბამისად, გაიზრდებოდა მისი სახელისუფლებო პრეტენზიებიც.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის თვალსაზრისით პროსამთავრობო პოზიციებზე იდგნენ აღმოსავლეთპრუსიელი იუნკრები და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამხედრო კასტა; კაბინეტს ძალზედ გაუჭირდებოდა ექსპორტზე ორიენტირებულ მსხვილ მრეწველთა სიმპატიების მოპოვება, რადგან მთავრობაში წარმოდგენილი ძალები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო, წვრილი და საშუალო ბიზნესის ინტერესებს გამოხატავდნენ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ უმნიშვნელო საზოგადოებრივი მხარდაჭერის პირობებში, კაბინეტის მდგომარეობა პრეზიდენტის ავტორიტეტითა და რაიხსვერის პოლიტიკური წონით უნდა გამყარებულიყო.

პაპენის კაბინეტის ფორმირებას ვაიმარის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიული სპექტრი უკიდურესად ნეგატიურად შეხვდა, რაც დიდწილად კანცლერ ბრიუნინგისადმი უსამართლო მოპყრობამაც განაპირობა. კათოლიკურმა ცენტრმა, ბავარიის სახალხო პარტიამ, სოციალ-დემოკრატებმა და სახელმწიფო პარტიამ თავიდანვე ოპოზიციაში გადასვლა გამოაცხადეს. ამრიგად, მთავრობა მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტთა ლოიალურობისა და გერმანიის ნაციონალური-სახალხო პარტიის მხარდაჭერის იმედზედა იყო.

1932 წლის 2 ივნისს რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის პირველივე სხდომაზე დაუყენებინათ კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი, მაგრამ სესია არ შედგა... 4 ივნისს რადიოთი გამოსვლისას პაპენმა „იმ მოტივით, რომ ლანდგაგების არჩევნებით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე რაიხსტაგი ვერ გამოხატავდა გერმანელი ხალხის ამჟამინდელ განწყობას“ – საკანონმდებლო ორგანო დაშლილად, ხოლო მისი ხელახალი არჩევის დღედ 31 ივლისი გამოაცხადა.<sup>6</sup>

ეს ფაქტი უნიკალური გახლდათ იმითაც, რომ რესპუბლიკის ცამეტწლიანი არსებობის მანძილზე პირველად - სამთავრობო განცხადება კეთდებოდა არა პარლამენტში, არამედ რადიოში. ძალზე საინტერესო და სიმპტომატურია მისი შინაარსიც: „ომისშემდგომი მთავრობები ფიქრობდნენ, რომ დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის მატერიალურ ურთიერთობებს სოციალისტური კანონმდებლობის მეშვეობით მოაგვარებდნენ. ისინი საყოველთაო კეთილდღეობის განუხორციელებელი იდეის დანერგვას შეეცადნენ, რითაც საგრძნობლად შეასუსტეს ერის მორალური ძალა... გერმანელი ხალხის მზარდ ზნეობრივ გამოფიტვას ამძაფრებს კლასობრივი ბრძოლის ანტისაზოგადოებრივი დოქტრინა და კულტურული ბოლშევიზმი. საზოგადოების ყოფის კულტურულ ასპექტებში დრმად გაიდგა ფესვები ათეისტურ-მარქსისტულმა გამხრწნელმა აზროვნებამ. ერის ცხოვრების სიწმინდე ვერ აღდგება იმ შემთხვევაში, თუ კომპრომისებისა და პარიტეტის გზით სვლას გავაგრძელებთ. ყველამ ნათლად უნდა

დაინახოს ის, თუ რომელი ძალები არიან მზად იმისთვის, რომ  
გერმანია ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპებზე  
ააღორძინონ... მთავრობა, რომელიც ახლა შეუდგება საქმიანობას  
ლრმადაა გამსჭვალული დვთისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობის  
გრძნობით... საგარეო პოლიტიკური მიზნების ეფექტური  
განხორციელების წინაპირობაა საშინაო პოლიტიკაში სიცხადის  
შეტანა... ერმა ცალსახად უნდა გადაწყვიტოს რომელ ძალებთან  
თანამშრომლობით შეუდგება მომავლის გზას. ამ ვითარებაში სწორი  
იქნება თუკი ერის ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის და  
ახალი გერმანიის ჩამოყალიბებისთვის ბრძოლას პარტიათაგან  
დამოუკიდებლად ვაწარმოებო."<sup>7</sup>

პაპენის სამთავრობო განცხადების შინაარსი საოცრად პგავს 1932  
წლის 27 იანვარს პიტლერის მიერ დიუსელდორფის კლუბში  
გაკეთებული მოხსენების პათოსს. ისიც (პიტლერი -ავტ.) ძირითადად  
ლიბერალურ-დემოკრატიული და მარქსისტული ლირებულებების  
დანერგვის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რაც მიუთითებდა პაპენის იდეურ-  
პოლიტიკურ ნათესაობაზე ნაციზმთან და იმაზე, რომ ახალი კაბინეტი  
კიდევ უფრო გაამკაცრებდა ავტორიტარულ კურსს.

მიუხედავად იმისა, რომ რაიხსტაგის დათხოვნის მოტივაცია აშკარად  
არადამაჯერებელი იყო, პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან ამას  
რაიმე სახის არსებითი პროტესტი არ მოჰყოლია. ეს კი თავის მხრივ,  
ვამარის კონსტიტუციური რეჟიმის განწირულობაზე მეტყველებდა.  
ფაქტიურად, 1932 წლის ივნისის დამდეგისთვის გერმანიაში ადარ  
არსებობდა რესპუბლიკის დაცვაზე ორიენტირებული, თანამიმდევრულად  
მებრძოლი ძალა, რაც ავტორიტარულ მთავრობასაც და დესტრუქციულ  
პოლიტიკურ ელემენტებსაც ერთიორად უადვილებდა დასახული  
მიზნების მიღწევას.

კაბინეტმა პირნათლად შეასრულა ნაცისტებისადმი მიცემული  
პირობის პირველი პუნქტი. აღსანიშნავია, რომ იდეური დაპირისპირებისა  
და მტრული დამოკიდებულების პირობებში მისი საქმიანობისადმი  
პროტესტის გამოხატვა ვერც მარქსისტული ორიენტაციის პარტიებმა

მოახერხეს. გსდპ და გპპ ნაცვლად იმისა, რომ ერთიანი ფრონტის ფორმირება მოეხერხებინათ, მასობრივი ბაზის გაფართოებისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. 1932 წლის აპრილის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა „რევოლუციური პროფკავშირული ოპოზიცია“ (RGO) ჩამოაყალიბეს, კონფლიქტმა პროფესიული გაერთიანებების დონეზეც გადაინაცვლა, რამაც ავტორიტარიზმის გაძლიერების ფონზე ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისა და მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის დაწყების შანსი მოსპო.<sup>8</sup>

რაიხსტაგის დათხოვნისა და აშკარა ანტისოციალისტური განწყობის პირობებში პაპენმა კაბინეტის ყურადღების კონცენტრირება პრუსიაზე მოახდინა. მას ორი მიზანი ამოძრავებდა: ერთი - მოესპო სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელი ციტადელი და მეორე - ახალ ფაზაში გადაეყვანა ჯერ კიდევ „ბრიუნინგის ერაში“ დაწყებული „საიმპერიო რეფორმის“ პროცესი. კანცლერის მითითებით ფედერალური მთავრობის თითქმის ყველა რგოლმა პრუსიის საშინაო საქმეებში ჩარევისთვის საბაბის ძიება დაიწყო.

ბიძგი ამ პროცესს თავად პაპენმა მისცა. 6 ივნისს მან პრუსიის ლანდტაგის პრეზიდენტ კერლს (გნსმპ) შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „პრუსიაში ბევრი სასიცოცხლო საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას ითხოვს. იმედია, რომ მათი მოგვარება საქმიანი თანამშრომლობის საფუძველზე მოხდება. ის განხორციელდება იმ მთავრობის მიერ, რომელსაც პრუსიის კონსტიტუციის 45-ე მუხლზე დაყრდნობით აირჩევენ. გშიშობ, რომ თუ სასწრაფოდ არ მოხდა ახალი მთავრობის ფორმირება, მალე მხარე მძიმე ფინანსური გასაჭირის წინაშე დადგება. მე გთხოვთ, სასწაფოდ მოიწვიოთ ლანდტაგი და აირჩიოთ პრემიერ-მინისტრი.“<sup>9</sup>

ერთი შეხედვით ამ ჩვეულებრივ კორესპოდენციაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ თუ წინა მოვლენებს გავითვალისწინებთ, კანცლერის მზაკვრული ჩანაფიქრის არსესაც ამოვიცნობთ. უკვე აღინიშნა, რომ პრუსიის ლანდტაგის არჩევნები 1932 წლის 24 აპრილს ჩატარდა, რომელშიც ნაცისტებმა გაიმარჯვეს. კვალიფიციური უმრავლესობის

არარსებობისა და მისი კოალიციური გზით შეკოწიტების  
შეუძლებლობის გამო, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა  
კვლავინდებურად სოციალ-დემოკრატ. ო. ბრაუნს ეკავა. კანცლერის  
წერილი კერლისადმი ფაქტიურად ამ უკანასკნელის შეგულიანებას  
ისახავდა მიზნად. პაპენმა მოხერხებულად შეარჩია დროც: ო. ბრაუნი  
აგადმყოფობის გამო შვებულებაში იმყოფებოდა და მის მოვალეობას  
საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ურთიერთდახმარების მინისტრი  
პირტბიფერი (კათოლიკური ცენტრი) ასრულებდა. 1932 წლის მაისში  
პრუსიის საკანონმდებლო ორგანოში კათოლიკურ ცენტრსა და  
ნაცისტებს შორის თანამშრომლობის ნიშნები გაჩნდა, მაგრამ ერთის  
მხრივ ბრიუნინგის ნეგატიური დამოკიდებულების, ხოლო მეორეს მხრივ  
– გნემპ-ის ლანდტაგის ფრაქციის ლიდერ კუბეს პრეტენზიების გამო,  
მათი შემდგომი დაახლოების პროცესი შეჩერდა.<sup>10</sup>

კერლის საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, რომ ლანდტაგის მორიგი  
სხდომა 22 ივნისს გაიმართებოდა, მაგრამ ის კანცლერს დაპირდა, რომ  
10 ივნისს მოიწვევდა უხუცესთა საბჭოს და განიხილავდა ფედერალური  
მთავრობის წინადადებას. აღნიშნული მიმოწერის თაობაზე პრესამაც  
შეიტყო, რამაც დიდი აუთოტაჟი გამოიწვია. გაჩნდა პუბლიკაციები  
სახელმწიფო უნიტარისტული კურსის უცილობელი გაძლიერების  
თაობაზე. პრუსიის მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა  
პირტბიფერმა 7 ივნისს კანცლერს საპროტესტო განცხადებით მიმართა  
და სუბორდინაციის დარღვევაში დაადანაშაულა.<sup>11</sup>

1932 წლის ივნისში დაწყებული რაიხსტაგის საარჩევნო კამპანიის  
პირობებში, ფედერაციის სუბიექტებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას  
შორის დამოკიდებულების გარკვევის საკითხმა პირველხარისხოვანი  
მნიშვნელობა შეიძინა. ამას კაბინეტის წევრებიც ხვდებოდნენ და  
მოწინააღმდეგეთათვის პროპაგანდისტული საბაბის მოსპობის მიზნით –  
1932 წლის 11 ივნისს, მხარეების მთავრობათა წარმომადგენლების  
თანდასწრებით, ამ პრობლემათა განხილვა მოაწყვეს.<sup>12</sup>

შეხვედრამ, რომელიც კანცლერმა გახსნა, თავიდანვე მძაფრი ხასიათი  
მიიღო, რადგან პაპენმა დასაწყისშივე ბავარიის სახალხო პარტიის

ლიდერი შეფერი 10 ივნისს კრონის ცირკმი გაკეთებული განცხადების გამო გააკრიტიკა.<sup>13</sup> მან მხარეთა წარმომადგენლებს ისევ გაუმჯორა ის ტექსტი, რომელიც 4 ივნისის სამთავრობო განცხადებაში იყო ფიქსირებული. არსებითი მნიშვნელობისა გახლდათ ფედერაციის სუბიექტთა ხემძღვანელების გამოსვლები, ამიტომ საჭიროა ზოგიერთ მათგანზე დატაღურად შეჩერება.

ჰირტზიფერმა პაპენს მოთხოვა დამსწრეთათვის განემარტა თუ როდის აპირებდა ის საიმპერიო კომისრის დანიშვნას პრუსიაში, რომლის თაობაზეც უკვე მუსირებდა ინფორმაცია პრესაში.<sup>14</sup>

ტრადიციულად უაღრესად მწვავე პოზიცია ეკავა ბავარიას, რომლის პრემიერ-მინისტრმა ჰელდმა საიმპერიო მთავრობისგან ორი პრობლემის – კონსტიტუციური რეფორმის და SA-ზე აკრძალვის გაუქმების – მიმართ კანცლერის დამოკიდებულების ნათლად გამოხატვა მოითხოვა. იგი კატეგორიულად დაუპირისპირდა საიმპერიო კომისრის დანიშვნის იდეას და განაცხადა, რომ ამდაგვარი თანამდებობის პირს ბავარიის ხელისუფლება ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ნებასაც კი არ მისცემდა.<sup>15</sup> რაც შეეხებოდა ნაცისტთა მოიერიშე რაზმების ლეგალიზების საკითხს ჰელდმა აღნიშნა: „19 მილიონმა ამომრჩეველმა პინდენბურგს ხმა იმიტომ მისცა, რომ მათ სიმშვიდე და სტაბილურობა სურთ... SA-ზე აკრძალვის გაუქმების შემთხვევაში ბავარია თავად შემოიდებს ამგვარ კანონს.”<sup>16</sup>

ბავარიის სახალხო პარტიის ლიდერი შეფერი უაღრესად მტკიცნეულ საკითხს შეეხო. კანცლერის ბრალდებებს მან შემდეგნაირად გასცა პასუხი: „მე არ ვაკრიტიკებ ბატონ პრეზიდენტს. ჩემი სიტყვა მიმართული იყო იმ კამარილიის წინააღმდეგ, ვინც მას ცალმხრივ ინფორმაციას აწვდის. ამჟამინდელ კაბინეტს ამ კატეგორიაში ვერ განვიხილავთ. მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ბატონ გერმანიის პრეზიდენტსა და რაიხსკანცლერ ბრიუნინგს შორის ბარიერი ხელოვნურად შეიქმნა. ვშიშობ, რომ ახლანდელ ვითარებაში 19 მილიონი ამომრჩეველი პინდენბურგს მხარს ადარ უჭერს. სახეზეა სავალალო რეალობა, 1923 წლიდან გერმანიაში დაწყებული ეროვნული

შერიგების პროცესი სამწუხაროდ შეწყდა.”<sup>17</sup> ცხადია, რომ შეფერი ამ გამოსვლით ხაზს უსვამდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრული იზოლირებისა და მისი შეურიგებელ ოპოზიციაში გადასვლისკენ ბიძგის მიმცემი სამთავრობო კურსის მცდარობას.

ფედერაციის ყველა სუბიექტის წარმომადგენლის გამოსვლაც ანალოგიური შინაარსისა გახლდათ. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ საიმპერიო კომისრების დანიშვნის იდეას და SA-ზე აკრძალვის გაუქმებას.

პაპენის საპასუხო განცხადება „ნამდვილად უშინაარსო და არაფრისმთქმელი იყო. აქედან გამომდინარეობდა ერთადერთი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ამ უსახური მთავრობის ფორმირება მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტების კაბინეტში შეყვანის სურვილით იყო ნაკარნახევი.”<sup>18</sup>

იმისათვის, რათა დამსწრე საზოგადოებას საპოლემიკოდ ქცეული საკითხების მიმართ მთავრობის საბოლოო პოზიცია ნათლად მიწოდებოდა სიტყვა შინაგან საქმეთა მინისტრმა გაილმა ითხოვა და პუნქტობრივად ჩამოაყალიბა კაბინეტის შემდგომი ქმედებების განმსაზღვრელი ფაქტორები: „საიმპერიო კომისრის დანიშვნის იდეა არ გახლავთ არც რაიხსკანცლერ ბრიუნინგის და არც ამჟამინდელი მთავრობის მიერ მოფიქრებული. იგი მუდმივად არსებობდა როგორც – ultima ratio – იმ შემთხვევისთვის, თუკი ერის ბედი სასწორზე დაიდებოდა. რაიხსკანცლერის წერილი ლანდტაგის პრეზიდენტისადმი არ უნდა განვიხილოთ პრუსიის მთავრობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. რაც შეეხება SA-ს აკრძალვას, იგი ცალმხრივი აქციაა და საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. საიმპერიო მთავრობას არ სურს ძალაში დატოვოს ეს აკრძალვა. ჩვენ გვსურს SA-სთან დაკავშირებული ყველა საკითხი კომპლექსურად განვიხილოთ. საიმპერიო მთავრობა ამიერიდან მხოლოდ ისეთი ორგანიზაციების არსებობას დაუშვებს, რომლებსაც ექნებათ საკუთარი წესდება. ეს გავრცელდება ყველაზე - კომუნისტების გარდა. ჩვენ არ ვართ კამარილია. საიმპერიო მთავრობა არც პარტიულ დიქტატურას

განასახიერებს, იგი პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური გზით დანიშნული კაბინეტია.”<sup>19</sup>

ამ განცხადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფედერაციის სუბიექტები უალტერნატივო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ვაიმარის რესპუბლიკის ძირითადი კანონით გარანტირებულ მათ პოლიტიკურ უფლებებს საიმპერიო მთავრობა ყურადღებას აღარ აქცევდა, რაც კონსტიტუციური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავების მანიშნებელი გახლდათ. ფედერალური ხელისუფლების ამგვარი პოზიცია მხარეებში მოქმედი სეპარატისტული ორგანიზაციების საქმიანობასაც აძლევდა ბიძგს,<sup>20</sup> რაც საიმპერიო მთავრობას უნიტარისტული გეგმების რეალიზებისთვის შეეძლო გამოეყენებინა. ამგვარი საფრთხის არსებობაზე 1932 წლის 12 ივნისს სამხრეთ გერმანიის დელეგაციობრივი რაისსპრეზიდენტთან შეხვედრისას პირდაპირ მიანიშნა ბავარიის პრემიერ-მინისტრმა ჰელდმა. მან პინდენბურგს სრული სერიოზულობით განუცხადა: „ბატონ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ მაინზე გადებული ხიდი სამხრეთელების ინიციატივით დაინგრევა, ამგვარ ფაქტს მხოლოდ საიმპერიო მთავრობის მცდარი პოლიტიკა განაპირობებს.”<sup>21</sup> ძალზედ საინტერესო და ორაზროვანი გახლდათ პინდენბურგის პასუხიც: „ეს ჩვენც არ გვსურს! სამხრეთელები ყოველთვის ფიქრობენ, რომ ბოროტება ჩრდილოეთიდან მოდის, მაგრამ ბატონ მინისტრს შევახსენებ, რომ როცა მიუნხენში საბჭოების მთავრობა იყო – პრუსიულმა ჯარებმა წესრიგი აღადგინეს.”<sup>22</sup> ეს სიტყვები გარკვეულწილად მუქარანარევი გაფრთხილების ტონსაც შეიცავდა.

მხარეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, პაპენმა ნაცისტებს მეორე დანაპირებიც შეუსრულა და 16 ივნისს გააუქმა განსაკუთრებული დეკრეტი SA-ს აკრძალვის თაობაზე. ამ ფაქტმა სამხრეთგერმანული მხარეების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და 17 ივნისს მათ (ბავარია, ბადენი და ვიურტემბერგი) ცალმხრივად გამოსცეს ანტინაცისტური აქტები.<sup>23</sup> ყოველივე ეს საიმპერიო მთავრობის ხაზის მიმართ აშკარა უკმაყოფილებაზე მიუთითებდა. თავის მხრივ, პრუსიის

მთავრობა, დიდი სურვილის მიუხედავად, ამგვარი ნაბიჯის გადადგმისგან შეგნებულად იკავებდა თავს. ო. ბრაუნის არყოფნის პირობებში პირტბიფერსა და ზევერინგს ეშინოდათ, რომ ფედერალური ხელისუფლებისადმი სიტყვიერი პროცესტიც კი – მომენტალურად საიმპერიო კომისრის დანიშვნას გამოიწვევდა.

მდგომარეობას უკიდურესად ძაბავდა ისიც, რომ პრუსიის ლანდტაგმა, მისი შემადგენლობის პოლიტიკური პოლარიზების გამო, ახალი კაბინეტის ფორმირება ვერც 22 ივნისის სხდომაზე მოახერხა. ამ ინიციატივით გნეპის ფრაქცია გამოვიდა. მისმა თავმჯდომარებ ვინტერფელდმა ნაცისტებს მთავრობის მეთაურის პოსტზე კანდიდატის წამოყენება სთხოვა. ეს უკანასკნელები კარგად ხედავდნენ, რომ კათოლიკური ცენტრის მხარდაჭერის არარსებობის პირობებში სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, კუბემ ვინტერფელდს განუცხადა: „ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტებს... არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, თუ თქვენ დღის წესრიგში პრემიერ-მინისტრის არჩევის საკითხს დააყენებთ, მაგრამ ვერავინ მოგვთხოვს ამ ბალაგანში რომელიმე ჩვენი ხელმძღვანელის კანდიდატურა წამოვაყენოთ, რომელსაც შემდეგ არ აირჩევენ.”<sup>24</sup> წინასწარვე ცხადი გახდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი პოლიტიკური სუბიექტების ინტერესთა უკიდურესი კონფლიქტის პირობებში, ყოველგვარი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. პრუსიის ლანდტაგიც გერმანიის რაიხსტაგის მსგავსად არაქმედითუნარიანი ორგანო გახდა.<sup>25</sup>

ფედერალური მთავრობა, გერმანიის ნაციონალური-სახალხო პარტიის პრუსიის ლანდტაგის ფრაქციის მეშვეობით, კარგად იყო ინფორმირებული ამ პრობლემათა თაობაზე.<sup>26</sup> ამიტომ, მან მომავალი სადამსჯელო ღონისძიების განხორციელებამდე ნიადაგის ყოველმხრივ მომზადება გადაწყვიტა. პაპენი და მისი გარემოცვა ცდილობდნენ საიმპერიო კომისრის დანიშვნას ობიექტური აუცილებლობით განპირობებული ფაქტის ელფერი ჰქონდა. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს „რაიხსკანცელარიის აქტებში” შემონახული

საკაბინეტო განხილვებისა და სხვა დონის სამთავრობო კონსულტაციების შინაარსიც იძლევა.<sup>27</sup> მათ ანალიზს ერთი არაორდინალური პიპოთების წამოყენებამდეც მივყავართ: გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილი ნაციონალურ-ავტორიტარული ჯგუფი SA-ზე აკრძალვის მოხსნით ნაცისტთა მხრიდან პაპენის კაბინეტისადმი ლოიალურობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად, მას არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე მხარეც ჰქონდა. ჩვენი აზრით, მთავრობას „მოიერიშეთა რაზმების“ ხელახალი ლეგალიზებითა და მათ მიერ გაჩაღებული ტერორისტული საქმიანობის მეშვეობით უახლოეს მომავალში იმ საბაბის მოპოვება სურდა, რომელიც ჯერ კიდევ ფორმალური სახით მოქმედი კონსტიტუციის მოშველიებით პრუსიის საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას მისცემდა. ამით პაპენი ერთდროულად ორ სასურველ მიზანსაც მიაღწევდა: დაამხობდა გერმანიის მასშტაბით უკანასკნელ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და გიგანტურ ნაბიჯს გადადგამდა საიმპერიო რეფორმის გატარების კუთხითაც.

SA-ზე აკრძალვის მოხსნის შემდეგ, გერმანიაში სამოქალაქო ომთან ძალზედ მიახლოებული სიტუაცია ჩამოყალიბდა. კერძოდ, გახშირდა შეტაკებანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ადამიანთა გატაცებისა და უგზო-უკველოდ დაკარგვის ფაქტები. 16 ივნისიდან 20 ივლისამდე პერიოდში მხოლოდ პრუსიაში 500-მდე ასეთი ინციდენტი მოხდა, რომელშიც 99 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1125 დაიჭრა.<sup>28</sup> როგორც ვხედავთ, ფედერალურ მთავრობას უკვე საკმარისზე მეტი მოტივაცია გააჩნდა მხარის საშინაო საქმეებში რადიკალური ჩარევისთვის. ამ უზურპატორული აქტის განხორციელებისთვის ინტენსიური მზადება მინისტრთა კაბინეტმა 1932 წლის 11 ივლისიდან დაიწყო. მომდევნო დღეს გადაწყდა, რომ პაპენი თავად შეითავსებდა პრუსიის საიმპერიო კომისრის თანამდებობას. სოციალ-დემოკრატია სავარაუდო წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით, ამ ოპერაციაში მონაწილეობა რაიხსგერსაც უნდა მიეღო, ბერლინსა და ბრანდენბურგში კი გამოცხადდებოდა საალყო წესები.

საინტერესოა, რა კონტრზომების განხორციელების შანსი პქონდა ბრაუნ-ზევერინგის სოციალისტურ მთავრობას? 16 ივლისს შედგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა, რომელზეც სწორედ ამ საკითხს განიხილავდნენ. პარტიის ლიდერებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იბრძოლებდნენ მხოლოდ კონსტიტუციურ მეთოდთა გამოყენებით.<sup>29</sup> ამან წინასწარვე განსაზღვრა მოვლენათა შემგდომი განვითარების გეზი. მხარის ხელისუფლებას ქვეყნის მასშტაბით 6 მილიონი უმუშევრის არსებობის პირობებში ეშინოდა მასიური საგაფიცვო მოძრაობის დაწყების, რადგან უმართავი სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში იგი შეიძლებოდა კომუნისტთათვის ან ნაცისტთათვის სასურველი შედეგით დასრულებულიყო.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი წევრები შეშფოთებულნი იყვნენ შექმნილი მდგომარეობით, მაგრამ მმართველი ელიტა დარწმუნებული იყო იმაში, რომ რადიკალური ნაბიჯის გადადგმას თვით რაიხსპრეზიდენტიც კი ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ზევერინგი თანაპარტიელბს აიმედებდა: „დარწმუნებული იყავით, რომ საშიშროების შემთხვევაში მე საშველად მოვიწვევ პოლიციას და „რაიხსბანერს”, ამ უკანასკნელს შესაბამისადაც შევაიარადებ.“<sup>30</sup> გსდპ-ს მმართველი აპარატის სხდომაზე კი მან საპირისპირო განცხადება გააკეთა: „სოციალ-დემოკრატთა და პრუსიის მთავრობის რეაქციას განაპირობებს ის, თუ რა ფორმით მოხდება სამთავრობო კომისრის დანიშვნა: კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით, თუ შლაიხერ-პაპენის თვითნებური მოქმედებით.“<sup>31</sup>

შემდგომი მოვლენები საოცარი სისწავით განვითარდა: 15 ივლისს ნოიდეკში მყოფმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განსაკუთრებულ დეკრეტს პრუსიაში საიმპერიო კომისრის დანიშვნის თაობაზე, მასში კი თარიღის ჩაწერის უფლება პაპენს მისცა.

პრუსიაში სახელმწიფო გადატრიალების მომზადების განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ვინმე რუდოლფ დილსის პიროვნებას. იგი მხარის შინაგან საქმეთა სამინისტროში მრჩევლის პოსტზე მსახურობდა

და მის მოვალეობას ნაცისტურ საფრთხესთან ბრძოლის გზების შემუშავება შეადგენდა. ის ზევერინგის დიდი ნდობით სარგებლობდა და ყველა იმ საქმის კურსში იმყოფებოდა, რომელსაც მინისტრი აწარმოებდა. ამაში გასაკვირი და არაჩვეულებრივი არაფერია, თუ არა ის ფაქტი, რომ დილსი თავად იყო ნაცისტური პარტიის წევრი და დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა ჰიტლერს.<sup>32</sup>

სწორედ დილსმა შეასრულა უდიდესი როლი „პრუსიის საქმის“ მომზადებაში. მისი ცნობების საფუძველზე ანხორციელებდნენ კონტრზომებს რაიხსკანცლერი და პრეზიდენტი. ივნისის დასაწყისში მან პაპენს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი აბეგი (სახელმწიფო პარტიის წევრი) კომუნისტებს, კერძოდ კი რაიხსტაგის დეპუტატ ტორგლერს და ლანდტაგის წევრ კასპერს შეხვდა.<sup>33</sup> ამ შეხვედრისას კი პრუსიის ხელისუფლებისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის შემდგომი თანამშრომლობის გეგმა განიხილებოდა – იტყობინებოდა ინფორმატორი.<sup>34</sup>

ფედერალურმა მთავრობამ ეს ფაქტი მაშინვე „გამოიძია“ და დამადანაშაულებელ დოკუმენტად აქცია. რაც შეეხება თვით დილსს, მისი ფუნქცია ამ „ოპერაციაში“ ამით არ დასრულებულა. როგორც სამთავრობო არქივში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს, სწორედ მის ბინაში შედგა 1932 წლის 19 ივლისს რაიხსკანცლერ პაპენის სახელმწიფო მდივნის პლანების და პრუსიის მომავალი შინაგან საქმეთა მინისტრის ბრახტის შეხვედრა, რომელზეც საბოლოოდ დაზუსტდა სახელმწიფო გადატრიალების დეტალები.<sup>35</sup>

მოსალოდნელი საპროტესტო ტალღის თავიდან აცილების მიზნით, პაპენმა 18 ივლისს გამოსცა განკარგულება დემონსტრაციების აკრძალვის თაობაზე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის სამხედრო ოლქის სარდალ გენერალ გ. ფონ რუნშტედტს მის დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა დაევალა. ამავე დროს, საპარაკო და ბერლინის საქალაქო ტრანსპორტის მაკონტროლებელ ორგანოებს მიეცათ ბრძანება, რომ არ დაეშვათ

დედაქალაქიდან პრუსიის მთავრობის წევრთა გასვლა. და აი, დადგა 1932 წლის 20 ივლისი. დილით, მომავალი ქმედებების საბოლოო კოორდინირების მიზნით, პაპენთან პრეზიდენტის სახელმწიფო მდივანი ოტო მაისნერი, ბრახტი და ჰაილი შეიკრიბნენ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ თუ სოციალ-დემოკრატია მაინც მიმართავდა მასობრივი პროტესტის ფორმას, მთელი გერმანიის მასშტაბით უნდა გამოცხადებულიყო საგანგებო მდგომარეობა.<sup>36</sup> იმავე დილით პრუსიელი მინისტრები ზევერინიგი და ჰირტზიფერი სახელმწიფო კანცელარიაში დაიბარეს თითქოსდა ფინანსურ საკითხთა განსახილველად. სინამდვილეში კი 20 ივლისის დილით შემდგარი საუბარი სახელმწიფო გადატრიალების პრელუდია აღმოჩნდა. „სოციალისტურ მთავრობას” განუცხადეს, რომ „სახელმწიფოებრივი უშიშროება პრუსიაში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო გარანტირებულად”. ზევერინგი შეეცადა უარესო ეს განცხადება, მაგრამ უშედეგოდ. პაპენის კითხვაზე - ნებაყოფლობით იტყვით თუ არა უარს თანამდებობაზე, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა - „მე დავუთმობ მხოლოდ ძალმომრეობას”<sup>37</sup>

იმავე დღეს, პრეზიდენტმა პინდენბურგმა ვაიმარის კონსტიტუციის პირველ და მეორე მუხლზე დაყრდნობით გადააყენა პრუსიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და ფრანც ფონ პაპენი საიმპერიო კომისრად დანიშნა. ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით, შემოიდეს საალყო წესები ბერლინსა და ბრანდენბურგში, დაწესდა შეზღუდვები კრებების, პრესის და კავშირების თავისუფლებაზე. აიკრძალა კომუნისტთა გაზეთი „Die Rote Fahne”. სოციალ-დემოკრატთა თანამდებობებზე ნაციონალ-ავტორიტარული ჯგუფის ფავორიტები დაინიშნენ.

დღის 4 საათზე ახალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრახტმა ზევერინგს უფლებების გადაცემა მოსთხოვა. უკანასკნელმა კვლავ გაიმეორა თავისი ცნობილი ფრაზა: „გერმანიის ინტერესებიდან გამომდინარე ვემორჩილები მხოლოდ ძალას”-ო. ამის შემდეგ გათამაშდა ის კომედია, რომლის განხორციელებისთვისაც ურთი ოცეულიც კი არ

აღმოჩნდა საჭირო: საღამოს ბრახტი ბერლინის ახლადდანიშნულ პოლიცაი-პრეზიდენტ მელქერთან და რუნშტედტის მიერ გამოყოფილ ორ ოფიცერთან ერთად ზევერინგის აპარტამენტებში გამოცხადდა. მელქერმა ექსმინისტრს სათანადო ორდერი წარუდგინა და სასახლის დატოვება მოსთხოვა. ისიც უსიტყვოდ „დამორჩილდა ძალმომრეობას“. ასე განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება პრუსიაში. პრემიერ-მინისტრმა ბრაუნმა შვებულების შეწყვეტაც კი არ ჩათვალა საჭიროდ. იგი მხოლოდ წერილობითი პროტესტის გაგზავნით შემოიფარგლა, რასაც პაპენმა პასუხიც არ გასცა.<sup>38</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ პრუსიის მთავრობაში იყო მეორე ფრთაც, რომელიც რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვდა (ფინანსთა მინისტრი კლეპნერი, ბერლინის პოლიცაი-პრეზიდენტი გჟეჟინსკი, პირტზიფერი და სხვ.), მაგრამ გსდპ-ის მმართველმა ელიტამ მათი პოზიცია არ გაიზიარა.<sup>39</sup>

პრუსიაში განვითარებული ამბები საიმპერიო და ფედერალური მხარეების მთავრობების საგანგებო განხილვის საგანი გახდა 1932 წლის 23 ივნისს. ფედერაციის სუბიექტებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ფრანც ფონ პაპენი. იგი კონსტიტუციისა და ფედერალური სისტემის ხელყოფაში დაადანაშაულეს. ამაო გამოდგა კანცლერის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „გერმანიის ფედერალური მოწყობა უფრო განმტკიცდება თუ მოისპობა დუალიზმი პრუსიასა და იმპერიას შორის. ვაიმარის კონსტიტუციის შემუშავებისას დაშვებული შეცდომა გახლდათ ამ კონფლიქტის სათავის დამდები.“<sup>40</sup> ბავარიის პრემიერ-მინისტრმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ კანცლერს ამომწურავი და ზუსტი პასუხი გაეცა მის კითხვაზე: „თავისუფალია თუ არა საიმპერიო მთავრობა გადაწყვეტილელების მიღებისას? რა არის საიმპერიო რეფორმის საბოლოო მიზანი?“<sup>41</sup> პაპენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი პროცესი სხვა მხარეების მიმართ არ განმეორდებოდა.<sup>42</sup>

პრუსიის ყოფილი მთავრობის წევრებმა სარჩელი საიმპერიო სასამართლოში შეიტანეს. საკითხის განხილვა 1932 წლის 27 ოქტომბრამდე გაგრძელდა და საიმპერიო ხელისუფლებისთვის

სასურველი კერძიქტით დასრულდა. როგორც საფიქრებელი იყო სასამართლოს თავმჯდომარებ - ბუმკემ პაპენის მიერ გადადგმული ნაბიჯი კანონიერად ცნო.

პაპენმა, პოტენციურ მოწინააღმდეგეთა უმოქმედობის პირობებში, მოახერხა ხელო ეგდო ხელისუფლება „რესპუბლიკის უძლიერეს ბასტიონში.” პრუსიელ პოლიტიკოსთა მოტივები რა თქმა უნდა, პატივისცემას იმსახურებდა. 1932 წლის ივნის-ივლისში პრუსიაში შექმნილი შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მათ მიერ დაკავებული პოზიცია სწორიც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიის წინაშე გამოჩენილი გონიერება ბევრს არაფერს ნიშნავდა. 1932 წლის 20 ივლისის სახელმწიფო გადატრიალებას პოლიტიკურის გარდა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა: ამ დღემ სიმამაცე დაუკარგა საზოგადოების ერთ ნაწილს, ხოლო მეორეს შეუქმნა იმის შთაბეჭდილება, რომ ანტირესპუბლიკური დონისძიებების შემდგომ განხორციელებასაც სუსტი რეაქცია მოჰყვებოდა. ბევრი გერმანელი მკვლევარი სიმბოლურად 1932 წლის 20 ივლისს ვაიმარის პოლიტიკური სისტემის დასასრულადაც მიიჩნევს.<sup>43</sup>

## § 2. გენერალ კ. ფონ შლაიხერის პოლიტიკა: გზა დიქტატურისკენ თუ რესპუბლიკის რეანიმაციის მცდელობა?!

1932 წლის აგვისტო-ნოემბერი უაღრესად მძიმე პერიოდი გამოდგა სულთობრძავი რესპუბლიკისთვის, რადგან პოლიტიკური ძალების კონფრონტაციის ესკალაციამ პიკს მიაღწია. პიტლერმა ისარგებლა პოტემპაში მომხდარი მკვლელობისადმი<sup>1</sup> მთავრობის მიერ დაკავებული პოზიციით და 29 აგვისტოდან ოფიციალურად გამოაცხადა ნაცისტური პარტიის ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე. ამავე პერიოდში გამოვლინდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელმაც ჩვენი

აზრით, წერტილი დაუსვა არა მხოლოდ იმჟამინდელი კაბინეტის, არამედ ვაიმარის რესპუბლიკის არსებობასაც. მხედველობაში კათოლიკური ცენტრის პოლიტიკაში მომხდარი ცვლილება გვაქვს. პაპენზე შურისძიებისა და ნაციონალ-ავტორიტართა პოზიციების ტორპედირების მიზნით, პარტია ნაცისტებთან კავშირზე წავიდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმის ინიციატორები ლ. კაასი და ყოფილი რაიხსკანცლერი ჰ. ბრიუნინგი იყვნენ. 31 ივლისს გერმანული პრესა წერდა: „ნაციონალ-სოციალისტებმა და ცენტრმა ერთად უნდა იარონ!“<sup>2</sup> აღნიშნული ფაქტი ქვეყანაში შექმნილ ტრაგიკულ ვითარებაზე მიანიშნებს. ცენტრი, რომელიც თავისი არსით, დოქტრინითა და პოლიტიკური მიზნებით არ იყო რეაქციული, გარემოებათა წყალობით იძულებული გახდა იმ ძალას დაკავშირებოდა, რომელიც ყოველგვარი პლურალიზმისა და ტოლერანტიზმის წინააღმდეგი გახლდათ. პაპენის კაბინეტის მდგომარეობა 1932 წლის 12 სექტემბერს განხორციელებულმა VI მოწვევის რაიხსტაგის დათხოვნამ გამოასწორა.<sup>3</sup>

საკანონმდებლო ორგანოს „აბუჩად აგდებაშ“ კანცლერის ავტორიტეტი პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის თვალში ძალზედ აამაღლა. პინდენბურგი აღტაცებას ვერ მალავდა და ახლა მართლაც გრძნობდა თავს იმ წრეების ინტერესთა გამომხატველად, რომლებმაც 1925 წელს მისი ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობებს. ილუზიებში მყოფმა კანცლერმაც ფანტასტიკური გეგმა შეიმუშავა: ეს გახლდათ ე. წ. „ახალი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების იდეა, რომლის მიხედვითაც ავტორიტარული მმართველობა თვისებრივად ახალ ეტაპზე უნდა ასულიყო. კანცლერი კონსტიტუციური რეფორმის „ბოლომდე მიყვანის“ ინიციატივით გამოდიოდა. ამ ღონისძიებათა წყალობით აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების თავმოყრა პრეზიდენტის ხელში უნდა მომხდარიყო. მას უკვე კონსტიტუციით უნდა მინიჭებოდა კაბინეტის ერთპიროვნულად ჩამოყალიბებისა თუ დათხოვნის უფლება. პაპენის გეგმის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის დაკომპლექტება ახალი კონსერვატიული

საარჩევნო კანონის საფუძველზე უნდა მომხდარიყო და მას ჩამოერთმეოდა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პრეროგატივა. რაც შეეხება ზედა პალატას – მისი წევრები პრეზიდენტის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაინიშნებოდნენ.<sup>4</sup>

1932 წლის 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია გერმანიაში უკიდურესად დაიძაბა. პაპენის მხარდამჭერთა რაოდენობა ქვეყნის რაიხსტაგში კატასტროფულად შემცირდა.<sup>5</sup> გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ ნაცისტურმა მოძრაობამ აღმავლობის პიქს გადააბიჯა და იწყებოდა მისი დეგრადირების პერიოდი. ამის საპირისპიროდ აღზევება იწყო კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც სულ უფრო აფართოებდა საგაფიცვო მოძრაობის მასშტაბებს და მათთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემას ცდილობდა.

ამგვარ სიტუაციაში კანცლერი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას ყველა მხარდამჭერი ძალა შემოეძარცვა და ხანდაზმული, ჭირვეული რაიხსპრეზიდენტის ამარადა დარჩა, რომელიც პაპენს მისი პიროვნული თვისებების გამო უფრო აფასებდა, ვიდრე მიღწეული წარმატებების მიხედვით.

1932 წლის მიწურულს გერმანიაში შექმნილი ვითარების გამო პაპენის „დამსახურებანი“ არავის ახსოვდა და კანცლერიც მიხვდა, რომ ახლოვდებოდა მისი წასვლის დრო. 1932 წლის 9 ნოემბერს – საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პირველი სამთავრობო სხდომა ჩატარდა. სწორედ აქ გამოითქვა მოსაზრება კაბინეტის გადადგომის თაობაზე, მაგრამ იყვნენ მოღვაწეები, რომლებიც რადიკალური ზომების განხორციელებას მოითხოვდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდა შინაგან საქმეთა მინისტრი გაილი. მან კანცლერისგან რაიხსტაგის ხელახლი დაშლა და პრეზიდიალური გზით ქვეყნის მართვის გაგრძელება მოითხოვა, მაგრამ კაბინეტთა მმუსვრელ შლაიხერს უკვე სხვა მიზნები ჰქონდა. მას თავად სურდა რაიხსკანცლერის სავარძელში მოკალათება, ამიტომაც გადაჭრით დაუპირისპირდა გაილს და კანცლერს პიტლერთან მოლაპარაკების დაწყება ურჩია.<sup>6</sup>

შლაიხერის ხელისუფლებაში მოსვლის მიზეზთა გარკვევისთვის აუცილებელია დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ანალიზი. 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ის ჯგუფი, რომელიც კანცლერად ჰიტლერის დანიშვნას ითხოვდა: ი. შახტი, კ. ფონ შრედერი, ფ. ტისენი, გრაფი ფონ კალკრაიტი, ა. როსტერგი, კ. ვიორმანი, ა. ფიოგლერი, პ. როიში, ფ. შპრინგორუმი და სხვ.

პაპენი საკმარისზე მეტ ინფორმაციას ფლობდა აღნიშნულის თაობაზე და 17 ნოემბერს პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ.<sup>7</sup> ჰიტლერის რაიხსკანცლერად დანიშვნამდე ჰინდენბურგს სურდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის პოზიცია გაეგო. ამან კი სამთავრობო კრიზისი თითქმის ორი კვირის მანძილზე გაახანგრძლივა.<sup>8</sup> მონოპოლისტთა მეორე ნაწილი, რომელსაც სათავეში „იგ ფარბენინდუსტრისა“ და „დოიჩე ბანკის“ წარმომადგენლები ედგნენ, მხარს უჭერდა შლაიხერს. მესამე დაჰუფუბას ქმნიდნენ ა. ჰუგენბერგის მომხრეები, რომელთა რიცხვშიც აგრარიები სჭარბობდნენ.<sup>9</sup>

პაპენის გადადგომის შემდეგ ჰინდენბურგმა პოლიტიკურ პარტიათა პოზიციების ზონდირება დაიწყო. 18 ნოემბერს იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ალფრედ ჰუგენბერგთან, რომელიც ჰიტლერისთვის კანცლერის პოსტის გადაცემის გეგმას უკიდურესად უარყოფითად შეხვდა.<sup>10</sup>

18 ნოემბერსვე შედგა ჰინდენბურგ-კასის აუდიენცია. ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე პოლიტიკური ფონის მიმოხილვის შემდეგ პრეზიდენტი კათოლიკური ცენტრის პოზიციით დაინტერესდა იმ შემთხვევისთვის, თუ კანცლერის პოსტი ჰიტლერს გადაეცემოდა. პრელატმა კაასმა განაცხადა: „ნაციონალური კონსოლიდაციის მიღწევისთვის კათოლიკური ცენტრის პარტია მზადაა დაგიდასტუროთ უღრმესი პატივისცემა. მიუნსტერში გამოსვლისას მე ვთქვი, რომ უმძიმესი მდგომარეობიდან ყველაზე საიმედო გამოსავალი იქნებოდა ის, თუ სამი ან ოთხი მამაცი პარტიული ლიდერი ერთგულებას შეჰვიცებდა

ერთმანეთს, იმისათვის, რათა მხარი დაეჭირათ მთავრობისთვის. რაც შეეხება პიტლერის კანცლერის პოსტზე დანიშვნას შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბატონი პრეზიდენტის პრეორგატივას და მისი პირადი ნდობის საკითხს წარმოადგენს. გერმანიას ძალზედ მძიმე დღეები დაუდგა. ერთის მხრივ, 12 მილიონი ადამიანი მემარჯვენე ოპოზიციაშია, მეორეს მხრივ კი – 13,5 მილიონი მემარცხენეში. ამიტომ, ეროვნული გაერთიანების გზა ნაციონალ-სოციალისტთა ჩათვლით აუცილებლობას წარმოადგენს.<sup>11</sup> ლ. კაასის მსგავსი პოზიცია დაიკავეს ბავარიის სახალხო პარტიის ლიდერმა შეფერმა და გსპ-ის თავმჯდომარემ – კ. დინგელდაიმ.<sup>12</sup>

1932 წლის 19 ნოემბერს დაიწყო მოლაპარაკებანი პინდენბურგსა და პიტლერს შორის, რომელიც რამოდენიმე დღე გრძელდებოდა. 21 ნოემბერს პრეზიდენტმა ნაციისტთა შეფს კოალიციური კაბინეტის ფორმირება შესთავაზა, ამავდროულად ახალ მთავრობას საპარლამენტო მხარდაჭერის პროცედურაც უნდა გაევლო. პიტლერის კატეგორიული მოთხოვნით მისი კაბინეტი საპრეზიდენტო უფლებებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. დამშვიდობებისას პინდენბურგმა დანანებით განაცხადა: „მე არ ვუჭვობ თქვენი განზრახვის პატიოსნებაზე, მაგრამ ისეთი მთავრობის ჩამოყალიბებას ვერ გადავწყვეტ, რომელსაც ერთი პარტია უხელმძღვანელებს.“<sup>13</sup> ამით მოლაპარაკებათა პირველი ტური დასრულდა.

ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით პაპენმა პრეზიდენტს სიტუაციის სტაბილიზების საკუთარი გეგმა შესთავაზა, რომელიც პარლამენტის დათხოვნას, ვაიმარის კონსტიტუციის გაუქმებას და ყველა პოლიტიკური პარტიის აკრძალვას ითვალისწინებდა. ხანდაზმულ პრეზიდენტს აღნიშნული მოსაზრებანი ძალზედ მოეწონა, მაგრამ მისი განხორციელებისთვის მინისტრთა კაბინეტის აზრის მოსმენა ისურვა.

რაიხსკვერის ხელმძღვანელობას არ უნდოდა სამხედრო სამინისტროს სათავეში ნაციისტი ფუნქციონერის ხილვა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მიმდინარე მომენტისთვის ძალისმიერი სტრუქტურების ნაციისტებისათვის

გადაცემა ყოვლად დაუშვებელი იყო. ამავე დროს, გენერალიტეტი სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირების წინააღმდეგაც გამოდიოდა. იმ მიზნით, რომ პინდენბურგი ორივე გეგმის საპირისპიროდ განეწყოთ შლაიხერმა მის უახლოეს თანაშემწეს ვიცე-პოლკოვნიკ ოტს 25-26 ნოემბერს საკომანდო-საშტაბო თამაშის ჩატარება დაავალა. მისი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვიათ მოახერხებდა თუ არა რაიხსვერი საკუთარი ძალებით მოსალოდნელი მასობრივი არეულობის დათრგუნვას. 1 დეკემბერს ჩატარებულ სამთავრობო სხდომაზე, რომელზეც პაპენის მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული გეგმის ნიუანსებს განიხილავდნენ, პრეზიდენტი კანცლერისთვის ხელისუფლების შენარჩუნებისკენ გადაიხარა. გადამწყვეტ მომენტში შლაიხერმა ვიცე-პოლკოვნიკ ოტის გამოძახება და მის მიერ მიღებული შედეგის გაცნობა მოითხოვა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ რაიხსვერს არ შეეძლო სახელმწიფო სტრუქტურების ქმედითუნარიანობის და ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფა. პრეზიდენტი იძულებული გახდა ოფიციალურად გადაეყენებინა პაპენი.<sup>14</sup>

2 დეკემბერს ბრახტის, შვერინ-კროზიგკის, ვარმბოლტის, პოპიცის და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრთა ერთსულოვანი მოთხოვნით პინდენბურგმა რაიხსკანცლერის პოსტი პ. ფონ შლაიხერს გადასცა. მისი კაბინეტის შემადგენლობა თითქმის უცვლელი დარჩა,<sup>15</sup> მაგრამ როგორც რაიხსპრეზიდენტის სახელმწიფო მდივნის ო. მაისნერის ჩანაწერებიდან ჩანს, მასში სტრუქტურული ცვლილებები პინდენბურგ-პიტლერის შეთანხმებისთანავე მოხდებოდა.<sup>16</sup> ამას კანცლერი თავიდანვე გრძნობდა და ვიწრო წრეში საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავდა - „მე დავრჩები მანამდე, სანამ ერთ-ერთი მათგანი (ე. ი. პინდენბურგი ან პიტლერი -დ. წ.) პოზიციას არ დათმობს“<sup>17</sup>

პ. ფონ შლაიხერი ის პირვენება გახლდათ, რომელმაც, თავის დროზე, პ. ბრიუნინგთან ერთად ქვეყნის უახლოესი განვითარების ძირითადი კონცეფციები შეიმუშავა. მათი გეგმის მიხედვით ვაიმარის რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ეტაპობრივი დემონტაჟი შემდეგ

ლონისძიებათა გატარების გზით უნდა მომხდარიყო: სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამორიცხვა მთავრობიდან, „ნაციონალური კონცენტრაციის” მინისტრთა კაბინეტის ფორმირება და მისი გამოყვანა რაიხსტაგის კონტროლიდან, მასობრივი ბაზის მოპოვების მიზნით ყველა ცენტრისტული და მემარჯვენე ძალის ერთ ბლოკში გაერთიანება, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გახლეჩა ან მთავრობაში მისი წევრის შეყვანის გზით მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებით პარლამენტარიზმის მოსპობა. როგორც ზემოთ ვნახეთ, მითითებულ პრობლემათა გარკვეული ნაწილი ბრიუნინგისა და პაპენის კანცლერობისას გადაიჭრა, მაგრამ პროფესიონალი ინტრიგანის ალლომ შლაიხერს უკარნახა, რომ სუბიექტურ ფაქტორთა ზეგავლენით მოვლენები ნაციონალ-ავტორიტარული ჯგუფის კონტროლიდან გამოდიოდა. სწორედ ამიტომ დაუპირისპირდა იგი პაპენს და კულისებს მიღმა თამაშს კანცლერის პოსტის დაკავება ამჯობინა.

ჰ. ბრიუნინგისა და ფ. ფონ პაპენის მაგალითმა შლაიხერი დაარწმუნა იმაში, რომ ხელისუფლების ქმედითუნარიანობისთვის აუცილებელი იყო მყარი მასობრივი ბაზა. მისი მოპოვების მიზნით ის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და კათოლიკური ცენტრის პარტიების პროფკავშირების პარტიული დაქვემდებარებიდან გამოყვანას და მათ „გასახელმწიფოებრიობას“ შეეცადა. ამით მას „სოციალურად ორიენტირებული გენერლის“ რეპუტაციის შექმნა სურდა. იმ შემთხვევაში, თუ კანცლერი აღნიშნულს განახორციელებდა, მაშინ ნაცისტების მთავრობაში შეყვანა მისთვის სრულიად უსაფრთხო იქნებოდა.

ამ გეგმის რეალიზება გენერალმა ჯერ კიდევ რაიხსკანცლერის პოსტის მიღებამდე დაიწყო. 1932 წლის 28 ნოემბერს ის ქრისტიანული პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს თეოდორ ლაიპარტს შეხვდა. შლაიხერი მას 1932 წლის 9 აგვისტოს განსაკუთრებული დეკრეტის<sup>18</sup> პირობათა შემსუბუქებას, ხოლო 4 სექტემბრის

გადაწყვეტილების<sup>19</sup> მთლიანად გაუქმებას პპირდებოდა, მაგრამ ლაიპარტმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.<sup>20</sup>

იმავე დღეს შლაიხერი გსდპ-ს რაიხსტაგის ფრაქციის თავმჯდომარეს რუდოლფ ბრაიტშაიდსაც ეთათბირა. ამ უკანასკნელმა გენერალს აგრძნობინა, რომ მისი პარტია ყოველგვარ ურთიერთობაზე უარს ამბობდა იმ პირთან, რომელიც პრუსიაში 1932 წლის 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ამავე დროს ბრაიტშაიდმა შლაიხერს განუცხადა, რომ რაიხსტაგის დათხოვნის შემთხვევაში სოციალ-დემოკრატები ბარიკადებზე გავლენო.<sup>21</sup>

ლაიპარტ-ბრაიტშაიდთან მოლაპარაკებებმა ცხადყვეს, რომ შლაიხერს ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიებთან საერთო ენის გამონახვა ძალიან გაუჭირდებოდა.

1932 წლის 4 დეკემბერს კანცლერმა ახალი მინისტრთა კაბინეტის სია დასამტკიცებლად პრეზიდენტს წარუდგინა. ბევრი თანამედროვე ამ მთავრობის ხანგრძლივი საქმიანობის გარანტად რაიხსკანცლერის ავტორიტეტს მიიჩნევდა. მას იცნობდნენ როგორც ჭკვიან და ფრთხილ პოლიტიკოსს, რომელიც თავის საყრდენად ე.წ. „მესამე ფრონტის”, ანუ სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირების გამოყენებას აპირებდა. უნდა ითქვას, რომ შლაიხერს მოწინააღმდეგენიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ჰ. გერინგი აღნიშნავდა: „მთავრობაში ერთადერთი პიროვნებაა, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას გააჩნია ის თვისებები, რომლებიც აუცილებელია მაღალი პოსტისთვის. ეს ადამიანია – გენერალი შლაიხერი.”<sup>22</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუნინგისა და პაპენის მსგავსად, შლაიხერი პრეზიდიალური უფლებებით ვერ ისარგებლებდა, მან მაინც რაიხსტაგის სრული იგნორირება გადაწყვიტა. ეს არცთუ ისე რთული ამოცანა გახლდათ, რადგან საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობას მემარჯვენე ძალები წარმოადგენდნენ, რომლებთანაც გენერალს ჯერ კიდევ კარგი ურთიერთობები ჰქონდა. ახალი რაიხსტაგი მუშაობას 6 დეკემბერს შეუდგა. კომუნისტთა და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციებმა სხდომაზე კანცლერის გამოძახება მოითხოვეს, მაგრამ უმრავლესობამ

ეს წინადადება უარყო. საორგანიზაციო მხარის მოგვარების შემდეგ რაიხსტაგი ისე დაიშალა, რომ მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღიც კი არ განუსაზღვრავს. კვლავინდებურად, პარლამენტის მოწვევა მისი პრეზიდენტისა და უხუცესთა საბჭოს ინიციატივით უნდა მომხდარიყო.<sup>23</sup>

1932 წლის ნოემბერ-დეკემბერი ნაცისტური პარტიისთვის უაღრესად წარუმატებელი აღმოჩნდა. 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მათ რაიხსტაგში 34 მანდატი დაკარგეს. პარტია სრული ფინანსური კრახისა და გარდაუვალი დაშლის საფრთხის წინაშე იდგა.<sup>24</sup> გ. შტრასერის მრავალრიცხოვან ბიუროებში ორგანიზაციის დატოვების თაობაზე უამრავი განცხადება შედიოდა.<sup>25</sup> ამგვარ პირობებში ტრადიციულმა შიდადაპირისპირებამაც იჩინა თავი. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც სათავეში გ. შტრასერი, გ. ფედერი და ვ. ფრიკი ედგნენ, თვლიდა, რომ ჰიტლერმა საკუთარი უკომპრომისო და მაქსიმალისტური მოთხოვნების გამო („ყველაფერი ან არაფერი“), ხელიდან გაუშვა ხელისუფლებაში მოსვლის საუკეთესო შანსი. მართალია, ეკონომიკური კრიზისი, რომლისგანაც პარტია ასე იყო დავალებული, ჯერ კიდევ მძვინვარებდა, მაგრამ გარკვეული სტაბილიზაციის ნიშნები უკვე ჩანდა. მისი დაძლევის შემთხვევაში კი უზომოდ გაიზრდებოდა მთავრობის ავტორიტეტი და დაიწყებოდა ნაცისტთაგან მასობრივი ბაზის გადინების დამანგრევებელი პროცესი. გარდა ამისა, შტრასერს პანიკურად ეშინოდა ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისა და ამიტომაც, ორგანიზაციის გადარჩენის მიზნით შლაიხერთან შეთანხმებას ცდილობდა.

ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით 1932 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში წარიმართა. გენერალი მისი შეხედულებების გაზიარებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, გ. შტრასერს ვიცჟ-კანცლერის პოსტს პირდებოდა. ძალისხმევის მაქსიმალური დაძაბვის ხარჯზე ჰიტლერმა შესძლო კანცლერის შემოტევათა მოგერიება და 1932 წლის 7 დეკემბერს გ. შტრასერს პარტიაში დაკავებული უკელა თანამდებობა დაატოვებინა.<sup>26</sup> ამგვარად, შლაიხერს ნაცისტური მოძრაობის გახლების შანსი მოესპო, მაგრამ

იმედოვნებდა, რომ ფინანსურ სირთულეთა გამო ფაშისტურ ორგანიზაციას გარდაუვალი კრახი ელოდა.<sup>27</sup>

1932 წლის 12 დეკემბერს კანცლერმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც გაკოტრებულ იუნკერთა მამულები, მფლობელთა წინააღმდეგობის მიუხედავად საჯარო აუქციონზე უნდა გაყიდულიყო. ეს ბრიუნინგის პერიოდში წარმოებული აგრარული პოლიტიკის უშუალო გაგრძელება გახლდათ და ისიც გამოთავისუფლებულ მიწებზე გერმანიის ცენტრალური რეგიონებიდან გამოსული მოსახლეობის დასახლებას ისახავდა მიზნად.

მართალია, შლაიხერმა თავი „სოციალურად თრიენტირებულ გენერლად“ წარადგინა, მაგრამ მუშათა კლასის წინაშე მისმა დათმობებმა სოციალ-დემოკრატთა პოზიციები ვერ შეცვალა: მეორეს მხრივ კი – აღაშფოთა მეწარმეები. გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მათ მუშები ამჯობინეს, ხოლო იუნკრები ე. წ. „ჩასახლების პროგრამის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ.<sup>28</sup>

საქმიანობის დასაწყისში განცდილი მარცხის მიუხედავად, შლაიხერი იმედოვნებდა, რომ მისი მოწინააღმდეგები გაერთიანებას ვერ მოახერხებდნენ და ყოველნაირად ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მთავრობას არ უნდა დაეთმო პიტლერის წინაშე.

ასეთ ვითარებაში ავანსცენაზე კვლავ გამოჩნდა ფრანც ფონ პაპენი, რომელშიც კანცლერის წინააღმდეგ მოქმედმა ყველა ძალამ „საერთო დამცველი“ დაინახა.<sup>29</sup> სწორედ მან შეახვედრა პიტლერი ბანკირ კურტ ფონ შრედერს 1933 წლის 4 იანვარს: ამ თარიღს კ. დ. ბრახერი „მესამე რაიხის დაბადების დღეს უწოდეს“,<sup>30</sup> რადგან გერმანელ მრეწველთა მიერ აღმოჩენილმა დახმარებამ ნაცისტური პარტია ფინანსური კრახისგან იხსნა და კვლავინდებურად სიცოცხლისუნარიანი გახადა. პაპენის ინტრიგათა წყალობით კანცლერს მალე ზურგი აქცია რაიხსპრეზიდენტმა ჰინდენბურგმაც.

1933 წლის 11 იანვარს შლაიხერის წინააღმდეგ იუნკრებიც ამოქმედდნენ. 12 იანვარს პრეზიდენტი „ლანდბუნდის“ ხელმძღვანელმა გრაფმა კალკრაიგმა მოინახულა. მან კანცლერის ინიციატივით

აღმოსავლეთ პრუსიაში წარმოებული დონისძიებანი „აგრარულ ბოლშევიზმად“ მონათლა. ამ განცხადებამ წონასწორობიდან გამოიყვანა ილუზიების ტყვეობაში მყოფი პინდენბურგი და მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება მოითხოვა.<sup>31</sup>

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ რაიხსპრეზიდენტსა და რაიხსკანცლერს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულა: საპარლამენტო კომისიამ ე. წ. „აღმოსავლური დახმარების“ ეგიდით გაღებული სახსრების ხარჯვაში კორუფციის ფაქტები აღმოაჩინა, რომელშიც პრეზიდენტის ვაჟი – ოსკარ პინდენბურგიც იყო გარეული. ხანდაზმულმა პრეზიდენტმა კანცლერს რაიხსტაგის საგამოძიებო კომისიის დაშლა მოთხოვა.<sup>32</sup>

შლაიხერი გრძნობდა, რომ მოვლენები ზუსტად იმავე სცენარით ვითარდებოდა, როგორც ბრიუნინგის კანცლერობის უკანასკნელ დღეებში. ამიტომ მან ბოლო შესაძლებლობის გამოყენება გადაწყვიტა: 23 იანვარს კანცლერმა პრეზიდენტისაგან საგანგებო რწმუნებანი, პარლამენტის დაშლის ნებართვა და ახალი არჩევნების რამოდენიმე თვით გადაწევა ითხოვა. პინდენბურგმა კონსტიტუციის დარღვევაზე ცინიკურად უარი განაცხადა და შლაიხერს „შეახსენა“, რომ მასობრივი გამოსვლების შემთხვევაში – მისივე 1932 წლის 26 ნოემბრის მოხსენების თანახმად, რაიხსგერს ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფა არ შეეძლო. ამით კანცლერს აგრძნობინეს, რომ მან პრეზიდენტის ნდობა საბოლოოდ დაკარგა. 1933 წლის 28 იანვარს, შექმნილი მდგომარეობის განხილვის შემდეგ, მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით გადადგა.<sup>33</sup>

30 იანვარს პ. ფონ პინდენბურგმა კანცლერის პოსტი ა. პიტლერს უბოძა, რითაც ფაქტიურად, ვაიმარის რეპუბლიკის არსებობაც დასრულდა და ჩამოყალიბება იწყო „მესამე რაიხმა“, რომლის დაბადებაც ნაცისტებმა 29-30 იანვრის დამეს „ცეცხლოვანი სვლით“ აუწყეს მსოფლიოს.

## დ ა ს გ ვ ა

ნაშრომში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე პირველი გერმანული რესპუბლიკის დემონტაჟისა და კრახის განმაპირობებლად შემდეგი მიზეზები მიღვაჩნია:

-- 1918 წლის ნოემბერში გერმანიაში ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის დამკვიდრებით, ქვეყანა დეკლარაციულ დონეზე გადაიქცა იმად, რის წინააღმდეგაც 1914-1918 წლებში სისხლისმდვრელ ომს აწარმოებდა მეორე იმპერიის მოსახლეობა. ამაში ისტორიის ანაქრონისტული ხასიათიც გამოვლინდა, რადგან ისეთ ვითარებაშიც კი,

როცა მმართველობის ავტორიტარული ფორმიდან პლურალიზმსა და პარლამენტარიზმზე გადასვლა მოხდა, გერმანელთა პოლიტიკური კულტურა „ქვეშევრდომთა კულტურის“ პომოგენური დარჩა. ეს დიდწილად იმანაც განაპირობა, რომ რესპუბლიკის ფორმირება არ მომხდარა კლასიკური რევოლუციის გზით, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის აუცილებელ წინაპირობებს შექმნიდა ახალი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა და ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე. გერმანიაში ბისმარკის პერიოდიდან მეთოდურად დანერგილი ღირებულებანი იმდენად მყარი და ფესვგადგმული აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ მიიღო და ვერ გაითავისა დემოკრატიული სისტემის მიერ შეთავაზებული სიკეთენი. ამიტომ, 1918-1933 წლებში არსებული რესპუბლიკა ზედაპირული, „ფორმალური დემოკრატია“ იყო. ამ ფაქტორმა ქვეყნის კონსტიტუციაშიც კი ჰქოვა ასახვა. ახალი გერმანული სახელმწიფო კვლავინდებურად იმპერიად იწოდებოდა.

-- კონსტიტუციაში, რომელიც ევროპული და ამერიკული მოდელების სინთეზის შედეგად შეიქმნა, შეტანილ იქნა ცნობილი 48-ე პარაგრაფი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო როგორც არსებული სისტემის სასარგებლოდ, (მაგ. პრეზიდენტ ებერტის პერიოდი) ასევე მის საზიანოდაც (მაგ. პრეზიდენტ ჰინდენბურგის პერიოდი). აშკარად ავტორიტარული მისწრაფების ძალთა დომინირების პირობებში აღნიშნული თავიდანვე დიდ საფრთხეს შეიცავდა და კრიზისის შემთხვევაში პირველხარისხოვან პრობლემად გადაჭცევის საშიშროებას ქმნიდა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ დაინტერესებულ ძალას დემოკრატიული სისტემის ლიკვიდირების საშუალება მისსავე არსენალში შეეძლო მოეპოვებინა, როგორც ეს ჰინდენბურგმა და მისმა გარემოცვამ განახორციელა 1930-1933 წლებში. ესე იგი ვაიმარის ახალგაზრდა დემოკრატია კონსტიტუციური თვალსაზრისითაც დაუცველი იყო.

-- გერმანიის პარტიულ-პოლიტიკური სპექტრის სიჭრელე, ინტერესთა კონფლიქტი და კონსტრუქციული საპარლამენტო უმრავლესობის

ფორმირების შეუძლებლობა, ხშირი სამთავრობო კრიზისების მაპროცენტურებელი მიზეზი ხდებოდა. ეს კი ერთის მხრივ – აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო ინიციატივის მითვისების სურვილს უდვივებდა (როგორც ეს 1930-1933 წლებში მოხდა), ხოლო მეორეს მხრივ – ქვეყნის მოსახლეობას „ძლიერი ხელმძღვანელის“ მოლოდინს უჩენდა. ასეთი მეთაურის იმიჯი გერმანულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ 1925 წლიდან პრეზიდენტ ჰინდენბურგს შეუქმნა, რამაც ობივატები ქვეცნობიერ დონეზე წინასწარ შეამზადა ავტორიტარიზმზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის. 30-იანი წლების დამდეგს ხელისუფლებაში მყოფი ელიტის „ზეპარტიული პოლიტიკა“ სხვა არაფერი იყო, თუ არა იდეოლოგიურად შენიდბული ავტორიტარიზმი, რომლის გამყარებასაც მეტ-ნაკლები ხარისხითა და რესპექტით ახერხებდნენ ბრიუნინგის, პაპენისა და შლაიხერის მთავრობები.

-- გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა სოციო-კულტურული იზოლაციონიზმი, რომელიც კონფესიონალური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული (მაგ. სოციალ-დემოკრატია, კათოლიკური ცენტრი, ბავარიის სახალხო პარტია, გერმანიის სახალხო პარტია და ა. შ.) არ იძლეოდა დემოკრატიულ სისტემაში სრული ინტეგრაციის შანსს. ამიტომ, 1918-1933 წლებში არსებული კოალიციები ხშირ შემთხვევაში არა რეალური თანამშრომლობის სურვილით, არამედ სუბიექტური ფაქტორით ან საგარეო საფრთხის წინაშე შიშით იყო განპირობებული. ეს კი ექსტრემალური პირობების ჩამოყალიბების შემთხვევაში სრული და უსწრაფესი დეზინტეგრაციის საფრთხეს შეიცავდა. ამგვარ რეალობას ფარდა საბოლოოდ 1928 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ახადა, რომელმაც სააშკარაოზე გამოიტანა მანამდე მიჩქმალული ყველა პრობლემა, რომელთა გადაჭრაც ვერ მოახერხა „ვაიმარის დიდმა კოალიციამ.“ ეს კონგლომერატი დაიშალა და სათავე დაუდო პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრაციის პროცესს. ფაქტიურად, ამით

დასრულდა კიდეც დემოკრატიის არსებობა გერმანიაში და ქვეყანა ავტორიტარიზმის ფაზაში შევიდა.

